# კვირის პალიტრა

№ 31 (492) ◆ 2 – 8 აგვისტო. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




**26 ივლისს, ორშაბათს, გამთენიისას, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა „კვირის პალიტრის" მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი**

...პირველად იყო ფიქრი, ფიქრი ნამივით ჩაწვეთებული, მეისიერად მოვლენილი და მერე მიჩუმათებული... ფიქრი ჯერ მცირე დროსა და დიდ პაუზას ითხოვდა, თანდათან იმძლავრა... მარტოობაში აღარ მოუნდა და სხვებთან გაზიარება ითხოვა... ფიქრის ავტორს თანამოაზრენი გაუჩნდა...

...ფიქრი იგი იყო — გაზეთის გამოშვება...

...თავისი მკითხველი უნდა ეპოვნა ახალ ნაფიქრალ გაზეთსაც... ანუ გაზეთზე ფიქრი მკითხველზე ფიქრით დაიწყო... უნდა იცოდე, ვისთვის წერ, ვისთვის გამოსცემ, ვისთან გინდა მიიტანო შენი სათქმელი; უნდა იცოდე, რა უნდა შენს მკითხველს, რომ წაიკითხოს, რას ელის შენგან... ერთი სიტყვით, არჩევანი მკითხველს, არადანი — ჩვენ...

...თქვენთან ერთად ჩაიარა დიდმა დრომ, დიდმა ერთგულებამ და საქმის სიყვარულმა...

განვლილმა წლებმა ჩვენ ერთმანეთი შეგვაყვარა...

სიყვარულით გვევლოს!..

*„რედაქტორის სვეტი" (2000 წელი)*

მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ქალბატონ ლალის გარდაცვალების გამო. იგი იყო უფლის სიყვარულით სავსე ადამიანი, რომელიც თავისი საქმიანობით ამტკიცებდა ამას. აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის და შევთხოვთ ღმერთს, აცხოვნოს იგი და დააწესოს სავანესა მართალთასა.

ღრმა პატივისცემით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

გვ.4,5,12,28

...გამოსათხოვარი გვინდა ქალბატონი ლალის სიტყვებითვე დავამთავროთ: „ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი უნდა გავუძლოთ..."

...წავიდა ქალბატონი ლალი... სიცოცხლე გრძელდება. გაგრძელდება მისი დაწყებული საქმეც, სწორედ ისე, როგორც მას სურდა, როგორც ოცნებობდა. „კვირის პალიტრა" ქართველი მკითხველისთვის კვლავ ერთ-ერთ საყვარელ და საინტერესო გაზეთად დარჩება... გვჯერა, ის დროც მოვა, როცა ქართველები აწმყოთიც ვიამაყებთ...

*„კვირის პალიტრა"*

## „ვიცი, ამ სიტყვებისთვის დამსჯიან..."

„ჩამოდით, მოგვხედეთ! – ჩვენს სისხლსა და ხორცს რომ გულში ჩავიკრავთ, ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს" გვ.11

ვის რად უნდოდა შარბათი? რომ ვნახე, გამგებელმა სპექტაკლი მოაწყო, ველარ მოვითმინე. ამათ კი ნუ უსმენთ, იმათ ჰკითხეთ, როგორ არიან, განზე რომ დგანან-მეთქი. ჩვენს დელეგაციას რომ არ მივკედლებოდი, პროკურატურაში წამიყვანდნენ. გავიქეცი და ტყეს შევაფარე თავი. მერე სოფელ ითითალაში ერთმა ქართულმა ოჯახმა შემიფარა და დიდი წვალებით გადმოვედი საქართველოში. აქ კი ქართველმა მესაზღვრეებმა დამაკავეს, უკან მაბრუნებდნენ...

## ორი ბერი და რუსთაველის ქუჩა — დაზიანებული ფრესკის სანაცვლოდ

გვ.3



## „საქართველოსთვის ვაჭრობა გაცილებით მაღალ დონეზე მიმდინარეობს"

თეთრ სახლში ჩათვალეს, რომ საქართველო დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ რუსეთთან გარკვეულ ეკონომიკურ გარიგებებზე შეიძლებოდა წასულიყო... გვ.3

## აფხაზეთში „მონათა აჯანყება" დაიწყება?!

გვ.6

გაგრას და გულრიფშის სომხები ეპატრონებიან

## დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში კატასტროფულ ნიშნულს უახლოვდება

გვ.10,13



„საქართველოდან უცხოეთში ყოველწლიურად 400-500 ბავშვი იყიდება(?!)"

### სამხედრო თემაზე:

## ბატონებო, თქვენ ქვეყნის მტრები ხართ?!



ვისაც ჯარისკაცი ღორი ჰგონია... გვ.8

## არაფერი შეგეშალოთ!

რაც უფრო ლანძღავ შენს კულტურას, მით უფრო „პროგრესული" ხარ?!

**ინტერვიუ გუგა ხოტივარითან** გვ.17



# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## სააკაშვილმა შუამთობა იზეიმა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ისრაელში წარმატებული ვიზიტით კმაყოფილი აჭარას ეწვია, სადაც იგი რეგიონის მაღალმთიან ბეშუმში ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს, შუამთობას დაესწრო. დღესასწაული საზაფხულო იალაღებზე იმართება, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობს. ბეშუმში პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ დოღში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. აჭარელთა ტრადიციულ დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ხულოს რაიონის 11 საკრებულოს მეწარმეთა ნამუშევრები. სანამ პრეზიდენტი შუამთობას ზეიმობდა, შს მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა სვანეთი მოინახულა. ამგვარი გადაწყვეტილება მინისტრმა ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო. ოქრუაშვილის აზრით, ზაფხულში, როდესაც საზღვართან, გზის რთულ მონაკვეთებზე გადაადგილების პრობლემა აღარ არის, რეგიონი მეტ ყურადღებას მოითხოვს. შესაძლოა, სვანეთში მინისტრის ვიზიტი რუსეთის ოფიციალური წრეების მუდმივმა პრეტენზიებმაც განაპირობა და ოქრუაშვილმა გადაწყვიტა, თავისი თვალით ენახა, თუ როგორ არ არსებობს ჩეჩენი ტერორისტების სვანეთის მხრიდან საზღვარზე შემოსვლის შესაძლებლობა.

## მგლის თავზე სახარების კითხვა

31 ივლისს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ოთხმხრივი ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ თამარაშენის ცხინვალთან დამაკავშირებელ უბანში დამატებითი ბლოკპოსტი გაიხსნება. ამავე დღეს სახელმწიფო მინისტრის, გოგა ხაინდრავასა და შს მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ შემოვლითი გზის გამოყენებაში მხარეები ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ქართული მხარე მზად არის ნებისმიერ პროვოკაციას საკადრისი პასუხი გასცეს: „შევთანხმდით იმაზე, რომ ცხინვალის შესასვლელში, ბლოკპოსტზე, სადაც ახლა მხოლოდ ოსები დგანან, დადგებიან ქართველებიც და რუსებიც. ბლოკპოსტი იქნება მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით იმაში, რომ ოსები აღარ ისვრიან. იმედია, ოსები შეიგნებენ, რომ პროვოკაციას აზრი არა აქვს და საკუთარ შეიარაღებულ ძალებს გააკონტროლებენ“. ზოგიერთ საკითხზე შეთანხმების მიუხედავად, ოსური მხარის საქციელი მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა. ოთხმხრივი შეხვედრის დროს ცხინვალის გარეუბანში სროლის ხმა ისმოდა. ოსები ქართველების მიმართულებით ისროდნენ 1-ელი აგვისტოს ღამითაც, რის შედეგადაც მსუბუქად დაიჭრა ორი ქართველი. სეპარატისტები სროლის დაწყებას ქართულ მხარეს აბრალებენ. მომხდარზე პასუხისმგებლობას არც რუსი სამშვიდობოები იღებენ.

„არსებობს მესამე ძალა, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მხარეთა შორის კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს“, — განაცხადა 1-ელ აგვისტოს რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალმა ნაბზდოროვმა (ალბათ თავის თავს და რუსეთს გულისხმობდა). მისი თქმით, 1-ელი აგვისტოს ღამის ინციდენტი სწორედ მესამე მხარის პროვოცირებულია.

## პრეზიდენტი სროლას კრძალავს

საქართველოს ხელისუფლებამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების სპეციალური გეგმა შეიმუშავა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გივი იუკურიძე.

იუკურიძის თქმით, საქართველოს ძალოვანი უწყებების მინისტრებს ქართულ სოფლებში განლაგებული ქვედანაყოფებისთვის ბრძანება აქვთ გაცემული ცეცხლის გაუხსნელობის შესახებ. მისივე განმარტებით, ოსური მხარის მიერ ცეცხლის გახსნის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებს დაეკისრება.

იუკურიძის განცხადებით, ქართველ ძალოვნებს ძალის გამოუყენებლობის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა. სწორედ მან შეასრულა გადამწყვეტი როლი იმ სპეციალური გეგმის შემუშავებაში, რომელიც კონფლიქტის ზონაში ვითარების განმუხტვას შეუწყობს ხელს.

## დავუჯეროთ ივანოვს?!

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი თბილისისა და ცხინვალის ხელმძღვანელობას შეხვედრის გამართვისა და მხარეთა შორის არსებულ პრობლემებზე მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს.

ივანოვის განცხადებით, რუსეთი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების განმუხტვითაა დაინტერესებული, რის გამოც მხარეებს მოუწოდებს „არ გადადონ მოლაპარაკებები და დროულად მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებანი“.

ივანოვის მტკიცებით, რუსეთის ფედერაციას კონფლიქტის მოსაგვარებლად დიდი პოლიტიკური არსენალი აქვს და იგი ყველა ღონეს მიმართავს საიმისოდ, რომ ვითარება უარესი სცენარით არ განვითარდეს.

კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანება, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ივანოვი პასუხობს, რომ „თეორიულად არაფერია გამორიცხული“(?!), მაგრამ მას ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება ძნელად წარმოუდგენია.

ივანოვი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. მისი თქმით, „რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს“. მისივე თქმით, ამჟამად მოსკოვი და თბილისი აქტიურად მუშაობენ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოსაწერ ხელშეკრულებაზე, რომელშიც დაფიქსირდება რუსეთის პოზიცია.

## სასუქის ნაცვლად კომბაინებს ითხოვენ?!

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის წარმომადგენლის, ვაჟა ხაჭაპურიძის განცხადებით, ხორბლის მოსავლის აღებაში კომბაინებით დახმარების თხოვნით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობას ოფიციალურად მიმართა.

მისივე თქმით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, დავით შერვაშიძის ხელშეწყობით, ქართული მხარის მიერ ხორბლის მოსავლის ასაღებად გამოყოფილ 3 კომბაინს ცხინვალში ჩაიყვანენ.

ხაჭაპურიძის განმარტებით, ოსურ მხარეს საქართველოს მთავრობისთვის კომბაინებით დახმარების მეგობრული თხოვნით სურდა დაემტკიცებინა, რომ „ქართველებთან ომი არ უნდა და საქართველოს ხელისუფლებასთან საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების მომხრეა“. ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო — ყოველღამე ტყვიებს გვიშენენ და თან გაიძახიან, მეგობრობა გვინდაო...

## აჭარის მთავრობა შედგა

აჭარის უმაღლესმა საბჭომ სახელობითი კენჭისყრით, ოცდასამი ხმით ორის წინააღმდეგ, აჭარის მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა. ყველასთვის მოულოდნელად, ჯანდაცვის მინისტრი კობა ხაბაზი გახდა, სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი ედვარდ ფუტკარაძეს ერგო, განათლების მინისტრად ალექსანდრე გეგენავა დაამტკიცეს, ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი კი ლევან ვარშალომიძის მეგობარი ალექსანდრე ბეჟანიძე გახდა.

მინისტრობის კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე უყარეს, რის გამოც ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ოპოზიციისთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა მრავალი პოსტისთვის დაწუნებული კობა ხაბაზისა და აჭარის კულტურული წრეებისთვის უკვე სკანდალურად ცნობილი ალექსანდრე გეგენავას კანდიდატურები.

აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომის დღის წესრიგში კიდევ ორი საკითხია — აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ანზორ ზოიძის დამტკიცება და დადგენილების განხილვა, რომელიც აჭარაში მოქმედი შვიდი კულტურული ცენტრის გაუქმებას ისახავს მიზნად. მათი გაუქმების შემთხვევაში კი ალბათ ბათუმში მორიგი საპროტესტო აქციები დაიწყება.

## მოსკოვი აფხაზებს რკინიგზას უკეთებს

რუსეთის რკინიგზელები დროს არ კარგავენ — სოხუმი-ფსოუს სარკინიგზო გზის ფსოუს მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მათ 20 ვაგონით განძელები ჩაიტანეს. აღნიშნულ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოებს რუსეთის მხარე აფხაზეთის ე.წ. მთავრობასა და ჩრდილო კავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განახორციელებს.

2003 წელს სოჭში პრეზიდენტ პუტინსა და შევარდნაძეს შორის აფხაზეთთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთისა და საქართველოს მთავრობების დონეზე სოჭი-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით სამთავრობო კომისია შეიქმნა, თუმცა ამ კომისიის ფარგლებში მოსკოვსა და თბილისში გამართული სამუშაო სხდომები უშედეგოდ დასრულდა.

ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში ქართველების მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მოსკოვი და სოხუმი კი სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების აღდგენის საქმეში თბილისის გარეშე უკვე მეორე წელია თანამშრომლობენ.

## სამშვიდობოები თუ აგრესორები

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში რუსეთის სამშვიდობო ძალების მე-9 საგუშაგოს ჯარისკაცებმა სრულიად უმიზეზოდ ცეცხლი გაუხსნეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მცხოვრებ მამა-შვილს, ნოდარ და ბეჟან ეხვაიებს, როდესაც ისინი საკუთარი ნაკვეთიდან შინ ბრუნდებოდნენ. ეხვაიები რუსებს ნაბაკეველი მოსახლეობის დახმარებით გადაურჩნენ. ნაბაკეველთა თქმით, რუსი სამშვიდობოები ქართველების მიმართ ყოველთვის აგრესიულობით გამოირჩევიან. როგორც ეხვაიები ამბობენ, რუსი ჯარისკაცები მთვრალები იყვნენ.

## ნათელაშვილი აქტიურობს

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი მოსკოვში სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა ცხინვალის რეგიონში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება გახდა.

შალვა ნათელაშვილი შეეხო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ „ეს არის არაობიექტური ხედვა, რაც არ ასახავს ისტორიულ რეალობას და ასეთი ქმედებები ხელს უშლის არა მარტო კონფლიქტის მოგვარებას, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობას“. ნათელაშვილმა დააფიქსირა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. მხარეებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ კონფლიქტის დარეგულირება აუცილებელია ორმხრივი დიალოგის ფარგლებში და მისი მოგვარების მშვიდობიან გზას ალტერნატივა არ გააჩნია. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, შეიქმნას მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთისა და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები. ამ ფორმატის პირველი შეხვედრა, სავარაუდოდ, სექტემბერში, თბილისში ჩატარდება.

## ნავთობსადენი მნიშვნელოვანია, მაგრამ...

საქართველო ამერიკის სერიოზული პარტნიორია ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში და ამისათვის აშშ საქართველოს უდიდეს მადლობას უხდის, — განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ, ელიზაბეტ ჯოუნსმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ.

ჯოუნსის თქმით, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული შიდაკონფლიქტები პოლიტიკური დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს. ამასთან, მისი თქმით, აშშ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეუთოს როლს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში.

სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარების განხილვის გარდა, ელიზაბეტ ჯოუნსის საქართველოში ვიზიტის მიზანს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხების განხილვა წარმოადგენს და მისი განმარტებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობის დასრულება საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძემ საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა ელიზაბეტ ჯოუნსს „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა უმნიშვნელოვანესი პროექტია, თუმცა საქართველოში ვერანაირი პროექტი ვერ განხორციელდება ქვეყნის რომელიმე რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების ხარჯზე. ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ნავთობსადენის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელდება.

## აჭარის ტელევიზია არ დაიხურება

აჭარის ტელევიზიის შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით ატეხილი მითქმა-მოთქმის გამო კომენტარი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ გააკეთა. მისი თქმით, ტელეკომპანიას ჯერჯერობით, დახურვის საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ფრანგულ კომპანია „გლობ კასტთან“ დადებული ხელშეკრულების შესწავლა მიმდინარეობს, რომელიც აჭარის მთავრობას დაუყოვნებლივ სთხოვს აჭარის ტელევიზიის მაუწყებლობის კოსმოსური თანამგზავრით გავრცელების საფასურის გადახდას. ლევან ვარშალომიძის განცხადებით, „გლობ კასტს“ აჭარის მთავრობამ ყოველთვიურად 200 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს, მაშინ როცა სხვა ტელეკომპანიები, რომლებიც თანამგზავრით მაუწყებლობენ, ყოველთვიურად მხოლოდ 27 ათას დოლარს იხდიან. ვარშალომიძის განმარტებით, აჭარის მთავრობას ხელშეკრულება „გლობ კასტთან“ 2006 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. თუ აჭარის მთავრობა დაარღვევს ხელშეკრულებას, მან 11 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს, ხოლო 4 მილიონი ევრო ჯარიმის სახით დაფაროს. ცხადია, 11 ან 4 მილიონის გადახდას ისევ 200 ათასი ევროს გადახდას ამჯობინებენ.

## „კავკასიას“ „შავი ღრუბელი“ გადაეფარა

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, „ხელისუფლებას განსხვავებული აზრის ატანა აღარ შეუძლია. ტელეკომპანია „კავკასია“ განსხვავებული, გამოკვეთილი პოზიციის ტელევიზიაა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გუნდრუკს არ უკმევს, ხელისუფლება კი მას ფინანსური ხერხებით ებრძვის“. მისი აზრით, დამოუკიდებელ მედიაზე მიზანმიმართული ზეწოლა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. „ხელისუფლება სასამართლო გადაწყვეტილებებს უგულებელყოფს და ტელეკომპანიას გაწერილი სქემის მიხედვით თანხის გადახდის შესაძლებლობას არ აძლევს“.

ტელეკომპანია „კავკასიას“ ქონების დაყადაღება ემუქრება. 28 ივლისს ამ გაფრთხილებით ტელეკომპანიის ოფისში სააღმსრულებლო დეპარტამენტის წარმომადგენლები გამოცხადდნენ. საქმე ეხება იმ 12 ათას ლარს, რომელიც „კავკასიას“ ტელე-რადიოცენტრისა მართებს. როგორც „კავკასიის“ ხელმძღვანელობა განმარტავს, კომპანია ტელე-რადიოცენტრს გადასახადს სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, ყოველთვიურად უხდიდა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც აქვთ. თუმცა აღმსრულებლები ტელეცენტრის წერილის საფუძველზე კომპანიას აპრილის თვის დავალიანების გადაუხდელობას ედავებიან და მის დასაფარად 2 აგვისტომდე აძლევენ ვადას. კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველივეს „ხელისუფლების შეკვეთად“ აფასებს.

## სანაიას საქმე გრძელდება

საქართველოს გენერალური პროკურატურა ჟურნალისტ გიორგი სანაიას ოჯახის მოთხოვნას, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, მხარდაჭერას უცხადებს.

გენერალური პროკურორის მოადგილის, კახა კობერიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა დააკმაყოფილებს დაზარალებული მხარის მოთხოვნას მკვლელობის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების შესახებ, გენერალური პროკურორი მზად არის პირადი კონტროლი დააწესოს ამ საქმეზე. 30 ივლისს საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჟურნალისტ გიორგი სანაიას აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობისა და ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავასთვის 13-წლიანი ვადით თავისუფლების აღკვეთის შესახებ. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე აპროტესტებს და საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით. მის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

## ქართველებმა „ლენინის პიკი“ დაიპყრეს

ქართველმა ალპინისტებმა „ლენინის პიკი“ დაიპყრეს. 25-მა მთამსვლელმა წარმატებით დაასრულა ოპერაცია პამირზე. მწვერვალზე ასვლა ცამეტმა ალპინისტმა შეძლო, მათ შორის არის ლიკა ნოზაძეც. ლიკა ქართველ მთამსვლელ ქალთაგან პირველია, ვინც ზღვის დონიდან 7000 მეტრზე ავიდა. ჯგუფში ლიკა ერთადერთი ქალი იყო. ქართველი მთამსვლელები თბილისში ამ დღეებში დაბრუნდებიან.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი**, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ამ დღეს პირველად დაიძრა საქართველო!“ — 82 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „კატასტროფის პირას მისული ქართული ფრესკები სასწრაფოდ შველას ითხოვენ“ — 62
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 37

პირველი პრემია — 25 ლარი კვლავ გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე — 20 ლარი — **ზვიად ჩაკვეტაძეს,** მესამე — 15 ლარი — **ირაკლი ალადაშვილს.**

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 352-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

CMYK

# „საქართველოსთვის ვაჭრობა გაცილებით მაღალ დონეზე მიმდინარეობს“



თეთრ სახლში ჩათვალეს, რომ საქართველო დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ რუსეთთან გარკვეულ ეკონომიკურ გარიგებებზე შეიძლებოდა წასულიყო...

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი ბეჭდვით სიტყვასთან დაკავშირებულ წრეებში „ოჯახურ გამომცემლობადაც“ არის ცნობილი — არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით. იყო რაღაც, რაც წლების მანძილზე გამომცემლობის ყველა თანამშრომელს ოჯახური განწყობით აღავსებდა. ეს „რაღაც“ — ჩემთვის ამოუცნობი მოვლენა და ძალა „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორისგან, ლალი გუნთაიშვილისგან მოდიოდა.

...ახლა რომ ვფიქრობ ამ მოვლენაზე, რაღაცას ვხვდები: უაღრესად განათლებული, ლიტერატორი ქალბატონი უპირველესად, დედა იყო. როგორც ვიცი, პარტოკრატიული, ან რომელიმე დიდი ორგანიზაციის მართვის გამოცდილება მას აქამდე არ ჰქონია. ვფიქრობ, სწორედ აქედან მოდიოდა უჩვეულო, მაგრამ ბავშვობიდან ყველასთვის ნაცნობი გრძნობა მასთან მოსაუბრე თანამშრომლებში — ადამიანური სითბო და მასთან გაჯერებული უზარმაზარი პასუხისმგებლობა.

უბედურება მარტო არ მოდისო და გასულ კვირაში ბიძა დავკარგე. მიზეზთა გამო „პალიტრის“ სხვა გვერდები ჯერ არ მინახავს — თუმცა, დარწმუნებული ვარ, ასეთი სევდიანი და ტკივილიანი ნომერი მკითხველს არ ეხსომება. ჩემი გრძნობების სტრიქონებად გადმოლაგებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა ის, რაც ლალი გუნთაიშვილის სიცოცხლეში, მისი ბუნებიდან გამომდინარე, „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე ვერასოდეს მოხვდებოდა: დღეს რომ საქართველოში ვცხოვრობ და ქართულ ჟურნალისტიკაში, როგორც ჟურნალისტი, ვარ, ქალბატონი ლალის დამსახურებაა. რამდენიმე წლის წინ, უცხოეთიდან მცირე ხნით ჩამოსულს, რედაქციაში სრულიად „არაშემოქმედებით“ საქმეზე მომიხდა მისვლა. ჩემი პატარა მოთხრობა წაიკითხა და მისთვის ჩვეული, ხუმრობანარევი სითბოთი და სიმკაცრით „მაიძულა“, გაზეთისთვის წერა დამეწყო. თუმცა „ევროპულ ცხოვრებაზე“ უარი მაინც არ მითქვამს და მოგვიანებით, საბერძნეთში გამგზავრებამდე, მასთან შევედი — რა ვქნა, იქ ყველაფერი აწყობილი მაქვს-მეთქი. მცირე ხანს ჩუმად იყო, მერე კი თავისებურად მითხრა: — სულელო ბავშვო, არ იცი, რომ სიკვდილამდე მაგ აწყობილის დაშლასა და საქართველოში ცხოვრების თავიდან დაწყებაზე უნდა იოცნებოო? იქ ხომ ცხოვრობდი — ეს ყველაფერი წარმოიდგინე და მრავალი წლის შემდეგ ასასრულებელი ოცნება ახლავე აისრულეო...

...თუმცა ვაი-ვიში და საქმის მოცდენა მისთვის უცხო იყო. წარმომიდგენია მისი სიხარული, როდესაც ჯვრის მონასტრის წინამდებარე ქუჩისთვის რუსთაველის სახელის მინიჭებას შეიტყობდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ისტორიულია გადაწყვეტილება, რომელიც იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ, როგორც ჩანს, ისრაელის ხელისუფლების ზეწოლით მიიღო — ამიერიდან ჯვრის მონასტერში ორი ქართველი ბერი იმოღვაწებს, საუკუნეების მანძილზე ქართველთა ბრძოლითა და გარჯით გაშენებულ სავანეში საქართველოსთვის აღავლენს ლოცვას. თუმცა დახმარებასთან და კეთილ სურვილებთან ერთად, პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის დროს ისრაელის ხელისუფლების მხრიდან საყვედურიც გაისმა — როგორც ჩანს, ტელ-ავივი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველო-ირანის ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივებს. ალბათ აქედან გამომდინარე თუ ჩათვალა საჭიროდ ისრაელის პრემიერმა ქართული ტელეკამერების წინაშე საკმაოდ ხანგრძლივად ესაუბრა ირანის მხრიდან მოსალოდნელ ბირთვულ საშიშროებაზე, რომელიც არა მხოლოდ ისრაელს, არამედ საქართველოსაც ემუქრება. მოკლედ, თითქოს რუსეთი და ამერიკა არ გვეყოფოდა — ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებას კიდევ „ცხრა დაფაზე“ მოუწევს თამაში: ირანი და ისრაელი, საბერძნეთი და თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი — ყველა მათგანი ძმობას გვეფიცება და ყველას განსაკუთრებული ურთიერთობა სურს... შეერთებულ შტატებში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე, თბილისში ამერიკელი დიდმოხელის სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ვაშინგტონის აქტიურ ინტერესებში დარჩება იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დაიკავებს თეთრ სახლს — დემოკრატები თუ რესპუბლიკელები.

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პრობლემებზე უფრო დეტალურად ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს**:

— საერთაშორისო პოლიტიკაში ინტერესთა მრავალმხრივობა საქართველოს ხელისუფლებას საფიქრალს მართლაც მატებს. მით უმეტეს, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ვიზიტი კონკრეტულ მიზანსა და მოტივს უნდა ისახავდეს. ეს მოტივი კი არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან უშუალო კონტაქტი და მათი მხრიდან თანამშრომლობასა და კეთილგანწყობაზე ოფიციალური განცხადებების მოსმენა. ასე რომ იყოს, პრეზიდენტის ვიზიტები პოლიტიკურ ტურიზმს არ გასცდებოდა. მაგრამ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ამგვარი განცხადება თუ ბრალდება სიმართლესთან არცთუ ახლოს დგას. არა მხოლოდ ისრაელში სტუმრობა — გადავხედოთ პრეზიდენტის ყველა ბოლოდროინდელ ვიზიტს. საფრანგეთშიც, თურქეთშიც, ირანშიც და გასულ კვირაში უკვე ისრაელშიც, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა. პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორა საქართველოს სამსახურში ჩააყენოს, ემოციური გამოსვლებით ამ ხალხს შეახსენოს, რომ ისინი საქართველოსთან და მით უმეტეს, ქართველ კაცთან ყველაზე ძლიერი მუხტით — ეროვნული მუხტით არიან დაკავშირებულნი. მრავალი წლის მანძილზე საქართველოს წინა ხელისუფლებას ეს საკითხი სრულიად უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული და ესოდენ მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენებაზე არ ფიქრობდა.

სხვათა შორის, ევროპელი და რუსი მიმომხილველები, პოლიტიკური ექსპერტები სააკაშვილის ისრაელში ვიზიტისას ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებითაც კი აცხადებდნენ — პალესტინასთან ესოდენი დაძაბულობის დროს საქართველოსთვის ვის ეცლება, სააკაშვილის სტუმრობა ტელ-ავივში ინტერესს არ გამოიწვევსო. მაგრამ ისრაელში იყო საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც სწორედ საქართველოზე მოგონებებით სულდგმულობს და რომელსაც „ყველაზე ძალიან“ თუ არა, უბრალოდ, „ძალიან“ აინტერესებს საქართველო და მასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს საქართველოდან ისრაელში გადასახლებული ქართველი ებრაელობა გახლავთ. ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, სხვა რომ არაფერი გაკეთებულიყო, ისრაელის ვიზიტი მხოლოდ ამით იქნებოდა უაღრესად შედეგიანი: ქართველმა ებრაელობამ ისრაელში ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალური განაცხადი მოისმინა — საქართველოს ყოველთვის ახსოვს თავისი შვილები და მათი ზრუნვა ყველგან სჭირდება. ამ ფაქტორს სააკაშვილი სხვა მხრივაც წარმატებით იყენებს: ისრაელის ხელისუფლება მართალია გააღიზიანა სააკაშვილის ირანში ვიზიტმა, მაგრამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების მიღმა საქართველოს პრეზიდენტს აქვს არგუმენტი ირანთან მჭიდრო ურთიერთობისა — ეს არგუმენტი ფერეიდანში მცხოვრები ასობით ათასი ქართველი გახლავთ. მსგავსი არგუმენტაცია იქნება თურქეთსა და საბერძნეთთან მიმართებაშიც.

**ასეთი მოვლენები პოლიტიკისთვის უცხო არ არის — თავის დროზე, ლენინის მიერ რევოლუციის მოხდენა და საბჭოთა კავშირის შექმნა, გერმანელებისგან ქრთამად აღებულ დიდ ფულს უკავშირდება. დღეს, დიდ ფულს უკავშირებს ზოგიერთი ისტორიკოსი ბერლინის კედლისა და მასთან ერთად, საბჭოთა კავშირის დანგრევასაც. რაც შეეხება ცხინვალთან და აფხაზეთთან ურთიერთობის პერსპექტივებს — აქ რუსი პოლიტოლოგების ფრაზას მოვიყვან: — ეს საკითხები გადაწყდება მოსკოვისა და ვაშინგტონის „მოლაპარაკებით“.**

სამწუხაროდ, საქართველოს დიასპორა სხვა ქვეყნებში მაინცდამაინც დიდი გავლენით არ სარგებლობს — თუ არ ჩავთვლით თურქეთს, თუმცა ამ ქვეყანასაც, პრაქტიკულად, სამხედროები განაგებენ და იქაური ქართველები კი მხოლოდ პოლიტიკურ თანამდებობებზე არიან დაწინაურებულნი. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ეს მოტივიც — ქართველების საქართველოს გარშემო გაერთიანებისა, იმსახურებს იმას, უცხოეთის ვიზიტებზე დრო და ენერგია დაიხარჯოს..

**— შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე მძაფრ პერიოდში ამერიკელი დიდმოხელის ვიზიტი ბევრ კითხვას ბადებს. ქალბატონი ჯოუნსი თეთრ სახლში ენერგომატარებლების მიმართულებას კურირებდა, დღეს პაუელის თანაშემწეა. იქნებ ეს ვიზიტი საქართველოში და ე.ი. ზოგადად, კავკასიაში, ამერიკული პოლიტიკის წარმატებლობის, თუნდაც ნავთობსადენის მშენებლობის ერთგვარი ინსპექტირება იყო — წარუმატებლობა შესაძლოა დემოკრატებმა ბუშის საწინააღმდეგო მორიგ არგუმენტად გამოიყენონ... ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უნდა ადასტურებდეს საქართველოს მნიშვნელობას ამერიკის სახელმწიფო ინტერესებს შორის...**

— მთელი პრობლემა ის არის, რომ როგორც ჩანს, ამერიკა დაეჭვდა — ხომ არ ფერხდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სხვა ენერგომატარებლების მშენებლობა — სხვათა შორის, ქალბატონმა ჯოუნსმა თბილისში შაჰ-დენიზის გაზსადენიც ახსენა. რასაკვირველია, ტექნიკური ხასიათის შეფერხებას ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწის ვიზიტი არ მოჰყვებოდა. ასეთი ეჭვის საფუძველი თეთრ სახლს ალბათ ბოლო ხანს რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებმა გაუჩინა (თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მოსკოვთან ურთიერთობის გარკვევა, თუ გარკვევის მცდელობა სწორედ ვაშინგტონის რჩევითა და სურვილით მოხდა) როგორც ჩანს, ცხინვალში ვითარების უკიდურესი გამწვავების ფონზე თეთრ სახლში ჩათვალეს, რომ საქართველო დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ რუსეთთან გარკვეულ ეკონომიკურ გარიგებებზე შეიძლებოდა წასულიყო, რადგან ამ პერიოდს ნავთობსადენის მშენებლობის შეჩერებაც დაემთხვა — ეკოლოგია კი, რაზეც, ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლებაც ალაპარაკდა, ასეთი დონის საკითხებთან მიმართებაში მხოლოდ საბაბად თუ გამოდგება. რამდენად რეალური, ან რამდენად ხანგრძლივი აღმოჩნდება რუსეთთან გარიგება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ასეთი შემთხვევა ამერიკის პოლიტიკისთვის საქართველოსა და ესე იგი, კავკასიაში მარცხის ტოლფასი იქნება. ვაშინგტონს სხვა გეგმები აქვს და მათი საფრთხის ქვეშ დაყენება ამერიკაში არავის აძლევს ხელს, რადგან თუ საქართველო და კავკასია დაიკარგა, ის რესპუბლიკელებისთვისაც და დემოკრატებისთვისაც ერთნაირად დაიკარგება. სწორედ ამიტომ განაცხადა ქალბატონმა ჯოუნსმა ხაზგასმით, რომ საქართველოს ეკოლოგიაზე დარდი არ უნდა ჰქონდეს და რომ ეკოლოგიაზეც და ტერიტორიულ მთლიანობაზეც შეერთებული შტატები ნებისმიერ სიტუაციაში ძველებურად იზრუნებს. სხვათა შორის, ბუშის კონკურენტს, კერის, არ უთქვამს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ტერორიზმთან ბრძოლას შეწყვეტს, ან ძირეულად შეცვლის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს. რუსეთთან მშვიდობიან ურთიერთობას დემოკრატები ამჯერად აღარ ანაცვალებენ საქართველოს ინტერესებს — ამაზე თავად რუსი პოლიტიკოსებისა და მიმომხილველების განწყობაც მეტყველებს. ისინი ამბობენ, რომ ისევ ბუშთან ურთიერთობა ურჩევნიათ, რადგან რესპუბლიკელებისთვის ამოსავალი წერტილი ამერიკის სტრატეგიული ინტერესებია, დემოკრატების კანდიდატის, კერის პრეზიდენტობის შემთხვევაში კი ვაშინგტონი სტრატეგიული ინტერესების გვერდით ადამიანის უფლებებსაც დააყენებს და მოსკოვს მათ დაცვას ჩეჩნეთსა თუ სხვა რეგიონებში მთელი კატეგორიულობით მოსთხოვს — მათი პოლიტიკის მთავარი ბერკეტიც, შესაბამისად, ადამიანის უფლებები იქნება, რაშიც რუსეთს დღეს ძალიან უჭირს... რაც შეეხება თავად შტატებში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიას — ნიშანდობლივია, რომ კერიმ ბუშს ბევრი რამ წამოაძახა და უსაყვედურა — ერაყში ომის გართულებით დაწყებული და ევროპასთან ურთიერთობის გამწვავებით დამთავრებული. მაგრამ მის კრიტიკაში საქართველო და, ამასთან დაკავშირებით, რუსეთი არ მოხვედრილა. ამჟამად კანდიდატების შერკინების მეორე ეტაპი დგება — როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთის „ლანძღვას“ შეწყვეტენ და უკვე პოზიტივებით — ჩადენილი კეთილი საქმეებით — შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ისიც ფაქტია, რომ ბუში ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს და როგორც ჩანს, კოზირებს ბოლოსთვის შემოინახავს — რამდენად მოხვდება კავკასია და, უწინარესად, საქართველო ამ პოზიტივებსა და კოზირებში, მეორე საკითხია — გამორიცხული არაფერია...

**— ამ თვალსაზრისით, საინტერესო უნდა იყოს კოკოითის განცხადება იმის თაობაზე, რომ მას თბილისთან შერიგების სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს და მაღალ თანამდებობას სთავაზობდნენ. ამავე დროს, ნიშანდობლივი და საგულისხმოა გასული კვირის მიწურულს რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ივანოვის მოსაზრებაც — არ გამოირიცხება სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების თეორიული შესაძლებლობაო. თუმცა ივანოვი იქვე დასძენს, — ეს მხოლოდ თეორიაა, რუსეთი არასოდეს დაარღვევს საქართველოს სუვერენიტეტსო...**

— მსგავსი განცხადებები რუსეთში ადრეც გაკეთებულა — ტერიტორიებზე არა, მაგრამ ტერიტორიების დაბომბვებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ერთი რამის თქმა შეიძლება — ივანოვი უფრო რუსული ავადმყოფობის მორიგი სიმპტომი და გამოვლინებაა, ვიდრე თავად რუსული ავადმყოფობა — ეს მისთვის მეტისმეტი პატივი იქნებოდა. რაც შეეხება კოკოითს — მისი განცხადება არანაირად არ აკნინებს ქართულ მხარეს. პირიქით — თუ ეს მართალია, რა თქმა უნდა, სჯობს, ხელისუფლებამ ამგვარ მცდელობებს მიმართოს, ვიდრე რაკეტებისა და ავტომატების მეშვეობით აწარმოოს „მოლაპარაკება“. სხვათა შორის, ასეთი მოვლენები პოლიტიკისთვის უცხო არ არის — თავის დროზე, ლენინის მიერ რევოლუციის მოხდენა და საბჭოთა კავშირის შექმნა, გერმანელებისგან ქრთამად აღებულ დიდ ფულს უკავშირდება. დღეს, დიდ ფულს უკავშირებს ზოგიერთი ისტორიკოსი ბერლინის კედლისა და მასთან ერთად, საბჭოთა კავშირის დანგრევასაც. რაც შეეხება ცხინვალთან და აფხაზეთთან ურთიერთობის პერსპექტივებს — აქ რუსი პოლიტოლოგების ფრაზას მოვიყვან: — ცხინვალისა და სოხუმის პრობლემა არ გადაიჭრება მოსკოვისა და თბილისის მოლაპარაკებით, მაგრამ არ გადაიჭრება არც თბილისის, ცხინვალისა და სოხუმის მოლაპარაკებით. ეს საკითხები გადაწყდება მოსკოვისა და ვაშინგტონის „მოლაპარაკებით“.

სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთისთვის არაფერს წარმოადგენს. ეს მხოლოდ ბერკეტები გახლავთ კრემლის პოლიტიკაში. მაგრამ სიმართლეს შევხედოთ თვალებში და ვთქვათ, სწორედ ამგვარი ბერკეტია რუსეთის მიმართ საქართველო ამერიკის ხელში — ამ შემთხვევაში კი ვაჭრობა გაცილებით მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ჯერჯერობით, ფსონები იმდენად მაღალია, რომ რაიმე ძირეული ცვლილება „ქვედა დონეებს“ არ ემჩნევათ. ის კი ფაქტია, რომ შეერთებული შტატები რუსეთისგან აუცილებლად მოითხოვს კავკასიის სამივე ეთნოკონფლიქტური კერის დარეგულირებას და ამასთან, არც ნავთობსადენის დაკარგვას შეეგუება. რას ითხოვს ამ დათმობების სანაცვლოდ რუსეთი, ჯერ კიდევ უცნობი რჩება — ამაზე მხოლოდ ვარაუდი თუ შეიძლება; ერთი მხრივ, გარკვეული ინტერესების დაკმაყოფილება ერაყში, მეორე მხრივ — ეკონომიკური გარანტიები ყაზახეთის ენერგომატარებლებში და ფასების მდგრადობა ნავთობზე, რადგან ბაქო-ჯეიჰანის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ, ფასების კონტროლი მთლიანად ვაშინგტონის ხელში გადავა და მოსკოვი ერთობ მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლს ქართულ ეკონომიკაზეც. აქ ჩადებული ინვესტიციების წარმომავლობა იქნება ერთგვარი „მესიჯიც“ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ.

**— საქართველოს ეკონომიკა კი დღეს არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. ჯერ ვერმიღებული საგადასახადო კოდექსი, მასობრივი შემცირებები და კონტრაბანდის აღკვეთის შედეგად გაძვირებული პროდუქტები საკმაოდ მძიმე ფონს ქმნის — ასეთ ვითარებაში სახელმწიფო წესრიგის შენარჩუნება და რეფორმების წარმატებით დასრულება ძალიან გართულდება, თუ რა თქმა უნდა, საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ არ გარდაიქმნა...**

— უნდა გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარი შემცირებების შემდეგ პოლიციური სახელმწიფოც გამოირიცხა — დიქტატურას ბევრი პოლიციელი სჭირდება. არადა, ბევრ საკითხში ხელისუფლება ძალიან გამოუცდელად იქცევა — ხშირად ურემს ხარებზე წინ ვაყენებთ და ვცდილობთ, ასე დაიძრას. ერგნეთის ბაზრობა ძალიან კარგი ბერკეტი შეიძლებოდა ყოფილიყო თბილისისთვის ადგილობრივი ოსური მოსახლეობის გადმოსაბირებლად, გარკვეული მექანიზმები რომ ამოქმედებულიყო. კონტრაბანდის აღკვეთა ძალიან კარგია, მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა მომხდარიყო გადასახადების ლიბერალიზაცია — მარტოოდენ მსჯელობით ბიზნესი არ იქმნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა კონტრაბანდის აღკვეთა. დღეს ცხოვრება გაძვირდა, ხალხი სამსახურებიდან დაითხოვეს და გადასახადები იგივე რჩება. გამოდის, რომ ისინი ვერც ბიზნესს მოჰკიდებენ ხელს. ინვესტიციები აგვიანებს, რადგან ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ გადაწყვეტილა; მაგრამ ხალხი 5 და 6 წელი კი არა, მშიერი ერთი კვირაც ვერ გაძლებს. ასე რომ, თუ ამ კუთხით რაიმე ქმედითი ღონისძიებები არ გატარდა, ქვეყანაში შესაძლოა კრიმინალური ქაოსი მივიღოთ...

***დაჩი გრძელიშვილი***

**ლელა ჯიყაშვილი, ჟურნალისტი:** — ამბობენ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო. ასე არ არის... წარმოუდგენელია შეეჩვიო „კვირის პალიტრის“ რედაქციას ქალბატონი ლალის გარეშე.

ლალი დეიდა — ასე ვეძახდით სიყვარულით. იმიტომ, რომ მასში ყოველთვის იყო რაღაც ძალიან ახლობელი და დედობრივი.

თქვენი არყოფნის სევდა განუზომელია, ლალი დეიდა. ეს არის სიყვარულით ნასაზრდოები სევდა, რომელსაც დრო ვერასოდეს გააფერმკრთალებს...

**იზო რიკაძე, ჟურნალისტი:** — ქალბატონი ლალისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ ატარებდი „კვირისპალიტრელის“ სახელს. რამდენიმე თვის მისული ვიყავი რედაქციაში, როდესაც კანცელარიაში მიმავლინეს აკრედიტებულ ჟურნალისტად. სანამ მუშაობას შევუდგებოდი, დედაშვილურად დამარიგა — ეს დიდი ნდობა და პასუხისმგებლობაა, აბა, შენ იცი, როგორ წარმოაჩენ ჩვენს ოჯახს. იცოდე, „პალიტრა“ ერთი დიდი ოჯახიაო. მეც მუდამ ვცდილობდი, ეს დარიგება არ დამვიწყებოდა...

**ლია იაკობაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი**: — უბრალოდ ვიგონებ. ვზივარ და ვკაწრავ სტრიქონებს. ფიქრი კი გონებას ღლის... უკანასკნელი დღე მახსენდება, თქვენს საწოლთან რომ ვიყავი ჩამომჯდარი... ეს ერთადერთი დღე იყო, ღიმილი რომ არ შემომაგებეთ, დღე, როდესაც თვალის უპეებზე ცრემლის წვეთები შეგამჩნიეთ და კიდევ... შემკრთალი ხელის მტევანი, სამუშაო გვერდები რომ მოგაწოდეთ. იმ დღეს ფარულად დაგემშვიდობეთ, ვიცოდი, მეტად აღარ მოვბრუნდებოდი.

ორი წელი შესრულდა, რაც „კვირის პალიტრაში“ ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე არ მახსენდება დღე, ჩემი რედაქტორით რომ არ მეამაყოს. ალბათ მე ყველაზე ნაკლებად შემიძლია თქვენ შესახებ ვილაპარაკო, მაგრამ ის დღეები, რაც მახსენდება, კრიალოსანივით ავკინძე სულში. საოცრად ლამაზი ქალი იყავით, საოცარი ხიბლით, თბილი და ლბილი. ერთგულების ფასიც იცოდით და შრომის უსაზღვროდ დაფასებაც შეგეძლოთ. ყველაფერი, რაც თქვენთან იყო დაკავშირებული, სიკეთით იყო დახუნძლული. ეს ორი წელი განსაკუთრებული იყო ჩემთვის — ბევრი ვისწავლე, უპირველესად კი დიდი მოთმინება და მიტევება. ეს კი ძალიან ბევრია.

მომენატრება ის ოთახი (თქვენ რომ ბუდუარს უწოდებდით), სადაც საათობით ვისხედით, ლამაზი, გრძელი თითებით რომ ფურცლავდით გაზეთს და დავალებებს მაძლევდით. მომენატრება თქვენს მაგიდაზე ლარნაკში ჩაწყობილი ულამაზესი ყვავილები — ჟასმინის სურნელი. მომენატრება საუბარი, დარიგება და ახლა, როდესაც რედაქციაში თქვენი სამუშაო ოთახის კართან თქვენს სურათს შევხედავ, ეს მონატრება ამტკივდება უმძაფრესი გულისტკივილით.

**ნოდარ შოშიტაშვილი, „ღია ცის ქვეშ“ მუზეუმის დირექტორი:** — ადამიანებთან ურთიერთობის გასაოცარი უნარი ჰქონდა... როცა საქართველოს მეფეთა „გაცოცხლება“ შემომთავაზა „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე, მივხვდი, არაჩვეულებრივი ჩანაფიქრი ჰქონდა — ქვეყნის წარსულთან მკითხველის მიახლოება ეწადა...

ყოველ მასალას თავად კითხულობდა, მისი შეფასებიდან და შენიშვნებიდან თვალნათლივ ჩანდა, რომ ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია, კულტურა და ხელოვნება.

მისივე სურვილით მოვუმზადეთ მკითხველებს სიურპრიზი — ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულები, რომელსაც ისინი სექტემბერში მიიღებენ და რომელიც ლალი გუნთაიშვილის ნათელ ხსოვნას მიეძღვნება...

**ზვიად სეხნიაშვილი, ჟურნალისტი:** — ვინც უცხოეთში ხანგრძლივი დროით გადახვეწილა, მან კარგად იცის, რას ნიშნავს სამშობლოს მონატრება. გაუსაძლის ნოსტალგიას ჟამიდან ჟამზე გიმსუბუქებს ყოველივე ქართული, რაც კი შენთან შეხებაშია. გულწრფელად ვიტყვი: ჩემთვის უცხოურ „ტყვეობაში“ შვების მალამო „კვირის პალიტრა“ იყო, რომლის თითოეულ ეგზემპლარს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. რამდენჯერ მინატრია, საქართველოში დაბრუნებისას მოკრძალებული მადლობა მომეხსენებინა მისთვის, ვისი პირმშოც იყო ჩემი საყვარელი გაზეთი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, მაგრამ მეამაყება, რომ იმ რედაქციის კედლებში შემოვდგი ფეხი, სადაც ქალბატონი ლალი გუნთაიშვილის სულიერი სითბო ტრიალებს. ისღა დამრჩენია, ქედი მოვუხარო მის ქართველობას, დედობის მადლს, სამართლიანობას და უზომო სიკეთეს. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ის ნუგეში და იმედის სხივი, რაც მისმა გაზეთმა მაჩუქა სამშობლოდან გადახვეწის ჟამს, ჩემთვის დაუვიწყარია.

იქნებ ესეც იყოს ჩემი დაგვიანებული მადლობა: ჩემთვის გაწეული, ქვაზე ალალად დადებული სიკეთე ანთებულ სანთლად გაჰყოლოდეს უფლის სასუფეველში ქალბატონ ლალის...



ხუთშაბათს ქართველმა საზოგადოებრიობამ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან უკანასკნელ გზაზე გააცილა გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი.

ქალბატონი ლალის ფიქრის, განსჯის და ღვაწლის შედეგია „კვირის პალიტრის“ დაბადება და მისი მკითხველის გულამდე მიტანა. „კვირის პალიტრას“ ხომ მკითხველთა დიდი ნაწილი ერთ-ერთ თავის საყვარელ გაზეთად თვლის... უამრავი მკითხველი რეკავს რედაქციაში, უამრავი წერილი მოდის (სამწუხაროდ, ამ წერილების მხოლოდ ნაწილის გამოქვეყნებას ვახერხებთ)... გვისამძიმრებენ, ქალბატონ ლალის ეთხოვებიან...

ლალი გუნთაიშვილი გახლდათ იმის თვალნათელი მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს რედაქტორი – პირდაპირი,პრინციპული,მამულზე შეყვარებული,და, რაღა თქმა უნდა, ნამდვილი პროფესიონალი.

სამი წელი ებრძოდა უკურნებელ სენს. ებრძოდა უჩუმრად, უხმაუროდ, უმძიმეს ტკივილსაც არ ეპუებოდა, თანაც ისე, რომ გარშემო მყოფთ არაფერს აგრძნობინებდა... იყო პერიოდები, როცა რედაქციაში მოსვლა არ შეეძლო... მაინც ყველა მასალას კითხულობდა შინ... შემდეგ, ახალი შემართებით უბრუნდებოდა სამუშაო ადგილს და ისე იხარჯებოდა, როგორც მანამდე, როცა ყველაფერი კარგად იყო...

გაუსაძლისია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენ გვერდით აღარ იქნება ჩვენი ლალი – გულისხმიერი მეგობარი და კოლეგა, დიდი ოჯახის დედა, გაჭირვებულთა შემწე და დამხმარე, ყველაზე მზრუნველი და მოსიყვარულე...

გამოსათხოვარი გვინდა ქალბატონი ლალის სიტყვებითვე დავამთავროთ: „ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი უნდა გავუძლოთ...“

წავიდა ქალბატონი ლალი... სიცოცხლე გრძელდება. გაგრძელდება მისი დაწყებული საქმეც, სწორედ ისე, როგორც მას სურდა, როგორც ოცნებობდა. „კვირის პალიტრა“ ქართველი მკითხველისთვის კვლავ ერთ-ერთ საყვარელ და საინტერესო გაზეთად დარჩება... გვჯერა, ის დროც მოვა, როცა ქართველები აწმყოთიც ვიამაყებთ...

*„კვირის პალიტრა“*

**ზურაბ მჭედლიშვილი, ჟურნალისტი, ნიუ-იორკი:** — ქალბატონო ლალი, წლების მანძილზე რედაქციაში მოტანილ-გამოგზავნილი ჩემი მრავალრიცხოვანი მასალებიდან, ეს ერთადერთია, რომელსაც სამწუხაროდ, ველარ წაიკითხავთ და ჩაასწორებთ! რამდენიმე დღეა ნიუ-იორკის ქუჩებში, ტრანსპორტსა თუ შინ, „კვირის პალიტრაში“ გატარებული წლები მიტრიალებს თვალწინ — 1996 წლის ცივ და უშუქო თებერვალში გენერატორით განათებულ რედაქციაში ჩემი პირველი მოსვლიდან ჩვენს უკანასკნელ სატელეფონო საუბრებამდე... შიშით ვერაფერს გეკითხებოდით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სხვებისგან ვიცოდი, თუ როგორ მძიმედ იყავით ავად, რასაც არა და არ ურიგდებოდით, ქედს არ უდრეკდით უკურნებელ სენს და არც ჩემთან დაგიჩივლიათ იოტისოდენადაც კი. პირიქით, ჩემი და ამერიკაში მცხოვრები ქართველების ყოფა და ბედ-იღბალი გაინტერესებდათ და როგორ განიცდიდით, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის უღირს საქციელზე გიამბობდით ხოლმე! რამდენი სიკეთე, სითბო, მოყვასისადმი სიყვარული იღვრებოდა „პალიტრის“ ფურცლებიდან იმ დაუნდობელ წლებში სწორედ თქვენი ინიციატივითა და ძალისხმევით! ეს თქვენი დამსახურებაა, რომ „კვირის პალიტრა“ ჩვენი საზოგადოების უსაყვარლესი გამოცემაა! იყავით ჟურნალისტებისა და თანამშრომლების მფარველი და მუდამ გვერდში მდგომი, უცხო ადამიანებისთვის ღვთისმოსავი ქველმოქმედი. ვინ იცის, რამდენი გაჭირვებულ-გაწამებული ჩვენი თანამოქალაქე მინახავს თქვენს კაბინეტში, რომლებსაც ეხმარებოდით რითაც შეგეძლოთ! რამდენი ინტელიგენტისთვის გაგიმართავთ ხელი იმ დაწყევლილ წლებში, როცა „საშოვარს გადაგებულთ“ საკუთარი სტომაქის გარდა აღარც თანამოძმე ახსოვდათ და აღარც ქვეყანა! ყოველთვის მინდოდა რაღაც განსაკუთრებულად გამომეთქვა, გამომეხატა თქვენდამი მადლიერება და პატივისცემა, მაგრამ ვერ ვახერხებდი ვერც სიტყვიერად, ვერც სხვა, თუნდაც სიმბოლური ფორმით. ვფიქრობდი, ვაითუ კარგად არ გამომივიდეს-მეთქი, იმდენად დიდი რიდი მქონდა თქვენი!

ერთი ფრაზაც ჩამრჩა მეხსიერებაში, რომელიც „კვირის პალიტრის“ ხუთი წლისთავის საიუბილეო ნომერში ბრძანეთ რედაქტორის სვეტში, სადაც გაზეთის ისტორიაზე საუბრობდით: „...იყო პირველი ჟურნალისტის ფრთხილად ნათქვამი პირველი სიტყვაო“. გაზეთის ის პირველი ჟურნალისტი ხომ მე ვიყავი! იმ პერიოდში ანგაჟირებული მასმედიის მძლავრობის ფონზე, მართლაც სცილასა და ქარიბდას შორის უნდა ევლო ახალფეხადგმულ გაზეთს, რათა ობიექტურობისათვის არ ეღალატა. ბედნიერი ვარ, რომ აბსოლუტურ ნდობას მიცხადებდით და ჩემს, როგორც პროფესიონალის პატიოსნებაში ეჭვი არასოდეს შეგპარვიათ.

დაგვიანებულ და უკანასკნელ მადლობას ახლა გიხდით, ჩემო ქალბატონო ლალი! შემინდოს თქვენმა ნათელმა სულმა, თუ ოდესმე გული გატკინეთ...

**ეთერ ერაძე, ჟურნალისტი:** — გმადლობ, ქალბატონო ლალი, ჩუმი და უანგარიშო სიკეთის უნარისთვის... შინაურსა თუ უცხოზე წუხილისთვის, გაჭირვებულისთვის გაწვდილი ხელისთვის... ერის წარსულის გაფრთხილებისა და მომავალზე მზრუნველობისთვის, ქრისტიანული სათნოებისა და ნიჭისთვის, რასაც ასხივებდით... ადამიანად დაბადებისთვის გმადლობ.

**ზვიად ჩაკვეტაძე, ჟურნალისტი:** — ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მე ძირითადად ჟურნალისტური გამოძიება და მწვავე სტატიების წერა მევალება. ყოველ შაბათს, მასალის ჩაბარების დროს, ქალბატონი ლალის კაბინეტის კარს მორიდებით შევაღებდი. შემომხედავდა ჩემი რედაქტორი და თვალებზე მატყობდა, რამდენად მწვავე მასალა მქონდა მიტანილი. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი იმართებოდა:

— ამჯერად ვინ ამოიღე მიზანში?

— ყველა ის ჩინოსანი, რომელმაც საქართველოს თავისი ტერიტორიების ნაწილი დააკარგვინა.

— საინტერესო თემა აგირჩევია, მაგრამ გაითვალისწინე და განასხვავე ერთმანეთისგან, ჩინოვნიკების შეგნებულმა ქმედებამ დაგვაკარგვინა მიწა-წყალი თუ შეუგნებლად გააკეთეს ეს. აუცილებლად ყველა ბრალდების დამამტკიცებელი დოკუმენტი უნდა წარმომიდგინო. იცოდე, უზუსტობას არ გაპატიებ... უსაფუძვლოდ ვინმეს ჩირქი არ მოსცხო. დღის ბოლოს შემომიტანე სტატია...

არასოდეს დამავიწყდება ერთი ამბავი. ერთ საღამოს ქალბატონი ლალი რაღაც დავალებას მაძლევდა. მოულოდნელად ოთახში სანდომიანი ქალბატონი შემოვიდა. მოუბოდიშა მთავარ რედაქტორს. ქალბატონმა ლალიმ ქალს სკამი შესთავაზა და ჰკითხა, რა გაგჭირვებიათო, თან თვალით მანიშნა, მარტო დამტოვეო. ის იყო, კარი უნდა გამეხურა, რომ ქალის აკანკალებული ხმა შემომესმა:

— ქალბატონო ლალი, ერთი გოგონა შემარჩინა განგებამ და ისიც უმძიმესი ავადმყოფია. ოპერაციას დიდი თანხა სჭირდება. ამხელა გაზეთის რედაქტორი ბრძანდებით, თქვენი კაცთმოყვარეობის შესახებ ბევრჯერ მსმენია. ნუ დამილუპავთ შვილს, უარს თქვენ ვერ გეტყვიან. იქნებ დარეკოთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში და როგორც ქვრივს, ინვალიდს, რომელსაც შვილი სასიკვდილო სარეცელზე უწევს, გამონაკლისის სახით არაფერი გადამახდევინონ. სიკვდილამდე თქვენი მადლიერი ვიქნები, თქვენზე ლოცვაში გავატარებ წუთისოფელს, — თქვა აქვითინებულმა ქალმა, წამოდგა, ქალბატონ ლალისთან მიიჭრა და მუხლებზე მოეხვია. ძლივს წამოვაყენეთ ერთიანად აკანკალებული, სავარძელში ჩავსვით. ქალბატონმა ლალიმ ქალს აცახცახებულ, გამხდარ მხრებზე ხელი მოხვია, მოეფერა, დაამშვიდა, ჭიქა წყალიც მიაწოდა. სასწრაფოდ უბის წიგნაკი მოვიმარჯვე, ჯანდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის ტელეფონის ნომერი მოვიძიე და რედაქტორს გადავეცი. ქალბატონმა ლალიმ უბის წიგნაკი ცივად გასწია განზე, კიდევ ერთხელ დააზუსტა ოპერაციისთვის საჭირო თანხის ოდენობა, ხელჩანთას დასწვდა, ფული გადათვალა, მერე ტელეფონით მთავარი ბუღალტერი გამოიძახა და დანარჩენი თანხის ნაწილის მოტანა დაავალა. ბუღალტერმა მაშინვე შემოარბენინა. რედაქტორმა თავის ხელფასს ზედ დაადო ფულის დასტა და ქალბატონს გაუწოდა. დაიბნა საბრალო, ერთბაშად ვერ გააცნობიერა, რა მოხდა. გონს რომ მოვიდა, ისევ მუხლებზე დაცემას შეეცადა...

ქალი რომ წავიდა, ქალბატონ ლალის ვკითხე:

— ჯანდაცვის მინისტრი თქვენს თხოვნაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა, რატომ არ დაურეკეთ?

— როცა შეგიძლია სხვების დაუხმარებლად შეეწიო ადამიანს, სხვა რატომ უნდა შეაწუხო?

— უფულოდ რომ დარჩით?

— სამაგიეროდ, ბედნიერი ვარ, რომ ვიღაცას ხელი გავუმართე. დღეს მშვიდად დამეძინება, მეცოდინება, რომ ერთი ადამიანი მაინც ვიხსენი. შენც ასე მოიქეცი და ნახავ, როგორ გუნებაზე იქნები.

სხვათა შორის, ასეთი შემთხვევა ერთადერთი არ ყოფილა — ქალბატონი ლალი ხშირად ეხმარებოდა რედაქციაში დახმარების სათხოვნელად მოსულ ხალხს და ბევრჯერ შინ ჯიბეცარიელი, მაგრამ ერთიანად გაცისკროვნებული წასულა.

აი, ასეთი რედაქტორი აღარ გვყავს მე და ჩემს კოლეგებს... მთლიანად საქართველოს. წავიდა ქალი, რომელიც ბევრს დააკლდება. ჩვენ კი, ჟურნალისტებს, ანდერძად ეს დაგვიბარა — გაათმაგებული ენერგიით იმუშავეთ, კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადეთ „კვირის პალიტრა“. თუ ამას შეძლებთ, ჩემთვის ეს იქნება თქვენი საჩუქარი ამქვეყნიური საქართველოდან იმქვეყნიურში.

**მარინა მაჭავარიანი, მკითხველი (მეგობარი):** — ბევრი ქალი ინატრებდა შენნაირი ცხოვრების გატარებას. უშურველი იყავი, მეუღლისა და სამივე შვილისთვის მეგობარი, მეგობრების (შენი შვიდეულის) სასწაული მეგობარი. თითოეულის სიხარულისა და გაჭირვების თანაზიარი...

მე ვიცი, შენი გაზეთი ძალიან მორიდებულად დაწერს შენზე (ეს შენი სტილი იყო), შენ არ გახასიათებდა ახლობლებზე ბევრის წერა, იცოდი, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არასოდეს დაკარგავდა. მაგრამ თუ ნებას მომცემ (იმის ნება ხომ არ მომცეს, რომ ავადმყოფი მენახე), ვთხოვ თქვენს გაზეთს, არ ჩამოვიდეს შენი სახელი მისი ფურცლებიდან, იმიტომ, რომ შენ ეს დაიმსახურე, თუმცა დამსახურებისთვის არასოდეს გიცხოვრია...

არაფერი ყოფილა ისე მწარე და მტკივნეული, როდესაც იცი, რომ შენ გვერდით იყო რჩეული ადამიანი და ამქვეყნიურ ცხოვრებაში აღარ შეხვდები, იქ კი, ალბათ...

*(იხ. გვ. 28)*



# „ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი — უნდა გავუძლოთ...“

*„კვირის პალიტრას“ აღარ ჰყავს თავისი მთავარი რედაქტორი... ჩვენთვის ჩვენი ლალი, სხვებისთვის — ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი.*

*სათნოებისა და სიკეთისთვის მოვლენილი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე, მზრუნველი დედა და მეუღლე, საყვარელი ბებია, იმდენად ახლობელი, რომ შვილიშვილებიც ლალის, ლალას, ლალილას ეძახდნენ...*

ზოგჯერ ფიცხიც იყო... უგულოდ დაწერილ მასალას არავის აპატიებდა, გაზეთში გაპარულ კორექტურასაც განიცდიდა... „კვირის პალიტრა“ პროფესიონალთა გაზეთიაო, იტყოდა, — პროფესიონალებს კი უბრალო შეცდომაც არ ეპატიებათო... თუმცა, ასე იტყოდა, მაგრამ რამდენჯერ ყოფილა, ჩვენი შეცდომა თავის თავზე აუღია...

ეს კიდევ უფრო დიდი „სასჯელი“ იყო ჩვენთვის, ვცდილობდით, ასი თვალი და ასი ყური გამოგვებმა.

...ყოველ მასალაში თავის სულს დებდა. ისეთ სარედაქციო მინაწერს გაუკეთებდა ან ისეთ მოქნეულ ფრაზას ჩაურთავდა სხვადასხვა წერილსა თუ ინტერვიუში, რომ სიღრმე და ლაზათი ემატებოდა გაზეთს...

დროდადრო „რედაქტორის სვეტით“ გვანებივრებდა. მათში იმხელა განცდა და ტკივილი ჩანდა ქვეყნის ბედ-იღბალზე დაფიქრებული შემოქმედისა, რომ აუღელვებლად ვერ წაიკითხავდით.

ჯერ 2000 წლის მიწურულს დაწერილ „რედაქტორის სვეტს“ წარმოგიდგენთ:

...

„არ მაქვს უფლება, ასე დავიწყო ეს წერილი, მაგრამ ამ სიტყვების ავტორი იმიტომ გახლდათ ბრძენკაცი, რომ იცოდა, როდის რა და როგორ ეთქვა... აბა, მიდი და უკეთ თქვი ამ შინაარსის ტევადი სხვა სიტყვათწყობა... ამიტომაც, კვლავ... რა გითხრათ, რით გაგახაროთ!

დავიწყოთ იმით, რისი თქმაც მინდა, უფრო სწორად — რისი კითხვაც მინდა.

ვინ ვართ ჩვენ... თუ ქართველები ვართ, რა დაგვემართა, რაღა ის „ქართლის ჭირი“ შეგვეყარა, დიდ მგოსანს რომ ზარები შემოაკვრევინა...

რაღა იმ ქართველების გენი და ჯიში გავაგრძელეთ, „Áåæàëè ðîáêèå ãðóçèíû“-ო, რომ შემოგვკადრა ჩრდილოელმა პოეტმა...

რატომ დავიჯიჯგნეთ და სხვასაც ვაჯიჯგნინებთ თავს... სად გაგვიწყდა დედომძარღვი და ჩავიშალეთ მძივის მარცვლებად... როდის ვიგრძნობთ, რომ დიდი ხანია გვტკივა სული, თითოეულ სხეულში ჩამყუდროებული და მყუდროებადარღვეული... როდის მოვინატრებთ მამულს, რომელიც გვქონდა და ხელში გველევა. რომელსაც თუ შველა სჭირდებოდა, „ქუდზე კაცი“ წამოუდგებოდა ფეხზე... ნუთუ მხოლოდ წარსულში ჩავრჩით, ჩავეწერეთ მატიანეში, გამოვიხურეთ საუკუნეების კარი და ახალი ათასწლეულის ზღურბლთან მისულთ ხელთ აღარაფერი შეგვრჩა... იქნებ დედა აღარ არწევს აკვანს... იქნებ „ვეფხისტყაოსანს“ აღარ სწავლობს პატარა ქართველი... იქნებ „ფერხულს“ აღარ ცეკვავენ და „ურმულს“ აღარ მღერიან... იქნებ აღარც „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ გვახსოვს...

ვის ველოდებით... დიდი სიტყვა გვაქვს სათქმელი — მთქმელი არა გვყავს, ოღონდ!

სვეტის თავში ჩვენს (ილიას) მიერ დასმული კითხვა ხომ ორნაწილიანია... ახლა ის მინდა გითხრათ, რაც იმ პატარა ლექსში თქვა, რედაქციაში რომ გამოგვიგზავნა, ერთმა 12 წლის მკითხველმა, რომელსაც ქართველი კაცისთვის საოცარი მუხტის მატარებელი სახელი, „ლაზარე“, ჰქვია:

*„ნუ გაიგლიჯე გული, მამულო,*
*ცოტა ხანს კიდევ გაძელ,*
*არ დაადუმო შენი „ლილე“ და*
*მოვალ, აგინთებ კანდელს...*
*თუ გინდა ფეთქვით, ოღონდ*
*დამიხვდი,*
*არ დაიშრიტო თვალი,*
*ოღონდ მელოდე, ოღონდ მიწამე,*
*მოვალ იმედად ხვალის!*
*შენი ცოტნე ვარ, შენი თამარი,*
*მოვალ დავითად, საბად...*
*დიდი ხანია რომ გენატრება,*
*მოვალ იმ ქართველ კაცად.*
*შენი გუთნის და შენი აკვანის,*
*შენი ქართული ოდის,*
*შენი თბილისის მადლი რომ იცის,*
*სწორედ ის ბიჭი მოდის!“*

აი, ეს მინდოდა მეთქვა — ხომ გაგიხარდათ, ხომ გაგითბათ სულის პატარა ნაწილი მაინც... მოდის ის ბიჭი... მოდიან ბიჭები... ის მაინც მოვახერხოთ, თუნდაც „მფეთქავი“ მაინც დავახვედროთ მამული.

ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი — უნდა გავუძლოთ...

...

ამ გასაოცარი სტრიქონებით სრულდება ეს „მონოლოგი“.

ამ შეგონებით სულდგმულობდა თავადაც.

უნდა გენახათ, როგორი რუდუნებით ქმნიდა გაზეთის პირველ ნომრებს. ერთგან ასე დაწერს, — ჩემი ჰობი გაზეთზე მუშაობააო. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გაზეთზე მუშაობა მისთვის სიცოცხლე იყო ამავდროულად.

მისი ცხოვრების მიზანი კი იყო: „ერთგულება — იქნება ეს ოჯახის, ქვეყნის, მეგობრების... პატიოსანი სიტყვის ფასი და რწმენა... სიყვარული მოყვასისა... დახმარების ხელის გაწვდენა (შესაძლებლობის ფარგლებში), ღვთის შიში და მადლის ფასი... ვალდებულების მაღალი გრძნობა“.

აი, ამ გზით იარა ჩვენმა ლალიმ, ამ გზაზე სასიარულოდ აღზარდა სამი ღირსეული შვილი...

კიდევ ერთ „რედაქტორის სვეტს“ წარმოგიდგენთ სრულად. იგი „კვირის პალიტრის ხუთი წლისთავზე დაიწერა:

## ასე იწყებოდა...

*პირველად იყო ფიქრი, ფიქრი ნამივით ჩაწვეთებული, მყისიერად მოვლენილი და მერე მიჩუმათებული... ფიქრი ჯერ მცირე დროსა და დიდ პაუზას ითხოვდა, თანდათან იმძლავრა... მარტოობაში აღარ მოუნდა და სხვებთან გაზიარება ითხოვა... ფიქრის ავტორს თანამოაზრენი გაუჩნდა...*

*ფიქრი იგი იყო — გაზეთის გამოშვება... გაზეთის გამოშვება მაშინ საქართველოში ძალიან მოდაში იყო და ჭრელი სპექტრი თავის მკითხველს ეძებდა... თავისი მკითხველი უნდა ეძებნა ახალ ნაფიქრალ გაზეთსაც... ანუ გაზეთზე ფიქრი მკითხველზე ფიქრით დაიწყო... უნდა იცოდე, ვისთვის წერ, ვისთვის გამოსცემ, ვისთან გინდა მიიტანო შენი სათქმელი; უნდა იცოდე, რა უნდა შენს მკითხველს, რომ წაიკითხოს, რას ელის შენგან... ერთი სიტყვით, არჩევანი მკითხველს, არადანი — ჩვენ...*

*მერე იყო ფიქრი სახელზე — რას დავარქმევდით გაზეთს... სახელში უნდა იდოს მისი შინაარსი, პერიოდულობა... ითქვა და ითქვა ასარჩევი სახელდებები და თქვენმა გაზეთმა ბოლოს „კვირის პალიტრა“ მოიხდინა...*

*უბინაობა, უმისამართობა, უკომპიუტერობა, უხელფასობა — ეს ყველაფერი იყო და იყო ერთი ძალიან ლამაზი საწყისი დღე — 1995 წლის 18 აპრილი (მაშინაც დიდი მარხვის დღეები იდგა და ერი და ბერი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოლოდინში იყო)... იყო დიდი მღელვარება, დიდი მოლოდინი და შიში თქვენთან მოახლოებისა, ბატონო მკითხველო... იყო მცირე ტირაჟი, იყო უკან მობრუნებული ნაწილი გაზეთებისა, იყო პირველი სიხარული, ვინმეს ქუჩაში ჩვენს გაზეთს რომ დავუნახავდით ხელში. იყო პირველი ერთი ოთახი, შიგ რედაქტორ-სტილისტ-მთარგმნელ-ჟურნალისტ-კორექტორიანად, იყო ერთი დიდი საქმის დიდი სიყვარული, იყო პირველი ტელეფონი თავისი ერთი ნომრით და იყო პირველი ზარები... იყო პირველი მადლობა თქვენგან, იყო მორიდებული შეხმიანება, იყო პირველი სურვილი და რჩევა და ტელეფონის ზარს პირველი წერილებიც მოჰყვა...*

*„ვკითხულობ, მიყვარს, პატივს ვცემ თქვენს გაზეთს, ულრმესი მადლობა...“*

*„არ გაგიკვირდეთ, მე თქვენი გაზეთის ყველა გვერდი მომწონს...“*

*„სალამი საქართველოს ყველაზე რესპექტაბელურ გაზეთს...“*

*„მე ჯერ პატარა ვარ და როცა გავიზრდები, იმედი მაქვს, თქვენს რედაქციაში ვიმუშავებ...“*

*„სოფიაში „კვირის პალიტრის“ რამდენიმე ნომერი მიმაქვს... ამ დონის გაზეთი თითზე ჩამოსათვლელია...“*

*„ძალიან გთხოვთ, ბოლომდე შეინარჩუნოთ თქვენი სტილი და ენერგია“, — გვწერდით თქვენ საქართველოს ყველა კუთხიდან და ამისთვის — გმადლობთ!*

*პირველად წაკითხულ „გმადლობთ, „კვირის პალიტრელებოს“ ისეთივე სავსე სიხარული მოჰყვა, მხოლოდ პირველშობილის პირველ ნათქვამ სიტყვებს რომ მოაქვს ხოლმე დედისთვის...*

*იყო პირველი ჟურნალისტის ფრთხილი ნათქვამი, იყო პირველი „კვირის ინტერვიუ“ და ამას მოჰყვა ის რუბრიკები, ყველამ თავისი მკითხველი რომ მოინადირა... იყო პირველი რეიტინგი, სადაც ნომერ პირველ გაზეთად თქვენი გაზეთი დასახელდა...*

*თქვენთან ერთად ჩაიარა დიდმა დრომ, დიდმა ერთგულებამ და საქმის სიყვარულმა...*

*განვლილმა ხუთმა წელმა ჩვენ ერთმანეთი შეგვაყვარა...*

*სიყვარულით გვევლოს!..*

...

ამაზე დიდი სიყვარული რაღა უნდა იყოს.

ამიტომაც გაუსაძლისია ეს დღეები ჩვენთვის...

მართალია, ბოლო თვეებში თითქოს „შევეჩვიეთ“ ლალის გარეშე მუშაობას, მაგრამ იგი მაინც ჩვენთან იყო. შინიდან გვეხმიანებოდა, მასალებს კითხულობდა, დასკვნებსა და შენიშვნებს გვთავაზობდა, კვლავაც ჩვენი წინამძღოლი იყო, კვლავაც გვეიმედებოდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში, კითხვაზე, ბედნიერი ხართ თუ არაო, ასე უპასუხა:

*— არათუ ბედნიერი... მადლობელი ვარ ღმერთის ყოველი წუთისათვის, ყოველი წამისათვის, ყოველი დღისა და დაღამებისათვის... მადლობელი ვარ ჩემი კოლეგების, ჩემი მკითხველის, ჩემი შვილების და ჩემი საქმის, რომელსაც ასე ბევრს ვაძლევ და რომელიც ასევე ბევრს მიბრუნებს...*

ამავე ინტერვიუში განსაცვიფრებელი პასუხია კითხვაზე კოლეგებთან, უცხო ადამიანებთან, თუნდაც მეზობლებთან ურთიერთობის შესახებ:

*— არ ვარ მოძალადე. ის სხვა, დავუშვათ, არ არის შენთან მართალი, მაინც გაერიდე, დაუთმე, აპატიე... პატიება ხომ არაჩვეულებრივად ლამაზი გრძნობაა! თითოეულ ჩვენგანში ხომ უფალი ზის... ადამიანმა იმის მეასედი სიკეთეც რომ გამოიყენოს, რაც მის პოტენციალში დევს, იცით, რა ლამაზები ვიქნებოდით? პიროვნებამ თვითმიზნად არ უნდა გაიხადოს, რომ თვითონ იყო მაინცდამაინც მართალი. სულ უნდა გახსოვდეს, რომ სხვაც გიყურებს და... გიყურებენ ზევიდანაც! მთავარი შინაგანი სიმართლეა, საკუთარ თავთან უნდა იყო მართალი და უსათუოდ გაგიმართლებს!“*

„კვირის პალიტრა“ და მისი მთავარი რედაქტორი ყოველთვის მკითხველის გვერდით იყო, ჩვენი გაზეთი უპირველესად მკითხველის გაზეთია! — ამბობდა მისი მთავარი რედაქტორი და გვჯერა, კვლავ ასე გაგრძელდება... და ამ გზას ლალი გუნთაიშვილის ნათელი სულის სიდიადე გაუძლევება...

ლალის უჩვეულო იუმორის გრძნობა ჰქონდა. ასეთ ამბავს იხსენებდა ერთ-ერთ ინტერვიუში:

*„კომპიუტერის ოპერატორად მივიღეთ ერთი ბიჭი — პაატა. ღამის ორი საათი რომ გახდა, შევატყვე, აწრიალდა. რედაქციიდან შორს ცხოვრობდა. არადა მეორე დღეს სამსახურში ისევ უთენია უნდა გამოცხადებულიყო. მივედი და ვუთხარი, — მშვიდად იმუშავე, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ და ჩემთან წაგიყვან-მეთქი. მართლა წავიყვანე. სახლამდე გაზეთის გამომცემელმა ირაკლიმ მიგვიყვანა. პაატა დაემშვიდობა ირაკლის და ზემოთ ამომყვა. გავაღე კარი და შინ შევედით. ცოტა ხანში ჩემი მოადგილე გიორგი გამოშლიგინდა და — ვა, მოხვედითო! — ხელი აგვიწია. პაატამ, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა გააყოლა თვალი. ცოტა ხანში ისევ გაიღო კარი და ირაკლი შემოვიდა, — მშია, მაჭამეთ რამეო. პაატა კიდევ უფრო დაიბნა, მაგრამ ეტყობა, მაშინ შეკითხვის თავიც აღარ ჰქონდა. დავაპურე ბავშვები და ტელევიზორის საყურებლად სხვა ოთახში გავედით. იქ სოფო დაგვხვდა ტელევიზორის წინ სავარძელში მოკალათებული (ჟურნალ „ბომონდის“ რედაქტორია). ბოლოს, ყველამ დავიძინეთ. მეორე დილას სამსახურში ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა. პაატას არ სცოდნია, რომ ისინი, თანამშრომლების გარდა, ჩემი შვილებიც არიან და ლალი დეიდას სიკეთით გულაჩუყებულს, უთქვამს, — რა კარგი ქალი ყოფილა ეს ჩვენი რედაქტორი, რამდენ ადამიანს აძინებს თავის სახლში, მე რომ ცოტა ადრე მივსულიყავი, ხომ ცალკე ოთახი შემხვდებოდაო“.*

ლალისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ნარკვევში მისი ისეთი სტრიქონებიცაა, აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ:

*„დედა რომ გარდამეცვალა, იმ ღამით სტუმრები მყავდა — დაბადების დღეს ვიხდიდი. ახალი გათხოვილი ვიყავი, პირველ შვილს ველოდი... დილით დამირეკეს, დედა ცუდად არისო. რა ცუდად, თურმე უკვე გარდაცვლილი იყო... ის ტკივილი დღემდე მტანჯავს. ღვთის შვილობა ხომ უდიდესი მადლია, დიდი მადლია დედაშვილობაც. შემეძინა პირველი შვილი — გიორგი, მერე — ირაკლი და ნაბოლარა სოფიო... მაგრამ უდედობას მაინც განვიცდიდი. ამ განცდამ მიმიყვანა ეკლესიაში (ისეთი უმეცარიც არ ვიყავი, სარწმუნოებაზე არაფერი მცოდნოდა. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ჩუმ-ჩუმად ყველას გვქონდა წაკითხული სახარება). დედასთან მიახლოება, დედის მოფერება მხოლოდ ამ გზით შემეძლო...“*

ასეთი გვემახსოვრება ჩვენი ლალი, ასეთი დაგვაკლდება, ასეთი მოგვენატრება...

***კვირისპალიტრელები***



მიიღეთ ჩვენი გულითადი თანაგრძნობა ქალბატონ ლალის გარდაცვალების გამო. იგი იყო უფლის სიყვარულით სავსე ადამიანი, რომელიც თავისი საქმიანობით ამტკიცებდა ამას. აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის და შევთხოვთ ღმერთს, აცხოვნოს იგი და დაამკვიდროს სავანესა მართალთასა.

ღრმა პატივისცემით

სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი

# „ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარების გადაწყვეტილება თავიდანვე მცდარი იყო“

## „20 წელიწადში წყალს მეტი ფასი ექნება, ვიდრე ნავთობს“

რამდენიმე დღის წინ გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნით ბორჯომის ხეობაში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა შეჩერდა. ამ ფაქტს „ბრითიშ პეტროლიუმის“ ხელმძღვანელობის მძაფრი რეაქცია მოჰყვა — საქართველოს ხელისუფლებას ჩვენგან დამატებითი თანხების გამოძალვა სურსო. ორიოდ დღეც არ გასულა, რომ საქართველოში კოლინ პაუელის მეორე მოადგილე ენერგეტიკის დარგში, ელიზაბეტ ჯონსი ჩამოფრინდა, რომელმაც შვეულმფრენიდან(!) დაათვალიერა ბორჯომის ხეობაში ნავთობსადენის მშენებლობა და თვალის ერთი გადავლებით დაასკვნა — მილსადენის მშენებლობა უსაფრთხოების წესების სრული დაცვით მიმდინარეობსო. თუმც განსხვავებულად ფიქრობენ საქართველოს ხელისუფლებაში. პარლამენტის თავმჯდომარემ დაუფარავად უთხრა სტუმარს — ჩვენთვის ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტზე პირველხარისხოვანიაო. ასე რომ, სავსებით აპოლიტიკურმა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ სკანდალს დაუდო სათავე. ამიტომაც გადავწყვიტეთ მის ხელმძღვანელს, **თამარ ლებანიძეს** შევხვედროდით და, ნავთობსადენის გარდა, იმ პრობლემებზეც გვესაუბრა, რომლებიც ზაფხულში მეტისმეტად აქტუალურია:

— გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2002 წლის ნოემბერში გასცა ნავთობსადენის მშენებლობის ნებართვა, მაგრამ პარალელურად ცამეტი პირობის შესრულება მოითხოვა. თუ რომელიმე დაირღვეოდა, ნავთობსადენის მშენებლობა უნდა შეჩერებულიყო. დღემდე BP-სთან რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია არ გვქონია, მაგრამ ახლა წარმოიშვა პრობლემა მე-9 პირობის შესრულებასთან დაკავშირებით. ეს ბორჯომის ზონას ეხება. ბორჯომის ხეობა განსაკუთრებით მგრძნობიარე და საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ზონაა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იქ მინერალური წყალია, იმიტომაც, რომ იგი უნიკალურია ბიომრავალფეროვნებითაც. გარდა ამისა, ხეობას რთული რელიეფი აქვს და ამ მიდამოებში ნავთობსადენის მშენებლობა უსაფრთხოების ზომების მკაცრი დაცვით უნდა მიმდინარეობდეს. „ბრითიშ პეტროლიუმი“ ვალდებული იყო, გამოეყენებინა ყველა ზომა და ტექნოლოგიური მეთოდიკა, რათა რისკი ნულამდე დასულიყო. უნდა გითხრათ, რომ როგორც წესი, ასეთ ადგილებში ნავთობსადენი არ გაჰყავთ. თავიდანვე მცდარი იყო გადაწყვეტილება ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარებისა.

**— გამოდის, რომ თქვენს წინამორბედს მიუძღვის ამაში ბრალი?**

— არა, ბორჯომის ხეობაში მილსადენის გაყვანა პრეზიდენტ შევარდნაძის გადაწყვეტილებაა. ამ საქმეში ჩვენი სამინისტრო მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

როცა ნავთობსადენის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დაცვამ დაგვაეჭვა, პროექტს დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩავუტარეთ. ექსპერტებმა ერთხმად დაასკვნეს — პროექტს სრულყოფა ესაჭიროება. მილსადენი იმდენად უნდა იყოს დაცული, რომ მესამე მხარის ჩარევის (ვთქვათ, ტერორისტული აქტის) შემთხვევაშიც კი არ მოხდეს ავარია. ამავე დროს ეს არის მეწყერსაშიში ზონა — აქედან გამომდინარე, მეწყრისგანაც უნდა იყოს დაცული.



— თანხებთან სამინისტროს არაფერი ესაქმება. ჩვენ პირობების დაცვას ვითხოვთ, პირობების ზედმიწევნით დაცვა, ბუნებრივია, მეტ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს — მთავარი უსაფრთხოებაა.

ჩვენ მოვითხოვეთ, რომ მილები BP-ის პროექტით გათვალისწინებულ 1,5 მეტრზე კი არა, 3 მეტრზე ჩალაგებულიყო (ეს ექსპერტების დასკვნაშიც წერია). რაკი ნავთობსადენის მშენებლობა უშიშროების საკითხებსაც უკავშირდება, საქმეში ჩართვა ვთხოვეთ უშიშროების საბჭოსაც და გადავწყვიტეთ — სანამ ჩვენს პირობებს სათანადოდ არ შეასრულებს, BP ბორჯომის ხეობაში მილსადენის მშენებლობას ვერ გააგრძელებს. ამ ფაქტს დიდი აურზაური მოჰყვა. ამიტომაც მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ გავიმეორო — ჩვენ პროექტი კი არა, სამშენებლო სამუშაოები შევაჩერეთ ბორჯომის 17-კილომეტრიან ზონაში. თუ BP წარმოადგენს ისეთ დასკვნას, რომელსაც ჩვენი ექსპერტები დადებითად შეაფასებენ, ანუ საფრთხე მინიმუმამდე დავა, ნავთობსადენის მშენებლობას წინ არაფერი დაუდგება. ისიც მინდა გითხრათ, რომ არც მარშრუტის ცვლილებაზე არ არის ლაპარაკი.

**— მაგრამ BP ამბობს — საქართველოს ხელისუფლებას ფულის გამოძალვა უნდა და ეს აურზაურიც ამის ბრალიაო.**

— თანხებთან სამინისტროს არაფერი ესაქმება. ჩვენ პირობების დაცვას ვითხოვთ, პირობების ზედმიწევნით დაცვა, ბუნებრივია, მეტ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს — მთავარი უსაფრთხოებაა.

**— ახლა სხვა და არანაკლებ პრობლემურ საკითხზე ვისაუბროთ. მინდა ორიოდ სიტყვით გვიამბოთ თქვენს სომეხ კოლეგასთან შეხვედრაზე, რომელიც ხეტყის უკანონო ჭრასა და სომხეთში გაზიდვას შეეხებოდა.**

— საქართველოში კანონიერად თუ უკანონოდ მოჭრილი ხეტყის დიდი ნაწილი სომხეთში გადადის. ამიტომაც დავსვი ეს საკითხი ჩემს სომეხ კოლეგასთან. იგი საკმაოდ კონსტრუქციულად მიუდგა პრობლემას. გადაწყდა — ორივე მხარე გააკონტროლებს, თუ რამდენად კანონიერად მოპოვებული რესურსი გადის სომხეთში.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ადიგენის რაიონში. თუმც უკანონოდ ხეტყე სხვაგანაც იჭრება, რომელიც თავს სწორედ სომხეთის საზღვარზე იყრიდა. სამცხე-ჯავახეთში უკანონო დერეფანი აღარ იქნება, ამაზე ქართული მხარეც იზრუნებს და სომხეთისაც.

ხეტყის ჭრის შეზღუდვამ ამ ერთი წლის განმავლობაში კარგი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ბოლო დროს ისევ დაიწყეს უკანონო ჭრა. ამიტომაც სხვადასხვა რეგიონში რეიდების ჩატარებას ვგეგმავთ. თუმცა მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით არაფერი გამოვა, საბაჟო და პოლიციაც უნდა დაგვეხმაროს.

ყველაზე სავალალო ისაა, რომ ბრაკონიერები წითელ წიგნში შეტანილ ხეებს ანადგურებენ. გაიჩეხა ურთხმელისა და კაკლის ხეები. როდესაც ეს ხეები საქართველოდან გადის, ყველას თან ახლავს ცნობა, რომ ისინი საკარმიდამო ნაკვეთში მოიჭრა. ხომ ცხადია, რომ ამდენი კაკლის ან ურთხმელის მოჭრა საკარმიდამო ნაკვეთში შეუძლებელია. ასევე ნადგურდება ბზის კორომებიც...

*(გაგრძელება იხ. გვ. 28)*

# აფხაზეთში „მონათა აჯანყება“ დაიწყება?!

## გაგრას და გულრიფშს სომხები ეპატრონებიან



თუ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი დროულად არ მოგვარდება, შესაძლოა მალე აფხაზეთი არა მხოლოდ ქართველების, არამედ აფხაზების გარეშეც დარჩეს. სხვადასხვა ეროვნების ხალხის მასობრივი ჩასახლების გამო, აბორიგენი მოსახლეობის რიცხვი თანდათან უმცირესობაში ხვდება. ამ ფაქტის გამო გაღიზიანებული აფხაზები რეგიონის ახალმოსახლეებს უპირისპირდებიან. ექსპერტთა გათვლებით, თუ წინასაარჩევნო დაძაბულობის დროს რეგიონში შეიარაღებული შეტაკება მოხდა, ინციდენტი შეიძლება სამოქალაქო ომშიც გადაიზარდოს, სადაც ერთ მხარეს ძალაუფლებისთვის მებრძოლი სეპარატისტები და აფხაზეთში ჩასახლებული უცხოტომელები აღმოჩნდებიან, მეორე მხარეს კი თვითგადარჩენისთვის მებრძოლი აფხაზები. სასწორის პინა კი სწორედ მათ საწინააღმდეგოდ გადაიხრება. ახლა აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ქაოსიდან თავის დაღწევაში აფხაზეთის მთავარი „განმგებლის“ — რუსეთის მხარდაჭერას ის ძალა მოიპოვებს, რომელსაც თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის ამბიციები კი არა, კარგი საცხოვრებელი გარემოს ინტერესები ამოძრავებს. თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მდგომარეობას ძაბავს ბოლო ხანს გამოკვეთილი ტრეფიკინგის პრობლემაც. ამის გამო რეგიონს საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები მონათმფლობელების ტერიტორიასაც უწოდებენ. აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესახებ გვესაუბრება აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი **ლევან კიკნაძე**.

— აფხაზეთში უკონტროლობა, საზოგადოების და ხელისუფლების კრიმინალიზაცია კარგა ხანია პიკსაც გასცდა. რეგიონში ყოველ წუთს რაღაც საშინელებაა მოსალოდნელი. როცა საქართველოს ხელისუფლებისგან აფხაზებს ასეთი შეფასებები ესმით, ჰგონიათ, თითქოს ჩვენ ვცდილობთ იქაური სიტუაციის მძიმედ წარმოჩენას. არადა, უსაფრთხოების გარანტიის არარსებობის გამო, უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც თავს არიდებენ აფხაზეთში ვიზიტებს. ყველა უბედურებას რეგიონში ტრეფიკინგიც დაემატა, რომელიც არც დღეს დაწყებულა და არც — გუშინ. ბოლო ხანებში კი განსაკუთრებით საგანგაშო სახე მიიღო. აფხაზეთში მრავლად არიან სხვადასხვა ქვეყნიდან არალეგალურად სამუშაოდ ჩასულები, რომლებიც აფხაზი ბობოლების საკარმიდამო ნაკვეთებში ან რეგიონებში მოქმედ უცხოურ ფირმებსა და საწარმოებში შავ სამუშაოს ასრულებენ. მათ უმეტესობას კი გასამრჯელოს არ აძლევენ.ართმევენ საბუთებს და სრულ იზოლაციასა და მონურ პირობებში მყოფთ უწევენ ექსპლუატაციას.

**— ინფორმაციები აფხაზეთში „დატყვევებულთა“ ოჯახის წევრებისგან გაქვთ თუ მათი ქვეყნების შესაბამისი სამსახურებისგან?**

— არა მარტო მათგან, არამედ პირველი პირებისგანაც ვიღებთ ინფორმაციას. თავის დაღწევის ერთადერთ გზად აფხაზური ტრეფიკინგის მსხვერპლთ (რომელთა უმრავლესობა თურქია) საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადმოლახვა რჩება. ბოლოს, ივლისში ენგურის ხიდით აფხაზეთიდან გადმოვიყვანეთ თურქეთის სამი მოქალაქე. მათგან შევიტყვეთ, რომ ა.წ. მაისის დასაწყისში, თურქეთში იქაურ ფერიათ აითემურს ისინი სარფის საზღვრამდე მიუყვანია, იქ ვილაცისთვის 5 ათასი აშშ დოლარი გადაუხდია მათი და კიდევ 6 სხვა თურქის (რომლებიც ჯერაც აფხაზთა ტყვეობაში რჩებიან) აფხაზეთში ჩასაცილებლად. 15 მაისს, ღამით ენგურის ხიდის გავლით გადასულან საზღვარზე. შეთანხმებისამებრ ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე, ჯართის დამამზადებელ პუნქტში დაუწყიათ მუშაობა, მაგრამ შეპირებული გასამრჯელო 1.200 აშშ დოლარი მათთვის არ გადაუხდიათ და საბუთებიც წაურთმევიათ. სანამ გამოქცევას მოახერხებდნენ, ტყვარჩელელი აფხაზის სახლის სარდაფში აუტანელ პირობებში ათენებდნენ ღამეს. მთელ დღეს კი კატორღულ სამუშაოს ასრულებდნენ.

**— თურქეთის ხელისუფლება ან მათი საელჩო თუ დაინტერესდა აფხაზეთში დატყვევებულთა ბედით?**

— ძირითადად, ამ ხალხის გამოხსნით მათი ოჯახის წევრები არიან დაინტერესებულნი. აფხაზეთში ახლა იმდენი თურქია თითქმის მონის მდგომარეობაში, ერთი „სპარტაკი“ რომ გამოუჩნდეთ, მეორე „მონათა აჯანყებას“ მოაწყობენ. შარშან ჩვენმა სამსახურმა ორი მიკროავტობუსი დააკავა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხთან. აფხაზებს თურქეთის 18 მოქალაქე გადაჰყავდათ. ახლახან ერთ-ერთმა თურქმა, აიდინ შუნდულანმა მოგვმართა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილისა და რამდენიმე ნათესავის ამბის გასაგებად — დიდი ხანია სამუშაოდ წავიდნენ და მათ შესახებ დღემდე არაფერი ვიცითო. თურქებზე არანაკლებ დღეში არიან რუსეთისა და სომხეთის მოქალაქეები. მათ მარტო საბუთების წართმევით და კატორღული სამუშაოთი არ „აკმაყოფილებენ“, სასტიკად სცემენ და ზოგჯერ კლავენ კიდეც. უამრავი ფაქტის ოფიციალური მტკიცებულება გვაქვს. აფხაზები ამგვარ დანაშაულებს მაქსიმალურად ჩქმალავენ. რუსეთის მოქალაქეების მკვლელობის ფაქტები რომ დაარეგისტრირონ, მოსკოვიდან დამნაშავეების დასჯას მოსთხოვენ რუსეთის ქვეშევრდომ სეპარატისტ ხელისუფალთ, რომლებიც რუსი „ძმების“ „თხოვნას“ ვერ შეასრულებენ. მიზეზი მარტივია — საკუთარ თავს ხომ ვერ დასჯიან, საკუთარ კუდს ხომ ვერ მოიჭრიან!..

**— ბატონო ლევან, როგორც ვიცი, ბოლო პერიოდში ძალიან დაიძაბა ურთიერთობა სომხებსა და აფხაზებს შორის...**

— მოგეხსენებათ, აფხაზეთში ბევრი სომეხი ცხოვრობდა და ცხოვრობს დღესაც. მათ სერიოზული კრიმინალური დაჯგუფებებიც აქვთ გაგრაში, რომელიც ხეტყის ბიზნესს აკონტროლებს და ნარკოტიკების წარმოება-გასაღებაშიც თავის წილს იღებს. ბოლო წლებში სომხეთიდან აფხაზეთში მცხოვრები სომხებისკენ მათი ნათესაობაც დაიძრა, სადაც მარტივად იღებენ რუსეთის მოქალაქეობას. ამის შემდეგ ყველაფერი მის ნებაზეა დამოკიდებული. თუ უნდა, სოხუმში დარჩება, თუ არა და თავისუფლად წავა საცხოვრებლად რუსეთში. სომხების უმრავლესობამ აფხაზეთში დარჩენა არჩია და გაგრისა და გულრიფშის რაიონებში დასახლება დაიწყო, რაც ძალიან არ მოეწონათ აფხაზებს. მათ შეამჩნიეს, რომ რუსები სომხების აფხაზეთში ჩასახლებას ხელს არ უშლიან და მათზე რუსეთის პასპორტების გაცემაზეც დიდი კონტროლი არ არის დაწესებული. ამით რუსები სერიოზულ შეცდომას უშვებენ. აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობამიღებული სომეხი კრიმინალები გაუგონარი სისასტიკით დათარეშობენ რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ტერიტორიაზე, დანაშაულის ჩადენის შემდეგ კი აფხაზეთში ბრუნდებიან და სანამ რუსულ პასპორტს სხვა გვარ-სახელზე არ აიღებენ, თავს მშვიდად აფარებენ რეგიონს. აფხაზებმა რეგიონში რუსების ხელშეწყობით სომეხთა დიდი რაოდენობით ჩამოსახლების ტენდენცია მუჰაჯირების დაბრუნების პროცესის საწინააღმდეგოდ მიიჩნიეს და სომხებს აუმხედრდნენ. სერიოზული სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ გაგრის ზონიდან რამდენიმე ასეული სომხური ოჯახი გაასახლეს. სომხები იქ სახლდებიან, სადაც მართლა წალკოტია და ზედმეტად ხელის განძრევაც კი არ გჭირდება. თანაც აფხაზებთან შედარებით, სწრაფი ტემპით იზრდება სხვა ეროვნების მოსახლეობის რიცხვი. ეს აფხაზთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ფაქტია, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს აფხაზეთის არააფხაზი ეროვნების მოქალაქეებით შევსებას.

**— ეს აფხაზების ბლოკადაში მოქცევის მცდელობაც არის რუსების მხრიდან?**

— ლოგიკას სწორედ მაგ აზრისკენ მივყავართ. რუსეთი ასე აფხაზებსაც ჩიხში აქცევს და ქართველებსაც უფრო გაურთულებს კონფლიქტის მოგვარებას. ცხინვალის ამბები მოგონილი იქნება სოხუმთან, გაგრასა და ბიჭვინთასთან შედარებით. აფხაზებმა დროულად უნდა მოუხმონ გონს და ქართულ მხარესთან პრობლემები მოაგვარონ, რათა საკუთარ სამშობლოში მართლაც უმცირესობაში არ აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, მათაც ისევე არ მოუწიოთ სამშობლოს დატოვება, როგორც ეს ქართველებს დამართეს.

**— ბოლო დროს რუსული საინფორმაციო საშუალებები აფხაზეთში თურქეთის ინტერესებზე ლაპარაკობენ. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

— საერთოდ, თურქეთში აფხაზი მუჰაჯირების და სხვა ჩრდილოკავკასიელების, კერძოდ კი ჩერქეზების დიდი დიასპორაა. ყველა მათგანს მძლავრი ორგანიზაციები აქვთ, რომლებიც აფხაზეთის საკითხს ბევრ საერთაშორისო სტრუქტურაში ლობირებენ. თვით თურქეთის მთავრობაშიც ჰყავთ აფხაზებს ლობისტები და, რასაც რუსული საინფორმაციო საშუალებები ამბობენ, სიმართლეა. აფხაზეთში თურქეთსაც აქვს თავისი ინტერესები. როგორც ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთშიც ჩვენ რამდენიმე დაინტერესებული ძალის წინააღმდეგ მოგვიწევს ბრძოლა, რაც, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება, მაგრამ უკანდახევა არ ეგების. აქამდეც რომ არ შევჩერებულიყავით, საქმე ასე არ დამძიმდებოდა.

*ეკა ლომიძე*

# ორი ბერი და რუსთაველის ქუჩა — დაზიანებული ფრესკის სანაცვლოდ

## გამორჩეულსა და სახელოვანს ბედი მდევარი ოცდამეერთე საუკუნეშიც მისწვდა

მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა, ის ყველა დროსა და ეპოქაში პოპულარული იყო. მას ებრძოდნენ და ჰბაძავდნენ, მის წიგნს წვავდნენ და ხანაც მისით აღტაცებულნი და პოეტობის ჟინმორეულნი პოემაში საკუთარ სტრიქონებსაც ამატებდნენ. ზოგნი მისი სახელის ამოძირკვას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ, ამით უკვდავებაში მის დავანებას უწყობდნენ ხელს. სანამ ცოცხალი იყო, შურდათ, ძალიან შურდათ მისი, შურდათ მერეც და შურთ დღესაც. რას არ ჰყვებოდნენ შოთა რუსთაველზე, რა ლეგენდებს არ თხზავდნენ მის უიღბლო სიყვარულზე, პოეტის შთაგონების წყაროსა და სამშობლოდან გადახვეწის მიზეზზე. როგორც ჩანს, სიცოცხლეშივე მრავალჭირნახული პოეტის უიღბლობა საუკუნეების მერეც გაგრძელდა, ბედი მდევარის ხელი ყველაზე გამორჩეულსა და სახელოვანს ოცდამეერთე საუკუნეშიც მისწვდა — ავისმოსურნეებმა მისი სახე ხელყვეს, მერე კი რომ იტყვიან, დამწვარზე მდუღარე გადაგვასხეს — პოეტის გადაფხეკილი ფრესკა ნაუცბადევად აღგვიდგინეს, თანაც ისე, რომ გაუწაფავი თვალიც შეამჩნევს ცრუკეთილმოსურნეთა გულმოდგინების შედეგს. ერთი შეხედვით ის ხელოვანის კი არა, ხელოსნის ნამუშევარს უფრო ჰგავს. იერუსალიმში ჩასულ საქართველოს პრეზიდენტს ბერძნებმა რუსთაველის „აღდგენილი“ ფრესკა დაახვედრეს, გაოგნებულ და შეცბუნებულ ქართველებს კი იმის საშუალებაც არ მისცეს, მათი გულმოდგინების შედეგი რიგიანად დაეთვალიერებინათ — მღვდელმსახურებმა რუსთაველის ფრესკასთან მიახლოების საშუალებაც არ მისცეს ჯვრის მონასტერში მისულ ქართველებს, ტელეკამერებს ხელისგულებს აფარებდნენ და გაფაციცებულნი ცდილობდნენ ჟურნალისტებისთვის ფრესკის გადაღების საშუალება არ მიეცათ. რას გვემართლებოდნენ ან რა რჯიდათ? — ამბობენ, სააკაშვილის ჩასვლის გამო სკანდალის შეეშინდათო. გეთანხმებით, სავსებით საფუძვლიანი შიშია... იქნებ ნაჩქარევად დანაშაულის გამოსყიდვის უკან სხვა განზრახვა იმალება — ფრესკიდან რაც დარჩა, ისიც მოვსპოთო. შესაბამის დასკვნას ალბათ გამოძიება გააკეთებს, მაგრამ რა ეშველება ამით რუსთაველის ფრესკას? ქართველი რესტავრატორები და ხელოვნებათმცოდნეები მეტისმეტად შეშფოთებულნი არიან და საგანგაშო პროგნოზებს აკეთებენ.

**ნანა კუპრაშვილი**, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ექსპერტი ფერწერაში:

— რომ ვთქვა, რა მიზნით გადაფხიკეს რუსთაველის ფრესკა, — ალბათ პოლიტიკური განცხადება გამომივა და ამიტომ თავს შევიკავებ) იმას მოგახსენებთ, რაც ჩემს კომპეტენციაში შედის. რუსთაველის ფრესკის დაზიანებისთანავე დაიწყო ლაპარაკი მის აღდგენაზე და ამის თაობაზე ყველამ გამოთქვა აზრი, თავად სპეციალისტების გარდა. ჯერ მეცნიერებს უნდა შეესწავლათ დაზიანების ხარისხი და გარკვეულიყო, ფრესკის რესტავრაცია გაკეთებულიყო თუ კონსერვაცია მომხდარიყო. ქართველი სპეციალისტები ყოველთვის ვარჩევდით ფრესკების კონსერვაციას (და არა რესტავრაციას), რაც ფრესკაზე რაიმეს მიხატვას კი არა, იმის დაცვას და შენარჩუნებას გულისხმობს, რამაც ჩვენამდე მოაღწია. ყველა ეპოქაში რომ ეხატათ და რაღაც მიემატებინათ ფრესკებისათვის, დღეს რაღა გვექნებოდა? საქმეს ართულებს ისიც, რომ ჯვრის მონასტერი უცხოეთშია. ერთი თვეა, რაც ჩვენი სპეციალისტები იერუსალიმში არიან და მონასტერში ვერ შეაღწიეს. საერთაშორისო ორგანიზაციები, იუნესკო, იკრომი, იკომოსი და სხვები უნდა ჩავრთოთ ამ საქმეში. მათ საკმაოდ სერიოზული საკონსერვაციო ინსტიტუტები აქვთ. გასაგებია საზოგადოების განწყობაც, — რაკი რუსთაველის ფრესკა დააზიანეს, აუცილებლად აღვადგინოთო. ასე მოსახლეობის 95% ფიქრობს, მაგრამ სპეციალისტების აზრით, რომლებიც საზოგადოების 5%-ს წარმოადგენენ, ფრესკა უნდა დარჩეს იმ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს არის.

**— მაგრამ ფრესკა უკვე აღდგენილია. უფრო უარესი ხომ არ გაკეთდა ამით?**

— უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, იქ რა იქნება. ჩემთვის მთავარი იყო ის ფრესკა — როგორც გვიანი შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუში და არა დღევანდელი მხატვრობა. იმას, რაც ჯვრის მონასტრის კედელზე მოხატეს, ფასეულობა არ გააჩნია. მნიშვნელობა არ აქვს, ის ნიჭიერმა მხატვარმა შეასრულა თუ უნიჭომ. ფაქტი ერთია, რაც უნდა მიმსგავსებული იყოს აღდგენილი ვარიანტი ორიგინალს, აღდგენილი მაინც არ ჩაითვლება ორიგინალად. ხელმეორედ დამხატავმა რუსთაველის ფრესკას დაუკარგა ის ღირსება, რაც მას ჰქონდა. სხვათა შორის, გაცილებით დიდი შეშფოთების საფუძველს გვაძლევს ეჭვი — მხატვარმა, რომელიც რუსთაველის სახეს ხატავდა, გასუფთავების მიზნით ხომ არ ამოამტვრია ფრესკის უკანა ნაწილი. თუ ასეა, ეს კიდევ ერთი დიდი დანაშაული იქნება. გარდა ამისა, ჩვენთვის უცნობია, რა მასალა გამოიყენეს. რუსთაველის ფრესკა მე-16 საუკუნეშია შესრულებული. იმ შემთხვევაში, თუ მხატვარმა მისი დარჩენილი ნაწილი არ ჩამოფხიკა, ის შესაძლოა დააზიანოს ახალმა, გაურკვეველი შემადგენლობის საღებავმა, თანაც ისე, რომ შესაძლებელია სრულად დავკარგოთ ფრესკის ძველი ნაწილი.





მთელ მსოფლიოში ვანდალური აქტების შენიღბვას, როგორც წესი, არ ცდილობენ, პირიქით, სულ მიუთითებენ, — ხედავთ, რა მოხდა, რა ჩაიდინესო. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ხელოვნების ნიმუში დაზიანდა, თუნდაც სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ სასახლეებზე და ისააკის ტაძარზე დატოვეს ნატყვიარები. როგორ გგონიათ, ვერ ამოავსებდნენ?



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

რუსთაველის ფრესკის ორიგინალი რომ შევინარჩუნოთ, აუცილებელია საღებავის ახალი ფენის ჩამოშორება, თანაც სასწრაფოდ. დაუყოვნებლივ უნდა გამოვიკვლიოთ ფრესკა. არ არის საჭირო მისი მოხატვა. კარგი იქნება, თუ ფრესკას დაზიანებული სახით დავტოვებთ და იქვე მის ასლს ან ფოტოს გამოვფენთ.

ფრესკის ვითომ რესტავრაციით ვანდალური აქტის დაფარვა სცადეს. ფრესკის აღდგენა ასე ნაუცბადევად და ხელის ერთი მოსმით არ შეიძლება. მხატვარი, რომელიც ამაზე მუშაობს, ვალდებულია განსაზღვრული ნორმები დაიცვას — მისი დახატული ორიგინალისგან აბსოლუტურად უნდა განსხვავდებოდეს. ამასთან ისე უნდა დაიხატოს, რომ მისი წაშლა ნებისმიერ დროს შეიძლებოდეს.

ხელოვნების ნიმუში სათამაშოდ არ უნდა ვაქციოთ. ამიტომაც ვითხოვთ რუსთაველის ფრესკის ძველი სახით შენარჩუნებას. ხომ ნათელი იქნება, რა გვქონდა და რა გააკეთა ვიღაც ვანდალმა. მეტიც, თუ ფრესკა დაზიანებული სახით დარჩება, შესაძლოა ამან წლების შემდეგ სხვა გავლენა მოახდინოს ზოგიერთ საკითხზე და ძალიან გამოგვადგეს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ძეგლი შენს ტერიტორიაზე არ არის. მეტად ნუღარ დამაკონკრეტებინებთ, რასაც ვგულისხმობ, ვფიქრობ, მკითხველი მიხვდება.

მთელ მსოფლიოში ვანდალური აქტების შენიღბვას, როგორც წესი, არ ცდილობენ, პირიქით, სულ მიუთითებენ, — ხედავთ, რა მოხდა, რა ჩაიდინესო. მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ხელოვნების ნიმუში დაზიანდა, თუნდაც სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ სასახლეებზე და ისააკის ტაძარზე დატოვეს ნატყვიარები. როგორ გგონიათ, ვერ ამოავსებდნენ? მაგრამ ნატყვიარები უკვე ისტორიაა და როდესაც ისტორიაში ერევი, ამით შლი მას. რაც უნდა გაკეთდეს დღეს ჯვრის მონასტერში, ფაქტი ერთია — ქართველებმა რუსთაველის სახე დავკარგეთ, მხოლოდ ხელი და პოეტის სამოსი დაგვრჩა.

ქართულ ტაძრებში, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობს, ბევრი რამ გადახატეს და გადაწერეს. ისიც კი გაბედეს, ქართულწარწერიანი ქვები ჩამოენგრიათ. ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ ფაქტის შემდეგ მაინც მოვითხოვთ მონასტერში ქართველი ბერების ყოფნას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველების ხელში უფრო მეტად იქნება დაცული ჩვენი ძეგლები.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა ხელოვნებათმცოდნეს, ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს წევრს, **მზია ჯანჯალიასაც**, რომელმაც ორი წლის წინ ქართველ მეცნიერებთან ერთად რუსთაველის ფრესკა შეისწავლა და მისი ასაკიც განსაზღვრა.

— თავდაპირველად რუსთაველის ფრესკის დათარიღება ფოტოების საშუალებით მოხდა და ითქვა, მე-17 საუკუნის ძეგლიაო. მაგრამ, როდესაც ჯვრის მონასტერში ჩავედით და ფრესკა შევისწავლეთ, აღმოჩნდა, რომ ის უფრო ადრინდელი, კერძოდ, მე-16 საუკუნის ნამუშევარი იყო. თუმც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის ქვემოთ უფრო გვიანდელი ხანის მხატვრობაც უნდა არსებობდეს. არსებობს ორგვარი ვერსია. შესაძლოა რუსთაველის თანამედროვე მხატვარს დაეხატა პოეტის პორტრეტი და მისი დაზიანების შემდეგ მოგვიანებით თავიდან დახატულიყო მისი სახე, ან კიდევ გვიან შუა საუკუნეებში დაეხატათ პოეტის გამოსახულება. ჯვრის მონასტერში ძალზე უფრთხილდებოდნენ ისტორიას, იმათ სახელებს, რომელთაც ღვაწლი დასდეს მას და მე-17 საუკუნეში მონასტერში ამ ადამიანთა პორტრეტების მთელი გალერეაც გაკეთდა. იქ პატივისცემით იხსენიებდნენ თამარის დროინდელ მოღვაწეს, მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველს და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისი კედელზე დახატვის სურვილი გასჩენოდათ გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც.

**P. S.** იერუსალიმის პატრიარქსა და ისრაელის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილმა რუსთაველის ფრესკის დაზიანების ფაქტის გამოძიება სთხოვა და დაპირებაც მიიღო, — გამოვიძიებთ და დამნაშავეს საკადრისად დავსჯითო. მომხდარის გასაქარწყლებლად იერუსალიმში იმასაც დაგვპირდნენ, ამიერიდან ჯვრის მონასტერში 2 ქართველი ბერი ყოველთვის იქნებაო, ერთ-ერთ ქუჩას კი შოთა რუსთაველის სახელი უწოდეს...

***იზო რიკაძე***


**ქართულ-გერმანული სკოლა „ა–Z“ (ანი-ცეტი)**

**25 აგვისტოდან განაგრძობს მოსწავლეთა მიღებას ახალ მისამართზე: მ. თამარაშვილის №6 (ფიზიკის ინსტიტუტის შენობა, IV სართული)**

☎ 893-34-04-42
899-19-60-53
52-10-05





# ბატონებო, თქვენ ქვეყნის მტრები ხართ?!



ვისაც ჯარისკაცი ღორი ჰგონია, მისი ადგილი ციხეშია!

ჟურნალისტს არ ეპატიება ემოციის აყოლა, მაგრამ ის, რაც ვნახე, ნამდვილად არ მაძლევს დამშვიდების უფლებას — ჯარისკაცებისთვის შეძენილი ორცხობილა ძალიან ჰგავდა პურის ნარჩენებს, რომლითაც საქონელს კვებავენ!

არ მოველოდი, რომ ახალ და ენერგიულ თავდაცვის მინისტრს, გია ბარამიძეს, რომლის სახელი მექრთამეობას არანაირად არ უკავშირდება, გაუბედავდნენ ჯარისკაცებისთვის ამგვარი „პროდუქტის“ შეძენას.

არადა თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტმა გენერალური შტაბის ერთ-ერთი ორგანოს დაგეგმარებით, რამდენიმე დღის წინ 3.5 ტონა „ორცხობილა“ შეიძინა.

დიდი სამხედრო საიდუმლოება არ გახლავთ, რომ შეიძლება დღე-დღეზე ცხინვალის რეგიონში, სერიოზული შეიარაღებული შეტაკებები დაიწყოს და იქ ჯარების დამატებითი ნაწილების გადასროლა მოხდეს. ტყეში ხანგრძლივად მყოფი სამხედროსთვის, რომელსაც კოცონის გაჩაღების უფლებაც არა აქვს, ცივი კონსერვი და გამხმარი პური დიდი ბედნიერებაა.

ამიტომაც შეიძლება გამართლებული იყოს ორცხობილის ამ რაოდენობით ყიდვა; მაგრამ პირდაპირ საკვირველია 1 კგ ორცხობილის ფასი — 1 ლარი 20 თეთრი მაშინ, როდესაც იგივე თავდაცვის სამინისტრო პირველი ხარისხის ფქვილისგან დამზადებულ 1 კგ პურს 90 თეთრზე ნაკლებად ყიდულობს.

ყველაზე აღმაშფოთებელი თავად ორცხობილის ხარისხია — კოდის კვერცხის ჭუჭყიან ყუთებში ჩაყრილი „სუხარის“ შემხედვარეს გაგიჭირდება იფიქრო, რომ იგი ღორების კი არა, ჯარისკაცების დასაპურებლადაა განკუთვნილი.

უფრო მეტიც — ორცხობილის არათანაბარ ნაჭრებს ნაკბეჩი ეტყობა და ჩნდება ეჭვი, რომ რომელიმე ლხინის ნასუფრალი პური გაახმეს!..

ჩვენ ექსპერტიზას ვერ ჩავატარებთ (ეს სხვა, კომპეტენტური უწყების საქმეა), მაგრამ მისი გასინჯვისას მივხვდით, რომ არც ორცხობილის დამზადების ტექნოლოგიაა დაცული.

ეს კიდევ არაფერი. სკანდალის დაწყების მეორე დღეს თავდაცვის სამინისტროს სურსათის ცენტრალურ საწყობში იმავე ორცხობილის ახალი, უკვე 4-ტონიანი პარტია შეიტანეს!

ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩება, რომ ვილაცის სუფრიდან აკრეფილ „სუხარს“ ჯარისკაცები არ მიიღებენ — სამხედროებმა უარი განაცხადეს მისი პარტიების ოფიციალურად მიღებაზე და საქმის გამოძიება თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო (მთავარ დამნაშავეს ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გავასინჯოთ ერთი ულუფა მაინც).

არავინ იცის, ხვალ რა მოხდება და რატომ უნდა ლოღნოს ტყვიას მკერდმიშვერილმა ქართველმა ჯარისკაცმა პირუტყვისთვის განკუთვნილი უხარისხო ორცხობილა მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე გემრიელ ხაბიზგინას მიირთმევს?! ვისაც ჰგონია, რომ ომში მარტო იარაღი წყვეტს ყველაფერს, ძალიან შემცდარა!

# ერთი მიდის, მეორე მოდის, რა შეიცვლება?

## გენერალ ნაბზდოროვს გენერალი კულახმეტოვი შეცვლის, მაგრამ ამით ქართველებისადმი რუსი გენერლების განწყობა არ შეიცვლება

შეიძლება ბევრმა შვებით ამოისუნთქოს კონფლიქტის ზონიდან გენერალ ნაბზდოროვის გაწვევის გამო, მაგრამ სინამდვილეში ამით ალბათ არაფერი შეიცვლება. მართალია, ნაბზდოროვი საკუთარი ინიციატივითაც არ აკლებდა ხელს ქართველების ლანძღვას, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც კრემლის ბრძანებას ასრულებდა.

ასევე მოსკოვის ბრძანებებზე იქნება დამოკიდებული ნაბზდოროვის შემცვლელად ნაგულისხმები გენერალი კულახმეტოვი.

კაცმა რომ თქვას, ერთგვარად ჩვენი ბრალიცაა, რომ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ იმ რუს გენერლებს თუ სარდლებს, რომლებსაც მოსკოვი ორ-სამ წელიწადში ერთხელ აფხაზეთსა თუ ცხინვალში გვინიშნავს.

„კვირის პალიტრამ“ მოიპოვა ინფორმაცია გენერალ კულახმეტოვის შესახებ.



ეს რუსი ჯარისკაცები ხვალ გენერალ კულახმეტოვის ბრძანებას შეასრულებენ, მაგრამ შეიცვლება კი ამით რაიმე საქართველოს სასიკეთოდ?!

***ჩვენი დოსიე:*** *გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი 1959 წელს დაიბადა. მამამისი, გენერალ-ლეიტენანტი მინიურ კულახმეტოვი ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილეა და ალბათ მამის დამსახურებაცაა შვილის კარიერის წარმატებით წარმართვა. მარატ კულახმეტოვმა ლენინგრადის საერთო საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განვლო გზა ოცეულის მეთაურიდან მე-200 ცალკეული, მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურამდე. დამთავრებული აქვს რუსეთის გენშტაბის აკადემია, ხოლო 2003 წლის აგვისტოდან მე-19 მოტომსროლელ დივიზიას მეთაურობს.*

გენერალ კულახმეტოვის დოსიედან ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ცხინვალში გამოგზავნამდე იგი მეთაურობდა მე-19 მოტომსროლელ დივიზიას, რომლის შტაბი ჩრდილო ოსეთში, ქ. ვლადიკავკაზშია.

წარმოშობით თათარი კულახმეტოვი ერთი წელია ვლადიკავკაზში ცხოვრობს და ყოველდღიურად ხვდება ადგილობრივი ოსი ეროვნების გავლენიან პირებს, რაც უთუოდ იქონიებს გავლენას მასზე ცხინვალში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლად დანიშვნის შემდეგ. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ მოსკოვმა ნაბზდოროვის მაგიერ სადღაც შორიდან კი არ გადმოიყვანა რომელიმე გენერალი, არამედ ვლადიკავკაზიდან, სადაც კულახმეტოვს ალბათ ოჯახიც ჰყავს.

არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი — სამშვიდობო ძალების სარდლად მოვლენილები, როგორც წესი, სოხუმსა და ცხინვალში ცხოვრობენ და ადგილობრივი სეპარატისტების ერთგვარი მძევლებიც არიან. ამასთან, მათ ყოველთვის უხვად ასაჩუქრებენ (აგარაკით, ბინით, ავტომობილით, ძვირფასეულობით — მეუღლეებისთვის და ა.შ.) სეპარატისტთა ლიდერები და ამის შემდეგ ძალიანაც რომ უნდოდეთ, ქართულ ინტერესს ვერ და არ გაატარებენ კონფლიქტის ზონებში.

უახლოესმა ისტორიამ შემოგვინახა ამის ერთი მკაფიო მაგალითი: როდესაც საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ ნადიბაიძესთან დაძმაკაცებულმა, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სარდალმა მოინდომა გალში რამდენიმე ათეული ლტოლვილის დაბრუნება 1995 წელს, მის საცხოვრებელ ბინას სოხუმში, სასტუმროს შენობაში, ყუმბარსატყორცნის რეაქტიული ჭურვი მოხვდა.

საერთოდ, იმას, რომ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ყოველმხრივ ხელს შეგვიშლიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, დიდი მტკიცება არ უნდა, მაგრამ იქნებ ქართულ მხარეს მაინც ეცადა გენერალ კულახმეტოვის „მოთაფვლა“. ვინ იცის, იქნებ გამოვიდეს რამე...



# ერაყში ნელ-ნელა ქართველებსაც „აფიქსირებენ“

## თანდათან იზრდება ერაყში ქართველი სამხედროების მძევლად აყვანის საშიშროება

ცხინვალის რეგიონში არსებულმა დაძაბულობამ ერთი შეხედვით უკანა პლანზე გადასწია იმ ქართველი სამხედროების ფაქტორი, რომლებიც ერაყში, ანტიპარტიზანულ ომში არიან ჩართულნი.

არადა, ნელ-ნელა იზრდება მათი მძევლად აყვანის მცდელობის საშიშროება ანტიკოალიციური პარტიზანული დაჯგუფების მიერ. თუ ასე მოხდა, ისინი საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვენ ქართული სამხედრო კონტინგენტის გაყვანას ერაყის ტერიტორიიდან ისევე, როგორც ეს ესპანელებისა თუ ფილიპინელების მიმართ გააკეთეს.

ამ საშიშროების მოახლოებაზე კი შემდეგი ორი ფაქტიც მეტყველებს: მოსკოვში, ცხინვალის თემაზე ჩასულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ცნობილმა არაბულმა სატელევიზიო არხმა „ალ-ჯაზირამ“ შეკითხვა სწორედ ერაყში მყოფ ქართველ სამხედროებთან დაკავშირებით დაუსვა, ხოლო ამ რამდენიმე დღის წინ ერაყის ქალაქ ბაქუბაში ქართველი სამხედროების ჯავშანმანქანას (ეს ერაყული ქვეითთა საბრძოლო მანქანა ქართველებს ამერიკელებმა ერაყში გადასცეს) ადგილობრივი ერაყელის ავტომანქანა შეასკდა. როგორც ქართველი სამხედროები ამტკიცებენ, მათი БМП გაჩერებული იყო და მათ თავად ერაყელი დაეჯახა, ავტოკატასტროფის შედეგად ერაყელი ცოლ-ქმარი დაიღუპა. არც ეს ფაქტი დარჩა გაუშუქებელი „ალ-ჯაზირას“.

„ალ-ჯაზირას“ კი მთელი ერაყი და ნახევარი ახლო აღმოსავლეთი უყურებს. მის გადაცემებს დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც ადგილობრივი ერაყელი პარტიზანები, ასევე სხვადასხვა მუსლიმანური ქვეყნიდან ერაყში ქრისტიანებისა და იუდეველების წინააღმდეგ „საღვთო ომის“ საწარმოებლად ჩასული ათასი ჯურის ტერორისტი.

დღემდე ის ფაქტორი გვშველოდა, რომ რომელიღაც ამერიკულ ასეულს თუ ოცეულს მიკედლებული მცირერიცხოვან ქართველ სამხედროთა ჯგუფიდან ვინმეს მოძებნა ტერორისტებს კი არა, თავად ამერიკელ გენერლებს უჭირდათ.

ქართველი სამხედროების ერაყში რამდენჯერმე სატელევიზიო „დაფიქსირების“ შემდეგ (მით უმეტეს, ავტოკატასტროფის ფაქტის გამო, რომელსაც მუსლიმანთა დაღუპვა მოჰყვა), არ არის გამორიცხული ადგილობრივმა ანტიკოალიციურმა დაჯგუფებებმა „ნადირობა“ დაიწყონ ქართველ სამხედროებზე.

რაც შეეხება დამატებითი სამშვიდობო დანაყოფების გაგზავნას ერაყში, ეს გეგმა, გარკვეულწილად, შეიცვალა — ორ კვირაში ერაყს, ქართულ სამხედრო კონტინგენტის მოსანახულებლად ერთი-ორი დღით თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა დელეგაცია ეწვევა.

ერაყში მყოფი საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის 159 სამხედროს სექტემბრამდე აღარავინ დაემატება, ხოლო მათ, სავარაუდოდ, „კომანდოს“ ბატალიონიდან ჩაენაცვლებიან. ის „საჩხერლები“ კი, რომლებიც ერაყში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, ალბათ ავლანეთში ამოჰყოფენ თავს.

მაგრამ თუკი ცხინვალის რეგიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, შეიძლება ეს გეგმები თავდაყირა დადგეს და პირიქით, ერაყიდან მოგვიხდეს ქართველი სამხედროების სასწრაფოდ გამოძახება.

# რუსული არმიების მიზანში

## საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას მე-11 რუსულმა არმიამ შემოუტია, დღეს კი 58-ე რუსული არმიის „მიზანში“ ვართ



58-ე არმიამ კოკოითის ხელისუფლების გადასარჩენად ჯავისკენ შეიძლება ამგვარი „ურაგანები“ გადმოისროლოს

გახშირდა ლაპარაკი — ცხინვალის რეგიონში სეპარატისტებისთვის იარაღის დამატებით მიწოდებაში 58-ე რუსულ არმიას ურევია ხელიო. თუმცა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა ის 58-ე დივიზიად მოიხსენია, რითაც რუსი გენერლების ბოროტი ღიმილი დაიმსახურა.

58-ე არმია დღეს ასოცირდება იმ მე-11 რუსულ არმიასთან, რომლის ნაწილებმა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოუტიეს საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას 1921 წლის დასაწყისში.

დღეს ცოტა ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ კრემლი 58-ე არმიას პირდაპირ საქართველოზე გამოუშვებს (მით უმეტეს, რომ 31 ივლისს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ცხინვალში ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთი არ აპირებს საქართველოში ჯარის შემოყვანას გაეროს მანდატის გარეშე), მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სეპარატისტები მრავალი წელია, სწორედ ამ რუსული არმიის საწყობებიდან მარაგდებიან.

სხვათა შორის, სწორედ 58-ე არმიის დანაყოფები გადაისროლეს სასწრაფოდ საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, როდესაც პანკისიდან კოდორის ხეობაში გადასული გელაევის რაზმი სოხუმისკენ ბრძოლით მიიწევდა.

ასე რომ, ალბათ სწორედ 58-ე არმიას ეკისრება ის მოვალეობა, რასაც საქართველოში მოქმედი სეპარატისტული მოძრაობების სამხედრო ძალით და იარაღით დახმარება ჰქვია.

***ჩვენი დოსიე:** რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში — СКВО-ში შემავალი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის 58-ე არმიაში 46.652 კაცი მსახურობს და მისი შტაბი ჩრდილო ოსეთში, ქ. ვლადიკავკაზშია. ამ არმიაში გაერთიანებულია მე-19 მოტომსროლელი დივიზია (ვლადიკავკაზი); 42-ე მოტომსროლელი დივიზია (ჩეჩნეთი) და მე-20 მოტომსროლელი დივიზია (ვოლგოგრადი).*

*58-ე არმიას შეიარაღებაში აქვს 317 ერთეული ტანკი, 1260 ჯავშანმანქანა, 459 ცალი 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემა, 38 დამრტყმელი და 23 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი.*

ისევე, როგორც მასში შემავალი მე-19 მოტომსროლელი დივიზიის, 58-ე არმიის შტაბიც ვლადიკავკაზშია და მასში საკმაო რაოდენობით მსახურობს ოსი ეროვნების ოფიცერი და ზემდეგი. ეტყობა, ამიტომაც ხვდება ამ არმიის საწყობებიდან „მოპარული“ იარაღი და საბრძოლო საჭურველი შემდგომში ცხინვალში, კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლების ხელში.

მაგრამ ეს მხოლოდ შედარებით მცირე ზომის შეიარაღებას შეეხება, თუმცა არ არის გამორიცხული, 58-ე არმიიდან ჯავაში ან ცხინვალში ძალზე სერიოზული და მრისხანე იარაღი მოხვდეს.

კერძოდ, ლაპარაკია ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემა „ურაგანზე“, რომელიც თითქოსდა ვილაცებმა უკვე შეამჩნიეს ჯავის რაიონში. ყოველ შემთხვევაში, თუკი მართლაც დადასტურდა „ურაგანების“ კონფლიქტის ზონის ახლოს გამოჩენა, მაშინ უდავოა, რომ ისინი 58-ე არმიის საწყობიდან იქნება გამოტანილი.

***ჩვენი დოსიე:** ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 9П140 Ураган-ი 220 მმ კალიბრიან 16 რაკეტას 20 წმ-ში ისვრის მაქსიმალურ — 34 კმ-ზე. თითოეული რაკეტა 280 კგ-ზე მეტს იწონის, 16-ვე რაკეტის გასროლა აზიანებს 430 000 კვმ ფართობს.*

ამის მტკიცების საფუძველს ის გარემოებაც იძლევა, რომ სწორედ 58-ე არმიის „ურაგანები“ მეათე წელია დაუნდობლად ანადგურებენ ჩეჩნეთის მთასა და ბარს.

კონფლიქტის ზონის ზემოთ, ჯავაში, „ურაგანების“ შეყვანის შემთხვევაში საფრთხე უკვე ქალაქ გორის მოსახლეობასაც დაემუქრება.

# „იზაბელამ“ სანაპირო დაცვას სოხუმში შეასწრო

30 ივლისს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურმა ადლერის ტრავერსზე დააფიქსირა მცურავი საშუალება, რომელსაც გეზი საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთისკენ ჰქონდა აღებული.

სანაპირო დაცვის ორმა სწრაფმავალმა კატარღამ (მათგან ერთი „გრიფის“ ტიპისა იყო) უცნობ გემს, რომელმაც უკანონოდ დაარღვია ნაოსნობისთვის დახურული ზონა და ბიჭვინთის ახლოს, ნაპირიდან 2 მილში მიცურავდა, რადიოკავშირის საშუალებით მოსთხოვა შეჩერება და ვინაობის დასახელება. დამრღვევი გემი დუმილს ამჯობინებდა და გამალებით ცდილობდა, შეეღწია სოხუმის პორტში.

სოხუმის პორტიდან 4 მილში მას ქართველმა მესაზღვრეებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნეს ჰაერში, მაგრამ დამრღვევმა გემმა ყურადღება არ მიაქცია, შემდეგ მას ჩვენმა სასაზღვრო კატარღამ ცეცხლი დამიზნებით გაუხსნა საზენიტო დანადგარ ЗУ-23-2-ით.

გემი მნიშვნელოვნად დაზიანდა, მაგრამ მაინც შეასწრო სოხუმის პორტში. ქართული სასაზღვრო კატარღები მასზე სააბორდაჟო ჯგუფის გადასხმას აპირებდნენ, მაგრამ სოხუმის პორტიდან ერთ მილში ამ ჩანაფიქრს თავი ანებეს.

აფხაზურმა მხარემ დაზიანებული გემი თურქულად გამოაცხადა, თუმცა მისი ეკიპაჟი რადიოეთერში წმინდა რუსულ ენაზე სთხოვდა დახმარებას აფხაზებს მაშინ, როდესაც ქართული სასაზღვრო კატარღები მისდევდნენ. მაგრამ აფხაზები მას არ დახმარებიან.

ქართველი მესაზღვრეების მონაცემებით, დამრღვევი გემის სახელია „იზაბელა-1“, განეკუთვნება მშრალტვირთმზიდი გემის კლასს. მისი წყალწყვა დაახლოებით 350 ტონაა, ხოლო სიგრძე — 45 მ. სოხუმის პორტში შესვლისას მასზე აფხაზი სეპარატისტების დროშა ფრიალებდა.

ამავე პერიოდში ნაოსნობის წესების დარღვევის გამო, სანაპირო დაცვის ოპერაციების აჭარის რეგიონის ბაზამ სარფთან დააკავა თურქული მშრალტვირთმზიდი გემი „კაპიტანი ამჯა“, ოღონდ ყოველგვარი სროლების გარეშე.

# ჩვენც შეგვძლებია სტრატეგიულად მოაზროვნე ოფიცრების მომზადება



30 ივლისს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსის დიდ დარბაზში, ერთმანეთისგან დაშორებულ მერხებს თავდახრილი მამაკაცები უსხდნენ და გამალებით წერდნენ. ახლა საქართველოში მისაღები გამოცდებია და შეიძლება ეს არც ყოფილიყო გასაკვირი, რომ არა ერთი ნიუანსი — საგამოცდო ბილეთებზე პასუხის გასაცემად მაიორები, პოლკოვნიკები და ერთი ვიცე-ადმირალიც კი ემზადებოდნენ.

ამ დღეს მოხდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პირველი 17 კურსდამთავრებულის გამოშვება, რითაც შეიქმნა პრეცედენტი — უფროსმა და უმაღლესმა ოფიცრებმა ამ აკადემიაში სათანადო დონის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ, მიიღეს უმაღლესი სამხედრო-საინჟინრო ოპერატიულ-სტრატეგიული კვალიფიკაცია სამეთაურო-საშტაბო სპეციალობით.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, საქართველოშივე მომზადდა სტრატეგიულად მოაზროვნე ოფიცერთა ჯგუფი, რაც აუცილებლად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ისინი ერთი წლის განმავლობაში ეუფლებოდნენ დისციპლინას სახელწოდებით — „საომარი მოქმედებების და ოპერაციების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და სახელმწიფოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მომზადება თავდაცვისთვის“.

გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის, ელგუჯა მეძმარიაშვილის განცხადებით, — ერთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულებმა შეისწავლეს სამხედრო-საინჟინრო დაგეგმარების ყველა ის ნიუანსი, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, მათ დაქვემდებარებულ შენაერთებს გაუადვილდებათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის გამართული ბრძოლების მოგება.

P.S. გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პირველ კურსდამთავრებულებს ლექციები, თანამედროვე შეიარაღებისა და მისი განვითარების პერსპექტივების, ასევე ქალაქის პირობებში სხვადასხვანაირი იარაღის გამოყენებაზე, ამ სტატიის ავტორმაც წაუკითხა. ასე რომ, ჩვენთვის სულერთი არ ყოფილა, თუ როგორი იქნებოდა ამ აკადემიის პირველი გამოშვება.

# დასვენება ქართველ სამხედროებსაც სჭირდებათ

## ბიუროკრატების გამო წლეულს ქართველი სამხედროები შეღავათიან ფასად ვეღარ დაისვენებენ

დაბალი ხელფასის მქონე, სახელმწიფოსგან ყურადღებით ნაკლებად განებივრებული სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის შვება იყო ზაფხულობით თავდაცვის სამინისტროს ორ სანატორიუმში — წყალტუბოსა და ბორჯომში — საკმაოდ შეღავათიან ფასად დასვენება.

წლეულს მათ ამის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ, ყოველ შემთხვევაში, ზაფხულში. ეს იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთმა ბიუროკრატმა, მიუხედავად ბრძანებისა, დროულად არ მოამზადა და არ გაგზავნა საჭირო დოკუმენტაცია.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ძალოვან უწყებებს ახალმა ხელისუფლებამ გაუუქმა სპეციალური სახსრების მოხმარების უფლება, ანუ ძალოვანი უწყებების იმ დანაყოფებს, რომელთაც არასაბიუჯეტო შემოსავალი გააჩნდათ, აეკრძალათ ამის გაკეთება.

გამოსავალი იყო, ამგვარი დანაყოფები საჯარო სამართლის იურიდიული პირები გამხდარიყვნენ და საკუთარი ანგარიში ჰქონოდათ ბანკში.

მაგრამ რად გინდათ... თავდაცვის სამინისტროს ბორჯომის სანატორიუმი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში რუსი გენერლების საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა (შეიძლება იმიტომაც, რომ მთელი წლის მანძილზე არყითა და სპირტით გაჟღენთილი რუსი გენერლები ბორჯომის სანატორიუმში კუჭ-ნაწლავს მკურნალობდნენ), ა.წ. 1-ელი ივნისისთვის უკვე მზად იყო დამსვენებელთა მისაღებად. თუმცა ადმინისტრაციას ეს რომ გაეკეთებინა, მაშინვე კანონის დამრღვევი გახდებოდა, რადგან იმავე თავდაცვის სამინისტროში ბიუროკრატებმა ნახევარი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს საჭირო საბუთების მომზადება.

არადა, ბრძანება ამის შესახებ ჯერ კიდევ 2004 წლის 24 იანვარს აწ უკვე ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ გამოსცა. იგი ბრძანებაში თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მაშინდელ უფროსს ავალებდა, უმოკლეს ვადაში მოემზადებინა საჭირო დოკუმენტაცია წყალტუბოს ცენტრალური სანატორიუმისთვის (რატომღაც ბრძანებაში გამორჩენილია ბორჯომის სანატორიუმი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელის მისანიჭებლად.

მეორე დოკუმენტი, რომელიც იმავე პრობლემას ეხება, ა.წ. 20 თებერვლითაა დათარიღებული, რომელშიც თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ქარჩავა აცნობებს უკვე ახალ თავდაცვის მინისტრ ბეჟუაშვილს, რომ მის დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ დეპარტამენტს დავალებული აქვს თავდაცვის სამინისტროს 6 დანაყოფისთვის (თავდაცვის ეროვნული აკადემია, ბორჯომისა და წყალტუბოს სანატორიუმები, ჰიდროგრაფიული სამსახური და სხვა) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

მას შემდეგ 5 თვე გავიდა, მაგრამ ეს დოკუმენტები დღემდე მზად არ არის და, შესაბამისად, არც იუსტიციის სამინისტროშია გაგზავნილი. თავდაცვის სამინისტროში კი აღარც თევზაძე, არც ბეჟუაშვილი და არც ქარჩავა აღარ მუშაობენ.

თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ახალმა უფროსმა მამუკა კიკალეიშვილმა (რომელიც ამ ადგილზე სულ ერთი კვირაა, რაც დაინიშნა) „კვირის პალიტრას“ განუცხადა, რომ დღეს დაჩქარებული ტემპებით მიდის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და იგი უახლოეს დღეებში გადაიგზავნება მაღალ ინსტანციებში, მაგრამ საეჭვოა, რომ იმავე ბორჯომისა თუ წყალტუბოს სანატორიუმებმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლება ერთ თვეზე ადრე მიიღონ.

ასე რომ, წმინდა ბიუროკრატიული მიდგომის გამო ქართველი სამხედროები და მათი ოჯახები წლეულს ნანატრი დასვენების გარეშე დარჩნენ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში კატასტროფულ ნიშნულს უახლოვდება





„არც მეორე და მეხუთე შვილია საკმარისი ერის მატებისათვის. მაინც მადლობა მას, ვისაც სამი შვილი ჰყავს; უფრო დიდი მადლობა მას, ვინც ოთხი შვილი შესძინა ოჯახს. ძალიან დიდი მადლობა მას, ვინც ხუთი შვილი შემატა ერს, სახელი და დიდება მას, ვინც ექვსი შვილი გაუზარდა დედასამშობლოს. სწორედ მეექვსე შვილია დღესდღეობით საქართველოში ერის მატება. მესამე, მეოთხე და მეხუთე შვილები ანეიტრალებენ უშვილოებს(!), დაუქორწინებლებს, ერთშვილიანებს და მსხვერპლს. ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი მეექვსე შვილი იბადება საქართველოში და გამოვიტანოთ დასკვნა, როგორ მრავლდება ქართველი ერი... რა ხდება, რა გვემართება? ნუთუ ასე დავძაბუნდით და მოვეშვით? ნუთუ ასე უზრუნველი გავხდით და ბედს მივენდეთ? ნუთუ ასე მოგვიდუნდა ეროვნული ნერვი?“ — ამ სიტყვებით მიმართავდა 1982 წელს ქართველობას მწერალი გურამ ფანჯიკიძე. საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობით შეშფოთებული რესპუბლიკის მთავრობას და მის ხელმძღვანელს უყიჟინებდა, დაუყოვნებლივ მიეღო ქმედითი ღონისძიებები დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის კომპეტენტურ დასკვნებთან ჩემი აზრი რა მოსატანია, მაგრამ ორი წლის წინ „კვირის პალიტრაში“ მეც ვწერდი, რომ ქვეყანაში უახლოეს წლებში საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა იქნებოდა. რამდენიმე წელიწადში მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი აღარ იქნებოდა და მოსახლეობის შემცირება დაიწყებოდა. ისე ყველაფერი აგისრულდეთ, როგორც ეს ვარაუდი გამართლდა. უკვე მეორე წელია ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის შემცირება დაიწყო. ჯერჯერობით, სიკვდილიანობა შობადობას დაახლოებით ორი ათასი ადამიანით აჭარბებს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის დაბერების ტენდენცია შეინიშნება, ქართველი მოსახლეობის კლების პროცესი კიდევ უფრო გაიზრდება. ქართველი დემოგრაფები დიდ მიღწევად ჩათვლიან იმას, თუ ოჯახებში ორი ან უკეთეს შემთხვევაში, სამი ბავშვი მაინც იქნება. ვითარებას ისიც აუარესებს, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ბევრი ბავშვი ქუჩაშია გამოგდებული. ქუჩაში გაზრდილი ბავშვი კი უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებისათვის დაკარგულია. სამწუხაროდ, ადრინდელ ხელისუფლებას ამ პრობლემის გადასაჭრელად ბევრი არაფერი გაუკეთებია. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ახალმა ხელისუფლებამ დემოგრაფიული პრობლემისათვის ჯერ ვერ მოიცალა. არადა, ყოველმა დაკარგულმა დღემ შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

საქართველოში დღეს უამრავი სამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, რომელსაც მიუსაფარ ბავშვებსა და მარტოხელა დედებზე მზრუნველობა ევალება. ბევრია ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომლებსაც საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა და შემდეგ მისი გაუმჯობესების ხელშეწყობა ევალება. ერთი სიტყვით, მცირედი გამონაკლისის გარდა, არც სამთავრობო და არც არასამთავრობო დონეზე არსებითი არაფერი გაკეთებულა (რაც თუნდაც უმნიშვნელო შედეგს დაგვანახვებდა. — ზ. ჩ.).

ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **ანზორ თოთაძეს**: „ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრისათვის იყენებენ ე. წ. ნეტოს კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს, რამდენი გოგო შვა ერთმა ქალმა სიცოცხლის მანძილზე. გოგოზე აქცენტი იმიტომ კეთდება, რომ სწორედ მდედრობითი სქესია სიცოცხლის მომნიჭებელი. თუ ქალმა სიცოცხლის მანძილზე საშუალოდ ერთ გოგოზე მეტი შვა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ქვეყანას ბუნებრივი ნამატის იმედი უნდა ჰქონდეს. თუ კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, მაშინ მდგომარეობა არასახარბიელოა. 20-30 წლის წინ ნეტოს კოეფიციენტი საქართველოში 1,2-ს შეადგენდა; ანუ მომავალში 1000 დედას, სავარაუდოდ, შეცვლიდა 1200 დედა. 2002 წელს კი ეს მაჩვენებელი საქართველოში 0,677-მდე დაეცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1000 დედის ნაცვლად მხოლოდ 677 დედა გვეყოლება. სამწუხაროდ, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც ქვეყანაში წლის განმავლობაში 104 ათასი ბავშვი იბადებოდა. 1962 წლიდან ამ მაჩვენებელმა შემცირება დაიწყო და 2002 წლის აღწერის თანახმად, საქართველოში მხოლოდ 46.605 ბავშვი დაიბადა. აქედან ქართველი დაახლოებით 40 ათასი იყო. ე.ი. ბუნებრივი ნამატი თითქმის აღარ გვქონდა. ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებას მნიშვნელოვნად აფერხებს ქორწინებათა რიცხვის კატასტროფული შემცირება. იგი 52 ათასიდან 13 ათასამდე ჩამოქვეითდა და შემცირება კიდევ გრძელდება(!). დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი უსახსრობაც არის. წინანდელ ხელისუფლებას შევთავაზე, რომ თითოეული გაყიდული სიგარეტის კოლოფიდან და ღვინის ერთი ბოთლიდან ერთი თეთრი მაინც დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას მოხმარებოდა. ჩემი გაანგარიშებით, წელიწადში 10 მილიონი ლარი დაგროვდებოდა. თითოეულ ოჯახს თითოეული ახალშობილისთვის პრემიის სახით ათას ლარს თუ მივცემდით, წელიწადში 10 ათასი ბავშვი დაიბადებოდა. სახსრების მოძიება სხვა გზებითაც შეიძლებოდა, მაგრამ თავის შეწუხება არავინ ისურვა. ვის რაში სჭირდება ან ნავთობსადენი, ან აბრეშუმის გზა, თუ საქართველოში ქართველები აღარ იქნებიან. ვფიქრობ, ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტად სწორედ დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება უნდა დაისახოს“.

## „საქართველოდან უცხოეთში ყოველწლიურად 400-500 ბავშვი იყიდება(?!)“

ანზორ თოთაძესთან საუბრის შემდეგ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს, ავთანდილ სულაბერიძეს ვესტუმრეთ. ბატონი ავთანდილი დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეცაა.

**ავთანდილ სულაბერიძე:** „2003 წელს საქართველოში ქართველი ეროვნების მოსახლეობის ბუნებრივმა ნამატმა კლება დაიწყო; ანუ საქართველოში ქართველების დეპოპულაცია მიმდინარეობს. შარშან სიკვდილიანობამ ახალშობილთა რაოდენობას დაახლოებით 2 ათასამდე კაცით გადააჭარბა. მრავალმილიონიანი ქვეყნისათვის შეიძლება ეს მაჩვენებელი საგანგაშო არც იყოს, მაგრამ საქართველოსთვის ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, როცა დეპოპულაცია პროგრესირებს. ქართველები აზერბაიჯანელებსა და სომხებს დემოგრაფიული განვითარების მხრივ ჩამორჩებიან, არადა, გასული საუკუნის დამდეგს ორივე ერს კავკასიაში მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ჩვენ ვუსწრებდით. თუ 2002 წლის აღწერით საქართველოში 3,7 მილიონი ქართველი ცხოვრობდა, აზერბაიჯანში მოსახლეობის რაოდენობამ 8 მილიონს მიაღწია, ხოლო სომხები 1 მილიონით გვისწრებენ. საქართველომ დაკარგა კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივ დომინანტის პოზიცია და ბოლო ადგილზეა. შემაშფოთებელია ისიც, რომ საქართველოში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა 14%-ს აღწევს, როცა იგივე მაჩვენებელი აზერბაიჯანში 5%-ს არ აღემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის დაბერების პროცესი დაიწყო. დღეს სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამი შვილის ყოლაც დიდ ამბად მიგვაჩნია. ქართველი დემოგრაფები ახლა იმაზე ვოცნებობთ, რომ სამშვილიანი ოჯახების რაოდენობა 12-13%-ს უტოლდებოდეს. ახალგაზრდები თავს არიდებენ ოჯახის შექმნას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არა აქვთ საარსებო წყარო, არ გააჩნიათ ბინის აშენების პერსპექტივა, ხოლო მშობლებთან ცხოვრება ბევრს არ სურს. ერთი სიტყვით, დღევანდელ ხელისუფლებას ამ პრობლემის მოსაგვარებლად სერიოზული დაფიქრება მართებს“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საქართველოში უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს დემოგრაფიული საკითხების, მარტოხელა დედებისა და უპატრონო ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ გავესაუბრეთ მარტოხელა და მრავალშვილიან დედათა ასოციაციის, „დედის ძახილის“ ხელმძღვანელებს, **ზაირა კერესელიძეს** და **ელენე კახნიაშვილს**: — საქართველოში დემოგრაფიის მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. ჩვენი ორგანიზაცია არასამთავრობოა და, ძირითადად, დონორ ორგანიზაციებზე ვართ დამოკიდებული. რამდენიმე წლის წინ ამ მხრივ კარგი სიტუაცია იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ეს სფერო ლამის მომგებიან ბიზნესად აქციეს. რაკი დონორი ორგანიზაციები მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების სოციალური დაცვისთვის თანხებს არ იშურებდნენ, სახელმწიფო ჩინოვნიკებმა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება დაიწყეს(?!). როგორც კი შეიტყობდნენ, რომ ესა თუ ის დონორი ორგანიზაცია საქართველოში პროგრამის განხორციელებას იწყებდა, სასწრაფოდ იქმნებოდა რაღაც ორგანიზაცია და დაფინანსებაც იქით მიედინებოდა. როგორც კი თანხას ჩაიგდებდნენ ხელთ, ორი დღის შექმნილი ორგანიზაცია უკვალოდ ქრებოდა.

— **მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ქუჩაში გამოყრილი ბავშვები კრიმინალური სამყაროსა და ნარკოტიკების მსხვერპლი ხდებიან, რაც უფრო კიდევ ამძიმებს დემოგრაფიულ ვითარებას.**

— კრიმინალური სამყაროს და ნარკოტიკების გარდა, პროსტიტუციაც იფურჩქნება. ჩვენ ჯერ კიდევ 2001 წელს თბილისის საკრებულოს მივმართეთ წინადადებით, რომ გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახები სოფლად დაგვესახლებინა. ეს იდეა თვითონ მრავალშვილიან ოჯახებს დაებადათ. ქალაქში საარსებო წყაროს რომ ვერ ნახულობენ, სოფლებში გლეხური მეურნეობით მაინც არჩენდნენ ოჯახებს. ბევრი ვიშრომეთ, შევადგინეთ პროექტი და პროგრამა. თბილისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ლადო კახაძემ მოიწონა პროექტი. თითქოს გადაწყდა კიდეც, რომ ექსპერიმენტის სახით 50 მრავალშვილიანი ოჯახი ჩაგვესახლებინა სოფლად, თუმცა პროექტით ასი ოჯახი იყო გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, 50 ოჯახის ჩასახლებაზეც დავთანხმდით, მაგრამ თბილისის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურმა და მისმა ხელმძღვანელმა პროექტი შეაჩერა სახსრების უქონლობის გამო. დაგვპირდა, მომავალი წლის ბიუჯეტში გავითვალისწინებთო, მაგრამ მას შემდეგ საქმე ადგილიდანაც არ დაძრულა. სამწუხაროდ, ვერც ახალი ხელისუფლების მხარდაჭერას ვგრძნობთ. რა საჭიროა მიწისძვრით დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსების შეკეთება და მილიონების დახარჯვა, როდესაც ამ თანხების ნახევარიც საკმარისია 100 ან თუნდაც 50 მრავალშვილიანი ოჯახის სოფლად დასაბინავებლად...

დედაქალაქის ქუჩები სავსეა მცირეწლოვანი მათხოვრებით. მხოლოდ თბილისში დაახლოებით 2500 მაწანწალა ბავშვია — ზოგი მათხოვრობს, ზოგი პროსტიტუციას ეწევა, ზოგი კი უკვე ჩამოყალიბებული დამნაშავეა, არც ნარკოტიკებია მათთვის უცხო ხილი...

ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა პრობლემების გადასაწყვეტად მუშაობენ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები, თბილისის მერია, რაიონული გამგეობები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დღეს დაახლოებით 365 ბავშვი აფარებს თავს. დანარჩენი 2500 კი ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს.

საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არიან ოჯახები, რომლებსაც სამი, ოთხი და ხუთი შვილიც ჰყავთ. უმრავლესობა მორწმუნეა და ღვთის საჩუქრად მიიჩნევს შვილს. მათ მიუტევებელ ცოდვად მიაჩნიათ აბორტი. მართლაც, რა ძალამ უნდა აიძულოს ქალი, რომ თავის სისხლს და ხორცს ჯერ კიდევ წიაღშივე მოუსპოს სიცოცხლე?! სამწუხაროდ, საქართველოში ყოველწლიურად სავარაუდოდ, ასი ათასზე მეტი(!) სიცოცხლე ეწირება აბორტებს (ზოგიერთი წელიწადში რამდენჯერმე სჩადის ამ ცოდვას — ზ.ჩ.). სოკოსავით მომრავლდნენ აბორტმახერები, რომელთა უმრავლესობას საუკეთესო შემთხვევაში ექთანის კვალიფიკაცია აქვს. ამიტომ ოპერაციები ხშირად ფატალურადაც მთავრდება. ზოგ შემთხვევაში კი, თუ ღმერთმა ქნა და ქალი გადარჩა, მას დედობა აღარ უწერია(!).

ისანი-სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა ოჯახური ტიპის რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი **ციური კარელიძე:** — ამჟამად ჩვენთან 4-დან 14 წლამდე ასაკის 43 ბავშვი ცხოვრობს. ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი ოჯახური ტიპისაა — თითოეულ ოჯახში ათი ბავშვია. მათ სამი აღმზრდელი მეთვალყურეობს.

ბევრ ბავშვს ქუჩაში შეთვისებული ქცევები აქაც გადმოჰყვა. აქაც ქურდობდნენ, ჩხუბობდნენ და სხვა არაადეკვატურ ქცევას ავლენდნენ. გადაჩვეული იყვნენ ნორმალურ კვებას, საწოლში ძილს. ბავშვების უმრავლესობას არ ჰქონდა ნანახი ტელევიზორი, პიანინო და არ იცოდნენ წერა-კითხვა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ცხოვრების ნორმალურ წესს შეჰგუებოდნენ. იცით, სკოლის მასწავლებლები გაკვირვებული არიან ჩვენი ბავშვების სიბეჯითით და სწავლით.

— **როცა აღსაზრდელი 15 წლისა გახდება, რა ბედი ელის?**

— სამწუხაროდ, სახელმწიფოს ამაზე უკვე აღარ უფიქრია. წელს რამდენიმე აღსაზრდელს თოთხმეტი წელი შეუსრულდა და თბილისის მერიას სარეაბილიტაციო ცენტრში მათი დატოვება ვთხოვე. დამთანხმდნენ, მაგრამ ამით პრობლემა ხომ არ მოგვარდება? სასწრაფოდ უნდა გამოინახოს გზა თოთხმეტ წელს გადაცილებული ბავშვების შემდგომი უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ ქუჩას დაუბრუნდებიან...

ჩვენი აღსაზრდელების უმრავლესობას დედა ან მამა მაინც ჰყავს, მაგრამ მშობლებმა მათ მოვლა-პატრონობაზე უარი თქვეს. ზოგიერთ მშობელს ერთხელაც კი არ მოუკითხავს თავისი შვილისათვის. არადა, რომ იცოდეთ, როგორ ელიან დედებს ბავშვები, როგორი თვალებით გაჰყურებენ ყოველ შაბათ-კვირას ჩვენი ეზოს ჭიშკარს?

— **სახელმწიფოს გარდა ვინ გაფინანსებთ?**

— მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე ვართ. მხარში გვიდგას ზემო ბეთლემის ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი მამა იოანე. მან თავისი ხარჯებით ბავშვებს სამლოცველო ოთახი გაუკეთა. ყოველ აღდგომას და შობას საჩუქრებით ხელდამშვენებული მოდის. არც სხვა დღეებში აკლიათ მისი ყურადღება. სხვა არავინ გვეხმარება. არადა, ბავშვებს ბევრი რამ სჭირდებათ. წელს სკოლაში არიან წასასვლელები და ტანსაცმელია საჭირო. ისევ ჩვენ, ცენტრის თანამშრომლები ვახერხებთ ნახმარი ტანსაცმლის მოძიებას ნაცნობ-მეგობრებში.

როგორც გავიგე, შესაბამის სამსახურებს გადაუწყვეტიათ ბავშვების ოჯახებში დაბრუნება და სარეაბილიტაციო ცენტრების შენახვისათვის განკუთვნილი სახსრების მათთვის გადანაწილება. კარგია, თუ ბავშვი ოჯახს დაუბრუნდება, მაგრამ ისინი ხომ არაკეთილსაიმედო ოჯახებიდან არიან. დარწმუნებული ვარ, მათი მშობლები ფულს სასმელში გაფლანგავენ და ბავშვებს ისევ ქუჩაში უკრავენ თავს...

ქალბატონმა ციურიმ თავისი აღსაზრდელები გამაცნო. ბავშვები თავიდან მორიდებით მიცქეროდნენ, მერე ნელ-ნელა გათამამდნენ — ჟურნალისტის დიქტოფონითა და ფოტოაპარატით დაინტერესდნენ. ნელ-ნელა საუბარიც ავაწყვეთ.

— **დიდი ხანია აქ ხართ?**

— ზოგი რამდენიმე წელია, ზოგიც რამდენიმე თვეა.

— **სად გირჩევნიათ, შინ თუ აქ?**

— აქ ჯობია ყოფნა — სათამაშოებიც გვაქვს, ტელევიზორიც და პიანინოზე დაკვრასაც ვსწავლობთ.

— **დედა არ გენატრებათ?**

— არა, არ გვენატრება...

ეს იყო პირველი და უკანასკნელი ტყუილი, რომელიც პატარებმა მითხრეს — ცრუობენ. ასე უხდიან სამაგიეროს მშობლებს(!). სინამდვილეში იმ დღეზე ოცნებობენ, როდესაც დედა მოაკითხავთ, მითხრა ციური კარელიძემ.

კიდევ დიდხანს დავრჩი მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში. ბავშვებმა თავიანთი შემოქმედებაც გამაცნეს და იმპროვიზებულ კონცერტსაც დავესწარი. ვიჯექი პატარა ქართველების გარემოცვაში, რომლებსაც განგებამ ცხოვრების დასაწყისში დიდი გამოცდა მოუწყო. ვეთამაშებოდი ამ ცქრიალა და ლამაზ ბავშვებს და გული მიკვდებოდა, როდესაც მათ თვალებში ჩამალულ უსაზღვრო სევდას ვამჩნევდი.

მიუსაფარ ბავშვთა ოჯახური ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრიდან გეზი საქართველოს სახალხო დამცველის ოფისისკენ ავიღე და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, **თამთა წუწუნავას** ვთხოვე აზრის გამოთქმა: „დღეს რესპუბლიკაში მიუსაფარ ბავშვთა შვიდი თავშესაფარია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მაწანწალა ბავშვთა რაოდენობა სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნით არ შემცირებულა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# „ვიცი, ამ სიტყვებისთვის დამსჯიან...“



„ჩამოდით, მოგვხედეთ! – ჩვენს სისხლსა და ხორცს რომ გულში ჩავიკრავთ, ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს“

ვის რად უნდოდა შარბათი? რომ ვნახე, გამგებელმა სპექტაკლი მოაწყო, ველარ მოვითმინე. ამათ კი ნუ უსმენთ, იმათ ჰკითხეთ, როგორ არიან, განზე რომ დგანან-მეთქი. ჩვენს დელეგაციას რომ არ მივკედლებოდი, პროკურატურაში წამიყვანდნენ. გავიქეცი და ტყეს შევაფარე თავი. მერე სოფელ ითითალაში ერთმა ქართულმა ოჯახმა შემიფარა და დიდი წვალებით გადმოვედი საქართველოში. აქ კი ქართველმა მესაზღვრეებმა დამაკავეს, უკან მაბრუნებდნენ...

რამდენიმე ხნის წინ, როგორც იცით, ისტორიულ ჰერეთს, ე. წ. საინგილოს, ქართული დელეგაცია სტუმრობდა. მათ თანამოძმეებს საჩუქრად ქართული სახელმძღვანელოები და ჟურნალ-გაზეთები ჩაუტანეს. სამწუხაროდ, 15 ათასი სასკოლო სახელმძღვანელოდან არც ერთი არ ყოფილა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის — ამ წიგნებს საჩუქრად არ მივიღებთო, წინასწარ გვაცნობა ოფიციალურმა აზერბაიჯანმა. მწარე რეალობა ასეთია — იქაური ხელისუფლება საინგილოს მკვიდრთ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას უკრძალავს. საინგილოსკენ გახარებულები მივდიოდით, მაგრამ იქიდან გულდამძიმებული დავბრუნდითო, გვითხრა საქართველოს პარლამენტის წევრმა **ალეკო შალამბერიძემ**:

— ერთობლივი დელეგაცია, განათლების მინისტრისა და პარლამენტის წევრების შემადგენლობით, პირველად ჩავიდა ჰერეთში. სამ რაიონში: კახში, ბელაქანსა და ზაქათალაში 25 ათასი ქართველი ცხოვრობს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 53 ათასი ლარი გამოიყო, რომ შვიდი ქართული სკოლისთვის სახელმძღვანელოები შეგვეძინა. ზაქათალასა და ბელაქანში, ძირითადად, გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. კახში ქრისტიანი მეტია. აზერბაიჯანელები საქართველოში მშობლიურ ენაზე იღებენ განათლებას, არც გვარ-სახელს ართმევს ვინმე და არც ეროვნებას. საინგილოში დაბადებულ ქართველებს კი აზერბაიჯანელებად წერენ. აკრძალული აქვთ ქართული სახელისა და გვარის ტარება. მიუხედავად იმისა, ჰერები მაინც ახერხებდნენ მშობლიური ენისა და ქართული სკოლების შენარჩუნებას. სამწუხაროდ, ბევრ მათგანს საკუთარი გვარი აღარ ახსოვს.

აზერბაიჯანის უშიშროების სამსახური გულმოდგინედ მეთვალყურეობს ქართველებს. რატომღაც ისინი ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმაც დააფრთხო და ჩამოგვართვეს. ზედმეტია ლაპარაკი ქართული დროშის აღმართვაზე. თუმცა მითხრეს, სახლში ბევრს აქვს მალულად პაწაწინა ქართული დროშებიო. როდესაც ხალხს ვესაუბრებოდით, შევატყვეთ, განგებ გვახვედრებდნენ ისეთებს, რომელთაც აზერბაიჯანის ხელისუფლებაზე კარგის მეტი არაფერი ჰქონდათ სათქმელი. თურმე უშიშროება ორი კვირა მუშაობდა ინგილოებთან და ასწავლიდნენ, რა უნდა ელაპარაკათ. შეხვედრების დროს ზოგს უშვებდნენ დარბაზში, ზოგს — არა. დავრწმუნდი, თუ რაოდენ ძვირფასი და სანუკვარია იქაურებისთვის ყველაფერი ქართული.

ერთ-ერთ სკოლაში გვქონდა შეხვედრა. ქალბატონი წამოდგა და თქვა — ვიცი, ამ სიტყვებისთვის დამსჯიან, მაგრამ არ მეშინია, აზერბაიჯანული სკოლების ქართულ სექტორზე მშობლიურ ენაზე სწავლა შეზღუდულია. გვაიძულებენ ბავშვები აზერბაიჯანულ სკოლაში შევიყვანოთ. მინდა შვილები ქართულად აღვზარდო, თუ მშობლიური ენა არ ისწავლეს, ნამდვილი ქართველები როგორ იქნებიანო.

სოფელ ითითალაში ქართველი ბიჭი დაიჭირეს სამართალდამცველებმა იმის გამო, რომ თქვა — სკოლაში ილია ჭავჭავაძის კაბინეტი, ქართული წარწერები და მწერლების სურათები საჩვენებლად გაკეთდა, წახვალთ თუ არა, ჩამოხსნიანო. ბუნებრივია, ბიჭს გამოვექომაგეთ და გავათავისუფლებინეთ.

— **როგორ ცხოვრობენ, წეს-ჩვეულებები რამდენად აქვთ შენარჩუნებული?**

— გაგებული მქონდა, ქართველები მიწურებში ცხოვრობენო. მიწურები არა, მაგრამ ერთსართულიანი ოდასახლები ვნახეთ, რომლებიც ისეთი ჩუქურთმებით იყო დამშვენებული, ხელოვნებათმცოდნეებსაც რომ აღტაცებას მოჰგვრიდა. არ ვიცი, რამდენად ქრისტიანები არიან ჰერები, მაგრამ ნამდვილი ქართველები რომ არიან, ცხადია. ისე გვეპატიჟებოდნენ, როგორც იმერეთის სოფლებში იციან — აქამდე ჩამოხვედით, როგორ შეიძლება ოჯახში არ გვესტუმროთ, პური არ გატეხოთ და ჭიქა არ ასწიოთო. ჩვენი დელეგაციის რამდენიმე წევრი მართლაც ესტუმრა იქაურებს ოჯახში და მერე აღფრთოვანებული მიყვებოდნენ სტუმრის მიღების იქაურ წესზე — ჭიშკარში ფეხი შევდგით თუ არა, ღვინით სავსე თიხის დოქითა და ფიალით შეგვეგებნენ — კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო. ისეთი ქართული სუფრა გააწყვეს, ჩვენც რომ შეგვშურდებოდა, ღორის მწვადებით, ხაჭაპურითა და საცივითო. პირველი ჭიქით თურმე წმინდა გიორგის შეევედრნენ მფარველობას, მერე საქართველოს ერთიანობა ისურვეს, მიშა სააკაშვილი დალოცეს — ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჩვენთვისაც მოიცალოსო. არც წინაპრები დავიწყებიათ — პაპების ხსოვნის სადღეგრძელო შეუსვამთ, მათი წყალობით გვიდგას ქართული სისხლი ძარღვებშიო. ყველაზე მეტად თურმე ქალის მანდილის და მშვიდობის სადღეგრძელო ჰყვარებიათ.

აზერბაიჯანის განათლების მინისტრმა ძალიან მოინდომა, რომ კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წავსულიყავით. რაკი ვიცოდი, რომ ქურმუხობაზე აზერბაიჯანელებიც დადიან ქართულ სალოცავებში, მეგონა, აზერბაიჯანელი მინისტრიც გამოგვყვებოდა, მაგრამ ჭიშკართან დაგვემშვიდობა. ეკლესიას ქართული აკვანი ვაჩუქეთ და წმინდა გიორგის ხატი შევწირეთ. ტაძრის ეზოში ქართველთა საფლავები ვნახეთ, გვინდა, შეზღუდვები მოიხსნას, წელში გავიმართოთ და ქართველობის გამო უფლებააყრილნი არ ვიყოთო... გვეუბნებოდნენ.

დაგვაინტერესა იმ ბიჭის ბედმა, რომელიც აზერბაიჯანელ სამართალდამცველებს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან ჩვენი დელეგაციის წევრებმა. ის **თემურ ალა-მამედოვი-იაშვილი** აღმოჩნდა. თემურთან საუბარი მეტად ამაღელვებელი იყო: — საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ჰერები ჯერ თურქებად დაგვწერეს, მერე კი აზერბაიჯანელებად. გასული საუკუნის 30-იან წლებში კი პასპორტებში ყველას აზერბაიჯანული გვარი ჩაუწერეს. ასე იქცნენ ასისთავიშვილები ასლამოვებად, ვაჩნაძეები ველიევებად, გამხარაშვილები ისაევებად, ნაცვლიშვილები კი საფაროვებად. რაკი ჩემი გვარი თავადური იყო, აზერბაიჯანულ გვარს — მამედოვს „ალა“ წარუმძღვარეს, რაც ბატონს ნიშნავს.

თავის დროზე, ქართველები მაჰმადიანებად თვითგადარჩენისთვის მოექცნენ. იმედი ჰქონდათ, დრო მოვა და ისევ ქრისტიანობას დავუბრუნდებითო. ქართულ ენასაც ამიტომ უფრთხილდებოდნენ, ენის შენარჩუნება რელიგიასაც დაგვიბრუნებსო. ახლაც ბევრს უნდა ქრისტიანად მოქცევა, მაგრამ ვერ ახერხებენ. ზაქათალაში მე-16 საუკუნეში აშენებული ღვთისმშობლის სახელობის ერთადერთი ქართული ეკლესია იყო, რომელიც შაჰ-აბასმაც ხელუხლებელი დატოვა. 1971 წელს ზაქათალის რაიკომის პირველმა მდივანმა, ნაზირ აჰმედოვმა ააფეთქებინა(!). 10 წლის წინ ზაქათალაში მოძღვარი გამოჩნდა, რომელმაც ქრისტიანობა იქადაგა. მაშინ ბევრი მოექცა, მაგრამ ერთ ღამეს ყველას თავს დაესხნენ, სახლები ავტომატებით დაუცხრილეს და დაემუქრნენ — მეჩეთში თუ არ ივლით, დაგხოცავთო. მერე მოქცეული ქართველები სამსახურებიდან დაითხოვეს. დღეს ზაქათალის რაიონში მართლმადიდებლური ოჯახები არიან, მაგრამ ეს არავინ იცის. მალულად გადმოდიან საქართველოში, ინათლებიან, ჯვარს იწერენ, მაგრამ უკან დაბრუნებულები ამას არ ახმაურებენ. ზაქათალაში რომ გაიგონ ვინმეზე, მართლმადიდებელიაო, უსათუოდ გადაასახლებენ.

ბაქოში ქრისტიანული ეკლესია არის და ტაძარში მისვლასაც არავის უშლიან. ბევრ სოფელში ღორებიც ჰყავთ. ალიაბადში კი, აბა, გაბედე და ღორი იყოლიე ან ვაზი გააშენე.

7 წელია, რაც სოფლიდან გამომაძევეს იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტს ვაცნობე, ჩვენი უფლებები ილახება-მეთქი. პროკურატურა ჩასაფრებულია, რომ ჩავიდე, მაშინვე დამიჭერენ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ჯარი არ მომიხდია. არადა, ჯარში რომ წავიდე, ვიცი, ცოცხალი იქიდან ვერ დავბრუნდები.

კახის ქართულ ეკლესიაში ვერავინ ინათლება. ეშინიათ, უშიშროებაში დაგვაბეზღებენო. ერთიორი გამყიდველი იქაურ ქართველებშიც ურევია, აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის მუშაობენ. იმდენად გაფაციცებულია იქაური უშიშროება, ორი ქართველი ერთად რომ დაინახონ, ერთს მოისყიდიან, მეორეს კი დაიჭერენ. როცა კაცის გადაბირება უნდათ, ჯერ სთხოვენ, ჩვენთვის იმუშავეო, მერე მუქარაზე გადადიან — გადაგასახლებთო. ესეც თუ არ ჭრის, მერე ნაკვეთში კანაფს დაუთესავენ და „დანაშაულზე“ დაიჭერენ.

ინგილო ბევრისთვის აზერბაიჯანელობას ნიშნავს, აზერბაიჯანელებისთვის კი ქართველები ვართ. თუ ქრისტიანობას ვმალავ, ნუ ეწყინებათ და საქართველოს მთავრობის ბრალია. 1996 წლიდან აიკრძალა ჩვენს რაიონში ქართული სახელების დარქმევა. ბავშვი რომ დაიბადება, მაჰმადიანური სახელების ჩამონათვალს აძლევენ მშობლებს. იქაურ ქართველებს მხოლოდ იმ სახელების ტარება შეუძლიათ, რომლებიც ყურანშია მოხსენიებული. არც ევროპული სახელების დარქმევის უფლება აქვთ. უამრავი ბავშვია 5 წლამდე, რომელთაც ამის გამო დაბადების მოწმობაც არა აქვთ. შარშან ერთ სოფელში გამგებელმა ხალხს მოუწოდა — ოჯახებში ქართულად არ ილაპარაკოთო. ქართული დელეგაცია რომ ჩავიდა ჰერეთში, ჩემმა თანასოფლელებმა გამგებელს სთხოვეს, — ჩვენებურებს ცხვარს დავუკლავთ, ღვინით და შოთის პურებით შევეგებებითო. ის კი თურმე დამუქრებია — ახლოს თუ მოხვალთ, ნახავთ, რაც მოგივათო და იძულებულნი გახდნენ, შარბათით შეგებებოდნენ ქართველებს. ვის რად უნდოდა შარბათი? რომ ვნახე, გამგებელმა სპექტაკლი მოაწყო, ველარ მოვითმინე. ამათ კი ნუ უსმენთ, იმათ ჰკითხეთ, როგორ არიან, განზე რომ დგანან-მეთქი. ჩვენს დელეგაციას რომ არ მივკედლებოდი, პროკურატურაში წამიყვანდნენ. გავიქეცი და ტყეს შევაფარე თავი. მერე სოფელ ითითალაში ერთმა ქართულმა ოჯახმა შემიფარა და დიდი წვალებით გადმოვედი საქართველოში. აქ კი ქართველმა მესაზღვრეებმა დამაკავეს, უკან მაბრუნებდნენ. კიდევ კარგი მოვახერხე და ქალბატონ სევდია უგრეხელიძეს დავუკავშირდი. მისი ჩარევის შემდეგ გადმომიშვეს საზღვარზე.

ჩამოდით, მოგვხედეთ! თქვენგან მხოლოდ ერთს ვითხოვთ — სითბოსა და სიყვარულს. ჩვენ სისხლსა და ხორცს რომ გულში ჩავიკრავთ, ქართულ ლაპარაკს გავიგონებთ, ამაზე სასიხარულო ჩვენთვის რა უნდა იყოს?! ჰერეთის მიწიდან ქართველობა არ ამოიძირკვება. ამ ძირძველ ქართულ მიწას არ დავთმობთ. სანამ იქ ერთი ჰერი მაინც იქნება, ის ქართულად ილაპარაკებს...

**გოდერძი ოთარაშვილი,** საერთაშორისო კავშირის „ჰერეთის“ თავმჯდომარე:

— საინგილოში მცხოვრები ქართველების პრობლემების სათავე საქართველოს ხელისუფლების უყურადღებობა იყო. სიტუაციას ზოგიერთი ქართველის საქციელიც ამძიმებს. განგებ ამღვრევენ წყალს, რომ აზერბაიჯანელების კეთილგანწყობა მოიპოვონ და თავად იხეირონ. ქართველი რომ ქართველს დააბეზღებს, იმის ქართველობას რა ვუთხარი. ასეთი სულგაყიდული ადამიანების წყალობით ღიზიანდებიან აზერბაიჯანელები იქაურ ქართველებზე.

— **საინგილოში ჯერ კიდევ ბევრი ქრისტიანული ძეგლია, რა მდგომარეობაშია ისინი?**

— არაერთი ეკლესია შემორჩა, მაგრამ ერთადერთი მოქმედი ტაძარი, სადაც წირვა-ლოცვა ტარდება, კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა. რამდენიმე კვირის წინ იქ ახალი მოძღვარი დაინიშნა და ალბათ, ამის შემდეგ მაინც აღარ დახვდებათ სალოცავად მოსულებს ტაძარი დაკეტილი.

გიორგობის წინაღამეს კახის ეკლესიაში ლოცვით ვათენებთ და მერე ავდივართ მთაში, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ყველას სწამს, რომ ქურმუხი რწმენით შენავედრებს უთუოდ აუსრულებს. ამიტომაც იქ მისულ ქართველებს აზერბაიჯანელები სჭარბობენ. მუსლიმები ქურმუხში ქართული ადათ-წესების დაცვით შედიან, პირჯვარს იწერენ, სანთელს ანთებენ და ტაძარს უვლიან გარშემო.

ჰერელები ეკლესიაში რომ შევდივართ, ერთ სანთელს საქართველოსთვის ვანთებთ. გვჯერა, რომ ჩვენსას უფრო შეისმენს უფალი. იქ ქართული სიტყვაც და იავნანაც სხვაგვარად ისმის. აქაურებისთვის ქართველობა დიდი ჯილდოც არის და უმძიმესი ტვირთიც. ყოველდღე მადლობას ვწირავთ ღმერთს, რომ ქართველებად გაგვაჩინა და გვწამს — უფალი არ მიატოვებს ჩვენს სამშობლოს.

გული გვატკინა რუსთაველის ფრესკის დაზიანების ამბავმა. შოთა ჰერელებისთვის ერის დიდი მამაა, მისი „ვეფხისტყაოსანი“ კი საფიცარი წიგნი, ასე ვთქვათ, საერო ბიბლიაა. შოთა გვეხმარებოდა ქართველობის შენარჩუნებაში, მისი წიგნიდან ვსწავლობდით მეგობრობას, მოძმის სიყვარულსა და თანადგომას.

*მარი ზანდუკელი*

სახელმწიფოს ლიცენზირებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი
და მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
სხვა სასწავლებლებიდან გადმოსვლა გადასახადის გარეშე
მინიმალური გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
თბილისი, ჩარგლის 34
მეტრო „დიდუბე“
☎ 61-54-23 (დღისით)
61-69-77
71-55-11 (საღამოს)
www.medical.edu.ge

თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის
საერთაშორისო უნივერსიტეტი – თესისუ
მის: ფალიაშვილის 42, ☎ 25 15 61; 32 55 86; 8(99) 19 05 26
თესისუ
ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ყველა სპეციალობის პირველ კურსზე სწავლა უფასოა.
უნივერსიტეტში ყოველწლიურად მუშაობს სტუდენტთათვის სასწავლო-სამუშაო გაცვლითი პროგრამა „Camp America“
ვაჟებს გადაუვადდებათ სამხედრო სამსახური
- იურიდიული ფაკულტეტი
  - ✓ სამართალმცოდნეობა
- ეკონომიკის ფაკულტეტი
  - ✓ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
  - ✓ საბაჟო-საგადასახადო საქმე
  - ✓ საბანკო-საფინანსო საქმე
  - ✓ საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი
- ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
  - ✓ ჟურნალისტი
- უცხო ენების ფაკულტეტი
  - ✓ ინგლისური ენა და ლიტერატურა
  - ✓ გერმანული ენა და ლიტერატურა
  - ✓ ფრანგული ენა და ლიტერატურა

*უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი სასწავლო ბაზა; ფრიადოსნებს ენიშნება სტიპენდია; ფუნქციონირებს კომპიუტერული ცენტრი; გაიცემა კომპიუტერზე მუშაობის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.*

*ახალი 2004-2005 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში გამოყოფილია ორ-ორი ადგილი უფასო სწავლისთვის მაღალმთიანი აჭარის, სამაჩაბლოს ოსი ეროვნების და აფხაზეთის მცხოვრებთათვის – მათი სწავლის ხარჯებს მთლიანად უნივერსიტეტი დაფარავს. ვიმედოვნებთ, ამ აქციით „თესისუ“ მცირე წვლილს შეიტანს იმ პოლიტიკის წარმატებით განვითარებაში, რომელსაც ქვეყნის გამთლიანება უნდა მოჰყვეს.*

# ყოველივესთვის გმადლობთ, უფალო!

## უფლის გზით სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

***ამ გვერდს „კვირის პალიტრაში“ ტრადიციულად მართლმადიდებლურს ვუწოდებთ და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვცდილობთ, ამაღლებული, სულის მასაზრდოებელი მასალები გამოვაქვეყნოთ. ეს რუბრიკა გაზეთის მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ლალი გუნთაიშვილის სურვილითა და მოწადინებით იშვა, რაც იმით იყო ნაკარნახევი, რომ თითოეული მკითხველისთვის შეძლებისდაგვარად შეგვეთავაზებინა მართალი ღვთიური სიტყვა და ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად მოგვეწოდებინა გზააბნეულთათვის...***

***დღეს ქალბატონი ლალი ჩვენთან აღარ არის... კიდევ ერთხელ გთავაზობთ ფრაგმენტებს მისი წიგნიდან „გაცოცხლებული სახარება“, რომელშიც იგი უფლის ნაკვალევზე მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს...***

**ვიცი, უნდა დავწერო ის, რასაც ვწერ, მაგრამ წინდაწინ ვიცი ისიც, მიახლოებითაც რომ ვერ მივაგნებ იმგვარ სიტყვათა წყობას, რომელიც იმის ხორცშესხმას შეძლებს, რის შესახებაც ძალიან მინდა გიამბოთ, ანუ, ერთი ბანალური წინადადებით თუ ვიტყვი — ამის გადმოცემა შეუძლებელია! მაინც შევეცადოთ...**

**ქვეყანას, რომელზეც მოგითხრობთ, ისრაელი ჰქვია, ისრაელი, რომელიც არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰგავს თავისი იერუსალიმით, ბეთლემით, ნაზარეთით, სიონითა თუ გეთსამანიის ბაღით, ქვეყანა ბიბლიური დავითითა თუ აბრაამით, ქვეყანა უფლის რჩეული და უფლის გამცემი...**

### ბეთლემი

ბეთლემი აქედან (ჩვენ იერუსალიმის არაბულ ნაწილში ვცხოვრობთ, სასტუმროში) 15 წუთის სავალზეა. პასტორალური სანახები სახარებას გახსენებთ; მწყემსები, თხისა და ცხვრის ფარა ამ ადგილებში ახლაც ჩვეულებრივი პეიზაჟია. პირველივე ფრაზით მონუსხულები — უფლის შობის ადგილს ვნახავთო — ყველა თავის თავში ჩავბრუნდით და ყველა თავის სახარებისეულ ცოდნას ჩაუღრმავდა. მივაკვლიეთ გონებაში იმ ფურცელს, უფლის შობა რომ ჰქვია. მივაკვლიეთ ნაზარეთიდან ბეთლემისკენ გამოსულ მართალ იოსებსაც...

ერთ მეტრზე ოდნავ მაღალ ღიობში, თავდახრილი და მხრებში მოდრეკილი შედიხარ!.. მარმარილოს ოვალური ფილა მოვერცხლილი თოთხმეტქიმიანი ვარსკვლავით, ზუსტად იმ ადგილის მიმანიშნებელია, სადაც იშვა ყრმა.

სწორედ აქ და სწორედ იმ „25-სა დეკემბერსა“ გაისმა ანგელოზთა გალობა ზეციდან: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება (ამინ!)“

მერწმუნეთ, იმის თქმა და დაწერა, რომ ფეხი დაადგი იმ წმინდა მიწას და ხელით შეეხე იმ ბაგას, სადაც კაცობრიობის მხსნელი მოევლინა ცოდვილ ქვეყანას, ოდნავადაც არ გადმოსცემს იმ განწყობილებას, იმ სისავსეს, რომელიც ჩვენ მიერ აქამომდე განცდილს ყველაფერს აჭარბებდა... სახეზე ყველას სხვა იერი გვედო, არ მომჩვენებია — სხვანი შევედით, სხვანი გამოვედით...

### ბეთანია

სასწაული კი გრძელდება... ახლა იმ სასწაულის წინაშე ვდგავართ, ბეთანია რომ ჰქვია.

აი, ის სამარხიც... აი, ის ამოქოლილი კარიც, რომელიც რატომღაც ბერძნებს ამოუგმანავთ, შესასვლელი სხვა მხრიდან გაუკეთებიათ და კიბეებით, თითქოს გამოქვაბულივით ხაროში ეშვები. ეს კიბეები, სწორედ იმ ამოქოლილ სამარესთან მიგიყვანთ, ლოდით რომ იყო დაგმანული. წმინდა ლაზარეს საფლავთან საქართველოს აღდგინება შევავედრეთ უფალს და ქართული ენის საგალობელი ვთქვით (ლაზარე ხომ ქართული ენის სიმბოლოდ გვაქვს გააზრებული). სიწმინდედ აქაური მიწა ავიღეთ, ქართულ ტაძრებს გვინდა დავურიგოთ... წმინდა ლაზარეს საფლავი ადრე ქართველებს ეკუთვნოდაო — გული გვატკინა დედა ანასტასიამ... გული კიდევ ბევრჯერ გვეტკინება ამ წმინდა მიწაზე.

12 წმინდა ადგილი გვკუთვნებია წმინდა მიწაზე. ეს მხოლოდ მონასტერი და, საკურთხეველს რომ აღზევებული მორწმუნე წინაპარი ლამის უფლის თითოეული ამოსუნთქვის ადგილზე აგებდა... რანი ვყოფილვართ, დიდნო ქართველნო...

### ჯვრის მონასტერი

აკი უკვე ვთქვით, იერუსალიმში ყველა თავის წილ სალოცავს ნახულობსო... ვაი, რომ ახლა, ქართველთა ერთი უმთავრესი წმინდა კერის, აწ უკვე დაკარგული პალესტინის ჯვრის მონასტრის გალავანს გარეთ ვართ... გალავნიდან მონასტრის კარამდე მისასვლელი გზა მდუმარებით განვვლეთ. წინადღეს აქაურობა დაკეტილი დაგვხვდა. ზედმეტად მიახლოებასაც რომ მოერიდები, ისეთი მოკრძალებით დავახანეთ შესასვლელთან — უნდა შემოგვიშვათ, ჩვენ იმ ივერიიდან ვართ, რომლის პატარა ნაწილი აქ გვეგულება, წინაპართა სალოცავში მოვსულვართ პატიების სათხოვნელად... მძიმედ იღება კლდეკარის ხვრელი... აქაც ისეთივე თავდადრეკილი უნდა შეხვიდე ღიობში, უფლის შობის ადგილზე რომ იყო, ბეთლემში... დღევანდელმა პატრონებმა, ბერძენმა მღვდელმა და ალბათ ფოფოდიამ, გასაღებების უზარმაზარი წყებით გაგვიღეს ტაძარი... რომ შეიძლებოდეს, ახლა მკითხველს წუთიერ დუმილს და ფეხზე წამოდგომას შემოგბედავდით — მაინც რა დიდი წინაპრების შთამომავალნი ვართ... ქართველებს ამ მონასტერში დიდი ხანია, არ შემოუხედავთ, და თუ შემოუხედავთ, მხოლოდ სტუმრის როლში, აქაოდა, ახლანდელ მასპინძელს თავი არ შევაბეზროთო. არადა, რა წმინდა ქართული ბერ-



1999 წელი
იერუსალიმი,
ჯვრის მონასტერი,
შოთა რუსთაველის
ფრესკასთან

ული ცხოვრება ახსოვს აქაურობას, რა მომლოცველობა და ჩუმი ფსალმუნნი... ტაძრის სვეტებიდან ისეთი მშობლიური ფრესკები შემოგეგებებიან, სუნთქვა გეკვრის და კიდევ მერამდენედ დუმდები — კვლავ ის მომენტი დგება, როცა სიტყვა უძლურია განცდასთან... ერთი ეგ იყო, იოანე დამასკელისა და მიქაელ მოდრეკილის უზარმაზარ ფრესკებს შუა ჩვენი შოთას ციცქნა გამოსახულებას რომ წავადექით, — შოთაო, — ყველა ერთმანეთს შევეხმიანეთ და კვლავ ფიქრს გავყევით (როცა დიდ წინაპრებზე ვსაუბრობთ, ბატონები: აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძეც უნდა მივათვალოთ, 700 წლის დაკარგულ შოთას რომ მიაგნეს და დაგვიბრუნეს)...

სწორედ ჯვრის მონასტრის ადგილზე ახარა ბიბლიურმა ლოტიმ ის ხე, შემდეგ რომ მოჭრეს უფლის ჯვარსაცმელად. ამ ხის ნაძირკვალზე აუგიათ ჩვენებურებს მონასტერი, „ჯვრისა“ უწოდებიათ და ლოცვად დაყუდებულან... ახლა ჩვენ იმ ნაძირკვალს ვეამბორებით და მამა ილია (ნასიძე) წმინდა მეფის, თამარის სადიდებელ მცირე პარაკლისს იხდის — შეგვეწევა დიდი თამარი!

### „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“

გალილეა კიდევ ბევრ შეხვედრას გვპირდება, მაგრამ არის ამ კუთხეში ადგილი, რომელთანაც „სხვებს ხმა არ ამოეღებათ“. მას იორდანე ჰქვია...

არა, არ არის იორდანე მოზარზეიმე მდინარე... არ მოედინება გაშლილ ველზე, არც ისეა გადაჭიმული, თვალი რომ შორს გაადევნო... ფინიკითა და პალმებით შემოზღუდული ულამაზესი ზურმუხტ-ლაჟვარდისფერი იორდანე ერთი პატარა მდინარეა, მაგრამ ისეთი როლშესრულებული წყალი დგას მის კალაპოტში, რომ პლანეტის „უდიდეს“ მდინარედ ქცეულა... ნათლისღების დღესასწაულზე აქ ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ ნახავთ, ახლა კი თავისუფლად ვუახლოვდებით ნაპირს, რამდენიმე კიბით ვეშვებით და კიდევ ერთხელ ვთამამდებით, ფეხით ვბედავთ შესვლას იორდანეში და იქნებ სწორედ უფლისა და ნათლისმცემლის ფეხდადგმულ ქვასაც კი ვეხებით... სანახები ხომ მაინც არის მაშინდელი... მოდი ახლა და წერე უემოციოდ — ხომ გითხარით, შეუძლებელია-მეთქი! — ამას მხოლოდ მაშინ შეიგრძნობთ, თუ იორდანეში შედგამთ ფეხს...

მამაომ პეშვით გვასხურა თავზე წყალი; იორდანეში განვიწმინდეთ — ეს არ არის პათეტიკა.

### ანგელოზის სამლოცველო

დგახარ უფლის საფლავის ღიობის წინ, იცი, ახლა დახრი თავს და შეხვალ... და სად შეხვალ? იქ, სადაც უფალი შეასვენეს და, სადაც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ აღსდგა? იმდენი ემოცია გიპყრობს, ერთი საერთო განმარტება ვერც აზრისთვის მიგიცია და ვერც განცდისთვის... უბრალოდ, აბსოლუტური დუმილით, მხოლოდ ფეხების გაუკონტროლებელი გადაადგილებით შეაბიჯებ პირველ, ზომით უფრო დიდ ოთახ-საკანში, რომელსაც ანგელოზის სამლოცველო ჰქვია...

### აღდგომის ცისკრის სანთელი

თავდახრილი შედიხარ პატარა სამლოცველოში... მარმარილოს ფილის ქვეშ უფლის საფლავის ქვა დევს. საფლავის თავზე, ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, მდიდრულ სასანთლეებსა და კანდელებს უპყრიათ სივრცე, საფლავისგან მარცხნივ მწუხარე ღვთისმშობლის საოცარი ძალის ხატი კიდია. ენით უთქმელ დედობრივ დარდს შეუპყრია მარიამი, დედათა შორის უპირველესი... მარმარილოს ფილის შუაგულში, ღრმა სასანთლეში ის სანთელი ანთია, ყოველ აღდგომის ცისკარზე რომ ინთება ღვთიური ნებით ზეციდან დაშვებული ნათელი შუქით... ჩვენს უკან მომლოცველების რიგი დგას... ისევ ვტრიალებთ, ისევ ვბრუნდებით, ისევ ვეამბორებით, ისევ ვლოცულობთ, გულით და ბაგეებით ვლოცულობთ მხოლოდ. ამას ჰქვია ალბათ გულმხურვალე ლოცვა. ერთ-ერთმა ჩვენგანმა, — მგონი, სიცხემ ამიწიაო, თქვა...

სამარხიდან გამოსულები დაბნეული ცხვრის ფარასავით ვართ, ვინ საით იწევს და ვინ საით... გოლგოთის კიბეზე, გარდამოხსნის ვარდისფერ ფილასთან, უფლის საფლავის კართან, ზოგი კვლავ შიგნით შედის, არც აქვს აზრი ახლა ჩვენს მოხმობას, „ამან“ უნდა გაგვიაროს, ახლა სიტყვას ძალა დაკარგული აქვს...

### ამაღლების ცისკარი

ვერავინ გადამარწმუნებს, რომ დიდ გრძნობას და განცდას ლაპარაკი უხდებოდეს — ჩვენ, ყველანი, დიდხანს ვდუმდით, ვდუმდით ავტობუსში, ვდუმდით სასტუმროში, ვდუმდით და ვფიქრობდით, ოღონდ საფიქრალი გვქონდა საერთო.

ბედნიერება ბევრ რამეს ჰქვია, მაგრამ ეს ბედნიერებაზე მეტია, მოხვდე დედამიწის დედაქალაქში და მოხვდე დიდი საუფლო დღესასწაულის დღეებში...

ხუთშაბათს ამაღლების დილა თენდებოდა...

ოთხშაბათს, შუაღამისას ამაღლების ცისკარი სრულდება ქრისტიანების უპირველეს, აღდგომის ტაძარში... ჩვენ უნდა დავესწროთ...

მივადექით სწორედ იმ მოედანს, რომელზეც უფლის ტაძარი დგას... ველოდებით შესასვლელის გახსნას — არ დაუგვიანიათ. ის განცდაც არ არის ჩვეულებრივი, რომ დგახარ და შენ თვალწინ გასაღებების მთელი ასხმულიდან ერთ-ერთით ჯერ ურდულს ხსნიან, შემდეგ ჩხაკ და იღება ისიც, მთავარი სიწმინდე...

უფლის საფლავთან ვართ... დღეს აქაურობა სინათლედ იღვრება, ანთია სანთელკანდელი, კელაპტრები. ტაძარში იმდენი ჭაღი ბდღვრიალებს, გამჭვირვალეა ყველაფერი.

იწყება ამაღლების ცისკრის ლიტურგია. ლამაზი აღნაგობის, კარგი ტემბრხმიანი დიაკვნები ფსალმუნებს გვიკითხავენ... წინამძღვარმა სახარებაც წაიკითხა და შემდეგ რაღაც უჩვეულო მომენტი დადგა — უფლის საფლავის შესასვლელი ჩახჩახებს, წინ დიდი კელაპტარი ანთია, იმ მარადიული ალით ანთებული, ყოველ აღდგომას რომ ეშვება ზეციდან... აღდგომის ტაძრის კიბეზე ეშვება წინამძღვარი, ლოცვით შედის სამარხში, ლიტურგია გრძელდება, გარკვეული დროის შემდეგ კიბეს სხვა მოძღვარი ჩამოუყვება და სწრაფი ნაბიჯით შედის საფლავის კარში... შესამოსი კი ყველას სპეტაკი თეთრი აცვია, საზეიმო ოქროსფერი ჯვრით ამოტვიფრული ანაფორები... ნელ-ნელა ივსება საკმევლის სუნით მთელი სივრცე... იმატებს მრევლი, იმატებს უფლის საფლავში მლოცველ მამათა რიცხვიც... ვდგავართ, გულში ჩვენს სანუკვარ ლოცვას ვამბობთ და ბედნიერნი ვართ, რომ ახლა ამ დიდ საკურთხეველში ჩვენგან უხილავად ქართულად ლოცულობს ჩვენი მოძღვარი... კარგა ხანია, საკურთხევლიდან აღარავინ დაშვებულა საფლავისკენ მიმავალ კიბეზე.

უცებ ტაძრის კარებში გამოჩნდა უფლისწულივით ახოვანი და აღნაგი ჩვენი მამა ილია, თეთრსამოსიანი და გასხივოსნებული, საკმევლითა და ქართული ლოცვანით ხელში შეუერთდა მოძღვრებს უფლის სამარხში მამა ილია. სული აგვევსო, ახლა უნდა მეთქვა, მადლით-მეთქი და მომიტევოს უფალმა... უფრო გავმხნევდით, უფრო მივუახლოვდით უფალს და მაშინ, როდესაც სხვა ენებზე ნათქვამს მამა ილიას — დიდება მამასა და ძესა და წმიდა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო, — უერთდებოდა, აპოგეა ერქვა ამ წუთებს...

დადგა ის ჟამი, უფალთან თანაზიარება რომ ჰქვია... უფლის საფლავიდან სეფისკვერით თავმობმული ლანგარი გამოიტანეს... მაზიარებელთა რიგში ჩავდექით და წმინდა ზიარების უღირსნი ქვეყნიერების უპირველეს წმინდა ადგილზე, წმინდა ზიარების ღირსნი გავხდით... ამ ფრაზებს დუმილი უხდება...

უფლის საფლავთან მდგარ მარადიული ცეცხლით ანთებულ კელაპტარზე წამოვანთეთ 33 სანთელი და, იმის ნიშნად, რომ ქართველთა ოჯახებში გადავიდეს სიწმინდედ და რწმენად, ჩანთებში ფრთხილად და საიმედოდ შევინახეთ...

დავტოვებთ იერუსალიმს, რომლის კარიბჭესთან მისული ერთი ჩვენი დიდი ღირსი მამა, შეცბა, შეყოვნდა, მეხივით დაატყდა იმის განცდა, რასთანაც ელოდა შეხვედრა და — არა, ღმერთო, მე ამის ღირსი არ ვარო და შორეული საქართველოდან ფეხით ჩასულმა წმინდა ქალაქშიც კი არ შეაბიჯა (ჩვენ კი როგორ შემოგეთამამეთ, უფალო!..).

მხოლოდ ის გაბედა, მადლს გავიყოლებ აქედანო და ქალაქის მისასვლელიდან სამი ქვა აიღო...

გადმოცემით ვიცი, იერუსალიმის პატრიარქს ეზმანა შორეული ქვეყნისკენ გზადამდგარი ბერი, რომელსაც ქალაქიდან მთელი ჩვენი მადლი მიაქვსო და მსტოვრები დაადევნა, ერთი ქვა გამოატანეს მხოლოდ... დღეს ეს მადლიანი ქვა ჩვენს პატრიარქთან ყოფილა... მადლი არ მოაკლოს ღმერთმა... ის წმინდა მამა დავით გარეჯელი გახლდათ...

ამაღლების ცისკარი ჩათავდა... იერუსალიმის ქუჩები ისევ მყუდრო იყო და ჩუმი. ჩვენი ფიქრი იყო ხმაურიანი, ოღონდ ჩუმად, ჩვენდა გულებში ხმაურობდა — შემოქმედო ღმერთო, დაუსაბამოო, არ დაგვამორჩილო მაცდურებას და ბოროტებას, გვიმრთელე სინდისი, იხსენ დიდი განსაცდელის წინ მდგარი ჩვენი ერი და ქვეყანა, მკრეხელობისგან დაგვიცევ! განგვამტკიცენ რწმენაში და მოგვმადლე მოტევება ცოდვათა... წინ ხომ შენი განკითხვის ჟამი გვიდგას...

ყოველივესთვის გმადლობთ, უფალო!..

***„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველებს მოკრძალებით სთხოვს, ლოცვაში მოიხსენიონ ახალშესვენებული ლალის (ელენეს) სული...***

# დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში კატასტროფულ ნიშნულს უახლოვდება

## „საქართველოდან უცხოეთში ყოველწლიურად 400-500 ბავშვი იყიდება(?!)“

*(დასაწყისი იხ. გვ. 10)*

ამჟამად ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც სოფლად კოტეჯების აშენებას ითვალისწინებს. თითოეულ კოტეჯში რამდენიმე მიუსაფარი და ობოლი ბავშვი იცხოვრებს. მათ ეყოლებათ აღმზრდელი დედობილ-მამობილი. ბავშვების ჰარმონიული განვითარებისთვის დედაც საჭიროა და მამაც და ასე ხელოვნურად შეიქმნება ოჯახი. სოფელზე იმიტომ ვართ ორიენტირებული, რომ მაწანწალა ბავშვებს უჭირთ ქუჩის მიტოვება და, ვფიქრობთ, სოფელში პრობლემა უფრო იოლად მოგვარდება. სოფელში ბავშვი ბუნებასთან ახლოსაა. ეჩვევა შრომას. ჩვენი აზრით, სოფელში ბავშვთა ოჯახების გახსნა საუკეთესო გამოსავალი იქნება შექმნილი მდგომარეობიდან“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ნაციონალური გადარჩენის“ პრეზიდენტი **ნინო ფერაძე**: „დემოგრაფიულ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ თითქმის თხუთმეტი წელიწადია საქართველოში ფეხი მოიკიდა საზღვარგარეთ ახალშობილთა გაყიდვის ბიზნესმა. უამრავი ფირმა იყო ამ საქმით დაკავებული. მოგვიანებით, როგორც იქნა, ხელი გამოიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ და რამდენიმე დამნაშავე ამხილეს. როგორც გავიგე, ამ საქმით დაკავებულებმა უფრო დახვეწილ ხერხებს მიმართეს. მაგალითად, ბავშვის ყიდვის მსურველი უცხოელი მოქალაქე ტურისტად ჩამოდის და წვება იმ სამშობიაროში, სადაც დონორმა დედამ უნდა იმშობიაროს. ახალშობილს უცხო ქვეყნის მოქალაქის შვილად აფორმებენ და რამდენიმე დღეში „დედა-შვილი“ ტოვებს საქართველოს. მეორე ხერხი რამდენიმე ჩინოვნიკის მოქრთამვას ითვალისწინებს. როგორც იცით, ჩვენთან დაშვებულია მძიმე თანდაყოლილი სენით დაავადებული ბავშვების საზღვარგარეთ გაშვილება. გაშვილების პროცესი ამ შემთხვევაში გამარტივებულია. უმეტეს შემთხვევაში სავსებით ჯანმრთელი ბავშვების გაშვილება ხდება ყალბი ავადმყოფობის ისტორიების მეშვეობით. ამ გზით საქართველოდან წლის განმავლობაში საშუალოდ 400-500 ბავშვი იყიდება(?!).

რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას იმის თაობაზე, რომ საქართველოში ქართველების დეპოპულაცია შარშან ან წელს დაიწყო, სიმართლეს არ შეესაბამება. დეპოპულაცია ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ არის დაწყებული, მაგრამ წინა ხელისუფლება ამას მალავდა და ახალშობილთა რიცხვს ხელოვნურად ზრდიდა. დღეს კი მდგომარეობა იმდენად საგანგაშოა, რომ ვერც დემოგრაფებმა და ვერც სტატისტიკოსებმა ვერ შეძლეს მოსახლეობის ბუნებრივი კლების დამალვა. ჩემი გაანგარიშებით, საქართველოში საშუალოდ 37-38 ათასი ქართველი ბავშვი იბადება, ხოლო სიკვდილიანობა ქართველებს შორის 50 ათასს მიუახლოვდა. ეს ქართველი ერისათვის კატასტროფის მომასწავებელია.

P. S. მე და ჩემმა მეუღლემ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, თუ ისანი-სამგორის რაიონის მიუსაფარ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი ნებას დაგვრთავს, შაბათ-კვირაობით ერთ ბავშვს წამოვიყვანთ შინ. მინდა ოჯახურ გარემოში, ჩემი შვილების გვერდით იყოს. დარწმუნებული ვარ, ჩემს ამ ნაბიჯს უამრავი მიმდევარი გამოუჩნდება და მიუსაფარი ბავშვებისთვის სიხარულის მინიჭება და მათ სახეზე ღიმილი საუკეთესო საჩუქარი იქნება თითოეული მათგანისთვის.

მთელი სიცოცხლე სიკეთის ქმნას გვასწავლიდნენ. ამასვე მოითხოვდა და გვინერგავდა თითოეულს ჩვენი გაზეთის რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი, რათა ქართველებმა ხშირად გავიმეოროთ — *„წუხელი ბიჭი დაბადებულა, / დაურქმევიათ თურმე დავითი, / — წუხელი გოგოც დაბადებულა, / დაურქმევიათ თურმე თამარი“.* ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ქართველებს დავითი და თამარი, ლუკა და თეკლა...

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ღირს კი კოკოითი 20 მილიონი?

## კუთხეში მიმწყვდეული კაცის ბაქიბუქი





რუსებისგან გულმოცემული ედუარდ კოკოითი სულ უფრო და უფრო სენსაციურ განცხადებებს აკეთებს. გასულ კვირას სამხრეთ ოსეთის უკანონო პრეზიდენტმა НТВ-ის სტუდიაში რუს ჟურნალისტებს „ჩამოუჭიკჭიკა“ — საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლები ოსეთის დამოუკიდებლობაზე უარის თქმაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტს და სოლიდურ ქრთამს — 20 მილიონს მთავაზობდნენ, მაგრამ ის კაცი არ ვარ, თანამდებობასა და ფულს დახარბებულმა ჩემს ხალხს ვუღალატო. იარაღით დავიცავ „ჩემი ქვეყნის“ დამოუკიდებლობასო და იქვე დაასახელა პარლამენტარი ვლადიმერ გუცაევი, რომელსაც მისთვის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შეუთავაზებია. კოკოითის ნაბოდვარზე **ვლადიმერ გუცაევი** გაოცებისგან მხრებს იჩეჩს:

— აბსურდია 20 მილიონის შეთავაზების ამბავი. ვიცე-პრეზიდენტობას როგორ შევთავაზებდი, როდესაც ეს ჩემთვის არავის დაუვალებია. ან როდის უნდა შემეთავაზებინა, როდესაც კოკოითი სულ ერთხელ მყავს ნანახი. როცა ახალგორის რაიონის მაჟორიტარობას ვაპირებდი (2 ნოემბრის არჩევნებში), ცხინვალში ჩავედი, რათა იქაურ ხელმძღვანელობას ახალგორელებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა. მაშინ შევხვდი კოკოითს და ცივი უარი მტკიცა — მოსკოვს ვერ გავაღიზიანებთ თქვენ გამოო. შევთავაზე, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა მოვაგვაროთ, ჯერ სპორტით დავიწყოთ. თუ გინდათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვ, სამხრეთ ოსეთის ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს პირველობისთვის ბრძოლაში ჩართოს-მეთქი. ამაზეც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ნაადრევია ამაზე ლაპარაკიო. მერე დაიჩივლა, 12 წელია საქართველოს ხელისუფლებას ერთი ცენტიც არ გაუმეტებია ჩვენთვისო. ვუთხარი, — მაჟორიტარობა იმიტომ მინდა, რომ დაგეხმაროთ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე.

ეტყობა, ასეთი ქმედებებით ოსი მოსახლეობის გულის მოგება უნდა. მათ კი თანდათან გული უცრუვდებათ თავიანთ ცრუპრეზიდენტზე. კოკოითი განწირულია, მისი რეიტინგი თანდათან ეცემა. მისი სულ უფრო და უფრო ნაკლებად სჯერათ და ამიტომ ყველა საშუალებას მიმართავს გადასარჩენად. ოსი ვარ და უპირველესად მე არ მჯერა მისი. ის რომ ოსეთის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობდეს, შეიძლება კიდევ დაფიქრდე კაცი, მაგრამ ოსეთი საქართველოდან იმიტომ უნდა გავიდეს, რომ რუსეთს შეუერთდესო, სრული აბსურდია. ჩემნაირად დაახლოებით 100 ათასი ოსი მაინც ფიქრობს საქართველოში. რატომ უნდა შევუერთდე რუსეთს, როდესაც არ მინდა რუსეთში ცხოვრება?

გულწრფელად გეტყვით, კონფლიქტის ზონაში დღემდე მხოლოდ იმიტომ არ ჩავსულვარ, რომ ხელისუფლებას არაფერი დაუვალებია ჩემთვის. ნამდვილად არ მინდა მთავრობას გადავახტე და ჩემი ინიციატივით ვიმოქმედო. თუ კოკოითმა ასე გააგრძელა, უთუოდ ჩავალ ცხინვალში არა როგორც დეპუტატი, არამედ როგორც რიგითი ადამიანი და დაველაპარაკები. მისი ბოევიკების არ მეშინია. უთუოდ გავარკვევ, რა უნდა ამ კაცს... რა 20 მილიონი და ხელისუფლების რომელი წარმომადგენლები? რაკი მრავლობითით ლაპარაკობს, ე. ი. სხვებსაც გულისხმობს. თუ ვერ ასახელებს, ურჩევნია, გაჩუმდეს და ნუ აკეთებს იაფფასიან განცხადებებს...

როგორც ჩანს, ედუარდ კოკოითი მიხვდა, მხოლოდ სხვაგვარად მოაზროვნე თანამემამულის დასახელება რომ არ ივარგებდა და „ბრალდებულთა“ ნუსხა გაზარდა. საქმეში უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა, მაია ცაგოშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ირინა ცინცაძეც ჩართო. გიგი უგულავა ამჟამად საქართველოში არ იმყოფება და მის კომენტარს ვერ შემოგთავაზებთ. პარლამენტის თავმჯდომარემ კი განაცხადა — კოკოითმა გადამეტებულად შეაფასა საკუთარი თავი, ის 20 მილიონი ნამდვილად არ ღირსო.

„ბრალდებულ“ ქალბატონ **მაია ცაგოშვილს,** ქართულ-ოსური კავშირის „იბერ-ირონი“-ს პრეზიდენტს, ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტის სიტყვები სასაცილოდ არ ჰყოფნის: — ბატონი კოკოითისთვის ასეთი განცხადების გაკეთების არავითარი საფუძველი არ მიმიცია, მაგრამ მაინც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უფასო რეკლამისთვის.

**— თუ არაფერი „დაგიშავებიათ“, რატომ დაგასახელათ მაინცდამაინც თქვენ?**

— როგორც იცით, კოკოითმა გუცაევის გარდა, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ირინა ცინცაძეც დაასახელა — ჩემთვის დიდი პატივია ამ ადამიანებთან ერთად მოხსენიება. მე და ვოვამ ალბათ იმით გავაღიზიანეთ კოკოითი, რომ ოსები ვართ და კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისთვის ვიბრძვით. შესაძლებელია, კოკოითს გარემოცვამ ჩემ შესახებ „საგანგაშო“ ინფორმაცია მიაწოდა, ვიღაცას ხომ უნდა გადააბრალონ თავიანთი შეცდომები და მე მომძებნეს. სხვათა შორის, ცხინვალში ყოფნისას დაუფარავად მითხრეს, — ქართველების აგენტი ხარო, მაგრამ ამის დოკუმენტური დასტური ვერ გამონახეს, თორემ ცხადია, არ გამომიშვებდნენ.

დღეს კოკოითი და მისი გარემოცვა უმძიმეს მდგომარეობაში არიან. დღევანდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ ახალი მოთხოვნები წამოაყენა და დაბნეულები ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებენ და ასეთივე განცხადებებს აკეთებენ. ამით უფრო ირთულებენ მდგომარეობას. რეგიონში არიან საღად მოაზროვნე ადამიანები, ისინი ადეკვატურად აფასებენ და მართავენ სიტუაციას. კოკოითის ინტერესებში არ შედის კონფლიქტის ესკალაცია და შეიარაღებული დაპირისპირების დაწყება. კარგად იცის, რომ ეს მისთვის საბედისწერო იქნება.

**— მაგრამ რიხიანად ამბობს, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას იარაღით დავიცავო.**

— ეს კუთხეში მიმწყვდეული კაცის აგრესიაა, მაგრამ ხომ ცხადია, რომ კოკოითი თავისი ნათქვამის რეალიზებას ვერ შეძლებს. კოკოითმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც რუსეთთან შეერთების ლოზუნგი წამოსწია წინა პლანზე და განაცხადა, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი პუტინიაო (ამის გამო ბევრი ოსი გადაუდგა). თუკი ასეა, რისი პრეზიდენტია თავად კოკოითი? ის, ასეთ აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. მერწმუნეთ, ხალხს, ოსებსაც და ქართველებსაც, შეგნებული აქვს, რომ ომის დაწყება არ შეიძლება. ცალკეული ამბიციური პოლიტიკოსის განცხადებები კი ხალხის ნებაზე ძლიერი ვერასოდეს იქნება.

***მარი ზანდუკელი***

# საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

კვლავ ვაგრძელებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის განხილვას, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მიერ. ამჯერად ჩვენ ვეწვიეთ მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტრის ფერმერულ მეურნეობას, სადაც „პეკანის“ ჯიშის კაკლის სანერგეა გაშენებული. „პეკანის“ ჯიშის კაკლის გაშენების პროექტის ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი **ალექსანდრე ზუზიაშვილია**, რომელსაც რამდენიმე კითხვა დავუსვით:

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ დაიწყეთ თქვენი საქმიანობა, მოგვიყევით ამის შესახებ.**

— ჩვენ საქმიანობა დავიწყეთ დაახლოებით 3-4 წლის წინ და ჩვენი მიზანი იყო ამერიკული კაკლის ჯიშის — „პეკანის“ გაშენება. მე თავად მქონდა დარგული ამ ჯიშის კაკალი, ძალიან დავინტერესდი და გადავწყვიტე მისი მომრავლება. სწორედ ამას დაემთხვა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსი, სადაც გაიმარჯვა ჩვენმა პროექტმა და უკვე დავიწყეთ ჩვენი მიზნების განხორციელება.

კაკალნაყოფიანებს შორის „პეკანი“ ყველაზე ძვირფასი კულტურაა. მისი გარეული ხეები ამერიკის ჩრდილოეთ რაიონებში უმეტესად მდინარისპირა ველებზე იზრდება. საქართველოში „პეკანის“ კაკალი 1901 წელს შემოიტანეს და მისი ნარგაობა ძირითადად შავი ზღვისპირა რაიონებში გვხვდება. იგი აგრეთვე გავრცელებულია ლაგოდეხის რაიონსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. „პეკანის“ კაკლის ნაყოფი — ნიგოზი, ხასიათდება განსაკუთრებული მაღალი ყუათიანობით, რომელზედაც მოთხოვნილება პრაქტიკულად შეუზღუდავია. კაკლის ხეები იძლევიან მეტად მაღალი ხარისხის მერქანს. „პეკანის“ ნარგავებს ფართოდ იყენებენ გამწვანებისა და გატყევებისათვის, განსაკუთრებით ველებისპირა მთაგორიან რაიონებში. „პეკანის“ კაკლის ნაყოფი მეტად ტრანსპორტაბელურია, განსაკუთრებით ნაჭუჭით, რომლის შენახვაც შეიძლება მეტად დიდი ხნით (10-12 წელი).

„პეკანის“ კაკალი მეტად ძვირფასი კაკლოვანი კულტურაა. ის მძლავრი ხეა, რომელიც სიმაღლეში 60 მეტრამდე იზრდება და ახასიათებს სწორად დგომა. „პეკანის“ ჯიშის კაკალი მისი მრავალი თვისების გამო ძალიან პრიორიტეტულია საქართველოსთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მისი მომრავლება.

**— პროექტის მსვლელობის პროცესში რა წარმატებებს, სიახლეებს მიაღწიეთ? რა ახალი ტექნოლოგიები დაინერგა ფერმერულ მეურნეობაში?**

— „პეკანის“ კაკლის სანერგე მასალა ნაწილი ლაგოდეხის რაიონიდან შემოვიტანეთ, ხოლო ნაწილი თურქეთიდან, ვინაიდან ამ ჯიშის გამოყვანა უცხო იყო საქართველოსთვის, ჩვენ მოვიძიეთ სხვადასხვა ლიტერატურა. საერთოდ, კაკალს დანერგვის წინ ესაჭიროება სტრატიფიკაცია. ვინაიდან ჩვენ იმის დრო არ გვქონდა, რომ 3-4-თვიანი სტრატიფიკაცია გაგვეკეთებინა, ეს პროცედურა დაჩქარებულ ვადებში — 10-12 დღეში გავაკეთეთ. თავიდან ნერგებს 10-12 დღე ვალბობდით წყალში, ხოლო შემდეგ გადაგვქონდა ღია გრუნტსა და სათბურში. მართალია ეს ყველაფერი გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ მეტ-ნაკლებად ვიცნობთ ამ კულტურას და ბარიერები ადვილად გადავლახეთ. კაკლის აღმოცენება იყო ძალზე მაღალი და იგი ბევრად აღემატებოდა ღია გრუნტში ზრდის ტემპს. ამის შემდგომ დავნერგეთ და პერსპექტიულად განვახორციელეთ რგოლური მყნობის ტექნოლოგია.

**— პროექტის ფარგლებში როგორ მიმდინარეობდა სწავლების პროცესი. თუ ტარდებოდა სემინარები, სადემონსტრაციო დღეები?**

— რა თქმა უნდა! ვინაიდან კაკლის ეს ჯიში ჯერ კიდევ უცხოა ჩვენი მოსახლეობისათვის, ჩვენ გადავწყვიტეთ მაქსიმალურად მიგვეწოდებინა ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის. ჩვენს სემინარებს ესწრებოდნენ როგორც ფერმერები, ისე დაინტერესებული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი. ჩვენ ჩავატარეთ 2 სემინარი, გამოვუშვით სპეციალური ბროშურები და მეთოდური მითითებანი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს კაკლის ამ ჯიშის გამრავლებით დაინტერესებულ პირებს. სადემონსტრაციო დღეებზე მოწვეული გვყავდა უამრავი სტუმარი, რომლებმაც თანამშრომლობა შემოგვთავაზეს.

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით პროექტის მნიშვნელობას, რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

— მე შემიძლია ვთქვა, რომ გამიმართლა, გამორიცხულია, რომ ასეთ მოკლე დროში მე შევძლებდი 30 000 ათასი ძირი კაკლის გამოყვანას დამოუკიდებლად. ამ პროექტმა მომცა სტიმული, რეალურად გამეხორციელებინა დაწყებული საქმე. რა თქმა უნდა, ასევე დიდია პროექტის მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

***თემურ კაციაშვილი***

®




# ამბავი ორი პოსტსაბჭოელი პრეზიდენტისა



ვის ჰგავს ვლადიმირ პუტინი? ექსპერტები რუსეთის პრეზიდენტს ბევრ ისტორიულ პიროვნებას ადარებენ: პეტრე პირველს, სტალინს, ნაპოლეონს. გენერლებს: დე გოლს, პინოჩეტს და სუჰარტოს. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტს ისეთ უჩვეულო გარემოებაში უხდება ქვეყნის მართვა, რომ ვერავის შეადარებ.

არის ერთი პოსტსაბჭოელი ლიდერი, რომელსაც ისეთივე მემკვიდრეობა დახვდა, როგორიც პუტინს და ისეთივე მეთოდებით მოქმედებს, როგორითაც რუსეთის პრეზიდენტი; ეს საქართველოს ახალი მმართველი მიხეილ სააკაშვილია. დასავლეთში გაცილებით უფრო მოსწონთ ამერიკაში განათლებამიღებული სააკაშვილი — სავარაუდოდ დემოკრატი, ვიდრე „კა-გე-ბეს“ გამოწრთობილი იურისტი და, სავარაუდოდ — ავტოკრატი პუტინი. ორივე ახალი ტიპის პოლიტიკოსია. მათ აერთიანებთ ბრძოლის საგანი და ხერხი. მათი მთავარი მიზანია: ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დიდია, ხოლო საქართველო — პატარა, არც ერთ მათგანს არ ემეტება თავისი ქვეყანა დაშლისა და ქაოსისთვის. ამიტომაც ცდილობენ ნახევრად სუვერენული რეგიონული ლიდერების მოთოკვას. ესწრაფვიან სახელმწიფო ინსტიტუტების ამოქმედებას, იციან, რომ მთავრობას არ შეუძლია გადასახადების აკრეფა და სხვა ვალდებულებების შესრულება. ორივე პრეზიდენტმა ამოსავალ წერტილად კორუფციასთან ბრძოლა გაიხადა და ერთნაირად დაერივნენ წინამორბედთა გარემოცვას. „ცოცხის“ ამ სტრატეგიამ სრულიად შეცვალა ორივე ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტი.

აღფრთოვანება ორივე პრეზიდენტის მიმართ უმაღლეს დონეს აღწევს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის. მათ პოლიტიკურ კოალიციებს პარლამენტში იმდენი ადგილი აქვს, რომ საალმსრულებლო ხელისუფლების შემაკავებელ მექანიზმს უკვე აღარ წარმოადგენენ. ბევრ დამკვირვებელს აწუხებს, რომ რუსეთს და საქართველოს ტრადიციულად ძლიერი ხელმძღვანელობისადმი აქვთ მიდრეკილება. კრიტიკოსები ორივე პრეზიდენტს თავიანთი პოპულარობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ. შიგადაშიგ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ადამიანის უფლებათა დამცველები და ევროპარლამენტის დამკვირვებლები, მაგრამ ორივეს ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს დასავლეთის ქვეყნების მთავრობებთან. სხვათა კრიტიკა დიდხანს არ მოქმედებს მათზე. მოკლედ, ორივე ქვეყანაში, ოდესღაც დეზინტეგრირებული პოლიტიკური სისტემა დღეს ერთი ადამიანის გარშემო ტრიალებს. პოსტსაბჭოურ სივრცეში მხოლოდ პუტინმა და სააკაშვილმა მოიპოვეს ჭეშმარიტი პოპულარობა, თანაც საერთაშორისო არენაზე თავისი პოზიციები შეინარჩუნეს.

მაგრამ მიუხედავად ამ მსგავსებისა, მათ შორის უზარმაზარი განსხვავებაც არის. ორივე პრეზიდენტი კორუფციას სხვადასხვა ხერხით უტევს. სააკაშვილის აზრით, კორუფციის პრობლემების გადაჭრა სახელმწიფო დაწესებულებების ეფექტიანი სამართლებრივი კონტროლის ქვეშ მოქცევით შეიძლება, პუტინს კი სახელმწიფო სტრუქტურების გარეთ მყოფთა დასუსტება და მათზე გავლენის მოხდენა უნდა. ის ბრძოლას გამომძალველ მოხელეებს კი არ უცხადებს, არამედ ბიზნესმენებს, მათ, ვინც ამ ჩინოსნებს ქრთამს აძლევს. პუტინმა სახელმწიფო ბიუროკრატია კიდევ უფრო გააძლიერა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მეტი საშუალება მისცა. პუტინი საკუთარ მდგომარეობას იმტკიცებს, მაგრამ ასუსტებს პოლიტიკურ პლურალიზმს. ორმა პრეზიდენტმა განსხვავებული პოლიტიკური მოძრაობები შექმნა. სააკაშვილის კოალიცია რეფორმატორებს აერთიანებს, პუტინის კოალიცია კი ძალაუფლებაზეა დამყარებული. „ედინაია როსიას“ წევრებს მფარველის გარდა არაფერი აქვთ საერთო. თუ კოალიცია დაიშლება, მისგან არაფერი დარჩება. შესაძლებელია სააკაშვილის ალიანსიც დაიშალოს, მაგრამ ეს თუ მოხდა, დემოკრატიის მოქმედი ძალა — უფრო წვრილი პარტიები, მაინც დარჩებიან.

დაბოლოს, ამ პრეზიდენტების პირადი სტილი სულ სხვადასხვანაირად ცვლის ქვეყნის პოლიტიკურ სახეს. სააკაშვილი გაცილებით ნიჭიერია. დარწმუნებულია, რომ ღია დებატებში გაიმარჯვებს, არაფრის ეშინია. ის ყურს უგდებს სხვის გაბედულ მოსაზრებას, არ უფრთხის ოპონენტებთან აშკარა კონფრონტაციას. ხალხის ნდობაა მისი მეთოდი, შეიძლება ითქვას, მისტიკური ძალა. პუტინისთვის კი მთავარია ხელისუფლება. ის, სააკაშვილივით, „ვარდებით შეიარაღებულ“ ხალხთან ერთად არ შევარდებოდა პარლამენტში.

სააკაშვილი ილტვის, ქართული პოლიტიკა ღია გახადოს, მაღალ დონეზე შეინარჩუნოს მისი ენერგეტიკა, რათა თვითონ საქმე აკეთოს. პუტინი კი რუსული პოლიტიკის ენერგეტიკის დონის დაცემის, დახურვის ხარჯზე აპირებს მიზნის მიღწევას. ის თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადას იწყებს და ეს განსხვავებანი, პუტინსა და სააკაშვილს შორის, რუსეთის ნამდვილი დემოკრატიის შემაფერხებელ ნიშნებად მოჩანს. რუსეთის სახელმწიფოს აღდგენა პოლიტიკური პლურალიზმის დაკარგვის ხარჯზე ხდება. პოლიტიკის დემობილიზაცია კი აძლიერებს გაუკონტროლებელ სახელმწიფო ბიუროკრატიას. პუტინი ხანდახან მიანიშნებს, რომ კარგად ხედავს ამ სისტემის ნაკლს და უნდა, უფრო მეტად ჰგავდეს სააკაშვილს. მართალია, როცა ამბობს, დემოკრატიულ საფუძველზე ძლიერი სახელმწიფოს აშენება ძნელიაო, მაგრამ ცდება, თუ ჰგონია, რომ ამის რეალური მოდელი არ არსებობს — ასეთი მოდელი მისგან ძალიან ახლოს არის.

***სტივენ სესტანოვიჩი***
***უოილ სთრით ჯორნალი***

# სამხრეთ ოსეთის ლიდერმა 20 მლნ დოლარზე უარი თქვა(!)

თბილისს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამხრეთ ოსეთის ძალით დაბრუნება. არად აგდებს საერთაშორისო შეთანხმებებს და მათი მტკიცებები — კონფლიქტს მშვიდობიანი გზით დავარეგულირებთო, მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალის ასახვევად კეთდება, — განაცხადა მოსკოვში ჩასულმა ედუარდ კოკოითმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რუსი სამშვიდობოები სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის სრულ მოწესრიგებამდე უნდა დარჩნენო და დასძინა, რომ ჩვენ ჩვენი თავის იმედად ვართო. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა უარყო ქართული მხარის მიერ წაყენებული ბრალდებები, კერძოდ, კონტრაბანდის ხელშეწყობა: „როცა ბურჯანაძის მამას სამხრეთ ოსეთის გზით ფქვილის უზარმაზარი პარტია გაჰქონდა, მაშინ არ იყო კონტრაბანდა, ხოლო როცა საწყალი ქართველი ქალი ფქვილის პარკს ან სიგარეტის ბლოკს გაიტანს, — ეს ბოროტმოქმედებაა. როცა ქართული ხელისუფლება მიზანმიმართულად ბლოკავს ოსურ სოფლებს, რათა ჩვენ იქ პროდუქტები ვერ შევიტანოთ — ამას კონტრაბანდასთან ბრძოლას ეძახიან, ხოლო როცა გორის რაიონის გუბერნატორი მიხეილ ქარელი ტვირთს პარტიობით უშვებს — ეს კონტრაბანდა არ არის?

საქართველოში საკუთრების გადანაწილება ხდება. რამდენი ბიზნესმენიც დაიჭირეს, ყველამ თავისუფლება იყიდა, ციხეში არავინ დარჩენილა, — ამბობს კოკოითი, — თბილისმა 20 მლნ დოლარი და საქართველოს ვიცეპრეზიდენტობა შემომთავაზა, მაგრამ ჩვენ ფული არ გვინდა, არც მეგობრებს ვიცვლით და არც პოზიციებს“, — დასძენს ის.

***ნოვიე იზვესტია***

**ედუარდ კოკოითი: „საქართველოში პოლიტიკოსთა ორი პარტიაა. ომის პარტია — სააკაშვილი, ოქრუაშვილი, უგულავა და მისთანანი. და მშვიდობის პარტია — ბურჯანაძე, ჟვანია, ხაინდრავა და უბრალო ქართველები“.**

***მოსკოვსკიე ნოვოსტი***

# „ეს კარგად არ დამთავრდება...“

საქართველოს ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ესპანურ გაზეთ **„ელ პაის“-ს** განუცხადა, — რუსეთის პრეზიდენტი სულაც არ არის დამნაშავე იმაში, რაც ელცინის ეპოქაში დაიწყო, როცა რუსეთის სამხედროების და მოხალისეების, მათ შორის, ჩეჩნების გამოისობით, აფხაზეთი წაგვართვეს და 300 ათასი ქართველი გამოდევნეს იქიდან. იმ რაიონის მოსახლეობის 17% აფხაზი იყო, თითქმის 50% კი — ქართველი. სწორედ ისინი განდევნეს. ვერ ვიტყვი, რომ ამაში ელცინს მიუძღოდა ბრალი, მაგრამ იყო „კა-გე-ბე“ და სხვები...

პუტინს უნდა პრობლემების გადაწყვეტის გზა მონახოს, მაგრამ ვერ პოულობს. რამდენი პორტი ჰქონდა რუსეთს ბალტიის ზღვაზე — ერთიც აღარ შერჩა. შავი ზღვის პორტები — ოდესა, ილიჩევსკი, სევასტოპოლი უკვე უკრაინას ეკუთვნის. რუსეთს მხოლოდ ნოვოროსიისკი დარჩა და თუ აფხაზეთსაც დაკარგავს, მაშინ შავ ზღვაზე გასასვლელი არ ექნება, ამიტომაც მოსკოვი ყველა ღონეს ხმარობს აფხაზეთზე უფლებების შესანარჩუნებლად, მაგრამ ესეც შეუძლებელია.

*— რა გამოსავალს ხედავთ?*

— ჩემი შემცვლელი ახალგაზრდა პოლიტიკოსები კარგად მუშაობენ და შეიძლება რაღაც შეთანხმებას მიაღწიონ. მაგრამ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება ადვილი როდია. რუსეთმა თავისი ერთ-ერთი სამხედრო ბაზა დახურა, მაგრამ დანარჩენები ხელშეუხებელი რჩება — მოსკოვს არ უნდა თავისი ჯარების გაყვანა ისევე, როგორც არ უნდა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გასვლა და ეს კარგად არ დამთავრდება.

*— რას ურჩევთ სააკაშვილს?*

— სააკაშვილი ძალიან ჭკვიანია და იცის, როგორ მოიქცეს. სხვა რეგიონები არ მაღელვებს, მაგრამ აფხაზეთი სხვაა, კარგად უნდა დაფიქრდეს, შექმნას კომისია. შესაძლებელია საერთაშორისოც, რომელიც შეისწავლის პრობლემას და მიიღებს გადაწყვეტილებას. საქართველო არასდროს დათანხმდება აფხაზეთის გარეშე ყოფნას. აფხაზებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, 300 ათასი ქართველი რომ გამოდევნეს საკუთარი მიწიდან.

*— რას ურჩევთ ტერორიზმთან მებრძოლებს?*

— ვფიქრობ, ამერიკელებმა დაიწყეს ტერორიზმთან გამკლავება, ცუდია, რომ ამის თაობაზე დასავლეთის ქვეყნებში აზრთა სხვადასხვაობაა. ევროპა და ამერიკა ტერორიზმთან ბრძოლაში უნდა გაერთიანდნენ და მათი მომრევი არავინ იქნება. ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი ერთმანეთზეა გადაბმული. აგრესიული სეპარატიზმი შობს ტერორიზმს, ტერორიზმი კი — სეპარატიზმს.

***ამონარიდი ინტერვიუდან***

# რაციონალური თვალთახედვით — ის საქართველოს სამარეს უთხრის...



— ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავის ქვეყანას უფრო მეტი სიდუხჭირისკენ უბიძგებს, — განაცხადა რფ-ის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს ხელმძღვანელმა **სერგეი კარაგანოვმა**. ალბათ პრეზიდენტს ესმის, რომ თუ ის ომს დაიწყებს, მთავარ კოზირს დაკარგავს — რუსეთის კეთილგანწყობას და ისევ დაუძლეველ გაჭირვებასა და უიმედობაში გადაეშვება. ამერიკელ პოლიტიკოსთა განცხადებების მიუხედავად, დასავლეთი სააკაშვილს სერიოზულად არ დაეხმარება. ედუარდ შევარდნაძეს ენდობოდნენ და ემადლიერებოდნენ. სააკაშვილი კი მხოლოდ ახალგაზრდა პოლიტიკოსია, თანაც დასავლეთი შორსაა — ელექტროსადენს იქიდან ვერ გადმოჭიმავ და თუ დღეს საქართველოს შუქი აქვს, რუსეთის დამსახურებაა. ამიტომ, როცა საქართველოს პრეზიდენტი დასავლეთს მიმართავს და თავს ანტირუსული გამოთქმების უფლებას აძლევს, ეს ემოციური რეაქციაა, რაციონალური თვალთახედვით კი — ის საქართველოს სამარეს უთხრის.

*— რამდენად რაციონალურია სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი?*

— აქამდე მისი საქციელი ემოციურიც იყო და სავსებით რაციონალურიც. თუ ახლა ნერვები უმტყუნებს და ოსეთზე გაილაშქრებს, ეს უბედურების მომასწავებელი იქნება და იმის მაჩვენებელი, რომ ან სიტუაციას ვერ უღებს ალღოს, ანდა თავის ქვეყანაში რაიმეს შეცვლის იმედი გადაეწურა და განიზრახა, საკუთარი თავისგან მძლეკაცის სახე შექმნას. ამასობაში, საქართველოში უამრავი პრობლემა დაგროვდა — სოციალურ-ეკონომიკურით დაწყებული, კორუფციითა და ყაჩაღური კლანებით დამთავრებული. აჭარაში საქმე სხვაგვარად იყო — იქ ხალხი საქართველოს ნაწილად თვლიდა თავს და უმრავლესობამ სააკაშვილს მისცა ხმა. ოსეთში პირიქითაა ყველაფერი, აფხაზეთში კიდევ უფრო რთულადაა საქმე, რომლის გამოსწორება მხოლოდ პოლიტიკური ხერხებითაა შესაძლებელი, თანაც რუსეთის აქტიური ჩარევით.

*— რამდენად მაღალია შეიარაღებული კონფლიქტის ალბათობა?*

— ოსეთში სამოქალაქო ომის დაწყება და მასში რუსების მონაწილეობა სრულიად დასაშვებია. ბაგირზე სიარულმა ორივე მხარე, განსაკუთრებით თბილისი, შეიძლება სავალალო შედეგამდე მიიყვანოს.

*— როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი — თუ შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყება, მოსკოვს უსიამოვნო არჩევანის გაკეთება მოუწევს: ან ჯარი უნდა გაგზავნოს სამხრეთ ოსეთში და დასავლეთის თვალში აგრესორად გამოჩნდეს, ან უარი უთხრას ოსებს დახმარებაზე და, ომის შედეგის მიუხედავად, დაკარგოს გავლენა ამ რეგიონზე.*

— ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ სიტუაციის მოსაწესრიგებლად, რადგან ჩვენ ძლიერი საქართველოს მომხრე ვართ, სულ არ გვინდა ჩვენს საზღვრებთან კიდევ ერთი არასტაბილურობის ანკლავი გვქონდეს. არც ის გვინდა, სამხრეთ ოსეთიდან რუსეთში დევნილები დაიძრან. თუ საქართველო ჩამორჩენილი სახელმწიფო იქნება, ისევ შევარდნაძისეულ ქვეყანას დაემსგავსება, სადაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს არაბი ტერორისტები, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრენი.

***ექსპერტი***

# აფხაზეთი მანევრირებას ცდილობს

ბოლო თვეებში, ჯერ აჭარასა და შემდეგ სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავების გამო, აფხაზეთის პრობლემა მეორე, შეიძლება მესამე პლანზეც გადავიდა. სოხუმს მხოლოდ მაშინ იხსენებდნენ, როცა უნდოდათ გამოეცნოთ, რას მოიმოქმედებდა შემდგომში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ამბობდნენ, როგორც კი ორ დაუმორჩილებელ რესპუბლიკას მოათვინიერებს, მაშინვე მესამეს მიადგებაო. მაგრამ ამჯერად სოხუმმა თავად შეახსენა ყველას თავი — წინა კვირაში მასშტაბური სამხედრო სწავლებები დაიწყო. თვითმარქვია რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ კი ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე ასე ახსნა სწავლებების მიზანი: — გვინდოდა გამოგვერკვია, მზად არის თუ არა ჩვენი ჯარი საქართველოს მხრიდან შესაძლო აგრესიის მოსაგერიებლადო...

აფხაზეთის არმია წვრთნებს ყოველწლიურად ატარებდა პოლიგონზე ოჩამჩირის რაიონში.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავებისას, იტყობინებოდნენ, რომ ამ რესპუბლიკაში ჩავიდნენ მოხალისეები აფხაზეთიდან, მაგრამ ოფიციალური სოხუმი აცხადებს, — არავითარი კავშირი არა აქვს მოძმე ხალხის დასახმარებლად ჩასულ მოხალისეებთანო.

თვით ფაქტი, რომ სწავლებები საქართველოს საზღვართან მიმდინარეობდა და თანაც ქართულ-ოსური ურთიერთობის გამწვავების პერიოდში, ნიშანია იმისა, რომ ცხინვალს სოხუმი სახელმწიფოებრივ დონეზე უჭერს მხარს.

თბილისი ამტკიცებს, — აფხაზეთში სამხედრო სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები და სამხრეთ რუსეთის წარმომადგენლები.

ოჩამჩირის რაიონში მანევრები სწორედ მაშინ დაიწყო, როცა სოჭში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომელსაც ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია...

***კომერსანტი***

***გვერდი მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

სოფელში 3 წლის **მარიამ კურცხალია** კაკლის ნერგს რწყავს, წყალს თავზე ასხამს.

— მარიამ, თავზე ნუ ასხამ, ძირში დაასხი — ეუბნება მამა.

— აბა, ბებია რომ თავზე მასხამს ხოლმე? — უკვირს მარიამს.

***

2 წლის **რუსუდან რუსიშვილს** ბებია სთხოვს, დახუჭე თვალები და დაიძინეო.

რუსუდანი ეკითხება — პილი (პირი)?

***

მასწავლებელი შედის საბავშვო ბაღის საძინებელ ოთახში და კითხულობს:

— აბა, რომელს არ გძინავთ, ბავშვებო?

3 წლის **ლაშამ** წამოყო თავი, თვალები დახუჭული აქვს და პასუხობს:

— მე მძინავს, მასწავლებელო.

***

სამი წლის **ლუკამ** მინდორში ყვირილი მორთო: — „წვერა-ბაბუა“ ვნახეო (თურმე ბაბუაწვერა უნახავს).

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: **„ნაჩუქარ ცხენს ... არ ესინჯებაო...“**




# მელია და მწყერი

ზღაპარი

ერთი მელია და მწყერი დამეგობრდნენ.

ერთხელ მელიას მოშივდა. მთელი დღე იხეტიალეს და ვერაფერს წააწყდნენ. სოფლის ბოლოს შემოაღამდათ. ხედავენ, მოდის ქალების ჯგუფი, ხელში სავსე ლანგრები უჭირავთ. მწყერმა უთხრა მელიას:

— მოდი, მელია, შენ აქ ღობის ძირას დაიმალე. მე ფეხს ავითრევ, ფრთასაც ჩამოვიგდებ და ამ ქალებს წინ გადავუვლი. იცოდე, ქალები ლანგრებს ძირს დადგამენ და უკან გამომიდგებიან. მერე შენ იცი და შენმა ბიჭობამ: ხაჭაპურები გააცუნცულე.

მელია დაეთანხმა.

მწყერმა კოჭლობით გადაუარა წინ ქალებს.

— შეხედეთ, ფეხმოტეხილი მწყერი! ბავშვების გასართობად ამაზე უკეთესს შინ რას მივიყვანთ, — დადგეს ქალებმა ძირს ლანგრები და გამოუდგნენ მწყერს. მან ერთხანს სკუპ-სკუპით იარა და ქალები შეიყოლია, მერე აფრინდა.

გადმოხტა მელია ღობის ძირიდან და ლანგრებზე რაც კი ეწყო — ხაჭაპური, ქათამი, ქადა — სულ გააცუნცულა და ვიდრე მწყერი მასთან მიფრინდებოდა, ყველაფერი შესანსლა. დაბრუნდა მწყერი და ნახა, რომ მელიამ საჭმელი არაფერი დაუტოვა, ძალიან ეწყინა და იმასლა ფიქრობდა, სამაგიეროს როგორ გადაეხადა.

მოსაღამოვდა. სხედან ცეცხლის პირას. მელია ამბობს:

— კი გამაძღე, მწყერო, მაგრამ, ერთი, შიში რა არის, იმასაც რომ გამაგებინებდე, შენზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მეყოლებოდა.

მწყერსაც ამაზე მეტი რა უნდოდა და მიუგო:

— კარგი, ჩემზე იყოს შენი შეშინებაო.

მეორე დღეს ერთი ბატონი მელიებზე სანადიროდ გადმოსულიყო. ეს მწყერი წინ აუფრინდა. მეძებარმა ძაღლებმა შეამჩნიეს და გამოუდგნენ. მწყერმაც გეზი მელიისკენ აიღო. ეს რომ მელიამ დაინახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. გამოენთნენ უკან მეძებრებიც. ერთმა მეძებარმა ნახევარი კუდი წააგლიჯა და კუდმოგლეჯილმა მელიამ ძლივს შეასწრო სოროში.

მიხვდა მელია, რომ ცუდად მოექცა მწყერს და ამისათვის დაისაჯა. მეგობრები ისევ შერიგდნენ და მას შემდეგ აღარასოდეს უცდიათ ერთმანეთი დაეჩაგრათ.




დანომრილი საგნებიდან რომლები შეიძლება დაემატოს ქვემოთ მოცემულ საგნებს?




## III ანა, გამოიცანი

**1) რომელი ითვლება „მტირალა“ ხედ?**

ა) თელა; ბ) წიფელა; გ) ტირიფი; დ) ცაცხვი.

**2) ვის სახელს ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი?**

ა) ოთარ თაქთაქიშვილის; ბ) ვიქტორ დოლიძის; გ) ზაქარია ფალიაშვილის; დ) ჯანსუღ კახიძის.

**3) რა გმირობა ჩაიდინა ცოტნე დადიანმა?**

ა) გაიზიარა თანამოძმეთა ხვედრი; ბ) მტრის რაზმი ჩაიგდო ტყვედ; გ) მტერს უიარაღოდ შეებრძოლა; დ) დაჭრილი თანამებრძოლი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა.

**4) რა ჰქვია ჩვილის პირველ კბილს?**

ა) სარძევე; ბ) საღეჭი; გ) სიბრძნის; დ) საკბეჩი.

**5) რომელი მცენარე იზრდება ყველაზე სწრაფად?**

ა) ნაძვი; ბ) ბზა; გ) მუხა; დ) ევკალიპტი.

**6) ანდაზის მიხედვით, „ვისთვის არის ყოველი დღე უქმე?“**

ა) მშიშარასთვის; ბ) ზარმაცისთვის; გ) მძინარასთვის; დ) მშიერისთვის.

**7) რისი ჯიშებია: თურაშაული, ანტონოვკა, ბანანი, ივერია, სამეფო, კეხურა?**

ა) მარწყვის; ბ) მსხლის; გ) ლეღვის; დ) ვაშლის.

**8) რომელი რელიგიის მსახურია იღუმენი (დედა წინამძღვარი)?**

ა) მართლმადიდებლურის; ბ) ბუდისტურის; გ) მაჰმადიანურის; დ) კათოლიკურის.

## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*





„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნატუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი გოჭი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ღორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ გაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არვიციას ამბავი
49. ◯ ჯიუტი სილუკა
50. ◯ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

*დასავლეთ საქართველოს ულამაზეს მხარეში, გურიაში მდებარეობს სოფელი ბახვი — ათეულობით ცნობილი ადამიანის სამკვიდრო. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ დიდი გაბრიელ ქიქოძე — ეპისკოპოსი იმერეთისა, სიმონ, გერონტი, შალვა ქიქოძეები, დიმიტრი შევარდნაძე, ნინო ნაკაშიძე, დავით ანდღულაძე, ვახტანგ ჭელიძე და მრავალი სხვა.*

*ამ სოფლიდან გახლდათ XX საუკუნის მიწურულს გურიიდან ამერიკაში „საგასტროლოდ“ წასული 12 ცხენოსანთაგან — 10...*

*„ბახვი, გაბრიელის მეოხებით პირველ სოფლად ითვლებოდა“... — წერდა თედო სახოკია.*

*როგორც დანარჩენ საქართველოში, დღეს აქაც უჭირთ... ბახველთა ათეულობით მემკვიდრეს აქაურობასთან კავშირი გაუწყვეტია და მათი ჭიშკარ-კარ-ფანჯარა აჭედილი სახლები და ეზო-გარემო სხვის სამადლოდ მიტოვებულ მოხუცებს ჰგვანან...*

*ვინც სოფლიდან არ გაიქცა — ისევ ეფერება და ებრძვის მიწა-მარჩენალს.*

*შემოდგომით, თხემლის წვერამდე აჰყვებიან ხეს ერთი შერჩენილი ადესის მტევნისთვის.*

*იშვიათად ქორწილებსაც იხდიან, ძეობებსაც...*



*გარდაცვლილ თანასოფლელს ისევ მთელი სოფელი მიაგებს პატივს.*

*თავიდან ჩაუყარეს საფუძველი დიდებულ ტაძარს და გაასრულეს... მასწავლებელს ემადლიერებიან, სტუმარს ეთაყვანებიან, გონიერს რჩევა-დარიგებას გამოსთხოვენ...*

*ძველებური ეშხით უყვართ და ამ სიყვარულს უმღერიან... გურულებზე ნათქვამ „ყბის მოსაქცევთა“ დიდი ნაწილი ისევ აქ იქმნება...*

*ჯერ კიდევ შემორჩენია ბახველთა მახსოვრობას გარდასული ამბები — უცნაური სიყვარულის, უჩინო გმირობის, უჩვეულო შემთხვევების...*

*ქვემოთ რამდენიმე ასეთ ამბავს მოგითხრობთ.*

# გურულების „პირველი“ სოფელი

## გურიელის მეღვინეთუხუცესი

ეს ამბავი თედო სახოკიას ჩაუწერია ბახვში XX საუკუნის ბოლოს:

— ზეპირი გადმოცემით, გურიის მთავრის კარზე მეღვინეთუხუცესის თანამდებობა ყოველთვის ბახველ ანთაძეებს ეკავათ, ხოლო სასახლის კარის მღვდლები ქიქოძეები იყვნენ. გურიელს ერთი მეღვინეთუხუცესი ჰყოლია ბახვიდან, გვარად ანთაძე, კაცი, მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი მოჰქონდა თურმე მთავარს...

ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა ამის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ გამოვცადოთო.

აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო: 2/5 — ფერსათული, 2/5 ოსეთური და 1/5 ჩაქვური. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე და უთქვამთ — გამოიცანიო. იმასაც გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის: „ფერად ფერსათულიაო, გემოდ ოსეთურიაო, ცოტას მოიჩაქვურებსო“. მთავარმა დიდად გაიხარა და დაასაჩუქრა მეღვინეთუხუცესი.

## კოწია დოლიძე და ესე გურიელი

ესე გურიელის სასახლესთან, ოზურგეთში ჩაუვლია კოწია დოლიძეს, ახალგაზრდა, ცქვიტ გურულს, ყაბალახსა და „ჩერქეზკაში“ გამოწყობილს. თავადს მოეწონა ვაჟკაცური გარეგნობის, სუფთად ჩაცმული გლეხი და ჰკითხა: „ვინ ხარ, ბიჭო, შენ?“ „დოლიძე ვარ, ბატონო, კოწია!“ — უპასუხა გლეხმა. ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე შენიშნა იგი თავის კარის წინ მზეს მიფიცხებულმა მხცოვანმა თავადმა და ყოველთვის ეკითხებოდა: „ვინ ხარ, ბიჭო, შენ?“. ერთხელაც, ვინ იცის, მერამდენჯერ ჰკითხა, მოთმინებიდან გამოსულმა გლეხმა გადაიძრო ყაბალახი, ამოიღო უბიდან ხატი, დაიჩოქა და ესეს მიმართა: „თავად ღმერთმა, გამაძლიერებელმა და სიცოცხლის მომნიჭებელმა იცოდეს, ვფიცავ, ნამდვილად კოწია დოლიძე ვიყავი აქობამდეო“. ესეს მოეწონა მისი პასუხი და მოურავს უბრძანა: „გამოუყვანე, ამ ვინცხა დოლიძეა, ლურჯა ცხენი და აჩუქე!“. მოურავმა განკარგულება შეასრულა. დოლიძემ გურიელს მადლი მოახსენა. მოინდომა იქვე, თავადის წინ შეჯდომა და ფეხით უზანგს დაუწყო ძებნა. ესე მიუხვდა გლეხს ეშმაკობას, „უყურე ამ მამაძაღლს, უნაგირს მთხოვს, კიდო. კაი, უნაგირიც გამოუტანეთ!“ — ასე გაუმართლა იმ დღეს ახალგაზრდა დოლიძეს.

## ხიდი მდინარე დურღანაზე

დურღანა ამქვეყნად ერთ-ერთი პატარა მდინარეა, მაგრამ წვიმების დროს საშინელი გაცოფება იცის. ხიდის აგების უფლებას კი სოფელს მაზრის უფროსი არ აძლევდა. 1901 წელს ბახვის მამასახლისს, იაგორა ჭელიძეს თვით მაზრის უფროსი კუხალეიშვილი ეწვია ორი ჩაფრის თანხლებით. იაგორამ შინ მიიპატიჟა საპატიო სტუმრები და საუკეთესო პურმარილი გაუწყო. უცებ, თავსხმა წვიმა წამოსულა, დურღანა ადიდებულა და გადარეულა. სოფლის ცენტრიდან იაგორას ოჯახისკენ მიმავალთა ცხენებს ჩლიქიც რომ არ დასველებიათ პატარა ხეობაში ჩამომდინარე ღელის წყალში — ახლა, თურმე ლოდებს მოაგორებდა ის ღელის წყალი. მაზრის უფროსს ვერც ცხენით, ვერც ურმით ორ დღეს უკან დაბრუნება ვერ მოუხერხებია.

— ოღონდ წყალზე გადამიყვანეთ და რაც გინდათ მთხოვეთო... — უთქვამს კუხალეიშვილს. — ნება დაგვრთეთ, მდინარეზე ხიდი ავაშენოთო, — უთხოვია იაგორას. წვიმას იმ დღესვე გადაუღია და წყალიც ისე გამქრალა — ლორჯოები უწყლობით გაწყდნენო. მაშინვე დაუწყიათ სოფელში ხიდის აგებისათვის საჭირო თანხის მოკრეფა. მაზრის უფროსსაც საპატიო წილი დაუდვია ამ საქმისათვის. 48 ხარ-ურემი და ასამდე კაცი ვანისკენ დაძრულა სამშენებლო ქვისთვის. მოუწვევიათ ხიდის ამგები — მელენტი და ოქროპირ ანდღულაძეები და 3 თვეში გაუსრულებიათ ხიდი. მას დღემდე ვერაფერი დააკლო მდინარის ადიდებამ და ისევ ისე დგას — 4 მეტრი სიმაღლისა ფსკერიდან, 8 მეტრი სიგრძის და 2 მეტრი სიგანისა... და აგერ, 100 წელზე მეტია სოფელს ემსახურება.

## „სათადარიგო მორიგის“ სიკვდილი

სანამ თბილისის რკინიგზის მთავარ სამმართველოში „სათადარიგო მორიგის“ თანამდებობაზე მუშაობას დაიწყებდა, მანამდე 23 წლის აკაკი ჭელიძემ პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობაც მოასწრო და რკინიგზის სასწავლებელიც დაამთავრა.

1918 წლის მარტის ცივ დღეს იგი სადგურ სადახლოს შესამოწმებლად გაგზავნეს. ბაქანზე მისულს მხოლოდ დარაჯი ვიქტორ ნინიძე დახვდა, დანარჩენ მოსამსახურეთა გაქცევის შესახებ ამცნო და მასაც ურჩია, აქაურობას სწრაფად გაეცალეო. სანამ აკაკი სიტუაციაში გაერკვეოდა — შეიარაღებული, წვერმოშვებული ადამიანების წრეში აღმოჩნდა. მომხვდურ-მოძალადეები ადგილობრივი მუსლიმანები აღმოჩნდნენ, რომლებმაც დიდძალი ფული შესთავაზეს, თუ თბილისიდან ყარსისკენ მიმავალ ეშელონს გააჩერებდა, რომლითაც ათასამდე ქართველი მეომარი ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართებოდა. თავდამსხმელებს, რომელთა რიგებში 5000-მდე კაცს მოეყარა თავი (ასე უთხრეს), ეშელონის განადგურება სურდათ. აკაკიმ დახმარება აღუთქვა მათ, ვიქტორს ჩუმად უთხრა, — გაიქეცი და დაიმალეო. თავად სამორიგეოში შევიდა და მეზობელი სადგურის მორიგე გააფრთხილა, მემანქანისთვის ეთქვა — რაც შეიძლება დიდი სიჩქარით ჩაევლო სადახლოს ბაქანი.

...მატარებელი მოახლოვდა. აკაკიმ ისრები გადასწია და გზა მისცა, სახელოში დამალული კვერთხი მემანქანეს შეუგდო და სამორიგეოში ჩაიკეტა. შემადგენლობამ ელვის სისწრაფით ჩაიქროლა. ბაქანთან ჩასაფრებული შეიარაღებული მუსლიმანები გამოცვივდნენ. აკაკის დაედევნენ და უამრავი ტყვიით დაცხრილეს. 23 წლის ჭაბუკმა 860 ქართველის სიცოცხლე იხსნა. მისი საგმირო ამბავი ბაქანის დარაჯმა შეატყობინა ყველას. მთავრობამ აკაკი ჭელიძეს გმირის წოდება მიანიჭა, მშობლებს გაორმაგებული პენსია დაუნიშნეს, ხოლო პატარა და-ძმებს სახელმწიფო ხარჯზე სწავლა განუწესეს.

## გლეხი იმპერატორის ამალაში

1912 წელს დიმიტრი ჭელიძის მიერ დაწერილი ეს მოგონება სოფლის მუზეუმში ინახება:

„გავიგე — რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ საქართველოში უნდა იმოგზაუროსო და კინაღამ გადავირიე. გიმნაზიის სტუდენტი ვიყავი. საგანგებოდ შევიძინე ქართული ჩოხა-ახალუხი, გამოვეწყვე და თავადაზნაურთა წინამძღოლს ვთხოვე — ნება დაერთოთ ვხლებოდი იმპერატორის ამალას თიანეთიდან ქუთაისამდე.

1888 წელს, იმპერატორს ქართველი თავადაზნაურობა თიანეთში შეხვდა. აქ აშენებული იყო მისაღები და მოსასვენებელი პავილიონი მეფისა და მხლებლებისთვის. პავილიონის გარშემო, უფრო დაბალ ადგილზე, დადგმული იყო განიერი მაგიდები თავადებისა და სამღვდელოებისათვის. უფრო დაბალი საფეხურით ამას გარს უვლიდა მაგიდები აზნაურთათვის. მერე, მიწაზე გაფენილ ფარდაგებზე გაშლილი იყო პურმარილი გლეხობისათვის.

თიანეთში მეფე შემოვიდა ძვირფასი ოთხი ცხენშებმული „ტაჩანკით“. იმპერატორს თან ახლდა 7-8 წლის ყმაწვილი — მომავალი მეფე ნიკოლოზი. შეხვედრის შემდეგ მეფემ მცირე დროით მოისვენა და მერე ნადიმზე გამობრძანდა. მისთვის გამზადებული სუფრა ბრწყინვალე და ზღაპრული იყო. თავადებისა და სამღვდელოებისთვისაც არანაკლებ მოემზადებინათ და მოერთოთ ყველაფერი. აზნაურთათვის ცოტა უფრო ნაკლები ხარჯი გაეღოთ. გლეხობისთვის განკუთვნილ ადგილზე, მიწაზე გაშლილ ფარდაგებზე სპილენძის ლანგრებით დაწყობილი იყო ბლომად პური და მწვანილი, მოხარშული ცხვრისა და ბურვაკის თავები, აუარება მწვადი და თავსასხმელი ღვინო. ირგვლივ მეწესენი იდგნენ.

ნადიმის შემდეგ იმპერატორი თბილისისკენ დაიძრა. როგორც კი დედაქალაქში შემოვიდა, მეტეხთან და მის გასწვრივ, მტკვრის სანაპიროზე მიწაში ჩაფლული ღვინის რუმბებიდან თეთრი და წითელი ღვინის შადრევნებმა იფეთქა. ტივებზე კოცონები ენთო, ისმოდა მუსიკისა და სროლის ხმები. ამდენი ლამაზი ქალბატონი, ბატონი და ამდენი ყვავილი ერთად არსად მინახავს. მუშთაიდის ბაღში მეფისთვის მოწყობილი იყო მრავალი სანახაობა. იმპერატორს ყველაზე მეტად „ილუზიონი“ მოეწონა. იმ საღამოსვე მეფე ქუთაისისკენ გაემგზავრა მატარებლით. მეც იმ მატარებლითვე ვიმგზავრე. ქუთაისში მატარებელი რომ გაჩერდა, კარები გაიღო. იმპერატორმა ფეხი ჩამოდგა ვაგონის კიბეზე, იქვე მდგომმა გურულების გუნდმა, რომლებიც ჩაქურებში და „აზიაცკებში“ იყვნენ გამოწყობილები, „ხასანბეგურა“ დააგუგუნეს. მეფეს მეორე ფეხი არ გადმოუდგამს, ხელით ანიშნა ყველას გაჩერება და ისე უსმენდა. მერე იქვე მდგომ თავადს მიმართა: — Князь, переведите, что они поют!

— Ваше Императорское Высочество – они поют... поют... м... м... — და მეტი ვერაფერი უპასუხა. დავინახე, თავადი საშინელ დღეში ჩავარდა, ვერ მოვითმინე, წარვდგი წინ ბიჯი და მეფეს მოვახსენე:

— Ваше Императорское Высочество, это перевести нельзя, там слов нет!

— А, а, хорошо! — ბრძანა მეფემ, ხელის ლამაზი მოძრაობით ახლოს მომიხმო და სახელი მკითხა...

ქუთაისში პურობის შემდგომ ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლმა ორი ოქროთი დამასაჩუქრა და გამაფრთხილა, — თბილისში როცა ვიქნებოდი — აუცილებლად მომენახულებინა...“

***ცირა ნიკოლაიშვილი***

# ჭრელას ჯადოსნური რძე

სათაურს დახედეთ თუ არა, ვიცი მიხვდით, რომ ამჯერად ერთი უცნაური ძროხა უნდა გაგაცნოთ, ჩემი რაჭველი თამრო ბიცოლას ჭრელა...

ჭრელას ბებია ჩვენს სოფელში გამოთხოვილ ბიცოლაჩემს მოჰყოლია მზითევში. თუმცა იგი მუქი წაბლისფერი ყოფილა და ამიტომ წაბლას ეძახდნენ თურმე. ოჯახის ნამდვილ იმედად იქცა ჯიშიანი წაბლა — იმდენს იწველიდა, დიდსაც აპურებდა, პატარასაც და ოჯახისთვის გადარჩენილ ყველს და ერბოს სხვა პროდუქტზეც ცვლიდნენ. ოღონდ ფური გაეჩინა და რიგში იდგნენ ყოველთვის მყიდველები, რაც ღირდა, იმაზე ბევრად მეტსაც იძლეოდნენ და არც არასოდეს უნანიათ.

წაბლა ისე დაბერდა, მისი დაკვლა არც უფიქრიათ: — მაგის ხორცს ქვე რა შეგვაჭმევდა, ბოშო, ადამიანივით გვყავდა გვერდითო!..

წაბლას შვილი და ჭრელას დედა ლამაზაც ჯიშიანი ძროხა იყო. ბოლო ორი წელია გაბერწდა და რძეც გაუშრა, მაგრამ არც მის დაკვლას ფიქრობენ, ძველებურად უვლიან...

წაბლისფერ ბეწვზე დიდი თეთრი ლაქები აქვს ჭრელას და უჩვეულოდ ლამაზია.

თამრო ბიცოლას საკუთარი ავადმყოფობის არ ეშინია ისე, როგორც ჭრელასი. გასულ შემოდგომას ვაშლი გადასცდენოდა სასულეში, გაიბერა და კვდებოდა. უკან გადაიტანა ლამაზი, ცრემლით სავსე თვალები... ადამიანივით შეიცხადა თამრომ, მთელი სოფელი შეყარა. ვაჟიკუნას გოგინიკამ იმარჯვა თურმე და ხელი ჩაუყო ძალად დაღებულ პირში ჭრელას. როგორღაც მიეხმარა, მიეშველა და ამოასუნთქა.

თამრო ბიცოლა საჩუქრად ჭრელას ხბოს დაჰპირდა გოგინიკას და აჩუქებს კიდევაც, მანამდე კი გახარებული ბიჭი ხან ჩალას და ხანაც აბულულებულ თივას უზიდავს ჭრელას, ხანაც დაჭრილ მსხალს და ვაშლს მიაწოდებს, — ვიცი, გიყვარსო!..

ჭრელაც მიირთმევს და სიამოვნებით ზმუის, ალერსს იფერებს.

საოცრად ჭკვიანია ჭრელა. თამრო ბიცოლა უყვარს განსაკუთრებით და წველისას მის გარდა არავის იკარებს. თუ თამროს სადმე წასვლა დასჭირდა, წინასწარ უნდა მიუყვანოს ჭრელას თავისი შემცვლელი და მოუბოდიშებს, საქმე მეძახის და არ მცალია, დღეს სხვას უნდა მისცე რძეო! — უკმაყოფილოდ დაიზმუვლებს ჭრელა, მაგრამ თამროს უარს არ ეუბნება, აბა, საქმეს როგორ მოაცდენს ქალს, ოთხი შვილისა და ცხრა შვილიშვილის პატრონს, ხან ერთისკენ მიიჩქარის, ხან მეორისკენ — მიაქვს რძე და მაწონი, ერბო და კარაქი, ყველი და ნადუღი — გეგონება ერთი ძროხის კი არა, ფერმის პატრონიაო, თანაც, ჭრელას მართლაც ჯადოსნური რძე აქვს. საკმარისია, სიცხიანს და გრიპიანს ცხლად დაალევინონ, რომ უცებ მოიკეთებს ავადმყოფი, სიცხეს გამოიჩენს. მეძუძურ დედებს რძეს გაუმრავლებს, გამხდარ, უფერულ ბავშვს ლოყებს აუღაჟღაჟებს და ჯანზე მოიყვანს...

არ უჯერებენ თამროს, რომ ჯადოსნურ ელექსირს არ ურევს რძეში...

თამროს წამალი კი ალერსი და კეთილი სიტყვაა, ძროხას ბავშვივით უყვავებს და ეფერება, თავის დარდს თუ სიხარულს უზიარებს, ტკივილებსაც მხოლოდ მას უმხელს, შვილებს იცოდებს — დედის დარდი სიხარულს წაართმევთო!..

თამროს ყველა დარდი და სიხარული იცის ჭრელამ და მის კვნესაზე თავადაც შეშფოთებული ზმუის, ვერ ამბობს, ენა არა აქვს, თუმცა მის თვალებში წაიკითხავ, ყველაფერი ადამიანივით და სულიერზე უკეთ რომ იცის...

სამი წლის წინ უფროსი ძმის სიკვდილი შეატყობინეს თამროს. გვიანი იყო თავისსახლს წასვლა იმ საღამოს და დილისთვის გადადო გამგზავრება. ატირებულმა შავი თავსაფარი წაიკრა შუბლზე და ისე გავიდა ბოსელში, ჭრელას წინ სალაფავი დაუდგა და თავად იქვე ჩამოჯდა ხის სკამზე, ჩუმად ქვითინებდა.

ჭრელამ ყურადღებით შეხედა თამროს და ჭამას თავი ანება. მიუახლოვდა და შეზმუვლა, თითქოს მწუხარების მიზეზი ჰკითხა...

— ძმა აღარა მყავს, ჭრელავ, ჩემი გაბრიელიო! — სახეზე ხელები აიფარა თამრომ და კიდევ უფრო ამოუჯდა გული.

ჭრელა უფრო მიუახლოვდა პატრონს და თავი კალთაში ჩაუდო:

— ბოშო, ცრემლით ჰქონდა სავსე ის ბრიალა თვალებიო! — გაოცებული უყვებოდა მოგვიანებით თამრო მეზობლის ქალებს.

თამრო რომ ხიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა, იმით თანაუგრძნო, რომ ყოველ დილა-საღამოს გულდაგულ ულოკავდა ხაოიანი ენით თაბაშირს და წველისას მოხერხებულად დგებოდა, ცალხელა ქალისთვის საქმე რომ გაეიოლებინა...

— რომ მოვმკვდარიყავი, რა გეშველებოდაო... — ალერსით ეთქვა ჭრელასთვის თამროს. ძროხას სევდიანად შეუხედავს მისთვის და თავით მკერდზე მიკვრია: — ერთიანად კანკალებდაო!

ჭრელას მეც კარგად „ვიცნობ“ და თუმცა რძე არ მიყვარს, მაინც ძალით მასმევს თამრო ბიცოლა: — დალიე, გონებას გაგინათებსო! მეც ვსვამ და... ვწერ მერე ათას რამეზე...

***ინგა ჯაყელი***




# არაფერი შეგვეშალოთ!

**რაც უფრო ლანძღავ შენს კულტურას, მით უფრო „პროგრესული“ ხარ?!**

სხვისი არ ვიცი, პირადად მე, ტელევიზორში ქართული ფილმების ყურების ცდუნებას ვერ ვძლევ და გუნებაზეც მოვდივარ. დღეს ქართული ფილმები სერიალების სახით ფაბრიკულად იწარმოება და კაცმა რომ თქვას, ამ პროდუქციის შემქმნელებსაც კი არ აკმაყოფილებს. ზოგიერთები ამტკიცებენ, ქართული კინო მოკვდაო. ზოგადი ჭეშმარიტება კი ასეთია: თუ ერი თვითონ არ იფიტება, არც მის წიაღში შექმნილი ხელოვნება კვდება. ამიტომაც ალბათ უფრო ის უნდა ვიფიქროთ, რომ მუზები ზარბაზნების ქუხილის დროს მართლა დადუმდნენ. სამწუხაროდ, ზარბაზნების ქუხილმა არა მხოლოდ მუზები დაადუმა, არამედ გადაღების სახსრებიც შეიწირა. სამაგიეროდ, ბევრი კინოსურათი გაუძლებს დროს. მათ შორის რეჟისორ **ბუბა ხოტივარის** ფილმებიც: „დარიალის ჩანახატები“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „დემეტრე თავდადებული“ და „ლაზარე“ — მარადიული სიკეთის სიმბოლო...

**— ბატონო ბუბა, რამდენი წელია ველარ იღებთ?**

— ნამდვილ კინოს? — 15.

**— აბა, რას აკეთებთ?**

— ყველაფერს, გადაღების გარდა. 12 წელიწადი ვკვდებოდი. ყოველი დღე ტანჯვა იყო.

**— ემოციური ხალხი ხართ რეჟისორები, აჭარბებთ.**

— ასე არ არის. კინოს სიცოცხლე შევწირე. ბუნებრივია, როცა არ ვიღებ, ადამიანი აღარ ვარ. 3 წლის წინ ირაკლი ფარჯიანის ხელით გადაწერილი და დასურათებული სახარება ვნახე. რაღაცამ მიბრძანა, — გადაიღეო. მივხვდი, რომ თუ ამას არ გავაკეთებდი, ყველაფერზე ხელი უნდა ჩამექნია. ავიღე კამერა და გადავიღე. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა — თითქოს გზა იხსნებოდა.



„ლაზარე“

**— გაიხსნა გზა?**

— ასეთი განცდა მაქვს. ამჟამად დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი ვარ. იცით, ეს რა სტუდიაა? აქ ერის 100-წლიანი ისტორიაა ცოცხლად შენახული, დაწყებული აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობიდან. აქ ინახება მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე!“ — მარილი სვანეთს. ეს ის ფილმია, რომელზეც ჩაპლინმა თქვა, ამ საოცრებაში მთელ ჩემს ფილმებს გავცვლიდიო. სამწუხაროდ, ახალი საუკუნე სიღარიბით დაიწყო, მაგრამ აქ დაგროვილი სიმდიდრე გვაძლევს იმის საშუალებას, შიდარეფორმები ჩავატაროთ.

**— თქვენი კაბინეტის ულამაზესი ბუხარი ხაზს უსვამს ამ დაწესებულების ისტორიულობას.**

— ეგ ბუხარი 200 წლის გახლავთ, რუსეთის მეფის ნაცვლის დროინდელი. სანამ რუსთაველზე დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობას სასახლეს აუშენებდნენ, აქ ისხდნენ, ამ ბუხართან.

**— სანამ მყუდროებას ბოლშევიკები არ დაურღვევდნენ...**

— ჰო. იცით, ამდენი ხანი რით გავუძელით გაჭირვებებს? იმით, რომ ეგ ბოლშევიკები აქედან გავრეკეთ. არ ვაჭარბებ, მე ნამდვილად ამან გამაძლებინა. როგორია, მთელი სიცოცხლე მესმოდა, როგორ წუხდნენ ჩემი მშობლები იმაზე, რომ ტყვეები ვიყავით. მამა რეჟისორი იყო და ცენზურის გარეშე ფილმს ვერ გადაიღებდა, დედას სახლ-კარი წაართვეს. მამამისი, ალექსანდრე მიქელაძე, იმპერატორის არმიის გენერალი, საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდა, ჩამოვიდა და რიგით ჯარისკაცად მსახურობდა. ვერ დაუფასეს. თუმცა ნაღდი ქართველები მაინც შემორჩნენ. ჩვენს ოჯახშიც იკრიბებოდა ისეთი ხალხი, რომელსაც დედაჩემი სიამაყით გადაუგვარებელ ქართველებს ეძახდა. ხანდახან ამ ხალხსაც მოეძალებოდა სასოწარკვეთილება, — რა გვეშველება, ასეთ სახელმწიფოში როგორ ვიცოცხლოთ, მართლა ხომ არ გაგვწირა ღმერთმაო... ერთ-ერთი ასეთი აწუწუნების დროს, დედაჩემმა იყვირა: — რა უფლება გაქვთ, ღმერთს წარამარა რომ ახსენებთ, რას ეპრანჭებით ერთმანეთსაც და ღმერთსაც, ნამდვილი რწმენა დაგიკარგავთ, სულ „რა გვეშველება“-ს გაიძახითო. მერე დამშვიდდა და თქვა: — ვიცი, ეს სახელმწიფო უკვე გამომპალია, ვითომც არ ყოფილა, ისე დაიშლება, მაშინ ვილაზე გაბრაზდებით, ვის დააბრალებთ თქვენს უბედურებებსო... ძალიან კარგად მახსოვს ეს სიტყვები... და ისიც მახსოვს, შეთქმულებივით ერთხმად რომ უპასუხეს: რა გვეშველება და, ვიბრძოლებთო... ვიღაცამ დაამატა: — აი, როგორც „სერენადაში“ ის პატარა ბიჭი იბრძვისო...

**— „სერენადა“, თუ არ ვცდები, თქვენი ძმის ფილმია.**

— კი, ქართლოსის. „ლაზარეც“ მან დაიწყო. მეოთხედი ჰქონდა გადაღებული, პირადი ტრაგედია რომ შეემთხვა. მხოლოდ ქართლოსი არა, ამ ტრაგედიამ რამდენიმე ოჯახიც გაგვტანჯა... მანამდე კი „სერენადა“ მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე აჩვენეს. მეც იქ ვიყავი. ჩვენება რომ დასრულდა, ქართლოსს ფირები უნდა აელო, მაგრამ ვიღაც ტანდაბალმა კაცმა დასტაცა ხელი ფირის კოლოფებს, გულში ჩაიხუტა და აყვირდა: — ვერ გაგატანთ, ეს ჩემი ფილმია, მე რაც მტკივა, აქ არის, არ წამართვათ, დამიტოვეთო. ეს კაცი ცნობილი ფრანგი რეჟისორი მარსელ კარნე აღმოჩნდა. მერე რამდენჯერმე შევნიშნე, როგორი სევდით უყურებდა ჩემს ძმას. ერთხელ უთხრა, — შენში რაღაც საბედისწერო საიდუმლოს ვხედავო...

„ლაზარე“ ქართლოსმა 1970 წელს დაიწყო. დამირეკა: — ჩამოდი, მეორე რეჟისორი მჭირდებაო. ჩამოვედი. 25 წლის ვიყავი, ერთი არცთუ ცუდი ფილმი მქონდა გადაღებული.

**— ალბათ „დარიალის ჩანახატები“...**

— სწორედ ეგ. ვალიკო სულაკაურმა შემომთავაზა: წამოდი არხოტში, გადავიღოთ. კარგი სცენარი მაქვს მოხევეებზეო. დავურეკე გოგი ბარნაველს, ავიღეთ კამერა და წავედით. მერე თენგიზ მოდებაძე შემომიერთდა. მოკლე დროში უნდა დაგვესრულებინა სამუშაო. მოგვინდა, რაც შეიძლება მეტი და კარგი კადრები გადაგველო. გადავიღეთ ზამთარში თივის დაცურება მთიდან. თენგიზმა თქვა, ძალიან ლამაზი იქნება ქარში და მზიან ამინდში თიბვის გადაღებაო. ვუთხარით რეზო ჩხეიძეს, — ზაფხულამდე გვჭირდება-მეთქი დრო. ოღონდ რამე კარგი გააკეთეთ, მე ვკისრულობ დროის გაგრძელებასო... რაც გვინდოდა, იმას ვიღებდით. მხოლოდ ამ ფილმში შემორჩა ქვის ულამაზესი წყობით ნაგები თუშური სახლები. ეგებ ვინმემ აღადგინოს ის გასაოცარი არქიტექტურა. რომ არ ყოფილიყო ბატონი რეზო, ბევრი კარგი ქართული ფილმი ვერ შეიქმნებოდა. ის იყო ყველგან, სადაც გვიჭირდა. როცა მოსკოვში სოსო ჩხაიძის „ქართული საგალობლების“ დაჩეხა მოინდომეს, სოსომ მითხრა: — რეზომ დამირეკა: არ დანებდე, არაფერზე არ დაეთანხმო, ხვალვე მოვფრინავო! ერთხელ, ერთმა სტუდენტმა უარი განაცხადა კომკავშირული ფილმის გადაღებაზე. დიდი სხდომა მოიწვიეს და დამოძღვრეს: ვერ ხედავ, ცნობილმა რეჟისორმაც არ თქვა უარი „რაიკომის მდივნის“ გადაღებაზეო. უეცრად ბატონი რეზო წამოხტა და იყვირა: — მორჩით ჩვენი შვილების გარყვნას, მე ამ ფილმს იმიტომ ვიღებ, მაგათ ასეთი ფილმები რომ აღარ გადაიღონო! დარბაზიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა. სხვათა შორის, ეს კაცი რომ არ ყოფილიყო, „ლაზარეც“ არ შეიქმნებოდა.

**— მან გირჩიათ ფილმის გაგრძელება?**

— მირჩია კი არა, მიბრძანა. პირველად რომ მითხრა, გაოგნებისგან კედელს მივეყრდენი და იატაკს დავაშტერდი. კადრივით მახსოვს, — კაბინეტში შევიდა და დამიძახა: — შემოდიო. არ შევყევი, ისე მივაყარე, — არ მინდა, ბატონო რეზო, ვინმე გამოცდილი ნახეთ-მეთქი. რა მეფილმებოდა, ჯერ ერთი, ჩემი ძმის ტრაგედიიდან ვერ ვიყავი გამოსული. გამიბრაზდა ბატონი რეზო: — შენი თავის დაფასებით ხალხს რატომ აწუხებო? მივიხედე და მგონი, მთელი სტუდია იდგა ჩემ უკან. შევედი კაბინეტში. მარტო დამტოვა. გარედან სიმღერები მესმოდა და ფოთლები შრიალებდა. მივხვდი, სიცოცხლე გრძელდებოდა და ძალიან მომინდა რამე გამეკეთებინა.

**— რომ არ გადაგველოთ, არ შეიძლებოდა. ეს ფილმი უკვდავია.**



ბუბა ხოტივარი

— იმიტომ, რომ არ კვდება თვითონ სიკეთე, რომელიც ფილმშია. დიდი და პატარა მეხმარებოდა. ყველას ვერ ჩამოვთვლი, ზოგადად გეტყვით... ამ გადაღებებზე მუშაობდა უნიჭიერესი მხატვარი ვახტანგ რურუა, რომელიც ხმამაღლა გვიყვებოდა ივანე ჯავახიშვილის შრომებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ. ისე კითხულობდა დავით გურამიშვილის „მოთქმა ხმისას“, როცა დაამთავრა: „ვაი, რა კარგი, საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო, დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“, ჩვენმა გამნათებელმა აისორმა აბასამ საწყალი ხმით უთხრა: — ვახოჯან, ეგრე გულის გრძნობით რომ ქითხულობ, მეც შემეცოდა თქვენი ღმერთი, მეშინია, ქრისტიანი გავხდები და ჩემები მამქლამენო...

პირველად ამ ფილმით შემოვიყვანე კინოში ანზორ ერქომაიშვილი. ამ ფილმში ენუქი მღვდლის როლს თამაშობდა ჩემი ძმის მეგობარი, გოლიათი ზოზო ბაქრაძე. ის ისეთი პატიოსანი და პროფესიონალი ფინანსისტი იყო, მერწმუნეთ, დღეს რომ საქართველოს ჰყოლოდა, არც ფული გაიფლანგებოდა ბანკებში და ქვეყანაც ფეხზე დადგებოდა... და ათი წლის გეგა კობახიძე — უნიჭიერესი, ზღაპარივით სუფთა ბავშვი...

**— რომელიც „ლაზარემ“ ვარსკვლავად აქცია.**

— იცით როგორ განიცდიდა ყველაფერს? ხომ გახსოვს მისი თვალები, ბრმა როცა ლოცულობს? მაშინ ქართლოსმა უთხრა: — გეგა, წარმოიდგინე, ლაზარეს იესო რომ დაენახა, როგორი სახე ექნებოდაო. გეგა დაიბნა და შემკრთალმა ჰკითხა: ქართლოს ბიძია, იესო როგორ უნდა დავინახოო? ჩემმა ძმამ ჩაიხუტა: — უფალი ადამიანებს ბევრჯერ ეცხადება, მაგრამ ვერ ამჩნევენ, შენ თუ ლოცვას კარგად მოისმენ და დაუკვირდები, დაინახავო. უეცრად ბავშვს თვალები გაუფართოვდა, სახე წამოუწითლდა და დაძაბულად დაუწყო ყურება ჯერ მიწას, მერე ცას და უცებ თქვა: — მივხვდიო. აი, ის მზერა შევიდა ფილმში, გახსოვთ, რა თვალებია? ამ მზერამ გადაწყვიტა მთელი ფილმის ბედი.

**— „ლაზარე“ იგავური ფილმია, იქნებ გადაჭარბებულმა იგავურობამ გამოიწვია ქართული კინოს ჩავარდნა?**

— რას ამბობთ, განა მთელი ცხოვრება იგავი არ არის? თუკი რეჟისორს აღმოაჩნდება უნარი, იგავური ეპიზოდი მაყურებელმა განაზოგადოს, მაშინ ფილმი შედევრი ხდება. პრიმიტიულობა და გადაღეჭილი კადრები, დამიჯერეთ, ვერავის დააფიქრებს. ასეთი პრიმიტიული კოშმარული სერიალებია. რატომ ფიქრობთ, რომ უცხოური კინო იგავის ენას არ მიმართავს. აბა, რა არის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ და „ერთხელ, ამერიკაში“? ქართული კინო დაუბრუნდება იგავს, ოღონდ სხვაგვარად. თუ ადრე იგავი და ალეგორია იმიტომ გვჭირდებოდა, რომ თავისუფლების მოთხოვნა შეგვენილბა, ახლა ქართველებად დარჩენის მოთხოვნილება უნდა შევნიღბოთ — ასეა საჭირო! დაბრუნება უკან, ხელოვნებისკენ აღმასვლას ნიშნავს.

**— აღმასვლაზე საუბრობთ მაშინ, როცა ზოგიერთი თვლის, რომ ქართული კინო მოკვდა.**

— თქვენც დაიჯერეთ? სისულელეა. ახლა ასე გეტყვით: ახლახან პედაგოგებმა თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტური ფილმები ვნახეთ. მერე გამოვედით და ერთმანეთს ჩავეხუტეთ. ვერავინ გაიგებს, რა ბედნიერები ვიყავით. რატომ? იმიტომ, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი რეჟისორების თაობა მოდის. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: — ქართულ კინოში აფეთქება მოხდება. გაოგნებული ვარ, როგორი ოსტატობით იღებენ, როგორი სიყვარულით, როგორი პატივისცემა აქვთ ტრადიციის, ეკლესიის, კულტურის მიმართ. არადა, ხომ ხედავთ, რა აგდებული ტონი გაჩნდა საკუთარი ერის მიმართ. შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს, მაგრამ რასაც ვამბობ, სიმართლეა: განსაკუთრებით მასმედიამ დაამკვიდრა ის ტონი (საბედნიეროდ, ყველას არ ვგულისხმობ), რომ რაც უფრო ლანძღავ შენს კულტურას, მით უფრო „პროგრესული“ ხარ. არავის არაფერი შეეშალოს, რეგრესულები თავიანთ ტვინებში მოიკითხონ! რაც უფრო მეტად შეინარჩუნებენ ამ ტონს, მით უფრო მეტი პროტესტი გაჩნდება. უკვე წამოვიდა ახალგაზრდობა, რომელიც ხაზგასმით სწევს წინ ყველაფერ ქართულს: ტრადიციას, კულტურას, ეკლესიას. ამაში ჩემი სტუდენტების ფილმებითაც დავრწმუნდი. ჯვრისა და სვეტიცხოვლის, ქართული საგალობლების შემქმნელ ხალხს თავის კულტურას ვერავინ დააშორებს. ამ მთების პატრონის სიმაღლე რაშია, არ უნდა შეგვეშალოს!

**— გიყვართ მთები?**

— მიყვარს, რომელია! თბილისში დაბადებული და გაზრდილი კი ვარ, მაგრამ ცნობიერებით მთების შვილი ვარ. მეძახიან, იქითკენ მიმიწევს გული, იქ ვარ კარგად. მამაჩემი რაჭველი ლაზი იყო. მისი წინაპრები 300 წლის წინ თურქებს გამოჰქცევიან და რაჭის ერისთავს შეუფარებია. სხვათა შორის, თურქეთში ვნახე სოფელი „ხოტი“. უძველესი გვარი მაქვს, ვამაყობ ამით. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ ვიცნობ მამაჩემის მშობლიურ სოფელს რაჭაში, ოდესმე მიწას იქ მაინც ვიყიდი, მე თუ არა, ჩემი შვილები იყიდიან. ეს მთა და ბარია ჩვენი სამშობლო. გული მისკდება, ზოგისთვის მარტო თბილისი რომ არის საქართველო და თუ თბილისურ კილოზე არ ლაპარაკობს, სხვა ქართველს ზემოდან უყურებს. სირცხვილია, თბილისი უნდა გიყვარდეს, მაგრამ ასევე მთელ საქართველოს უნდა იყო გადაფარებული.

***ეთერ ერაძე***



# ...მაგრამ ყველაფერი წაიღო ქარმა

იგი არ ებრძოდა დევებს და ქაჯებს, მაინც ზღაპრის პერსონაჟივით იცხოვრა. დაიბადა ფშავის მშვენიერ სოფელ ჭიჩოში. გულბაათ ნადირაშვილი თორმეტ და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო. 17 წლისა ბედის საძებნელად ბარისაკენ დაეშვა. სამი დღე-ღამე მოუნდა ჩამოვაკებას. სადაც დაუღამდებოდა, იქ უთენდებოდა. შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ნატრობდა: — ღმერთო, იმას შემახვედრე, რისი ბედიც მაქვსო. უსმინა უფალმა, მაყვლის ბარდებში გაბმული, ფარას ჩამორჩენილი ბატკანი აპოვნინა. ბიჭმა ბატკანი მხრებზე შეიგდო და გზას გაუდგა. იკვლივის მთის ძირას გამოთხარა მიწური და იქ დაიდო ბინა. თავს მოჯამაგირეობით ირჩენდა. კერა მაინც გაათბო. ქალი მოიყვანა მზის სადარი. ერთ მშვენიერ დღეს ფეხმძიმე ცოლს დაემშვიდობა, თავისი ცხვარი სანდო კაცის ფარას შეურია და მწყემსად აედევნა. კარგა ხანს არც ასავალი იცოდნენ მისი, არც დასავალი. სამი წლის მერე დაბრუნდა. ათასხუთასსულიანი ფარა მოაყენა ეზოს. ბაჯბაჯით გამოეგება ლოყებღაჟღაჟა სიყრმის შვილი — დავითო დაერქმია დედას. გულბაათმა საკუთარი ცხვარ-ბატკნის მოსავლელად თავად დაიქირავა მწყემსები. ოჯახს კიდევ ორი ვაჟი შეემატა — ივანე (ხუმარა) და პავლე. წამოიზარდნენ თუ არა, საქმეში შეიყოლია მამამ. ერთი — ათასად, ერთი — ათასადო, — ლოცავდა გამრჯე ბიჭებს ამვლელ-ჩამვლელი. ერთი ათასად კი არა, ერთი თექვსმეტი ათასად აქციეს. მწყემსების წილი ცალკე ჰყავდათ ხუთი ათასი. გამრავლდა ოჯახი. ამაღლდა ჭერი. განზე გაიწია მამულებმა. გულბაათის ვაჟებმა საქმე გაინაწილეს: დავითო თან დასდევდა ცხვარს, პატრონობდა. ხუმარა სულ



ქურციკა ნადირაშვილი მეუღლესთან ერთად

გზაში იყო. საძოვრებიდან სახლამდე მიჰქონდ-მოჰქონდა სანოვაგე, ტანსაცმელი, პირუტყვის საკვები. პავლე შემოსავალს ითვლიდა და უცხოეთთან კავშირებს აბამდა (ეს ის პავლე ნადირაშვილია, თბილისში ჩამობრძანებულ იმპერატორ ალექსანდრე -ს საგანგებოდ არჩეული ასი ჭედილა რომ მიართვა ქრთამად და მაშინდელი გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე ქართული ცხვრის ფარები მთის საძოვრებისაკენ დაუბრკოლებლად გაატარა). ნადირაშვილებმა მამულები შეიძინეს ახმეტაში, თერთწყლებზე, შირაქის, ელდარის, თრიალეთის საძოვრებზე. შეისყიდეს იკვლივის მთა, დაიქირავეს დმანისის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხის იალაღები. შექმნეს ოჯახები, გამრავლდნენ, 17 ჯანმრთელი ქალ-ვაჟი გამოზარდეს. 1915-17 წლებში გერმანელი კუჩენბახებისაგან შვეიცარიული ყველის კუსტარული საწარმო აიღეს იჯარით. ორ წელიწადში შეისყიდეს, ქარხანად გადააკეთეს. საქართველოში პირველად მათ შემოიყვანეს შვიცის ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვი. ყველის ოსტატი ოდესაში გააგზავნეს ტექნოლოგიის შესასწავლად. იგი ცნობილი საოპერო მომღერლის — ნიკო ქუმსიაშვილის სიმამრი ყოფილა — მინდოდაურის გვარისა.

ნადირაშვილებმა ქარხანასთან გახსნეს მიმღები პუნქტი. ახლო-მახლო სოფლებიდან და რაიონებიდან ყიდულობდნენ რძეს და, შვეიცარიული ყველის გარდა, მთელ საქართველოს ამარაგებდნენ გლეხური კარაქით, არაჟნით, ნადუღითა და სხვა პროდუქტებით. მატყლი და ცხვრის ყველი გაჰქონდათ თურქეთში, ირანსა და საბერძნეთში. მეცხოველეობიდან შემოსავლებით იხდიდნენ საძოვრების საფასურს, სახელმწიფო



გუგუდაანთ პავლე

ბაჟს.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი თავის წიგნში — „მეცხრე მთაც გადავიარე“ ქებით მოიხსენიებს გონიერ ფერმერთა საქმიანობას, რომელთაც თავიანთი გამრჯე შრომითა და ალღოთი საფუძველი გაუმაგრეს მეცხოველეობის აღმავლობას ქვეყანაში.

საწარმოების გარდა, ნადირაშვილებმა დმანისში ხუთი-ექვსი საცხოვრებელი სახლი ააგეს. დიდძალ უძრავ ქონებას ითვლიდნენ თეთრწყაროში, თიანეთში, ერწოში, ახმეტასა და შირაქში. თბილისის ახლანდელი უსინათლოთა სკოლა საკუთარი ხარჯებით ააშენეს. ამ ნაგებობაში ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმრო გახსნეს, ადმინისტრატორად ნადირაშვილების სიძე — პეტრო მარტოლეკი დანიშნეს და დაავალეს, გლეხებისათვის ღამის გასათევი თანხა არ გადაეხდევინებინა.

იქვე, ავლაბარში ფუნქციონირებდა მათი კუთვნილი ქარვასლა (შემდგომში იქ სამხედრო სასწავლებელი გახსნეს) დიდი ეზოკარით, სადაც მოვაჭრეთა ურმებისა და ცხენაქლემების სადგომები ყოფილა გამართული. ნადირაშვილების ოჯახი თვალში ჰქონიათ ამოღებული მძარცველ-ყაჩაღებს, მაგრამ ვერ შებედეს თავდასხმა. ქალი და კაცი ერთნაირად ხმარობდა თურმე იარაღს. ამბობენ, იმ ქვეყნად თითოს შვიდი მომხდურის გასტუმრება შეეძლოო. სამაგიეროდ, გაშლილი ჰქონდათ დიდი საქველმოქმედო საქმიანობა. საზღვარგარეთ სწავლის საფასურს უხდიდნენ 10-12 ქართველ სტუდენტს. საინჟინრო აკადემია ბელგიაში მათი ხარჯებით დაამთავრეს ცნობილი ფოლკლორისტის, დავით ხიზანაშვილის ქალ-ვაჟმა და ძმისშვილმა, რომლებიც „ორთაჭალჰესისა“ და ორთაჭალის ძველი ხიდის პროექტის ავტორები არიან.

...მაგრამ ყველაფერი ქარმა წაიღო... კომუნისტებმა განკულაკებულ ნადირაშვილებს მისხალ-მისხალ წაართვეს ქონება და მთლად ცარიელზე დასვეს. დმანისში მათი ოჯახის დარბევისას ცოცხლები ძლივს გადაურჩნენ ჩეკისტებს. წალკელმა ბერძენმა ძმებმა, რომლებიც ნათლიად ჰყოლია მოკიდებული პავლე ნადირაშვილს, იარაღი აისხეს თურმე და თბილისამდე ქალიან-კაციანად უვნებლად ჩამოიყვანეს ნათლიმამის ჯალაბი...

ვერაფერმა ჩაკლა მათში მეურნის დაუცხრომელი ჟინი. ჩვეულებას არ ღალატობდნენ. ჯიუტად აგრძელებდნენ თავიანთ საქმეს. დავითომ ერთი კოჭლი ნერბი (დედაცხვარი) სამჯერ საკუთარი მხრებით აიყვანა თურმე საზაფხულო იალაღებზე — კარგი ბატკნები იცისო. ის ცხვარი ყოველ დადოლებაზე ან ტყუპს აჩენდა, ან სამ ბატკანს. ამასობაში ოჯახის გვარ-ჯიშის გამგრძელებელი თაობაც წამოიზარდა. ისევ აავსეს ბღელ-მარანი მამა-პაპის გზა-ბილიკებს ადევნებულმა დიდვაჟმა, თვირთვილამ, ქურციკამ... სამი სოფლის კოლექტივი შედგა მათი ქონებით.

ნადირაშვილების მოდგმის დევნა მაინც ჭიასავით ღრღნიდა საბჭოებში წამოსკუპებულ მედროვეებს. ბოლოს ქურციკას ცხენს დაადგეს თვალი. ცხენს ბეგი ერქვა. ალავერდობაზე ერთ თათარს მოუყვანია გასაყიდად. ქურციკამ ამ ცხენში თათარს თავისი ცხენი და 25 ჭედილა მისცა. თელავში ორჯერ მოასწრო შეჯიბრებაზე გამოყვანა. ორჯერვე ერთი ვერსით უკან ჩამოიტოვა კახეთში განთქმული ბედაურები. ამბობენ, ბეგი რომ დაიჭიხვინებდა და ყალყზე შედგებოდა, — აქლემები ფრთხებოდნენო (სამი საქარავნო აქლემი კიდევ შემორჩათ ნადირაშვილებს. — ავტ.).

ცხენის ხელში ჩაგდების სურვილით გაწირეს მისი პატრონი. 37-ში სიმღერის გამო(?!) გადაასახლეს პოლიტიკური მოტივით (ქურციკა მოყვრებში დამთვრალა, შინ მოდიოდა თურმე ცხენზე ამხედრებული და თავისთვის ღიღინებდა: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“), მას შემდეგ აღარავის უნახავს... გულბაათის შთამომავლებს დიდი პაპის სახელის გამო დღესაც გუგუდაანთ ეძახიან.

P.S. ბედის როგორი ირონიაც არ უნდა იყოს, ნადირაშვილების რამდენიმე შვილიშვილმა ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტობის დროს ყველის წარმოების პრაქტიკა დმანისში, მათი მამა-პაპის დაარსებულ ყველის ქარხანაში გაიარა...

# „მტრის გამჯავრებელი“ – 6 ძმა სამიქაოდან

ლეონიდ ბრეჟნევის ზეობის ჟამს, მისი ავტორობით გამოცემული რამდენიმე წიგნი ითარგმნა ქართულად: „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“... თავის ფრონტულ ბიოგრაფიაში იგი ყველაზე დიდ მნიშვნელობას მცირე მიწაზე პოლიტხელად მუშაობას ანიჭებდა. მაშინ ბევრი ჟურნალისტი დაინტერესდა მცირე მიწაზე მებრძოლი ქართველებით. ჩვენებურების ამბავი კარგად მოგეხსენებათ და ზოგმა ისეთმა დაიბრალა ბრეჟნევთან უშუალო შეხვედრის ამბები, ვისაც, მცირე მიწის გვერდითაც არ გაევლო.



გერონტი, ბაგრატი, მამია, ენუქი, კორნელი, დიმო ჯანუაშვილები

ჩემს მეზობლად ერთი ნაფრონტალი, ათასგზის დაჭრილ-ნაწამები კაცი ცხოვრობდა. უხმაურო, უპრეტენზიო ადამიანი არც თვითონ აბეზრებდა თავს ვინმეს და არც არავინ ჩასძიებია, ჩაეწერა მისი საბრძოლო თავგადასავლები. არადა, ის იყო სწორედ ნაღდი მცირემიწელი. მეც შორს წასვლა არ დამჭირვებია. ერთ მშვენიერ საღამოს მისი ქალიშვილი ლეილა თავად მიმიძღვა მამასთან.

— რის ბრეჟნევი, რა ბრეჟნევი, მე ეგეთი კაცი იქ არ მინახავს, — მითხრა გაკვირვებით ზაქრო ძიამ.

— იქნებ თქვენს ნაწილში არ იყო, ან არ გახსოვთ? — ჩავაცივდი.

— კარგი რა, ისე გამოდის, მამა ომში იყო და შვილი ამბავს უყვებოდაო...

თავდაპირველად ვიცავდით ქერჩს, ყირიმს. მაგ დროს, თქვენ რომ გაინტერესებთ, ვიბრძოდი მცირე მიწაზე. სხვა ნაწილში შეიძლება ბრეჟნევს მართლაც ჩაუტარებია პოლიტაგიტაცია, მაგრამ მნიშვნელოვანი ფიგურა რომ ყოფილიყო, მემახსოვრებოდა. მცირე მიწაზე ყველა ერთ პოლიტხელს ვიცნობდით, ქართველი იყო, გვარად ჯანუაშვილი, გონიერი და გულადი ყმაწვილი, რუსი ოფიცრები გაფაციცებით უსმენდნენ ხოლმე იმის ლექციას. ჩვენს ოცეულს მეთაურობდა.

გამოიღო კომოდის უჯრიდან ექვსი სამხედრო პირის სურათი და წინ დამიდო. — ძმები არიან სამიქაოდან. აბაშის რაიონშია ეგ სოფელი. გერონტი, ბაგრატი, მამია, ენუქი, კორნელი და დიმო ჯანუაშვილები თითქმის ერთად იყვნენ წამოსულები ფრონტზე. ოთხი მათგანი ქერჩში, ჩემს ნაწილში იბრძოდა. მერე დაგვანაწილეს. ეს ბიჭები ზოგი ნოვოროსიისკთან გადაისროლეს, ზოგი — მოზდოკში. მაგათი ამბები მერე დაწვრილებით გამოვიკითხე, უკრაინასა და ბელორუსიაშიც უბრძოლიათ. ერთ მათგანს — კორნელი ჯანუაშვილს ძმად ქერჩში გავეფიცე. ქუთაისის პედინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, დიპლომი აიღო თუ არა, მაშინვე ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. სწორედ ეგ იყო ჩვენი პოლიტხელი. ეს პატარა ბიჭი მარტო ცოდნით კი არა, საზრიანობითა და არაჩვეულებრივი საბრძოლო უნარით ყველას გვაოცებდა. ზურგიდან ისე შემოუვლიდა მტერს, გონს მოსვლას ვერ ასწრებდნენ. ერთხელ, პირდაპირ სანგარში წაგვიკითხა სარდლობის ბრძანება. 5-6 კილომეტრის მოშორებით, სკოლის შენობაში ბავშვები და ქალები ჰყავდათ გამომწყვდეული გერმანელებს. მათი გათავისუფლება და სადგურამდე გაცილება გვევალებოდა. იქიდან კი ეშელონით კავკასიაში გაგზავნიდნენ. ოპერაციას თვითონ ჩაუდგა სათავეში. წავედით სამნი — მე, კორნელი და რომა გრომოვი. შემოგვხვდა მოხუცი აკიმი. ვიცნობდით ამ კაცს. რძე და თაფლი მოჰქონდა ჩვენთვის. კორნელიმ განზე გაიხმო, რაღაც ითათბირეს. აკიმმა თავისი ბარგი წამოიკიდა და გერმანელების შტაბისკენ გასწია... ჩვენ კი ცოტა ხანში სკოლას მივადექით. კარი გარედან ხის ურდულით დაეკეტათ. შენობას სამი ფრიცი დარაჯობდა. კედლის ძირას რკინის მსხვილი მილი ეგდო. კორნელიმ მანიშნა და შიგ შევძვერი. გრომოვი ძლიერი ბიჭი იყო. დააცხრა ერთ პატრულს და მოგუდა. მეორეს მე ვწვდი ფეხებში და მილში შევითრიე. მესამეზე კორნელი მივიდა პირისპირ და ძირს დასცა. ტყვეები უვნებლად მივაცილეთ სადგურამდე. ოპერაცია ისე დამთავრდა, ერთხელაც არ გაგვისროლია.

მეორე დღეს გერმანელების შტაბს დავეცით. იქ ყველა მკვდარი იყო, ჩვენი აკიმიც. კორნელიმ თქვა, საწამლავი სულ თან დაჰქონდა, მტერს ხელში რომ არ ჩავარდნოდაო. ალბათ თაფლსა და რძეში შეურია და პირველმა თვითონ შეჭამა, ეჭვი რომ არავის შეპარვოდა.

...მთებში სანადიროდ ხეტიალი მიყვარდაო, — მეტყოდა ხოლმე კორნელი. გაწაფული იყო სროლაში. მიზანს არ აცდენდა. ერთხელ ნგრევას გადარჩენილ შენობაში ვათევდით ღამეს. იარაღი მოვიხსენით და ყველას ჩაგვეძინა. განთიადისას ყუმბარა გვესროლეს. კედელი ჩამოიქცა და ზედ დაგვემხო. ზოგი ძლივს გამოვათრიეთ ნანგრევიდან. ბევრმა თავისი იარაღი ვერც მოძებნა. გარეთ საშინელი სროლა ატყდა. კორნელის მოესწრო და შენობის სახურავზე ამძვრალიყო. იქიდან ისროდა. ჩვენ ჩამონგრეული კედლიდან გვინდოდა ალყის გარღვევა. — ზაქრო, კარი დაიცავითო! — ის იყო მომესმა კორნელის ხმა ქართულად, რომ მტერიც მოგვადგა. იმ ვაიუშველებელში რაღაცის ბრაგვანი გაისმა, თურმე კორნელი მეორე სართულზე ჩამოვიდა, კარადა მოაცურა და აივნიდან გადმოაგდო. სამი გერმანელი მოიყოლა ქვეშ. დაფრთხნენ, მიიწ-მოიწიეს. კორნელი ჩამოხტა, გერმანელებში გაერია და მუსრი ისე გაავლო, ვერ მიხვდნენ, ვინ ცელავდა. ჩვენ შვიდი მებრძოლი დავკარგეთ. ინათა კიდეც. კორნელი შენობაში რომ შემოვარდა, ძლივს ვიცანი. გერმანელის ფორმა ეცვა და კინაღამ ტყვია დავახალე. ერთი განუიარაღებია, იმის ტანსაცმელი გადაუცვია, და ისე შერევია თავდამსხმელებს. იმ ღამეს მარტოკამ 34 კაცი გადაგვარჩინა. სხვა დროს მტრის განლაგებაში შეიპარა და სამი ტანკი ააფეთქა. პოლიტსაუბრებში თავის თავზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ერთხელ ცრემლმორეულმა მითხრა — ჩემი მეზობელი ბოჩო ვნახე, ხის ქვეშ თავგაგლეჯილი გდია, უნდა დავმარხოო. ოთხნი წავყევით. სამარე გავუთხარეთ. მტერი ახლოს იყო. მაინც ჯარისკაცულად მივეცით ზალპი. იმ წუთას სულ ერთი იყო, თავს ვინ დაგვესხმოდა, ვინ დაგვყრიდა დახოცილებს ბოჩოს საფლავზე. ოღონდ შური გვეძია. ბედზე არავინ გამოჩენილა.

23 წლის რომ გახდა კორნელი, 23 ტყვია ვაჩუქეთ. მერე ჩვენი გზები გაიყარა. სხვა ნაწილში გადაიყვანეს.

ომი რომ დამთავრდა, სამიქაოში ჩავედი. კორნელის ამბავი მაინტერესებდა. აბა, ბრძოლის დროს სად გვეცალა, ყველაფერი მოგვეთხრო ერთმანეთისთვის. მის ოჯახში კი იმდენი რამ გავიგე, თან გული დამიმძიმდა, თან სიხარულით ამევსო.

ანა და სიმონ ჯანუაშვილებს ცხრა შვილი ჰყოლიათ. ექვსი ვაჟი და სამი ქალი. ექვსი ვაჟკაციდან ომიდან ოთხი დაბრუნებულა. ორნი — ბაგრატი და კორნელი დაღუპულან. ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები იყვნენ. მაგათზეა სწორედ ნათქვამი: *„უნდა გაზარდოს დედამა, / ვაჟი მტრის გამჯავრებელი, / არც აშინებდეს სიკვდილი / სიცოცხლის გამწარებელი“*. კორნელი ჩემზე შვიდი წლით უმცროსი იყო. ამ პატარა ბიჭისგან ბევრ რამეს ვსწავლობდი. ხუთი წელი ვიომე და ცოცხალი ჩამოვედი. ის კი სულ თვალწინ მიდგას. კაცი დავბერდი, ბევრი რამის კვალი დრომ წაშალა, მეხსიერებაც მღალატობს, მაგრამ ის მაინც არ მავიწყდება. ბრეჟნევი პირადად არასოდეს მინახავს, ჩემი პოლიტხელი არ ყოფილა. მცირემიწელთაგან კი, თუ ვინმე ცოცხალია, კორნელი ჯანუაშვილი აუცილებლად ეხსომება.

***გვერდი მოამზადა ეთერ თარიმანმა***

# სკანვორდი ფრაგმენტებით





1. ყავის მოსადუღებელი
2. ირანის დედაქალაქი
3. დიდი ტალღა
4. მაგნიტოფონის სახეობა
5. ქალაქი ესპანეთში
6. თვე
7. ლიტერატ. თამაში
8. ბ. პრუსის რომანი
9. თეფში
10. იანის ანტიპოდი
11. „ბიბლიური ადმირალი“
12. ათლეტის „ღირსება“
13. ხორცის წვრილი ნაჭრები ცხარე სოუსში
14. ... ჟირარდო
15. ჩრდ. კავკასიური სოფელი
16. ფიგურა ვიტრინაში
17. ... არაგვისპირელი
18. ნარკოტიკი
19. საათის ჩვენება
20. სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერი
21. ... ფარულავა
22. ქსოვილი სცენაზე
23. იოჰან შტრაუსის მეტსახელი
24. ჩინური ფილოსოფიის ძირითადი კატეგორია
25. ქართველი მათემატიკოსი
26. სხეულის უკანა ნაწილი
27. კერძების ჩამონათვალი
28. ფრანგული ეპოსის გმირი
29. გარეული ვირი
30. იტალიის საფეხბურთო კლუბი
31. სევდა, დარდი
32. ესპანეთის ავიაკომპანია
33. თმის საშრობი
34. საბჭოთა კავშირის მარშალი
35. წლოვანება
36. ბრაზიანი
37. მუჰამედ ალი – კასიუს ...
38. ღამის ფრინველი



39. 60-იანი წლების სექსსიმბოლო
40. ნოტი
41. ... საოცრებათა ქვეყანაში
42. სვე
43. ინგლისელი როკ-მუსიკოსი
44. პატარა ნაკადული
45. კარენინის მეუღლე
46. რუსული თვითმფრინავის მარკა
47. მეფე შექსპირის ტრაგედიაში
48. ქალაქი ...ში
49. გერმანელი ფოტ. კანცლერი
50. ცხოველის სიმაღლის ათვლის წერტილი
51. „ნათლია“ ... პაჩინო
52. ნარჩენი სითხე კარაქის ამოყვანისას
53. მდინარე აჭარაში
54. ნაბოკოვის რომანი
55. მოყვარულ მოკრივეთა ფედერაცია
56. ... პონაროვსკაია, ხაკამადა
57. „ბრეშას“ ნაკრების ფეხბურთელი
58. ბურთის შეგდება ფეხბურთში
59. „ჟირონდინგის“ უცვლელი მწვრთნელი
60. უკრაინული პარლამენტი
61. გამანაწილებელი კაბელი ელექტროქსელში
62. წრეხაზის ფორმის საგანი
63. ბიჭო! (კუთხურად)
64. სამონადირეო ფრინველი
65. ... სებისკვერაძე
66. სული ეგვიპტურ მითოლოგიაში
67. ფრანგული ვაზის ჯიში
68. „ჯარისკაცის მამა“ (პერსონაჟი)





**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ოჩიაური; 2. ზუთხი; 3. ბინი; 4. ანკარა; 5. თია; 6. ანი; 7. ია; 8. ქცია; 9. არე; 10. ხარიხა; 11. სილალე; 12. ძუ; 13. ძუა; 14. იუანი; 15. ორბი; 16. რეაქცია; 17. ერბო; 18. ზღარბი; 19. კობრა; 20. ბორნეო; 21. მი; 22. ობი; 23. ლა; 24. სრა; 25. რძე; 26. ილია; 27. როქი; 28. აბო; 29. რურკი; 30. ელვა; 31. გოია; 32. რინა; 33. რენიე; 34. ლაი; 35. ავინიონი; 36. პარია; 37. ლოქო; 38. „ვოლვო“; 39. ვიზიტი; 40. პინკი; 41. ვარლეი; 42. მიტრა; 43. არია; 44. რკინა; 45. დარდი; 46. ღვია; 47. ვო; 48. ნორდი; 49. ბოროლია; 50. ყუა; 51. იხვი; 52. ცუნი; 53. ბია; 54. იონი; 55. პენსნე; 56. „ტროპიკანკა“; 57. კიი; 58. ალაო; 59. „აუდი“; 60. ყმა; 61. ნაშლა; 62. ლატარია; 63. ნო; 64. უწყისი; 65. ძე; 66. მამა; 67. მული; 68. ირი; 69. ბიო; 70. სტიმული.

1. ჩუბინი; 2. ხელისძრავიანი დასაკეცი ვენტილატორი; 3. მობილური პიანინო; 4. ყავა მოწიწებით; 5. საცოლის ძიებაში.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა რამაზ ალანიავ

ბატონებო!

# თქვენთვის

## სიმშვიდე ვერ მოვიპოვე...

*არ ვიცი, რამდენად გულწრფელი იყო მისი ავტორი, მაგრამ წერილი, რომელიც ახლა გვსურს შემოგთავაზოთ, ნამდვილად ციხიდანაა გამოგზავნილი...*

„გამარჯობათ!...

როგორც ერთგულ და საიმედო მეგობრებს, თქვენ გწერთ იმას, რაც სასამართლოზეც არ მითქვამს, თორემ იქნებ სასჯელიც შეემსუბუქებინათ ჩემთვის...

42 წლის კაცი ვარ. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის 20 წლიწადი მაქვს მოსჯილი. მკვლელად ბედისწერამ მაქცია. მას შემდეგ ყველაფერმა აზრი დაკარგა. სამუდამო პატიმრობა რომ მოესაჯათ, ან დახვრეტა, შესაძლოა მეტად მეგრძნო შვებაც. არ მინდა ნაცნობებთან შეხვედრა, მით უმეტეს იმ პატარა კაცთან, რომელიც ჯერ სულ



7 წლისაა და რომელსაც უსაყვარლესი ადამიანი — დედა მოვუკალი... მართალია, მრუში, მოღალატე, მაგრამ მაინც დედა.

...ჩემი სიცოცხლე 19 წლის ასაკში დამთავრდა, ჯარში მყოფი ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გავხდი და უმძიმესი ოპერაციის შემდეგ მამაკაცობას გამოვეთხოვე... როცა ექიმებმა ეს მითხრეს, მაშინვე ვცადე თვითმკვლელობა, მაგრამ მათვე გადამარჩინეს ვენებგადახსნილი...

გადავწყვიტე, აღარ დავბრუნებულიყავი, მაგრამ დედ-მამის ვედრებას ვერ გავუძელი...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ცოლის შერთვას მაძალებდნენ, შვილიშვილები ენატრებოდათ. ჩემი ამბავი არ იცოდნენ და ათას რამეს ვიმიზეზებდი. ერთ-ერთი ქეიფისას მეგობრებმა ხუმრობით მითხრეს: რა იყო, ბიჭო, წაჭრილი ხომ არა გაქვს, ქალებს სათოფეზე რომ არ ეკარებიო. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ეს ჩემთვის, ისიც ვიფიქრე, ხომ არაფერი გაუგიათ-მეთქი.

...იმ დროისათვის ბიზნესს ვეწეოდი. ფული ბლომად მქონდა და ვიფიქრე, თუ ყველაფრის ყიდვა შეიძლება, სიმშვიდესაც ვიყიდდი გარკვეული ანაზღაურების საფასურად...

მაშინ რა ვიცოდი, რომ ბედს არ უნდა გაეჯიბრო, უნდა დანებდე, უნდა მიიღო მორჩილად საკუთარი ხვედრი...

ერთ გოგოს ვიცნობდი, რომელსაც მოსწავლეობიდან გაუტყდა სახელი, მერე ვითომ გათხოვდა, მაგრამ მალე დაენგრა ოჯახი, არც აშკარად მრუშობდა, მაგრამ მისი სახელის ქალს არც იმისი შანსი ჰქონდა, რომ ოჯახი კიდევ შეექმნა...

ერთხელ ქუჩაში ფეხით მიმავალს მანქანით წამოვეწიე, გავაჩერე, მივესალმე... თურმე შორიდან ისიც მიცნობდა, როცა კაფეში დავპატიჟე, ბევრი არ უყოყმანია, დამთანხმდა...

იმ დღესვე არ მითქვამს, რაც მინდოდა, მაგრამ კი გავუმხილე: იმ პირობით შეგირთავ ცოლად, თუ ენას კბილს დააჭერ და რა პირობებსაც წამოგიყენებ, უყოყმანოდ შემისრულებ-მეთქი...

გარეგნობა არ დამეწუნებოდა და ოჯახიშვილობა, ვინც არ იცოდა ჩემი უბედურება, იცოცხლე, მისთვის საოცნებო კაცი ვიყავი... გაგიჟდა ეს გოგოც ამიტომ: შენ მე ცოლად არ შემირთავ, როგორც ჩანს, რაღაც საოცრებას მოითხოვ ჩემგან, დამანებე თავი, ჩემი გაჭირვებაც მეყოფაო!..

ცალკე ჩემი მეგობრები გაგიჟდნენ — ვის ირთავ ცოლად, ალბათ ჯადო გაგიკეთა მაგ წუნკალმაო. მაგრამ ყველა გავაჩუმე — თქვენი საქმე არაა, მიყვარს და მორჩა, თქვენ შეგელევით და მაგას არა-მეთქი!..

...მოკლედ, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც ვუთხარი მარინას — ჩემს „რჩეულს“, რაც მინდოდა მისგან. ერთ კაცთან ურთიერთობის ნებას ვაძლევდი და ბავშვიც უნდა გაეჩინა, რომელსაც საკუთარ შვილად გამოვაცხადებდი და სიცოცხლის ბოლომდე ხელისგულზე ვატარებდი დედა-შვილს იმის სანაცვლოდ, რომ საზოგადოებაში სრულფასოვანი კაცის სახელს დავიმკვიდრებდი...

დამთანხმდა მარინა...

1997 წლის დასაწყისში ბიჭიც გააჩინა, რომელიც, რომ ვერც წარმომედგინა, ისე შემიყვარდა და უბედნიერესი კაცი ვიყავი. მამას რომ მეძახდა, თითქოს მარინას მიმართაც ვიგრძენი სიყვარულის მაგვარი და ვთხოვე — ბავშვის მამასთან აღარ ჰქონოდა ურთიერთობა და საერთოდ, შეეკავებინა თავი მამაკაცებთან ურთიერთობებისგან... ახლა რომ ვფიქრობ, ალბათ შეუძლებელიც მოვთხოვე ქალს, რომელიც ხორცს ვერ იმორჩილებდა. იმის ნაცვლად, გაეგო ჩემთვის, დაშანტაჟება დამიწყო — თუ მის ჭკუაზე არ მივუშვებდი, ყველას გააგებინებდა, რომ კაცად არ ვვარგოდი და პაატაც არ იყო ჩემი შვილი... ვცემე! სანაცვლოდ მთლად წავიდა ხელიდან და ქუჩაში გავიდა. ნებისმიერ მსურველს უჯდებოდა მანქანაში... მეგობრებმა საქმე გამირჩიეს — გვრცხვენია შენს გვერდით დგომაო! მამაჩემს გული გაუსკდა ჯავრით და მოკვდა...

გონი დავკარგე. ჯერ სასტიკად ვცემე, მერე კი რომ მითხრა: საჭურისს როგორ ვუერთგულოო, — არც კი ვიცი, რამდენი ჭრილობა მივაყენე დანით...

...სასამართლოზე თავი არ მიმართლებია. არ შემეძლო სახალხოდ იმაზე ლაპარაკი, რაც ახლა თქვენ გიამბეთ. თუ ჩემი ამბავი გაზეთში დაიწერება, ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი ახლა შეიტყობენ სიმართლეს...

აღარ მინდა სიცოცხლე... არცა ვარ ცოცხალი იმ დღიდან, როცა ექიმმა გამომიტანა ჩემი კაცობის განაჩენი. რად მინდოდა ასეთი სიცოცხლე, ვერ მაცალეს სიკვდილი?!. არც მარინას ცოდვას დავიდებდი და არც იმ პატარა ბიჭისას, რომელმაც დაჩეხილი დედა ნახა... რა დამავიწყებს მის შიშისაგან შეშლილ თვალებს, რომლებშიც ველარასოდეს გავბედავ ჩახედვას...

ღმერთის მეშინია, ისედაც ცოდვილს, თორემ ჩემთვის თვითმკვლელობაა ალბათ ყველაზე კარგი გამოსავალი.

მაპატიეთ, თუ სული დაგიმძიმეთ... მე ეს აუცილებლად უნდა მეთქვა.

მეგობრებს ვეხვეწები: — ნუ მომაკითხავთ ბიჭებო, მე მართლა არაფერი მინდა... მზის სხივებსაც კი ვემალები, არათუ თქვენს უსასრულო კეთილშობილებას!..“

*...როცა ამ წერილს ვკითხულობდი, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს მომაკვდავის უკანასკნელი ნების შესახებ გამეგო და ამიტომაც ვერ გადავდე იგი გვერდზე...*

*წერილის ავტორმა სახელიც არ მიაწერა, მაგრამ ალბათ ამას არცა აქვს მნიშვნელობა... ვინც უნდა იყოს, უფალს შევავედრებ მისი ცოდვილი სულის ხსნას...*

***ინგა ჯაყელი***

## მე „სირაქლემა“ არასოდეს ვყოფილვარ

„ხშირად წამიკითხავს ქალების აღშფოთებული წერილები, სადაც მეუღლეებს ადანაშაულებდნენ ბევრ რამეში... მინდა ჩემი ამბავი გიამბოთ და საინტერესოა, რას იტყვიან მანდილოსნები ამაზე?

ცოლი გვიან შევირთე, 36 წლისამ. მანამდე, სულ მოუცლელი ვიყავი. დამოუკიდებლად მივაღწიე ყველაფერს. უზრუნველყოფილი მამაკაცი ყოველთვის გრძნობს ქალების ყურადღებას. მეც განებივრებული ვიყავი მათგან. როცა ხანში შევედი, შემიჩნდნენ ახლობლები, გამაცნეს ერთი ქალი და შევირთე კიდეც. იმ დღიდან 22 წელია გასული. დაბეჯითებით ვაცხადებ — უსიყვარულოდ არ შეიძლება ქალის მოყვანა და დიასახლისობის ჩაბარება... ერთი წელი არა უშავდა, მერე კი, იმისთანა ანჩხლი შეიქნა, ყოვლად გაუსაძლისი გახდა მასთან ცხოვრება. გვყავს ვაჟი, რომელზეც მზე და მთვარე ამომდიოდა და მის გამო თავს ვიკავებდი, გარეთ გავდიოდი, გავერიდებოდი... მიკვირს, რა ჰქონდა ჩემს ცოლს საჩხუბარი — რაც ოჯახს სჭირდებოდა, არაფერი აკლდა, წიგნი, კინო და თეატრი კი არ აინტერესებდა. სააგარაკოდ ყოველთვის კარგ ადგილებში ვგზავნიდი.

ახლა ქალები „სირაქლემობას“ აბრალებენ კაცებს. სხვებისა რა გითხრათ და მე „სირაქლემა“ არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის მაქსიმალურს ვაკეთებდი ოჯახისთვის. მისგან რომ სითბო და სიყვარული ვერ მივიღე, ისევ სხვებისკენ გადავინაცვლე. ერთ-ერთ ოჯახში შემთხვევით გავიცანი ლამაზი ქალი, ქმარს გაშორებული იყო. დავუახლოვდით ერთმანეთს და შემიყვარდა. სერიოზულად დავიწყე ფიქრი ცოლთან გაშორებაზე, მაგრამ ერთადერთი, ბავშვი მაბრკოლებდა. ბოლოს, ჩემმა ცოლმა მაინც გაიგო იმ ქალის არსებობა, მიუვარდა შინ და ერთი ამბავი აუტეხა. როცა ჩემი საყვარელი ადამიანი ნამტირალევი დამხვდა, გადავწყვიტე, ცოლისთვის აღარ მეპატიებინა და გავშორებოდი. მან ქონება ნახევრად გამიყო, სხვა ბინა მაყიდვინა და იმ დღიდან ომიც გამომიცხადა — ბავშვს არ მაჩვენებდა. კინაღამ გავგიჟდი. ერთხელ მთვრალმა კარი შევუნგრიე და ხელითაც შევეხე, — როგორ ბედავ ბავშვის დამალვას-მეთქი. ამის გამო მილიციაში ამომაყოფინეს თავი. მეორე დღესვე გამიშვეს, თან რჩევა-დარიგებაც მოაყოლეს: ხომ ხედავ, გიჟია და თავი დაანებეო. რაღა თქმა უნდა, თავი დავანებე და ის ქალი შევირთე ცოლად, რომელიც ძალიან მიყვარდა. მასთან გოგონა შემეძინა. ის აშარი კი არ ისვენებდა. როცა მიხვდა, მე მისი „შემწუხებელი“ აღარ ვიყავი, სულ გაიფოფრა... ამდენი ხნის მანძილზე ვფიქრობდი, ბავშვი გაიზრდება და თვითონ მომძებნის-მეთქი. მან კი ბიჭი გააბოროტა. საშინლად დამწყდა გული. თუმცა ამას წინათ ჩემი შვილი ადრინდებურად ცივად აღარ შემხვედრია და იმედი გამიჩნდა...

რას იტყვიან მანდილოსნები ჩემს ამბავზე? აუტანელია აშარი ქალის გვერდით ცხოვრება. პრეტენზიებსაც ხომ აქვს საზღვარი?..

თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, თავისი სიკაპასით კი საბოლოოდ დამკარგა. სამაგიეროდ, მე ვიპოვე ისეთი, როგორზეც ვოცნებობდი და ძალიან ბედნიერი ვარ. *გურამი*“.

## რად გვინდა ომი?

**ფილმი ვნახე ძველ ზერძნებზე, ტროელებზე, სპარტელებზე, ტროას ცნობილ ომზე. ვუყურებდი ხოცვა-ჟლეტის საშინელ კადრებს და ვფიქრობდი, რომ დღემდე არაფერი შეცვლილა კაცობრიობის ცნობიერებაში. დღესაც კაცებს მკლავი, მუხლი თუ ტვინი — საომრად ერჩით. ბევრს დღესაც ხანგრძლივ და მშვიდ ცხოვრებას ბრძოლაში სიკვდილი ურჩევნია. საოცარი და ტრაგიკულია ამის შეგრძნება. ქართველ მამაკაცებს ვკითხე, რას ფიქრობთ ომზე-მეთქი.**

**გოდერძი (59 წლის):** — ჩემმა ოჯახმა მეორე მსოფლიო ომში 6 ვაჟკაცი დაკარგა. ჩემი ძმა ავღანეთის ომს ძლივს გადაურჩა. მე აფხაზეთში ვიბრძოდი. მომბეზრდა. ზოგჯერ ის, რისთვისაც ათასობით ადამიანი იბრძვის, ჩვენს ერთ წვეთ სისხლადაც კი არ ღირს. ხშირად ხელისუფალთა უმაღლესი პირების შეცდომებს, ამბიციებს თუ ხრიკებს ეწირებიან უბრალო ადამიანები, მათი ფიქრით — საზარბაზნე ხორცი. 21-ე საუკუნეში ვართ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაადგეს კაცობრიობას გაკეთილშობილებას საშველი.

**სავლე (42 წლის):** — აფხაზეთში ვიბრძოდი. ერთი ჩეჩენი ჩავიგდეთ ტყვედ. აქ რა გინდა, აფხაზეთში რას აკეთებ-მეთქი და — ვიბრძვიო. რისთვის-მეთქი. ომი მწყურია. ვაჟკაცურად სიკვდილი მინდაო. მერე, შე დალოცვილო, სადმე მაშველად გემუშავა და სხვის გადარჩენას შესწირვოდი-მეთქი. არა, ეგრე არ მინდა, სისხლი მწყურიაო. გავგიჟდი. ვიღაცა მანიაკი იყო. მიყვებოდა, რას უშვრებოდა დახოცილებს, როგორ აჭრიდა მათ ყურებს და კისერზე იკიდებდა. დაუნანებლად დავახალე ტყვია. მე ჩემს მიწას ვიცავდი აფხაზეთში, თორემ ომი სულ არ მინდოდა. ან ოდესმე რას ვიფიქრებდი, რომ კაცს მოვკლავდი. დღეს მშვიდობა მინდა, მაგრამ იმნაირი მანიაკი რომ სადმე შემხვდეს, თვალის დაუხამხამებლად მოვკლავ. მაგნაირები ამღვრევენ მთელ მსოფლიოში წყალს.

**ლუკა (28 წლის):** — რად მინდა ომი? რას ამბობთ, ეგ არც უნდა მკითხოთ. ბიჭები ერთმანეთს რომ ეჩხუბებიან, მაშინაც გული მისკდება, ვაშოშმინებ, ერთმანეთს არ ავნონ, რა დროს ომია, ისედაც ცოტანი დავრჩით. ერთმანეთს უნდა მოვუფრთხილდეთ და ყველანაირი პოლიტიკური პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ დიპლომატიას უნდა მივმართოთ. ეს სულაც არ ნიშნავს უკან დახევას. იარაღზე ძლიერი ყოველთვის არის სიტყვა. რადგან მას უფალი გვაძლევს. თუ ენას ჭკუას დააყოლებ, სიტყვაც გამოგივა მაგარიც, მჭრელიც და ცეცხლისმფრქვეველიც, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით.

**ლაშა (19 წლის):** — ომებზე ფილმებს რომ ვუყურებ, მეც მინდა ბრძოლა. როგორც ჩანს, ომის ჟინი მამაკაცში გენეტიკურია. ხანდახან ხელები მექავება საომრად, თანამედროვე ომები არ მომწონს, ავტომატს კატაც ააკაკანებს. აი, ხმლით, შუბით, დანით, ხანჯლით რომ იბრძოდნენ, ეგ იყო საქმე. ძლიერები იყვნენ, პატარაობაში გიორგი სააკაძეზე ვგიჟდებოდი და რომ მეკითხებოდნენ, ვინ უნდა გამოხვიდეო, გიორგი სააკაძე-მეთქი. ისე, ომი მაგარი ცუდი რამეა. უცებ ანთებული მიდიხარ, ვიღაცას ერკინები, მერე კი შეიძლება მოკვდე. არადა ვინ იცის, რა კაი საქმეები შეიძლებოდა გაგეკეთებინა, სიცოცხლე რომ დაგცლოდა, ან კიდევ ვისაც კლავ, ხომ შეიძლება, იმ კაცისგან სასწაულები ენახა კაცობრიობას. ბოლოს და ბოლოს, რომ ვუკვირდები, კაცები მაგარი უცნაურები ვართ. თვალი სულ კუნთებზე გვიჭირავს. ღირდეს მაინც.

**ბესო (32 წლის):** — გახსოვთ მულტფილმი „მტრობა“ — „ქორიძეები და შევარდნაძეები“ რომ ხოცავენ ერთურთს? ძალიან მომწონს ერთი კადრი, სადაც კურდღლების დაქირავებული რაზმები ებრძვიან ერთმანეთს. ერთი კურდღელი მეორეს ეკითხება — რისთვინა ვომობთ, კაცოო. ე, აბა, რა ვიციო, — პასუხობს მეორე და როგორც კი დაასკვნიან, რომ ორი უგუნური ქორისა და შევარდნის მტრობას ეწირებიან, ბრძოლას წყვეტენ და რიგდებიან. იცით, რა? აფხაზებს, ოსებს და საერთოდ ყველას მინდა ვუთხრა, — ძმებო, რისთვისა ვომობთ, ა? განა სულელი ვაიპოლიტიკოსების ახირების გამო, შეიძლება გავიმეტოთ ერთმანეთი და საკუთარი სიცოცხლე? მოდით, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი და ვიცხოვროთ ადამიანურად, ვიხაროთ და ერთმანეთი ვახაროთ.

**მიშა (29 წლის)** — საღამოობით საინფორმაციო პროგრამებს რომ ვუსმენ, ხასიათი მიფუჭდება. აგერ, ორი დღის წინ, ერაყში საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს ტერორისტებმა. ვიღაცამ თავი აიფეთქა ტროტილით სავსე მანქანაში და 70-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი გაიყოლა იმ ქვეყნად. იმ დახოცილ ადამიანებზე ვფიქრობდი. თურმე სამსახურში მისაღებად რეგისტრაციის გავლის მიზნით იდგნენ რიგში. ე.ი. სიცოცხლე უნდოდათ და ვიღაც არაკაცმა არ აცალათ. ერაყის ამბები მტკივა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მემართება, როცა სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესების შესახებ ვისმენ. თურმე რეგიონში მცხოვრები ყველა ოსი მამაკაცი კბილებამდეა შეიარაღებული. არ მჯერა, რომ ყველას უნდოდეს ომი. ეტყობა, ბევრს შიშმა, ოჯახის დაცვის ინსტინქტმა აალებინა იარაღი ხელში. გადაყარეთ ბიჭებო ეგ ოხერი სიკვდილის მანქანები! არავინ გერჩით, ტყუილად ნუ ისვრით ქართველების მიმართულებით ღამღამობით. ნუ ეძებთ შარს, რად გვინდა ომი ამ ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში...

***ეკა ლომიძე***

## მამაკაცები თავისუფალ სტილს ირჩევენ

მილანის დიზაინერულ ცენტრში მამაკაცის მოდის კვირეული ჩატარდა. 2005 წლის გაზაფხული-ზაფხულის ტანსაცმლის დევიზია: „მთავარია არა ის, რა გაცვიათ, არამედ როგორ იხდენთ სამოსს“.

დეფილე დოლჩე და გაბანას სამოდელო სახლმა გახსნა. წარმოადგინეს კოსტიუმი — ბლუზა, შარვალი, პიჯაკი, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, ტანსაცმელს ნაკლებად ჰქონდა ღილები და შესაბამისად, ღილკილოები.

ჩვენებაზე ყურადღება მიიპყრო კ/ფ „მატრიცას“ ერთ-ერთი დიზაინერის, ინგლისელი მოდელიერის ოსვალდო ბოატენგის მოდელმა, რომელსაც სახე ტექსტებით ჰქონდა აჭრელებული.

მოკლედ, ჩაცმაში სრული თავისუფლებაა...



# ამბავი, რომელიც ლამაზად უნდა დასრულდეს...

— ჩემი მშობლები გვიან დაოჯახდნენ. მერე, მეც გვიან გავჩნდი და ყველანაირად მანებივრებდნენ, — ასე დაიწყო თავისი ამბის თხრობა თამარ გ-მ., — ჩვენი ოჯახი გამორჩეული იყო მთელ რაიონში. მამა თანამდებობის პირი გახლდათ, დედა — ექიმი. გარეგნობით ცუდი გოგო არ ვიყავი, ამიტომაც პატარაობიდანვე ხან ვინ გამაგონებდა და ხან ვინ, სარძლოდ გვინდიხარო. სკოლა რომ დავამთავრე, მამას მეგობარმა ჩემს მშობლებს ამცნო, თამარი სარძლოდ გვინდა, ჩემს ვაჟს ძალიან მოსწონსო. სულხანს შორიდან ვიცნობდი, მართლაც კარგი ბიჭი იყო და რადგან არავინ მიყვარდა, თანხმობა განვაცხადე. ქორწილიც მალე გადავიხადეთ. სულხანი მოსკოვში ამთავრებდა სასწავლებელს და მუშაობასაც იქ აპირებდა, ამიტომ მეც მოსკოვში გადავედი საცხოვრებლად. არაფერი მაკლდა, სულხანი თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე გამოდგა. ერთადერთი, რაც მტანჯავდა, ეს ჩემი ცუდი ორსულობა იყო. ნაადრევად ვიმშობიარე, ბავშვი მკვდარი დაიბადა. ძალიან განვიცადე. სულხანი მამშვიდებდა, — შენ იყავი კარგად და შვილები კიდევ გვეყოლებაო. მაგრამ კიდევ ორჯერ მომეშალა მუცელი. ბოლოს, სულხანს ვთხოვე, — მართალია, აქ შესანიშნავი პირობები მაქვს, მაგრამ მაინც მშობლიურ გარემოში მირჩევნია ყოფნა. ისევ ორსულად ვარ, წავალ დედაჩემთან და მჯერა, იქ ნორმალურად ვიმშობიარებ-მეთქი. ცოტა ხანს იჭოჭმანა, ბოლოს კი, დამთანხმდა და თავად ჩამომაცილა საქართველოში, დედაჩემთანაც თავისი ფეხით მიმიყვანა, თან ებოდიშებოდა ჩვენებს: — ძალიან მეუხერხულება, რომ ჩემი ცოლი მოგგვარეთ, მაგრამ, რა ვქნა, თვითონ აირჩია ასე და არ მინდა ორსულ ქალს შევეწინააღმდეგოო. ჩემს მშობლებს ესიამოვნათ, რომ სიძე ასე შეგნებულად მიუდგა ამ საკითხს.

მართლაც, ხუთ თვემდე ნორმალურად მივედი, მერე კი, კვლავ გამირთულდა სიტუაცია, საჭირო გახდა განსაკუთრებული რეჟიმი. დედაჩემი ცივ ნიავს არ მაკარებდა. ერთხელ, ენამწარე მეზობელმა ამბავი მომიტანა — სულხანის მშობლებს უთქვამთ, თუ თამარი ვერ გაგვიჩენს მემკვიდრეს, იძულებული გავხდებით, გავაშოროთ სულხანსო. ისე შევწუხდი, რომ კინაღამ მუცელი მომწყდა. დედამ აღარ გამაჩერა რაიონში და თბილისში წამომიყვანა, წინდაწინ დამაწვინა სამშობიაროში. მშობიარობა უმძიმესი მქონდა, ბავშვი ცოცხალი დაიბადა, მაგრამ არავინ ფიქრობდა, თუ გადარჩებოდა. მეც არ ვიყავი კარგად და იმის გაცნობიერება, რომ ბავშვის დაკარგვით სულხანსაც დავკარგავდი, უფრო მიმძიმებდა მდგომარეობას. სწორედ ამ დროს ერთმა ქალმა უკანონო შვილი გააჩინა, ბიჭუნა. არ უნდოდა და ხელწერილი დაწერა — შვილზე უარს ვამბობო.

მაშინ ვიფიქრე, რომ ეს ბავშვი ჩემად გამესაღებინა, ჩემი უსუსური შვილი კი დამეტოვებინა. დედაჩემს ვუთხარი ეს. ძალიან გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ბოლოს დამეთანხმა. მოელაპარაკა ექიმს და ჩუმად გადმოვიფორმე ბავშვი ჩემზე. სულხანის სურვილით, ბიჭს მამამისის სახელი, გიორგი დავარქვი. სამშობიაროდან 22 დღის მერე გამოვეწერეთ, ისე გამოვიხურე იქაური კარი, აღარც მიკითხავს, ჩემი შვილი მოკვდა თუ არა.

არავინ იფიქროს, გულცივი და სასტიკი ვიყო. ჩემთვის მთელი ცხოვრება სატანჯველად იქცა. დარდს გიორგიზე მზრუნველობით ვიქარვებდი, მოგვიანებით გოგოც გამიჩნდა და ასე ჩავები ცხოვრების ორომტრიალში, თუმცა ის ფიქრი და აზრი, რომ საკუთარი შვილი, თუმც მომაკვდავი, მივატოვე, მოსვენებას არ მაძლევდა, ხშირად კოშმარები მესიზმრებოდა. ასეთ ტანჯვასა და წამებაში ვიცხოვრე 24 წელი.

ცოტა ხნის წინ კი ყველაფერი დავდაყირა დადგა, ოღონდ ჩემდა სასიხარულოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარმა შვილმა ნახვისთანავე უარი თქვა ჩემზე, მაინც უზომოდ მიხარია, რომ ღმერთმა არც ერთი და არც მეორე არ გაგვწირა.

ყველაფერს იმ დღიდან დავიწყებ, 12 ივნისიდან, როცა სასწაული მომევლინა და რომელმაც მოგვინებით თქვენთან მოსვლა გადამაწყვეტინა.

ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვასწავლი. სესიების პერიოდი იყო. გვიან მოვრჩი საქმეს. შენობიდან გამოსვლისას დარაჯმა მითხრა, ვიღაც ყმაწვილი კარგა ხანია გელოდებოდათო, მაგრამ არ მიმიქცევია ყურადღება, რომელიმე სტუდენტი მეგონა. სამარშრუტო ტაქსის ველოდებოდი, გვერდით ბიჭი ამომიდგა, იქნებოდა ჩემი გიორგის ტოლი.

გავხედე უნებურად. ისე დაჟინებით მიმზერდა, რომ შემაჟრჟოლა. უნებურად გავიფიქრე, რა ნაცნობი თვალები აქვს, ნეტავ, საიდან უნდა მეცნობოდეს-მეთქი, მაგრამ ამ თვალებში მრისხანებაც დავინახე და შევშინდი. სიჩუმე ისევ მე დავარღვიე: რატომ მიყურებთ ასე, ხომ არავისში გეშლებით-მეთქი. თავი გადაიქნია, — არ შემშლიხართ, თქვენ დედაჩემი ხართ და ამიტომ გიყურებთ ასე, რომ მინდა გავიგო, რამ გაიძულათ ჩემი საავადმყოფოში დატოვებაო...



ამის გაგონებაზე მეგონა, ცა ჩამომექცა — ის საოცრად ჰგავდა სულხანს და მეც... ჩემ წინ ჩემი შვილი, ჩემი სისხლი და ხორცი იდგა და პასუხს ითხოვდა. ფეხზე დგომა არ შემეძლო. ვთხოვე, შინ წამყოლოდა. უარი მითხრა. იქვე ჩამოვსხედით და ხმის კანკალით ყველაფერი გულახდილად ვუამბე. დიდხანს მისმენდა, მერე კი თქვა: მიუხედავად თქვენი დიდი მცდელობისა, რომ მართალი გამოსულიყავით ჩემთან, მაინც ვერ გაპატიებთ. ერთხელ უნდა მენახეთ, აწი კი ნუღარ შეწუხდებით ჩემ გამოო.

რა ადვილი სათქმელი იყო „ნუღარ შეწუხდებით“. თორნიკეს გამოჩენამ თითქოს ხელმეორედ მშვა. აღარ დავეძებდი სულხანის განრისხებას და ჩემს გაკილვას, რახან შვილი ვიპოვე (უფრო სწორად, მან მიპოვა). სულხანმა გაბრაზებაც კი ვერ მოახერხა გაკვირვებისაგან და მკითხა: — როგორ მოახერხე ამხელა სიცრუით ჩემ გვერდით ყოფნა. ხომ იცოდი, მიყვარდი, განა მშობლების რა ისეთი „დამჯერი“ ვიყავი, რომ შენზე უარი მეთქვაო. ვერაფერს ვპასუხობდი, მხოლოდ ვტიროდი. გიორგი გერმანიაში სწავლობს და მან ჯერ არაფერი იცის. არ მინდა გაიგოს, ნაშვილები რომაა, არადა ტყუილი ხომ ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს და ღმერთმა იცის, ამას რა მოჰყვება. მე და სულხანს გადაწყვეტილი გვაქვს, ყველაფერი ვუამბოთ გიორგის. ის ისეთი ადამიანია, დარწმუნებული ვართ, ხელს არ გვკრავს. რაც შეეხება გოგონას, ის სიხარულით შეხვდა ამ ამბავს და იმდენი მოახერხა, თორნიკე გაიცნო — შენი და ვარო! თორნიკემ თბილად მიიღო იგი, ისევე როგორც მამამისი, ჩემზე კი ვერ მოიბრუნა გული. დიდი ხანი არაა, რაც მას გამზრდელი დედა, ნინო, გარდაეცვალა. ახლა გაუთხოვარი დეიდის ანაბარაა. ქალბატონი ელენე გულღიად შეგვხვდა და გვითხრა: ძალას ნუ დაატანთ ბიჭს. ის ისეთი გულთბილია, რომ არ შეიძლება უარი თქვას ღვიძლ მშობლებზეო. ჩვენც ამ იმედით ვართ. ახლა ბულგარეთშია წასული დასასვენებლად, 15 აგვისტოს უნდა ჩამოვიდეს. ერთი სულით ველოდები. დარწმუნებული ვარ, თორნიკე ჩვენთან მოვა. მინდა ჩემი დიდი ბიჭი გულში ჩავიკრა. სულ ვოცნებობდი ამაზე, მაგრამ... მე ხომ იგი კარგა ხნის მკვდარი მეგონა... რა მოხდებოდა, იქაურ მედპერსონალს შეეტყობინებინა ჩემთვის, რომ ჩემი ბიჭი ცოცხალი იყო.

**— მაინც რა მოხდა მას მერე, რაც სამშობიაროდან გამოხვედით?**

— ელენემ ეს მიამბო: თურმე ნინოს საქმრო ავარიაში დაღუპულა. ნინო ორსულად ყოფილა, ნერვიულობაზე მუცელი მოშლია. მერე გათხოვებაზე აღარ უფიქრია. 40 წელს გადაბიჯებულს ბავშვის აყვანა განუზრახავს. მისი მეზობელი მუშაობდა სწორედ იმ სამშობიაროში, სადაც მე ვიმშობიარე. მას უთქვამს ნინოსთვის, — უსუსური პატარა დაიბადა, დედამ მიატოვა. არავინ იცის, გადარჩება თუ არაო. დებს გახარებიათ ბავშვის გამოჩენა. ნინო ყოველდღე აკითხავდა თურმე... მოხდა სასწაული — ბიჭი გადარჩა. ნინომ იგი იშვილა და თავისი საყვარელი ადამიანის სახელი დაარქვა — თორნიკე. აი, ასე განვითარებულა მოვლენები ჩემი სამშობიაროდან გამოწერის მერე, მე კი აზრზეც არ ვიყავი. მჯერა, თორნიკე მაპატიებს ამ დანაშაულს. მე ხომ იგი სიგიჟემდე მიყვარს.

მეც მჯერა, ეს ასე იქნება. ასეთი სასწაულები მხოლოდ ზღაპრებში არ ხდება...

***მარინა ბაბუნაშვილი***

**ჩვენ გვწერენ**

# გელოდები, გიორგი!..

„კაცი იმედით ცოცხლობსო, — ნათქვამია და ჩემი ბოლო იმედი თქვენ ხართ.

საყვარელმა ადამიანმა ამიკრძალა მასთან მისვლა, თუმცა ვიცი, ისევ ვუყვარვარ. არც მე შემიძლია უმისოდ სიცოცხლე.

გიორგისა და ჩემ შორის ასაკობრივი ბარიერია, მაგრამ ვფიქრობ, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მაშინ, როცა დიდი სიყვარულია!

არ ვიცი, რა ემართება გიორგის. ერთ დღეს გამომიცხადა, — ილუზიებს არ აჰყვე, მაინც არაფერი გამოვაო. არადა, ბავშვობიდან ვიცნობ, მიყვარს და... ვერ ვახერხებ მის დავიწყებას. გიორგი ყოველთვის თბილად და ალერსიანად მექცეოდა, მაგრამ ახლა რა მოუვიდა, ვერ ვხვდები. მინდა გაზეთის ფურცლებიდან ვუთხრა ის, რაც პირისპირ ვერ გამიბედავს: — გიორგი, მე შენ მიყვარხარ. მზად ვარ, მხოლოდ შენთვის ვიცოცხლო, ოღონდ ვიცოდე, რომ ისევ გიყვარვარ... რა ალერსიანი და თბილი იყავი... ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ გივიწყებ. მართალია, დაგპირდი, აღარ მეყვარები-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომდის.

უშენოდ ძალიან მიჭირს. მომეცი ნება, მოვიდე შენთან.

გიორგი, ყველაფერს გაგიგებ, მე შენ ისეთი მიყვარხარ, როგორიც ხარ. დამიჯერე, იმედს არ გაგიცრუებ (როგორც ერთხელ სხვამ გატკინა გული). მოდი, ჩემს გულში ჩაიხედე, თვალებში შემომხედე და თუ შეძლებ, მითხარი, — არ მიყვარხარ! მაშინ დაგიჯერებ, მერე კი მართლა საბოლოოდ გავქრები შენი ცხოვრებიდან. მანამდე კი მოუთმენლად ველი შენს „განაჩენს“. მაპატიე, ასე საჯაროდ რომ გითხარი სათქმელი, სხვანაირად არ შემეძლო. გელოდები, გიორგი!..

„კვირის პალიტრას“ კი მადლობას ვუხდი თანაგრძნობისთვის.

***ხ. მ., თბილისი“***

# კოსმეტიკა თეფშიდან

**ვიდრე პარფიუმერიის მაღაზიებში გაჩერდებით — შეიხედეთ სამზარეულოში, სადაც უთუოდ იპოვით სახის კანისა და თმისთვის საჭირო „პროდუქტს“. გარდა იმისა, რომ თქვენი ხელით მომზადებული კოსმეტიკა იქნება სუპერახალი და უკონსერვანტო, იაფიც დაგიჯდებათ.**

**ნიღბები სახის მშრალი კანისათვის:**

**1.** ათქვიფეთ 2 ს/კ ხაჭო, 1 ჩ/კ ლიმონის წვენი, დაჭყლეტილი ნახევარი ბანანი. წაისვით სახეზე და 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

**2.** 1 ჩ/კ შვრიის ბურბუშელას დაასხით 0,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააცივეთ და წაისვით სახეზე; 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და წაისვით დამატენიანებელი კრემი.

**3.** ყურძნის რბილობი წაისვით სახეზე და 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით.



**4.** კომბოსტოს ორი დიდი ფოთოლი მოხარშეთ ცხიმიან (3,5%-იან) რძეში, რამდენიმე წუთში ფოთოლი ფაფად იქცევა, გააგრილეთ და წაისვით სახეზე. 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

**ნიღბები ცხიმიანი სახის კანისათვის:**

**1.** 1 კვერცხის ათქვეფილ ცილას დაამატეთ 1 ჩ/კ ლიმონის წვენი, წაისვით სახეზე და 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

**2.** 2 ჩ/კ შვრიის ბურბუშელას დაასხით იმდენი თბილი რძე, რომ მიიღოთ არაჟნის სისქის ფაფა. დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი და წაისვით სახეზე. 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

# ეს იყო მაშინ...

**ფრაზა — „ეს იყო მაშინ...“ ალბათ კინოფილმ „ქეთო და კოტეს“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ გახდა პოპულარული. თუმცა, როცა ამ სიტყვებით რაღაცის თხრობას იწყებენ, ყოველთვის სიყვარულზე როდი ჰყვებიან. იხსენებენ ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდს. ხშირ შემთხვევაში — ლამაზს, ბედნიერს, ზოგჯერ სევდიანსაც...**

**ვანო (85 წლის):** — ეს იყო მაშინ... მეორე მსოფლიო ომი აზანზარებდა ქვეყნიერებას. პირველი დღეებიდანვე ფრონტის წინა ხაზზე მომიწია ბრძოლამ. ალბათ ღმერთი მწყალობდა, თორემ იმ ჯოჯოხეთს უვნებელი ვერ გადავურჩებოდი. 1943 წლის 18 აგვისტოს (დღევანდელივით მახსოვს მაშინდელი წუთებიც კი) მტრის დიდძალი სამხედრო ტექნიკა და ტყვე ვიგდეთ ხელთ. გერმანელების ერთ-ერთ სამხედრო მანქანაში მათ მიერ დატყვევებული ჩვენი ხალხი აღმოჩნდა. დაუძლურებული 21 ადამიანი ერთმანეთზე დაეყარათ მანქანის ძარაზე. დაიჯერებთ? მათ შორის ჩემი მეუღლეც იყო. ომი რომ დაიწყო, სამი თვის შერთული მყავდა. 1941 წლის ივნისის ბოლოს მე უკვე ფრონტზე ვიყავი. ქეთოს ოჯახის წევრებისგან მალულად მოუხერხებია წამოსვლა. შინიდან წერილებს იშვიათად მწერდნენ, მეგონა, ქეთო მწერდა. არადა, თურმე დედაჩემი წვალობდა, რძლის ხელნაწერის მსგავსად მოეხაზა ასოები, ეჭვი რომ არ შემპარვოდა, რომ ქეთო კარგად იყო. საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი შეხვედრა ფრონტზე. როცა ჩემი ცოლის თითქმის უსულო სხეული დავინახე, მუხლებზე დავეცი და ვბღაოდი — ღმერთო, გადამირჩინე-მეთქი. მაშინ გადამირჩინა, მაგრამ 5 წელია სიკვდილმა წამართვა მისი თავი. როცა ის მძიმე წუთები მახსენდება, სევდა მერევა და ვრწმუნდები, რა ძლიერია სიყვარული.

**ნატა (42 წლის):** — ეს იყო მაშინ... როცა დიდი ბაფთით და მოკლე კაბით დავრბოდი. მიყვარდა საბავშვო ფილმებისა და მულტფილმების ყურება. ერთხელ, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ცეკვის გაკვეთილიდან მოვდიოდით მე და დედა. იქვე, ქუჩის კუთხეში სესილია თაყაიშვილი დავინახე. ძალიან მომინდა გავქცეულიყავი, კისერზე ჩამოვკიდებოდი, მკერდში ჩავკვროდი. ვერ გავბედე, დედასაც კი ვერ ვუთხარი. წავიდა და ჩემი სიყვარულით სავსე მზერა გაიყოლა. მოგვიანებით, მამაჩემი გვეწვა საავადმყოფოში და ერთ-ერთ პალატაში შემთხვევით დავინახე ქალბატონი სესილია. ისევ მომინდა მისი მოფერება. ისევ ვერ გავბედე. მხოლოდ მაშინ, როცა გარდაიცვალა, სამძიმარზე მივედი სრულიად უცხო ადამიანი და ისე დავიტირე ქალბატონი სესილია, როგორც საკუთარი ბებია.

**ლევანი (38 წლის):** — იმ შემთხვევის გახსენება მუდამ გულს მტკენს. ბათუმიდან მანქანით მოვდიოდი. სანამ ქობულეთში შემოვიდოდი, ვიღაც ბავშვიანმა ქალმა დამიქნია ხელი. არ გავუჩერე. რატომღაც ამეკვიატა — რატომ არ გავჩერდი, იქნებ უჭირდა-მეთქი. თვითონაც მიკვირდა, რა მჭირდა. სამასი მეტრი მექნებოდა გავლილი, მოვაბრუნე მანქანა. ქალი და ბავშვი ისევ გზაზე იდგნენ. ის-ის იყო, მათ მხარეს უნდა გადამეხვია, რომ ტრასიდან გამოიჭრა მანქანა და დედა-შვილს დაეჯახა. დაეჯახა და წავიდა. არ დავბნეულვარ, მანქანის ყველა ამოსაცნობი ნიშანი ელვის სისწრაფით ჩავიწერე. გამვლელთა დახმარებით შოკში ჩავარდნილი ქალი და ბავშვი მანქანაში ჩავსვი და ბათუმისკენ ავიღე გეზი, რომ დაზარალებულები საავადმყოფოში მიმეყვანა. პოლიციას შევატყობინე ყველაფერი. დამნაშავე დაიჭირეს. დედა-შვილიც გადარჩა. მაგრამ ქალი დაინვალიდდა. დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რატომ თავიდანვე არ გავაჩერე... არადა ეს იყო მაშინ... როცა თბილისიდან დამირეკეს და მაცნობეს, რომ ჩემს მეუღლეს სამშობიარო ტკივილები დაეწყო. ჩემი პირველი შვილი ისე დაიბადა, მეუღლის გვერდით არ ვიყავი...

**მეგი (27 წლის):** — ეს იყო მაშინ, როცა პირველად ჩავედი ლონდონში. აეროპორტში თვალში ნაცნობი სახე მომხვდა. დავაკვირდი და რას ვხედავ: იქ ჩემი პირველი სიყვარული იდგა. მშობლებთან ერთად საცხოვრებლად ევროპაში ადრე წავიდა და ამის გამო დავშორდით. ახლა კი იდგა და მიღიმოდა. მეგონა, მე მიღიმოდა. არადა, თურმე თავის ცოლს უღიმოდა, რომელიც ჩემ უკან ჩამოდიოდა ტრაპზე...

**ლილი (57 წლის):** — სოხუმს ვტოვებდი. ნაპირზე მომდგარ გემზე სიკვდილის შიშით მაიმუნებივით მივცოცავდით თოკებით, კიბეებით, საშინელი სანახაობა იყო. მაგრამ იმ ომის ქარცეცხლში ტყვიების ზუზუნში, ერთადერთს — სიყვარულს არ ეშინოდა, ნაპირზე ასე 14-15 წლის გოგო და ბიჭი იდგნენ. გოგო ქართველი იყო, ბიჭი — აფხაზი. ხელჩაკიდებულები თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს. გოგოს დედა გემიდან კიოდა — მოშორდი, ლელა, წამოდიო. უცებ ჩაეხვივნენ ერთმანეთს „რომეო და ჯულიეტა“. იყვნენ ასე ცოტა ხანს, მერე კი სწრაფადვე გასცილდნენ, გოგო გემისკენ გამოიქცა და ბიჭმა ცეცხლმოდებული ქუჩებისკენ ქნა პირი. ახლა ისინი ისევ ერთად არიან, ომმაც ვერ შეძლო მათი დაშორება. მაშინ, ტყვიების ზუზუნში, სიკვდილის პირისპირ, ეს იმდენად გამაოგნებელი სცენა იყო, რომ არ მომასვენა ცნობისმოყვარეობამ, დედა-შვილის ყველა სავარაუდო მისამართი ჩავინიშნე, რომ შემეტყო, რა მოხდებოდა შემდგომ...

***ეკა ლომიძე***

# თბილისის კონსერვატორიიდან გარიცხული ლა სკალაზე ოცნებობს(!)



**გიორგი ანდღულაძე** 6 წლისა სიონისა და ანჩისხატის ტაძრებში გალობდა, ანსამბლ „ბიჭების“ სოლისტიც იყო. მერე საერთაშორისო კონკურსებშიც გაიმარჯვა. მის გასაოცარ ხმას და არტისტიზმს აღტაცებაში მოჰყავდა კლასიკური მუსიკის მოყვარულნი საფრანგეთში, რუსეთში, ისრაელში, იტალიაში...

უფროს თაობას ალბათ ახსოვს ბავშვობაშივე ლეგენდად ქცეული იტალიელი რობერტინო ლორეტი, რომელმაც გიორგის ქართველი რობერტინო უწოდა და მასთან ერთად თბილისში კონცერტებიც გამართა.

რობერტინოს რჩევით, გარდატეხის ასაკში გიორგის აღარ უმღერია. რომ იმღერო, მერე ჩემსავით ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგიწევსო...

ამიტომაც იყო, 16 წლისა კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. კონსერვატორიაში ყოველდღე მიდიოდა, მაგრამ ლექციებზე ჯდომა მაინცდამაინც არ ეხალისებოდა. ხან სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში იყო, ხან კაფეში, ხან კიდევ... პაემანზე... ჰოდა, ორ თვეში გარიცხეს კიდევაც...

— არც ერთ ლექციას აღარ გავაცდენ და თუ იანვარში ერთ ოთხიანს მაინც მივიღებ, მაშინ გამრიცხეთო... — მაგრამ არ აპატიეს. არც დიდი მაესტროს, მისი მოგვარის, ნოდარ ანდღულაძის რეკომენდაციამ გაჭრა... შემდეგ მთელი წელი იტალიურს სწავლობდა და ვოკალში მეცადინეობდა.

...სადღაც წაიკითხა, რომ იტალიაში, ქალაქ ბუსეტოში ტარდებოდა ყოველწლიური კონკურსი „ვერდის ხმები“. გიორგის ჩანაწერები გაიგზავნა ბუსეტოში და მიიწვიეს. ყველაზე უმცროსი იყო კონკურსანტთა შორის, თუმცა ამას გამარჯვებაში ხელი არ შეუშლია. მეტიც, არტურო ტოსკანინის სახელობის ფონდის დირექტორი ისე მოიხიბლა გიორგის ვოკალური მონაცემებით, რომ ბუსეტოში, ვერდის სახელობის აკადემიაში სწავლა შესთავაზა, ხარჯებს მე ავანაზღაურებო...

გიორგიმ აკადემია წარჩინებით დაამთავრა და შარშან პარმის კონსერვატორიაში ჩაირიცხა. 84 ახალგაზრდა აბარებდა, მათგან მხოლოდ 11 ამოარჩიეს. გიორგი ანდღულაძეს ვოკალში ყველაზე მაღალი შეფასება მისცეს — ჟიურის 5 წევრიდან ხუთივემ უმაღლესი, 10 ქულა დაუწერა ქართველ მომღერალს, რომელმაც გამოცდაზე „დონ ჟუანიდან“ დონ ოტავიოს არია და ვერდის 3 არია იმღერა. თანაც, ამ გამოცდაზე კიდევ ერთი უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. გიორგის ჩასაბარებელი ჰქონდა ერთი გამოცდაც — იტალიურ ენაში. ვოკალში განსაცვიფრებელი წარმატების შემდეგ გამოცდა იტალიურ ენაში... მოუხსნეს! ჩვენ უკვე მოვისმინეთ, როგორ „ლაპარაკობ“ იტალიურადო...

ახლა გიორგი პარმის კონსერვატორიაში პოპულარული ლირიკულ-დრამატული ტენორია. ორ წელიწადში აპირებს ექსტერნად კონსერვატორიის დამთავრებას და... ლა სკალაზე ოცნებობს.

ახლახან მომღერალი საქართველოში მოიწვიეს გიორგი ანდღულაძე კონცერტებს გამართავს ბორჯომში, ხარაგაულსა და თბილისში.

გიორგის იტალიაში დავურეკეთ:

**— ყველაზე ძალიან სად გინდა იმღერო?**

— კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში...

**— იმ კონსერვატორიის, საიდანაც გაგრიცხეს?**

— სხვათა შორის, მინდა კონსერვატორიის რექტორს ძალიან ლამაზი წითელი ვარდები მივართვა სიყვარულის ნიშნად. მას რომ ეპატიებინა გაცდენები, შეიძლება ჩემს ცხოვრებაში ამდენი საინტერესო რამ არც მომხდარიყო...

**— იტალიაში რას გეძახიან?**

— როცა მეკითხებოდნენ, რა გქვიაო, გიორგი-მეთქი, ვპასუხობდი. არ მინდოდა, ჯორჯი დაეძახათ. ბევრს გიორგის გამოთქმა უჭირდათ და გეორგს მეძახდნენ. ვინც გეორგს მეძახდა, იმათ „უფლება“ მივეცი, ჯორჯი დამიძახონ. გვარს რაც შეეხება, მისი გამოთქმაც უჭირთ, მაგრამ ეს მათი პრობლემაა... ჩემი აზრით, ქართველმა გვარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიცვალოს...

**— რას უმღერებ ქართველ მაყურებელს?**

— პირველ რიგში, რევაზ ლაღიძის „ჩემო თბილისქალაქოს“, მერე აუცილებლად ვერდის არიას „ინსოლიტარია ტანცა“ („მარტოობა ოთახში“), ბავშვობის დროინდელ „ავე მარიას“... ძირითადად კი შევასრულებ დრამატულ არიებს...

***ელენე სალარიძე***

---

# „თეთრი სახლის“ ბინადარი „კნიაზ ღანირსკი“

**რ**ას ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის მეზობლობა, მართლა არის თუ არა კარის მეზობელი თვალის სინათლე, როგორ შეიძლება გაიყოს ერთი თხილის გული ცხრა ძმამ, რას ნიშნავდა ტიტული „კნიაზ ღანირსკი“ — ამ და სხვა კითხვაზე პასუხს ცნობილი მსახიობის, **ჯემალ ღაღანიძის** ინტერვიუდან შეიტყობთ.

როგორც თვითონ ამბობს, სხვა ბევრ საინტერესო როლთან ერთად ბედმა სომეხი გმირებითაც „გაანებივრა“. ბატონი ჯემალი ამჯერადაც თამაშობს ავლაბრელ რაფოს სერიალში „ყავა და ლუდი“. ცისფერთვალება იმერელს ხშირად ალბათ მისი შავგვრემანობისა და ცხვირის გამო აძლევდნენ სომხის როლს. ამ „ფენომენს“ სხვანაირ ახსნას ვერც ჩვენი რესპონდენტი უძებნის:

— ალბათ ჩემი ცხვირია დამნაშავე. სხვა დროსაც დიდი სამსახური გაუწევია. მოგეხსენებათ, თეატრში აუცილებელია გრიმის გაკეთება. მახსოვს, თუ სცენის ინსპექტორი სახეზე თითს ჩამოგისვამდა და „ფერუმარილი“ არ აჰყვებოდა, სასჯელი არ აგცდებოდა. გუმოზათი ვიგრძელებდით ცხვირებს, ნიკაპებს, წარბებს ვიწებებდით. ჩემს ცხვირს დაგრძელება არ სჭირდებოდა, სცენის ინსპექტორებსაც „მოგონილი“ ეგონათ და კმაყოფილი იყვნენ.

აი, „მეთორმეტე ღამეში“ რომ ვთამაშობდი, მაშინ კი დამიმატეს ცხვირზე გუმოზა. ბურატინოს ვგავდი. ერთ-ერთ ეპიზოდში ჯარისკაცმა შუბი წამომდო და ცხვირი მომძვრა. ატყდა დარბაზში სიცილხარხარი...

ერთ კურიოზსაც მოგიყვებით. სპექტაკლში „გვადი ბიგვა“ მუნჯ ბაჩუას მსახიობი აფხაიძე თამაშობდა. საკინძეგაღეღილი პერანგი ეცვა, საიდანაც დაწებებული, ხშირი თმა უჩანდა. ერთ-ერთ სცენაში, როცა ბაჩუა კვდება და გლეხები შემოესევიან, მსახიობები ეშმაკობდნენ და დაწებებულ თმას აგლეჯდნენ „მკვდარ“ ბაჩუას. ერთხელაც არ დაუწებებია თმა, ბუნებრივად გამოსულა და მსახიობებს წიწკნა რომ დაუწყიათ, აყვირებულა, თავი დამანებეთ, ვერ ხედავთ, ჩემიაო.

**— ბატონ ეროსი მანჯგალაძეს ხომ არ გაიხსენებდით — თქვენ ხომ სამტრედიის რაიონის ერთი სოფლიდან, ღანირიდან ხართ?**

— „მეთორმეტე ღამეში“ რომ ვითამაშე, მაშინ გაიგო ეროსიმ ჩემი არსებობა. აფიშაზე გვარი ღაღანიძე რომ ამოუკითხავს, უთქვამს — უეჭველად ღანირელი იქნებაო. სპექტაკლის შემდეგ გამიცნო და იმ დღიდან შემარქვა ღანირსკი. ეროსის ეგეთი კნიაზური ლაპარაკი უყვარდა. გაანათლოს ღმერთმა მისი სული, გენიალური მსახიობი და დიდი ბავშვი იყო. ყველასთვის საყვარელს უკანასკნელ გზაზეც კი ტაშით აცილებდა ხალხი. ერთ დღეს, „ხანუმას“ ჩაწერის შემდეგ ერთად წამოსულან ეროსი — „კნიაზი“, რამაზ ჩხიკვაძე — „აკოფა“ და სალომე ყანჩელი — „ხანუმა“. რამაზის მანქანით ელბაქიძის აღმართზე რომ ამოდიოდნენ, კინაღამ უზარმაზარ მანქანას შეჯახებიან. ბეწვზე გადარჩენილან. სული რომ მოუთქვამთ, ეროსის სიცილი წასკდა თურმე — სამივე რომ მოვმკვდარიყავით, რა სანახავები ვიქნებოდით თეატრიდან გამოსვენებისას, ერთად დაიტირებდნენ ხანუმას, აკოფას და კნიაზსო.

**— თბილისში აქ პარლამენტის თავმჯდომარის მეზობლად ცხოვრობთ. მართლა თვალის სინათლეა კარის მეზობელი?**

— ო, ეს ჩვენი კორპუსი „თეთრი სახლი“ გახდა. დაცვასთან ანგარიშის ჩაბარების გარეშე ფეხს ვერ შემოადგამთ სადარბაზოში. დაცვა რომ დააყენეს, ვუთხარი — ბიჭებო, ხელცარიელი სტუმარი და ინკასატორები არ შემოუშვათ-მეთქი. წინათ, კარგ დროში, ჩემი სახლის კარს „ღია კარს“ ეძახდნენ, ყველამ იცოდა, რომ არ ვკეტავდი. ახლა ისეთი დაცვა დგას, რომ ვინ გაბედავს ცხვირის შემოყოფას?! ნინო კარგი ადამიანია, ჩემს ხელში გაიზარდა. მამამისი ანზორი ჩემთან ერთად აბარებდა თეატრალურ ინსტიტუტში. ნახევარი სემესტრიც ერთად ვიყავით, მერე გადავიდა უნივერსიტეტში, მეგობრობა კი ძველებურად გავაგრძელეთ. დოლიძის ქუჩაზე ჯერ მეზობელ კორპუსში ცხოვრობდნენ, მერე კი აქ გადმოვიდნენ და კარის მეზობლები გავხდით. ნინო შესანიშნავი დიასახლისია. თუ დრო აქვს, უგემრიელეს ნამცხვრებს აცხობს. თუ ოჯახში წვეულება აქვთ, ვიცი, რომ ნინო ნამცხვრის გამოცხობას სხვას არ დაუთმობს.

**— ხშირად ილხენთ ხოლმე თქვენ და ანზორ ბურჯანაძე?**

— ხშირად ვილხენდით. ახლა 71 წლის „ხარებს“ როგორც შეეფერებათ, რქასაც ისე ვიქნევთ. ისე, ნამეტანი კი ვიცით ქართველებმა. ერთი გერმანელი სტუმარი მყავდა. გაგიჟდა კაცი — რაც უფრო თვრებით, მით მეტად ადიდებთ სასმისებს. ნაცვლად იმისა, რომ ამცირებდეთ, თქვენ რა ხალხი ხართო.

**— ერთი თხილის გული თუ გაგიყვიათ ცხრა ძმას თუ მეგობარს?**

— მთელი სიცოცხლე ამ სახლში ვცხოვრობ. აქ დავიბადე და უკვე წლებს ვეჭიდები. ძველი სამეზობლოდან ორი ოჯახიღა დავრჩით. დანარჩენებმა გაყიდეს ბინები. 90-იანი წლების დასაწყისში, ომიანობა და გაჭირვება რომ იყო, ეზოში ძალიან ლამაზი ბაღი გვაქვს და იქ



გავდიოდით. საერთო ქვაბში ვხარშავდით თუ რამე გაგვაჩნდა. მართლა ერთი თხილის გულს ვიყოფდით.

**— ნათქვამია, იმერელს მჭადის სახელი დაავიწყდაო. თქვენ დაგვიწყებიათ ოდესმე?**

— (ეცინება) გურამ საღარაძის მამისთვის, გიორგი საღარაძისთვის ახლობელს უთხოვია, ჩემი ბიჭი ჯარში მიჰყავთ და იქნებ კომისართან ჩამიწყოთ საქმეო. გიორგის ეროსისთვის და რამაზ ჩხიკვაძისთვის უთხოვია — წამოდით, მარტო მერიდება მისვლაო. მისულან კომისართან, ისიც ფეხზე წამომხტარა, მოფერებია სტუმრებს. სტუმრობის მიზეზი უკითხავს, ამათაც უთქვამთ, გიორგის ახლო ნათესავის დახმარება გვინდაო. თქვენთვის შეუძლებელს შევძლებთ, ბიჭის სახელი და გვარი მითხარითო. დავიწყებია ბატონ გიორგის იმ ბიჭის სახელი და გვარი. მორცხვი კაცი იყო, გაწითლებულა, მაშინ უთქვამს — ეჰ, ჩემზეა ნათქვამი, იმერელს მჭადის სახელი დაავიწყდაო. ის საქმე კი გააკეთეს, მაგრამ მერე სულ შაყირობდა ეროსი.

**— ბატონო ჯემალ, ამბობენ, რომ ახალ ფილმში გიღებენ.**

— რეზო ჩხეიძე იღებს ფილმს. მე და სოფიკო ჭიაურელს შემოგვთავაზეს, ცოლ-ქმრის როლი უნდა ითამაშოთო. ჯერჯერობით, გადაღებაზე არავის დაუძახია. მომავალი წლის აპრილში რუსთაველის თეატრიც განაახლებს მუშაობას და გავიხარებთ. ამას წინათ ვთქვი, თეატრის გახსნა ჩემს დაბადების დღეს, 21 აპრილს დაამთხვიეთ-მეთქი. 22-ში ლენინი, ჰიტლერი და სადამ ჰუსეინი არიან დაბადებული. ერთი სიტყვით, მაგარ „გაუგებრობაში“ ვარ მოხვედრილი.

**— ორიოდე სიტყვით თქვენს ქალიშვილზეც გვიამბეთ?**

— ნათია მუსიკოსია. ამჟამად უცხოეთშია, იქ მართავს კონცერტებს. აქეთ ხშირად მოუწევს გული. რამდენიმე ხნის წინ ჩამოიყვანა ცნობილი გერმანელი დირიჟორი, რომელმაც „დაისის“ ლიბრეტო გერმანულად თარგმნა (სპექტაკლი ბატონმა გიზო ჟორდანიამ დადგა) და შეასრულა კიდეც ორკესტრთან ერთად დიუსელდორფში... მყავს შვილიშვილი, ძალიან ლამაზი ბიჭი, შესანიშნავი მოცეკვავეა და გაიძახის, მსახიობი უნდა გავხდეო. ვნახოთ, რას გადაწყვეტს, არჩევანისთვის დრო ჯერ კიდევ გვაქვს.

***ეკა ლომიძე***




CMYK

**მზით დამწვრობისას** — ლინიმენტ-ალოე, ბუტადიონი (მალამო), ვინოზოლი, პანტენოლი (აეროზოლი);

**კანის ტრავმების (გაკაწრა, გაჭრა, დაჟეჟილობა)** — ფურაპლასტი, ბაქტერიციდული ლეიკოპლასტი, იოდი;

**სოკოსათვის** — ორონაზოლი, დერმოზოლინი, მიკოსეპტინი, ნიტროფუნგინი;

**გრიპისათვის** — ინტერფერონი, რემანტადინი, ოქსალინის მალამო, ვიეტნამური ბალზამი, ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი);

**რადიკულიტის** — წიწაკის პლასტირი, ინდომეტაცინი, სედალგინი, ეფკამონი (მალამო).

***ოტდოხნი №29***

# მიიღეთ წამლები სწორად

**რკინის** შემცველი პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ანემიის სამკურნალოდ, კარგავს აქტივობას, თუ მათ მივაყოლებთ ჩაის ან ყავას, ან მათი მიღებიდან ძალიან მალე მივირთმევთ კაკალს, მიწის თხილს, ცომეულს, რძის პროდუქტებს. **ცხიმის** დამშლელ ვიტამინებს — A, D, E, F, K-ს — ორგანიზმი აითვისებს ცხიმის შემცველი საკვების მიღების შემდეგ. **ასპირინს** არ მიაყოლოთ მჟავე წვენი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები არ ეთავსება რძის პროდუქტებს, ამ შემთხვევაში კალციუმის იონები მკვეთრად ამცირებს წამლის აქტივობას; **სულფანილამიდების** საფუძველზე დამზადებული პრეპარატები განეიტრალდება შაქრით, ტკბილი და ცხიმიანი საკვებით. **შარდმდენი** საშუალებების მიღებისას აუცილებელია მივაწოდოთ ორგანიზმს (შევავსოთ მარაგი) კალიუმი — ქარხალი, გარგარის ჩირი; **ჰორმონალურმა** პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის მოშლა. გართულებების თავიდან ასაცილებლად მიირთვით ხაჭო, ქიშმიში, გოგრა, ზღვის პროდუქტები. ერთი სიტყვით, ცილებით, კალიუმის მარილებით და ვიტამინებით მდიდარი საკვები.

# ჩაყლაპე თევზი და არ დაახველო!

ყოველ წელს მილიონზე მეტი ასთმით დაავადებული მიემგზავრება ინდოეთის წმინდა ქალაქ ჰაიდარაბადში სამკურნალოდ. ყოველ წელს, დღესასწაულის დროს, რომელიც ემთხვევა მუსონური წვიმების სეზონს, ქალაქში უფასოდ მკურნალობენ ყველა მსურველს პაწია თევზის საშუალებით, რომელსაც აყლაპებენ პაციენტს. ადამიანის ყელში მოხვედრისას თევზი უშვებს ყვითელი ფერის პასტის მსგავს ნივთიერებას, რომლის შემადგენლობა გასაიდუმლოებულია. იმ პერიოდში, როდესაც თევზი პირის ღრუდან კუჭამდე ჩადის, იწმინდება სასუნთქი გზები...

*ვოკრუგ სვეტა*

# კევის ღეჭვა ცუდი ტონია...



მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კევის ღეჭვისას ადამიანი ცუდად აზროვნებს და ნელა რეაგირებს მოსაუბრის რეპლიკებზე. ასე რომ, გირჩევთ, საუბრის დროს არ ღეჭოთ კევი.

ასევე უხერხული, არაეთიკური და არასოლიდურია კევის ღეჭვა მიღებებზე, ტრანსპორტში, სამსახურში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ტელეფონზე საუბრის დროს, რადგან პირის წკლაპუნი ყურმილში უფრო მკვეთრად ისმის.

*მირორი*

# ორგანიზმის გასაწმენდად

ყოველ დღე, უზმოზე დალიეთ 1 ჩ.კ. ლიმონის წვენი 1 ჩ. კ. თაფლი და 1 ჩ.კ. ზეითუნის ზეთის ნარევი. სასურველია ყოველ დღე შეჭამოთ 50-100 გ დაღერღილი ხორბალი.

სასარგებლოა ლიმონის (24 ც) და ნივრის (400 გ) ნაყენი — უნდა აურიოთ და 24 დღე გააჩეროთ. მიიღეთ დღეში ერთხელ ძილის წინ: 1 ჩ.კ. აურიეთ 1 ჩ.ჭ. წყალში.

ასევე წელიწადში ერთხელ სასარგებლოა ხმელი გვირილის, კრაზანის, უკვდავას და არყის ფოთლების ნარევის მიღება: დაფქვით ისინი ერთად, 1 ს.კ. ნარევი ხარშეთ ნახევარ ლიტრ მდუღარეში, გააჩერეთ 20 წთ. გაწურეთ და დალიეთ უზმოზე ან ძილის წინ 1 ჩ. კ. თაფლთან ერთად.

*ოტდოხნი! №29*


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად



შეიძინეთ კომპლექტი 75 ლარად

ფასი ძალაშია 30 აგვისტომდე

შპს „კონტრასტი“

ბორჯომის ქ. 4

☎35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55



ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე

☎ 8(93) 31 42 35



მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# ხველა და გინგივიტი

**რა განაპირობებს ხველას?**

***ნანა ხელაძე***

**რა არის გინგივიტი და როგორ ვებრძოლოთ მას?**

***ლ. ვარდოსანიძე***

**ხველა** სასუნთქი გზებიდან გამღიზიანებელი პროდუქტების (მტვრის, ლორწოს, ბაქტერიების) და ამ გზებში მოხვედრილი უცხო სხეულის მოსაცილებელი თავდაცვითი, რეფლექსური აქტია. ძირითადად, ის ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება და გარკვეულწილად მცირე ხნით ცვლის სუნთქვის რიტმსა და სიღრმეს. ხველის აქტი არის დაახლოებით ორწამიანი ღრმა შესუნთქვა და ფილტვებში, მეტი ჰაერის შესვლის შემდეგ განვითარებული სწრაფი და გაძლიერებული ამოსუნთქვა. ამას მოჰყვება 100 მმ ვერცხლის წყლის სვეტის ტოლი წნევისა და ჩვეულებრივზე 2-5-ჯერ სწრაფი ჰაერის ნაკადის განვითარება და მანამდე დახურული მბგერავი ნაპრალის გახსნა.

ნორმაში ბრონქებისა და ტრაქეის მოციმციმე ეპითელიუმი გამღიზიანებელ აგენტებს (მტვერი, ლორწო, ბაქტერიები და ა.შ.) იცილებს და არც ხველის აქტი წარმოიქმნება. მაგრამ მათში ლორწოს ჭარბი დაგროვება, ისევე როგორც ჩირქის ან სისხლის წარმოქმნა, ხველას იწვევს. თავად ფილტვის ქსოვილის (ალვეოლების) გაღიზიანებას ხველა არ მოჰყვება.

ხველა შეიძლება იყოს სასუნთქი სისტემის დაავადების ძირითადი ნიშანი. ის უხშირესად განპირობებულია ბრონქების ანთებით ან სასუნთქ გზებში მოხვედრილი უცხო სხეულით, რომლებიც იწვევს ნერვული დაბოლოებების (კერძოდ, ცდომილი ნერვის დაბოლოებების ან ხორხის ზედა ნერვის) გაღიზიანებას. იმპულსი გადაეცემა მოგრძო ტვინს და შემდეგ — ხველის ცენტრს, აქედან კი პერიფერიაზე გადადის მოძრაობის აპარატის ასამოქმედებლად ხორხის კუნთებისკენ. ხველის ცენტრი შეიძლება გაღიზიანდეს ცხვირის ღრუდან (სამწვერა ნერვით), ხახიდან (ენა-ხახის ნერვით), პლევრისა და სხვა შინაგანი ორგანოებიდან (ცდომილი ნერვით).

**ხველის სახეები:** ხველა შეიძლება უცებ, მწვავედ განვითარდეს (რასაც ძირითადად მრავალრიცხოვანი ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები განაპირობებს) ან ქრონიკულად მიმდინარეობდეს.

ქრონიკული ხველა სჩვევიათ თამბაქოს მწეველ ადამიანებს ან ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებს.

ხველას ახასიათებს სხვადასხვაგვარი რიტმი: წამოხველების მსგავსი, ანუ ხველის ცალკეული ბიძგის, ზედიზედ მიყოლებული ბიძგების სახით, ან შეტევითი ხასიათის.

განსხვავებულია ხველის ტემბრიც. ის შეიძლება იყოს მოკლე, ფრთხილი, მყეფავი, უხმო ან ხმის ჩახლეჩით მიმდინარეობდეს.

ხასიათის მიხედვით ხველა მშრალია ან ნახველიანი. თუ ხველის დროს ავადმყოფი ნახველს ყლაპავს, ხველა უნახველო იქნება.

ადამიანს ხველა დღის სხვადასხვა მონაკვეთში უვითარდება: დილით ახველებენ ის ადამიანები, ვინც ალკოჰოლურ სასმელს ეტანება (ლოთები); თამბაქოს მწეველნი, სასუნთქი გზების ბრონქული ანთებით დაავადებულნი. საღამოს — ბრონქიტიანი, ტუბერკულიოზიანი ავადმყოფები, რაც ცივ საწოლში ჩაწოლის დროს ვითარდება. ღამე ხველას კი ცდომილი ნერვის ტონუსის გაძლიერება იწვევს.

ნახველის რაოდენობა შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ ავადმყოფი აღნიშნავდეს „ხველას სავსე პირით“, — რაც ბრონქების გაფართოების — ბრონქოექტაზიის, ფილტვში ჩირქოვანი პროცესის — ფილტვის აბსცესის არსებობაზე მიუთითებს. მოსალოდნელია, ხველას ღებინებაც სდევდეს თან, რაც წებოვანი ნახველით ლორწოვანის გაღიზიანების შედეგია.



აღსანიშნავია, რომ ეპიზოდურად წარმოქმნილი ხველა ორგანიზმისთვის უვნებელია და გავლენას არ ახდენს ფილტვებში გაზთა ცვლაზე, მაგრამ ხანგრძლივი ხველის შეტევები იწვევს გულმკერდის შიდა წნევის ხანგრძლივად მომატებას, რაც აუარესებს ალვეოლების ვენტილაციას (რეგულირებადი ჰაერცვლა) და არღვევს სისხლის მიმოქცევას. ძლიერი და ქრონიკული ხველა საზიანოა ორგანიზმისთვის, რადგან მას ფილტვის ემფიზემა, ბრონქების გაგანიერება, ზოგჯერ კი სისხლძარღვთა დასკდომა და სისხლდენაც მოჰყვება.

**მკურნალობა:** ხველის ასეთი მრავალფეროვნების გამო სასურველია დროზე მიმართოთ ექიმს, რათა მოხდეს ხველის დიფერენცირება და მისი გამომწვევი დაავადების დადგენა.

საჭიროა ნახველის დათესვა და შემდეგ ანტიბიოტიკების დანიშვნა ბაქტერიოლოგიურად ამოთესილი მიკრობების მიმართ მგრძნობელობის მიხედვით. ნახველის ხასიათის გათვალისწინებით იყენებენ სხვადასხვა საშუალებას: ნახველის გასათხელებელი ფერმენტები, ბრონქების ამოსასუფთავებელი, ამოსახველებელი და ა.შ. თუ ხველა მშრალია, საჭიროა ხველის ცენტრის დამამშვიდებლების მიღება, ხოლო ბრონქოსპაზმის დროს — სპაზმოლიზური (სპაზმის მომხსნელი) პრეპარატების გამოყენება.

**გინგივიტი** — ღრძილების ანთებითი დაზიანებაა და უპირატესად ახალგაზრდა ასაკში იჩენს თავს. დიდი მნიშვნელობა აქვს პათოლოგიის დროულ აღმოჩენას და მკურნალობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ღრძილების უფრო ღრმა და მძიმე დაავადება განვითარდეს.

კბილებს შორის დიდხანს გაჩერებული საკვების ნარჩენები იწვევს მიკრობების გამრავლებას, ქსოვილში ანთებით ცვლილებებს. იზრდება სისხლძარღვთა გამავლობა, ღრძილებიდან ჟონავს სისხლი. თავდაპირველად, სისხლდენა უმნიშვნელოა და ის ჯაგრისით კბილების ხეხვის დროს იჩენს თავს. შემდეგ, კი უკვე საკვების ღეჭვის დროსაც გამოვლინდება.

დაავადების დასაწყისში — კატარალური გინგივიტია და ადამიანი ექიმს არ მიმართავს. ის თვითონ ებრძვის სისხლდენას: უარს ამბობს ჯაგრისზე, მიირთმევს თხიერ საკვებს, რის გამოც დგება ცრუგანკურნების პერიოდი — სისხლი აღარ ჟონავს, მაგრამ ამ პირობებში მიკრობები უკეთ მრავლდება და ანთებითი პროცესი ძლიერდება. შეიძლება წარმოიქმნას წყლულები, პირის ღრუში აღინიშნება უსიამოვნო შეგრძნება, ადამიანი ვერ ჭამს საჭმელს, დათრგუნულია, გინგივიტის დროს ღრძილები ზომაში მატულობს, ფარავს კბილებს, ზოგჯერ საჭირო ხდება ზედმეტი ქსოვილის მოკვეთა.

*რჩევები:*

— გინგივიტის თვითმკურნალობა დაუშვებელია. დროულად მიმართეთ სტომატოლოგს.

— კბილებიდან საკვების ნარჩენებისა და ნადების მოსაშორებლად გამოიყენეთ უხეში ჯაგრისი. გამოიხეხეთ კბილები 2-ჯერ დღეში — დილა-საღამოს. პროცედურა 5 წუთს უნდა გრძელდებოდეს.

— საკვები რაციონი გაამდიდრეთ უმი ხილითა და ბოსტნეულით.

— გამოიყენეთ კბილის პასტა, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს.

— პროფილაქტიკის მიზნით სტომატოლოგს წელიწადში ერთხელ მაინც ეწვიეთ.

*მაია მუხიგული*

# უძილობა აზიანებს იმუნურ სისტემას



ძილი სულაც არ არის სიცოცხლისათვის წართმეული დრო. ძილში ტვინი გადაამუშავებს დღის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას.

დიდი ხანია ცნობილია, რომ უძილობა ან გამოუძინებლობა ჯანმრთელობას არყევს. კერძოდ, არასწორად იხარჯება ენერგია, იფანტება ყურადღება, ნელდება რეაქცია, იზრდება შეცდომების ალბათობა. საგზაო შემთხვევების 35% უკავშირდება გამოუძინებლობას. დამტკიცებულია, რომ ამ დროს ძალიან ზიანდება იმუნური სისტემა: ძილის დროს სისხლში 10-ჯერ მეტი დამცავი აგენტია. გრიპისა და სხვა ინფექციების ვირუსები უფრო ხშირად ხვდება გამოუძინებელ ორგანიზმში.

რაც უფრო დიდხანს გრძელდება გამოუძინებლობის პერიოდი, მით მეტი დრო დასჭირდება ენერგიის აღდგენას. გამოუძინებლობის ერთადერთი წამალი არის ძილი.

*მედიცინა*

# მკურნალობა ცოცხით

აბანოს ყველა ცოცხს თავისებური სამკურნალო თვისება აქვს.

**არყის ცოცხი** აუცილებელია მათთვის, ვისაც აწუხებს კუნთები, სახსრები, განსაკუთრებით, ვარჯიშის, ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. არყის ცოცხი ასუფთავებს კანს, აჩქარებს ჭრილობებისა და ნაჭდევების შეხორცებას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, აფართოებს შევიწროებულ ბრონქებს, ამიტომ შეუცვლელია ასთმიანებისა და მწეველთათვის. არყის ფოთლებში არის ეთერზეთები, C ვიტამინი, S პროვიტამინი.

**მუხის ცოცხი** კანს ხდის ელასტიკურს, აქრობს ანთებას. მუხის სურნელი ხელს უშლის არტერიული წნევის მომატებას ორთქლის აბანოში. ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის სტრესს.

**ცაცხვის ცოცხი** აამებს თავის ტკივილს, აჩქარებს ოფლის გამოყოფას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ახორცებს ჭრილობებს, აფართოებს ბრონქებს, არის სიცხის დამწევი. ასე რომ, გაცივების დროს შეუცვლელია.

**წიწვის ცოცხი** (სოჭის ან ღვიისა) — კარგია ხერხემლის ტკივილის, ნევრალგიის, რადიკულიტის დროს. დამდუღვრიდან 10 წთ-ის შემდეგ წიწვის ცოცხს შეუერთეთ არყის ან მუხის ცოცხი.

**ჭინჭრის ცოცხი** — დაღლილობას ხსნის, სიმხნევეს მატებს. თუ კუნთები ან სახსრები გტკივათ, დაისუსხეთ ამ მცენარით და უსიამოვნო შეგრძნებები მოგეხსნებათ. კარგია რადიკულიტის, რევმატიზმის სამკურნალოდ. ჭინჭრის ცოცხის რეგულარულად ხმარება დაბლა სწევს არტერიულ წნევას, ხსნის ნერვიულ დაძაბულობას. ჭინჭრის ცოცხს რამდენიმე წამით დებენ მდუღარეში და შემდეგ ნელ-ნელა ირტყამენ სხეულზე.

*მეგაპოლის-ექსპრესი №27*

# ლუკაშენკოს მესამედ სურს პრეზიდენტობა

ალექსანდრ ლუკაშენკომ თანამემამულეებს გამოუცხადა: — მესამედ ვაპირებ პრეზიდენტობას, 2011 წლამდე თქვენი თავკაცი ვიქნებიო. თუ ასე მოხდა, ალექსანდრ ლუკაშენკო თანამედროვე ევროპის რეკორდს მოხსნის — 17 წელი ქვეყნის მეთაური იქნება.




ლუკაშენკომ თანამემამულეებს ეს სასიამოვნო ამბავი თავისი მმართველობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე აცნობა. სიცოცხლე ადამიანების კეთილდღეობას შევწირე, ვინ უნდა დამიშალოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, — იკითხა პრეზიდენტმა. ხმა არავის ამოუღია. ლუკაშენკომ კი განაგრძო: — დანამდვილებით ვიცი, ხალხი წინააღმდეგი არ იქნება, ყველაფერი კონსტიტუციის თანახმად მოხდება, პატიოსნად და ლამაზად!

ბელორუსიაში მესამე საპრეზიდენტო ვადასთან დაკავშირებით მართლაც ყველაფერს ლამაზად მოაწყობენ, ჩაატარებენ რეფერენდუმსაც და 2006 წლის არჩევნებში ალექსანდრ ლუკაშენკო ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას. ქვეყნის მეთაურმა გაკვრით მაინც თქვა, — ახლა რომ მესამედ მირჩევდნენ პრეზიდენტად, არანაირი პრობლემა არ შემექმნებოდა, 2006 წელს კი ძალების მოკრება დამჭირდებაო.

***კომსომოლსკაია პრავდა №139***

# ჩვენ უნდა ვიყოთ ღმერთის მხარეზე

ბოსტონში, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, სენატორი ჯონ კერი ოფიციალურად დაამტკიცეს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად. ამომრჩევლების წინაშე ის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა და გამოსვლა ასე დაიწყო: „ამერიკას შეუძლია უკეთესი იყოს და გახდება კიდეც“.




სენატორი საშუალო კლასს გადასახადების შემცირებას და პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდა. მან ისიც თქვა, რომ გადასახადი უნდა შეუმცირდეს საშუალო ბიზნესს, მდიდარ ადამიანებს კი, რომელთა შემოსავალი წელიწადში 200 ათას დოლარზე მეტია, მოსაკრებელი გაეზარდოს. კერი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ ამ გზით ამოღებულ ფულს სამუშაო ადგილების შექმნას, სამედიცინო მომსახურების და განათლების სისტემის გაუმჯობესებას მოახმარს.

პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ნაციონალურ უსაფრთხოებას, რაც სადღეისოდ ქვეყნის ცხოვრებაში ყველაზე აქტუალურია. არც გაუმართლებელ ომს დავიწყებ და არც მაშინ ამიკანკალდება ხელი, თუ ობიექტურად საჭირო გახდება ძალის გამოყენება, — აცხადებს ჯონ კერი.

კერი აპირებს არმიის გაძლიერებას და საერთაშორისო ალიანსებში მონაწილეობას, რათა ტერორისტებს უთხრას: „თქვენ წააგებთ, ჩვენ კი გავიმარჯვებთ“. კერიმ განაცხადა: — აბრაამ ლინკოლნის მსგავსად, არ ვამბობ, ღმერთი ჩვენს მხარეზეა-მეთქი. ვილოცოთ იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ ღმერთის მხარეზე.

***იზვესტია №138***

# ჩინეთი არ გამორიცხავს ტაივანთან ომს

*ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელი არ გამორიცხავს, რომ 2008 წლისთვის მისი ქვეყანა ტაივანთან ომს დაიწყებს, თუ კუნძულის ხელისუფლება დაგეგმილ საკონსტიტუციო რეფორმას ჩაატარებს.*

ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი ირწმუნება, — კონსტიტუციაში ცვლილებები მხოლოდ საშინაო საკითხებს ეხებაო, მაგრამ პეკინი შიშობს, რომ შესაძლოა ამ ცვლილებებში ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადება იგულისხმებოდეს.

ჩინეთის სამთავრობო გაზეთ „ჩაინა დეილიში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის ავტორია ტაივანის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვან ძაისი, ნათქვამია: კუნძული 2008 წელს რეფერენდუმის გზით ახალი კონსტიტუციის მიღებას აპირებს. ეს კი ძალიან სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის რეგიონის სტაბილურობას, გართულდება ურთიერთობა. თუ ჩენ შუიბიანი თავისას არ დაიშლის, შესაძლოა ამას ომი მოჰყვეს, თუმცა ჩვენ სულაც არ ვართ ამის მომხრეო.

ჩინეთი ტაივანს საკუთარ პროვინციად თვლის და ხშირად ემუქრება, რომ ძალის გამოყენებით დაუქვემდებარებს თავის კონტროლს.

პეკინი ტაივანის მიმართ ხშირად ხმარობს აგრესიულ გამოთქმებს, მაგრამ ადრე არასდროს უთქვამს, ომს დავიწყებო.

ეს ორი კვირაა, ორივე მხარე სამხედრო მანევრებს ატარებს. ჩინეთმა კუნძულზე შეჭრის სასწავლო ინსცენირებაც კი ჩაატარა.

***ტრუდ 7***

# იაპონია შესაიარაღებლად ემზადება



1947 წელს იაპონიამ, ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლების ზეწოლით, მიიღო კონსტიტუცია, რომლის თანახმად ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ თავდაცვითი ფუნქცია ეკისრებოდა. საჭიროების შემთხვევაში მტრის მოგერიება ამერიკელებს ევალებოდათ. ამან იაპონიას ჯარისთვის საჭირო სახსრების დაზოგვის საშუალება მისცა, რაც ეკონომიკის განვითარებას მოახმარა.

ახლა აშშ-ში სულ უფრო ხშირად გაისმის უკმაყოფილება იმის გამო, რომ იაპონია არაფერს იხდის საკუთარი უსაფრთხოების საფასურად და ტოკიოს მოსთხოვა, — გადახედოს თავის თავდაცვით კონცეფციას.

იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსი სიგერუ ისიბა სავსებით იზიარებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ძიუნიტარო კოიძუმის აზრს, რომელსაც მიაჩნია, რომ იაპონიას ამერიკელთა დაუხმარებლად, თავად უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა.

ტოკიოს გაზეთი „ასაჰი სიმბუნი“ იტყობინება, რომ კომისიამ, რომელსაც სიგერუ ისიბა ხელმძღვანელობს, მრავალრიცხოვანი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ იაპონიამ უნდა შეიძინოს რაკეტები Harpoon-2, Tomahawk-ი და მსუბუქი ავიამზიდები, რაც ქვეყანას მტრის თავდასხმის საშიშროებას ააცილებს და მოწინააღმდეგის ბაზაზე დარტყმის საშუალებას მისცემს.

„ასაჰი სიმბუნის“ ცნობით, გეგმებს, რომლებიც ძირეულად შეცვლის იაპონიის თავდაცვის პოლიტიკას, მოწინააღმდეგეები ჰყავს მთავრობაშიც და ეროვნული თავდაცვის სამმართველოშიც. მათი აზრით, რაკეტები და ავიამზიდები სხვა ქვეყნებზე თავდასხმისთვისაა განკუთვნილი. იაპონია კი ომს არავისთან აპირებს.

***კომერსანტი №135***

# ირანი მზადაა, გადაუხადოს მოკლულის ოჯახს

ირანში დამთავრდა კანადელი ჟურნალისტის, ზაქრი ყაზემის მკვლელობის საქმის განხილვა. 2003 წლის ივნისში 54 წლის ჟურნალისტმა ქალმა ისარგებლა თავისი ირანული პასპორტით და თეირანში ჩავიდა ლონდონის ჟურნალ Camera-press-ისთვის ხელისუფლების საწინააღმდეგო სტუდენტთა მიტინგის გადასაღებად. ზაქრი ყაზემი თეირანში დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ამბოხებულ სტუდენტებთან ერთად. მის დაკითხვას ირანის სპეცსამსახურები აწარმოებენ და ძალისმიერი გზით ცდილობენ იმ ჩვენების მიღებას, რომელიც მათ ხელს აძლევდა. ნაცემ-ნაბეგვი ქალი კომაში ჩავარდა და გონს მოუსვლელად გარდაიცვალა ჰოსპიტალში. გამოძიებამ დაასკვნა, რომ სიკვდილის მიზეზი ინსულტი გახდა და საქმის მოკვლევა შეწყვიტა.



ზაქრი ყაზემის შვილს აღარ აქვს დედის მკვლელის დასჯის იმედი

ირანის ხელმძღვანელობის ლიბერალურმა წრეებმა ხელახალი გამოძიება მოითხოვეს. პრეზიდენტ მოჰამედ ხათამის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ დაასკვნა, რომ ზაქრი ყაზემი ცემით მოკლეს.

ირანის სასამართლო, რომელსაც კონსერვატორები აკონტროლებენ, იძულებული გახდა, საქმის საჯარო მოსმენა დაენიშნა. ამან დიდი საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია: ირანმა არ ცნო გარდაცვლილის ორმაგი მოქალაქეობა და მისი ცხედარი სასწრაფოდ დამარხეს ქალაქ შირაზში. პროტესტის ნიშნად კანადის ხელისუფლებამ თეირანიდან თავისი ელჩი გაიწვია.

ზაქრი ყაზემის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა, სპეცსამსახურის თანამშრომელმა, რეზა აჰმადიმ განაცხადა, მე უკანასკნელმა დავკითხე ჟურნალისტი, შემდეგ ის საკანში გაიყვანეს. როგორც მოგვიანებით გავიგე, ის კომაში ჩავარდნილაო.

თეირანში ახლახან გამართულმა სასამართლომ საიდუმლო აგენტი რეზა აჰმადი, სამხილის უქონლობის გამო, პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა და საქმე დახურა. ჟურნალისტის ოჯახისათვის კომპენსაციის სახით, მთავრობის ფონდიდან მნიშვნელოვანი თანხის გადახდა გადაწყდა.

ზაქრი ყაზემის ოჯახმა უარი თქვა ფულის მიღებაზე. მთავარი ადვოკატი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი შირინ ებადი საერთაშორისო ინსტანციებში აპირებს ჩივილს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №137***

# უკრაინამ ევროპიდან დაიხია

ივლისის შუა რიცხვებში უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ გამართა სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნატო-უკრაინის ურთიერთობის საკითხებს. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ თვის დამლევს ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელმაც უკრაინის სამხედრო დოქტრინაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

კუჩმას ბრძანებულების თანახმად, უკრაინის მიზანი უკვე აღარ არის ნატოსა და ევროკავშირში შესვლა.

დოქტრინის ძველ რედაქციაში ნათქვამი იყო, რომ „უკრაინის ნაციონალური ინტერესები მოითხოვს ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებას. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ორგანიზაციები ევროპის უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტს წარმოადგენენ, უკრაინა მათი სრულუფლებიანი წევრობისთვის ემზადება“.

დოქტრინის ახალ რედაქციაში წევრობისთვის მზადებაზე აღარაფერია ნათქვამი, რადგან სამხედრო დოქტრინაში ცვლილებები უკრაინა-ნატოს კომისიის სხდომიდან მალევე მოხდა. ჩნდება ეჭვი, რომ კიევმა კი არ შეცვალა ნატოს მიმართ დამოკიდებულება, არამედ ბრიუსელმა. ამ ვერსიას ამყარებს კუჩმას მიერ ხუმრობით ნათქვამი: — რად გვჭირდება ევროკავშირი, იქ არავინ გველოდება. კიდევ რამდენი კანონი უნდა შევცვალოთ, რომ პატივისცემით დაგველაპარაკონ.

კუჩმას პესიმიზმი იოლი ასახსნელია: უკრაინის ხელმძღვანელობასთან ოფიციალურ შეხვედრებზე ევროკავშირის წარმომადგენლებს არასდროს უთქვამთ, უკრაინა ევროპაში ინტეგრაციის გზაზე დგასო.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კი კიევისგან საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტრეფორმებს და თავისუფალი სიტყვის უზრუნველყოფას ითხოვს.

კიევს ნატოსთან უფრო მეგობრული დამოკიდებულება აქვს. კუჩმას ხელი აქვს მოწერილი ქვეყანაში ნატოს ძალების განთავსებაზე. მართალია, სამხედრო დოქტრინის ახალი ვერსია ამგვარ თანამშრომლობას არ უარყოფს, მაგრამ ალიანსში უკრაინის გაწევრება ევროკავშირში მის ინტეგრაციაზე იქნება დამოკიდებული.

ალბათ, სწორედ ეს უთხრეს ბატონ კუჩმას სტამბოლში, სადაც მას, როგორც პრეზიდენტს, დაემშვიდობნენ. პრეზიდენტი კი ნატოსაც დაემშვიდობა და ევროკავშირსაც.

გამორიცხული არ არის, რომ არჩევნების შემდეგ უკრაინა ისევ ძველ გზას დაუბრუნდეს, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ იქნება ახალი ლიდერი.

***ვლასტი №30***

## მოკლედ

**პაკისტანის** ქალაქ გუჯრათში დააკავეს „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი ტანზანიელი აჰმედ ჰალოვან ღაილანი. აშშ-მა მისი თავი 25 მლნ დოლარად შეაფასა. უსაფრთხოების ძალებმა ღაილანი, 15 თანამზრახველთან ერთად, 12-საათიანი ოპერაციის შედეგად დააკავეს. სახლში, რომელშიც იმყოფებოდნენ ტერორისტები, იპოვეს კალაშნიკოვის ავტომატები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და დიდძალი ფული.

ღაილანის ადგილსამყოფელი პენჯაბის პროვინციაში ახლახან დაპატიმრებულმა, მუსლიმანური ექსტრემისტული დაჯგუფების ერთ-ერთმა წევრმა გასცა. ღაილანის ბრალი ედება 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოებში მოწყობილ ტერაქტებში, რომლებმაც 220 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**სამხრეთ კორეაში** 200 ჩრდილოკორეელი დევნილი ჩავიდა. მათი თვითმფრინავი სეულის გარეუბანში, სამხედრო აეროპორტში, დაფრინდა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორად გაყოფილი კორეის ისტორიაში, ეს ლტოლვილთა ყველაზე დიდი ჯგუფია.

**ისრაელის** პრემიერ-მინისტრმა, არიელ შარონმა თავისი პარტიის, „ლიკუდის“, აქტივისტებთან შეხვედრისას განაცხადა: — ჩვენ გვაქვს იმის უფლება, რომ გვქონდეს ბირთვული იარაღი, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი. ამ საკითხში აშშ მხარს დაგვიჭერს.

ცნობილი ისრაელელი დისიდენტის, ფიზიკოს მორდეჰაი ვანუნუს თქმით, ისრაელს 200-მდე ბირთვული ბომბი აქვს.

**ინდონეზიამ** და მალაიზიამ უარი თქვეს ერაყში ჯარების გაგზავნაზე. უმსხვილესი მუსლიმანური ქვეყნის — ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ერაყში მხოლოდ სამშვიდობოთა გაგზავნას ფიქრობენ.

**კალიფორნიაში** გამოცადეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „ისარი“. ისრაელელი და ამერიკელი სპეციალისტების მიერ შექმნილი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა პირველად იქნა გამოყენებული რეალური მიზნის წინააღმდეგ. ცენტრის ტერიტორიიდან გაუშვეს ბალისტიკური რაკეტა „სკადი“, რადიოლოკატორმა ის დააფიქსირა და რაკეტა-„ისარი“ დაუმიზნა. რამდენიმე წუთში მიზანი განადგურდა. ისრაელელმა სამხედროებმა 1991 წელს, მას შემდეგ დაიწყეს „ისრის“ სისტემაზე მუშაობა, რაც სპარსეთის ყურეში ომის დროს ერაყმა 39 ბალისტიკური რაკეტა ესროლა.

**პოლონეთში** გაიხსნა მუზეუმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტთა ოკუპაციის წინააღმდეგ ვარშავის აჯანყებას ეძღვნება. მაშინ, 63 დღის განმავლობაში, 200 ათასი პოლონელი დაიღუპა და თითქმის მთლიანად დაინგრა ვარშავის ისტორიული ცენტრი.

# ჟან კრეტიენს სურს „იუკოსს“ დაეხმაროს

კანადის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი რუსეთის ხელისუფლებასა და ნავთობკომპანია „იუკოსს“ შორის კონფლიქტის მოგვარებას შეეცდება, — განაცხადა „მენატეპის“ (აკონტროლებს „იუკოსს“) ჯგუფის მმართველმა დირექტორმა, ტიმ ოსბორნმა. ჩვენ მივესალმებით ძალისხმევას, რომელსაც იჩენს ბატონი კრეტიენი „იუკოსისა“ და მისი ყოფილი თავკაცის, მიხაილ ხოდორკოვსკის, მენატეპისა და კომპანიის სხვა ძირითადი აქციონერების მიმართ წაყენებული საგადასახადო თუ სხვა სამართლებრივი პრობლემების მოსაგვარებლად, — ნათქვამია ტიმ ოსბორნის მიერ ბი-ბი-სისათვის მიცემულ განცხადებაში.

ადრეც ითქვა, რომ კრეტიენს შესაძლოა მონაწილეობა მიეღო „იუკოსთან“ დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. იგი ივლისში მოსკოვს კერძო ვიზიტით ეწვია და შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს.

მენატეპის ხელმძღვანელთა თქმით, ბატონ კრეტიენზე უკეთ ვერავინ გაართმევს თავს ე.წ. „იუკოსის“ საქმეს, რომელმაც შეარყია ნდობა რუსეთისადმი.

რუსეთის საგადასახადო ორგანოებმა „იუკოსს“ უზარმაზარი თანხის გადახდა მოსთხოვეს, რასაც კომპანია ვერ იხდის, მისი აქტივები გაყინულია. კომპანია შესაძლოა გაკოტრდეს კიდეც. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, — მთავრობა სულაც არ არის დაინტერესებული კომპანიის გაკოტრებაშიო.

ამავე დროს, კომპანიის ორი ყველაზე დიდი აქციონერი — მიხაილ ხოდორკოვსკი და პლატონ ლებედევი განსასჯელის სკამზე სხედან. კიდევ რამდენიმე აქციონერზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

ბატონი ჟან კრეტიენი მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული საერთაშორისო სადავო საკითხების გადაწყვეტა. ის 10 წლის განმავლობაში მეთაურობდა კანადის მთავრობას. 2003 წელს, პოსტის დატოვებამდე, ხშირად ხვდებოდა პრეზიდენტ პუტინს.

***ნიუს რუ***

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# ჩემო საყვარელო ხალხო!



***ლალის ისეთი გული ჰქონდა, ზღვა სიყვარულს რომ იტევდა. მის გულში ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული — და რა თქმა უნდა, მათ შორის კლასელებიც არიან. მათ ლალის წერილი მოგვიტანეს რედაქციაში, ის წერილი, შარშანდელი შეკრებისას რომ გაუგზავნია მათთვის. თავად, ვინ იცის, როგორ უნდოდა მაშინ კლასელების გვერდით ყოფნა, მაგრამ...***

***თუმცა, ყველაფერს წერილი უკეთ გეტყვით:***

ჩემო საყვარელო ხალხო! ჩემო მე-9[4] კლასელებო!

ძალიან მიყვარხართ და მენატრებით ყველანი.

ყველანაირად ვეცადე თქვენთან ერთად ყოფნას, მაგრამ არ გამომივიდა. ეგ არაფერი, ჩვენ კიდევ შევხვდებით.

დღეს კი თქვენთან ერთად ვსვამ ყველა სადღეგრძელოს, თქვენთან ერთად ვიცინი თქვენს ყველა ხუმრობაზე და თქვენთან ერთად ვსვამ ჩვენი წასული ბიჭების, ჩვენი ოთარის, ჩვენი ზურას, ჩვენი დათოს იმქვეყნიურ სადღეგრძელოს.

ძმებო! (ეს ჩემი საყვარელი ტერმინია და ბუნებრივია, აქ დებსაც ვგულისხმობ), თქვენთან ერთი წინადადება მაქვს, მოდით, ყოველი წლის დიდი მარხვის წინა კვირის სამშაბათ დღეს (დღეს სწორედ ეს თარიღი და დღეა) დავთქვათ და დავარქვათ ამას X[4] კლასის შეკრების დღე.

ღმერთმა გვიმრავლოს ერთად ყოფნის დღეები. დღეს ხომ გიხარიათ ერთად ყოფნა, ასე იქნება მერმისშიც.

აბა, ახლა გააგრძელეთ ქეიფი. კარგ დროსტარებას გისურვებთ.

ბატონო თამადა! თუ ახლა ერთხმად ექსპრომტად ჩემს სადღეგრძელოს დალევთ, თქვენი ხმა მომწვდება და გამიხარდება...

გკოცნით, გეხვევით

თქვენი ლალი გუნთაიშვილი
2003 წ. 25 თებერვალი

***ხელიდან ხელში გადადიოდა ეს მონატრებით გამთბარი ბარათი... შემდეგ ისევ მოძლიერდა, სამსახურშიც დაიწყო სიარული და კლასელებსაც შეუსრულა დანაპირები. იმ ზაფხულს ისევ მოიყარეს თავი და... ტკივილსა და სენზე ძლიერმა მშვენიერმა ქალბატონმა თავისი უშუალობით, მომხიბვლელობით, სილამაზისა და სიხარულის აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭით, საოცარი ლაზათი და ეშხი შესძინა ლხინს და ერთი ლამაზი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი საღამო აჩუქა სიყრმის მეგობრებს...***

***ამიერიდან, როგორც ეს ლალის სურვილი იყო, მისი კლასელები, ყოველი წლის დიდი მარხვის წინა კვირის სამშაბათ დღეს „IX[4] კლასის შეკრებაზე“ ერთად იქნებიან. ყოველ ამ დღეს ტკივილით გაიხსენებენ ლალი გუნთაიშვილს და ერთად დალევენ ლალის და თავიანთი ადრე წასული ბიჭების იმქვეყნიურ სადღეგრძელოს.***

***მათ მომავალ ცხოვრებას კი სანთელივით გაუძღვება ლალი გუნთაიშვილის მონატრება.***

**მარინა ბაბუნაშვილი, ჟურნალისტი:** — მიჭირს ქალბატონ ლალიზე წარსულში ლაპარაკი... იმდენი კარგი აქვს გაკეთებული, აღარც კი ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო...

თავადაც ხომ საოცრად უყვარდა გაზეთი და ყველას პატივს სცემდა, ვისაც ატყობდა სიყვარულს და შრომისმოყვარეობას. „კვირის პალიტრის“ დედა დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა გახლდათ, ხოლო რედაქციის თავყრილობებზე სულ სხვანაირი ლალი გუნთაიშვილი წარმოჩნდებოდა ხოლმე: ჩვენთან ერთად ხუმრობდა, მხიარულობდა, საუცხოოდ მღეროდა...

უცნაური დამთხვევაა ალბათ, 26 ივლისს, გამთენიისას, როცა „კვირის პალიტრის“ ახალი ნომერი იბადებოდა, მისი ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი, ეთხოვებოდა სააქაოს...

ჩვენო სათნო, ლამაზო, გულმოწყალე ქალბატონო ლალი, წრფელი ცრემლით გაგაცილეთ. გვჯერა, სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებთ ზეცაში და თქვენც გჯეროდეთ, თქვენს დაწყებულ საქმეს არ ვუღალატებთ, „კვირის პალიტრა“ ხომ იმ ხალხის გაზეთია, რომელიც ასე გიყვარდათ!



რედაქციაში

**მამუკა ხუციშვილი, ჟურნალისტი:** — „კვირის პალიტრაში“ მოსვლის დღიდან ვგრძნობდი, გამორჩეულად შევუყვარდი (თუმცა, თავის თავზე სხვებიც ასე ფიქრობენ), ეს მიორმაგებდა პასუხისმგებლობის გრძნობას და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ დავალებები ისე შემესრულებინა, როგორც ქალბატონი ლალი მთხოვდა (მაშინ არა მხოლოდ „საბავშვო გვერდს“ ვამზადებდი). ძალიან მოსიყვარულე და უშუალო იყო, თუმცა მაინც ვერ შევძელი, ჩემი კოლეგების მსგავსად, მისთვის „ლალი დეიდა“ დამეძახა — ის ჩემთვის ყოველთვის ქალბატონი ლალი იყო. როგორც კი დამინახავდა დერეფანში, შეჩერდებოდა, საოცრად თბილი ღიმილი გადაეფინებოდა სახეზე და დიდი სიყვარულით გამომკითხავდა ჩემს ამბებს. არაერთი სიკეთე მახსოვს ქალბატონი ლალისგან. ერთ ზამთარს ფილტვების ანთებით გავხდი ავად. როგორც კი შეუტყვია, შეწუხებულა. იმავე დღეს თანამშრომლებმა მინახულეს და კონვერტი გადმომცეს — ქალბატონმა ლალიმ გამოგიგზავნაო. გავხსენი. შიგ ფული იდო... სამსახურში გამოსვლისთანავე მადლობის სათქმელად შევედი მასთან... ჩვეული სიყვარულით მომეფერა და — ეგ „ჰონორარი“ იყოო, — მითხრა (თუმცა, იმ ბოლო ორ ნომერში არაფერი მქონდა გამოქვეყნებული). ეს ალბათ „სიყვარულის ჰონორარი“ იყო!

როდესაც მას ვუსმენდი, მეგონა, დედაჩემი მელაპარაკებოდა (დედა 4 წლის წინ გარდამეცვალა). დიახ, მე იგი დედასთან გავაიგივე. ის ხომ თბილი, მზრუნველი და ჩემი დიდი ქომაგი იყო...

**ინგა ჯაყელი, ჟურნალისტი:** — ჩემი წერილებისთვის ქალბატონმა ლალიმ შემირჩია რუბრიკა „ზღაპარი დიდებისათვის“. მითხრა, ადამიანებს ჩვენ უნდა შევახსენოთ, რომ ზღაპარი, თუმცა იშვიათი, მაგრამ მაინც რეალობაა და თუ მოვინდომებთ, თუ ერთად ვიქნებით, აუცილებლად დავაბრუნებთ მას ამ სისასტიკით გაჯერებულ დროშიო.

ამიტომ გამიჩნდა ახალი ზღაპრის დაწერის სურვილი. ზღაპრისა, რომელსაც სახელად „ლალი გუნთაიშვილი“ ჰქვია და, რომელსაც აუცილებლად ექნება გაგრძელება, დაახლოებით ასეთი: „ტკივილი უზარმაზარი იყო, მაგრამ მაინც ვერ კლავდა რწმენას...

მთებს მოფარებული მზის მოლოდინში იდგნენ მასზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები და... სიბნელეშიც გრძნობდნენ სინათლეს, ხედავდნენ გზას, რომელიც ტაძრისკენ მიდიოდა, იმ ტაძრისკენ, რომლის კართანაც მფარველ ანგელოზად ქცეული, უფლის რჩეული ქალბატონი ელოდათ“.

**ეთერ თარიმანიშვილი, თანაკურსელი:** — როცა ჩემთან ხართ, მაშინ ვარ სავსეო, — გვეტყოდი და ბავშვებივით გვეფერებოდი თანატოლებს, დედასავით გვაფარებდი კალთას. ცხრა ქალის ოდენა ტვირთი გეწვა მხრებზე და მაინც გემსუბუქებოდა. შენგან გაცემული სითბო და სიყვარული გადაწონიდა რეალობით დამძიმებულ ჩვენს ცხოვრებას. უშურველად უწვდიდი ხელს შეჭირვებულს, რომ წამოგეყენებინა, იმედი ჩაგესახა, არსებობის აზრი დაგებრუნებინა.

65-ნი ვიყავით თანაკურსელები. იყო რაღაც განსაკუთრებული ჩვენს სტუდენტურ ბიოგრაფიაში. მალე გაძნელდა უკეთესთა შორის უკეთესის გამორჩევა. ცალ-ცალკე თითოეული და ყველა ერთად მაშინვე გახდა საჩინო. ახალგაზრდობის წლებიდან ყველას თავისი წილი მადლი გაჰყვა საგზლად. შენ კი ყველაფერთან ერთად ურთიერთობის ფუფუნებაც გაიყოლე.

უშენობა ყველაზე მეტად შენ ირგვლივ შემოკრებილ თანაკურსელებს დაგვეტყო. არასოდეს დაგვიწყებია ისინიც, ვინც ბედმა შორს გადაისროლა. ყურს მოჰკრავდი ვინმეს ავადმყოფობას და იქ გაჩნდებოდი, სადაც აღარავინ გელოდა. მზისქვეშეთიდან ადრე წასულებსაც არასოდეს ივიწყებდი. შარშან ზაფხულს, დაქსაქსულებს, ისევ გვაპოვნინე ერთმანეთი და ისეთი ლამაზი საღამო გვაჩუქე, მთელი ცხოვრება რომ გვემახსოვრება. ახლაც, უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად შეგვკრიბე და საბოლოოდ დაგვარწმუნე, რომ ყველაზე დიდი განძი ამქვეყნად სიკეთის ქმნა და ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭია.

**ირაკლი ალადაშვილი, ჟურნალისტი:** — სამი წლის წინ, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ფოთის სამხედრო პორტში, საფლაგმანო სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟის წევრები საპატიო სტუმრებს ეგებებოდნენ, იმ დღეს საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა გაიხსენა სამშობლოს დამცველები, იმ დღეს „კვირის პალიტრის“ მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ლალი გუნთაიშვილმა თავისი ხელით მიართვა მცირედი საჩუქარი „თბილისის“ ეკიპაჟის წევრებს, მათთან ერთად სურათიც გადაიღო, გულითადად ესაუბრა და აუწყა — ქართული ტერიტორიული წყლების დამცველი კატარღის ეკიპაჟზე „კვირის პალიტრამ“ შეფობა აიღოო...

სამი წლის მანძილზე „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს სიტყვისთვის არ უღალატია და სისტემატურად უგზავნიდა „თბილისის“ ეკიპაჟს ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა დახმარებას...

დღეს კი, ფოთიდან საზღვაო ძალებისა და „თბილისის“ ეკიპაჟისგან რედაქციაში დეპეშა მოვიდა, მაგრამ... ეს დეპეშა, სამწუხაროდ, სამგლოვიაროა...



ქალბატონი ლალი კატარღა „თბილისის“ გემბანზე ეკიპაჟთან ერთად

**„კვირის პალიტრის“ რედაქციას**

საზღვაო თავდაცვის ძალების სარდალი და პირადი შემადგენლობა, განსაკუთრებით სარაკეტო ხომალდი ბორტი-302 „თბილისის“ ეკიპაჟი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და გაზეთის კოლექტივს.

***საზღვაო თავდაცვის ძალების სარდალი,***
***ვიცე-ადმირალი გ. ირემაძე,***
***სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟი***

**ნაზი წილოსანი, მკითხველი (ოზურგეთი):** — რა უძლური ვართ სიკვდილის წინაშე. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თითო წელს გაზეთის ყველა მკითხველი მოგიძღვნიდა. მარგალიტები სულში გქონდა დაგროვებული. ვარსკვლავივით გაანათებს შენი სული, ღმერთს შენი ნახვა გაუხარდება, ჩვენო საყვარელო ლალი, ჩვენ კი გულდაწყვეტილი დაგვტოვე...

**ჯუმბერ თითმერია, კრიტიკოსი:** — ლალი, შენ ჩვენი სამეგობროს, შენზე უფროსთა და უმცროსთა წრის ერთ-ერთი ლიდერი, კეთილი, მზრუნველი, მოღიმარი, სევდიანი დაქალი იყავი. პირადად მე, დღესაც ისეთს გხედავ, და მომავალშიც, თუ დამცალდა, ისეთს დაგინახავ, როგორიც იყავი იქ, მთაში — ლაშარში, არხოტში, გუდანში, შატილში... შენ საქართველოს ბევრი კუთხე-კუნჭული, როგორც იტყვიან, გადინადირე. მახსოვს, „ლაშარის ჯვარი ჯავრობდაო“, „დიდობდა ლაშარის ჯვარიო“ რომ გვესმოდა არა შორიდან, არა ეკრანიდან, არამედ დიდი, დიადი სცენის საუფლოში — ლაშარის გორზე, რა ბედნიერი იყავი!

შენთან გაყრამ ჩვენ, შენი ახლობლები, მწამს, კიდევ უფრო უნდა დაგვაახლოოს. ერთ რამეს გპირდები: შენს ძვირფას მეუღლესთან, ვასოსთან და შენს საფიცარ შვილებთან ერთად მეგობრები იქ, სწორედ ლაშარის გორზე (ამას მაინცდამაინც ლაშარობის დღესასწაული არ სჭირდება) მოგეფერებით, შენს გულს და სიკეთეს ჭიქას წავუქცევთ...

**ამ დღეებში უამრავი დეპეშა თუ წერილი მოდის „კვირის პალიტრაში“, ქალბატონი ლალისა და მისი შვილების ოჯახებში... უსამძიმრებენ ქალატონი ლალის მეუღლეს, ბატონ ვასილ თევდორაშვილს, შვილებს — გიორგი, ირაკლი და სოფო თევდორაშვილებს... უსამძიმრებენ „კვირის პალიტრას“ — გაზეთს, რომელიც ისევ ივლის იმ გზით, რომელიც მისმა მთავარმა რედაქტორმა, ლალი გუნთაიშვილმა ამოირჩია. ეს გზა ქვეყნის ერთგულების, სიმართლის და სიყვარულის გზაა...**

**ლალი გუნთაიშვილის ოჯახი და გაზეთი „კვირის პალიტრა“ დიდ მადლიერებას გამოთქვამს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გაიზიარა ჩვენი უდიდესი მწუხარება...**

# „ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაში გატარების გადაწყვეტილება თავიდანვე მცდარი იყო“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

გასაგებია, რომ ხალხი უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ ტყის განადგურებას გამართლება მაინც არ აქვს. ამით ხომ ჩვენსავე ოჯახებს ვუქმნით საფრთხეს?!. სწორედ ხეტყის განუკითხავად ჭრის გამო გააქტიურდა მეწყრული პროცესები ბორჯომის რაიონში.

**— რა მიგაჩნიათ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსად?**

— საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, უპირველესად კი წყლითა და ხეტყით. ამბობენ, 20 წელიწადში მსოფლიოში წყალს მეტი ფასი ექნება, ვიდრე ნავთობსო. ამ მხრივ ჩვენ მომგებიან მდგომარეობაში ვართ. თუკი ბუნებრივ რესურსებს გონივრულად მოვიხმართ, შემოსავალიც გაიზრდება და არც ბუნებრივი სიმდიდრე განადგურდება.

ყეთ ამ პროცესის გაკონტროლება, მაგრამ უსახსრობის გამო ძალიან გვიჭირს მუშაობა. რაკი ეკოპოლიცია გაუქმდა, განზრახული გვაქვს ჩამოვაყალიბოთ გარემოს დაცვის ინსპექციის სამსახური. ინსპექტორს ექნება უფლება, ნებისმიერი დამრღვევი დასაჯოს და დააჯარიმოს. დღეს ჩვენი ინსპექტორები მიდიან საწარმოებში და მათ 30-დან 100 ლარამდე აჯარიმებენ. რა თქმა უნდა, მეწარმეს ურჩევნია, არ დააყენოს მილიონად ღირებული ფილტრი და ჯარიმად სულ 100 ლარი გადაიხადოს. სანამ საჯარიმო თანხა არ გაიზრდება და გარემოს დაცვის ინსპექტორებს უფლებამოსილება არ გაეზრდებათ, კონტროლზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— თქვენ ალბათ შემდეგი კითხვის ყველაზე კომპეტენტური ადრესატი ხართ — სად სჯობს საქართველოში დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?**

> – ყველაზე სავალალო ისაა, რომ ბრაკონიერები წითელ წიგნში შეტანილ ხეებს ანადგურებენ. გაიჩეხა ურთხმელისა და კაკლის ხეები. როდესაც ეს ხეები საქართველოდან გადის, ყველას თან ახლავს ცნობა, რომ ისინი საკარმიდამო ნაკვეთში მოიჭრა. ხომ ცხადია, რომ ამდენი კაკლის ან ურთხმელის მოჭრა საკარმიდამო ნაკვეთში შეუძლებელია.

**— ეკონომიკის მინისტრი სხვადასხვა ობიექტთან ერთად საბადოების, მათ შორის, ჭიათურმანგანუმის პრივატიზაციაზეც ლაპარაკობს. თქვენ იზიარებთ მის აზრს?**

— შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე არ შეიძლება ასეთი ობიექტების პრივატიზაცია. ჩვენ იმითაც უნდა ვიყოთ დაზღვეული, რომ მცოდნე ხალხს ჩავაბარებთ საბადოებს. საბადოები ჯერჯერობით სახელმწიფოს ხელშია და მაინც ნადგურდება. მათი დაცვის მსოფლიოში აპრობირებული ხერხი კერძო საკუთრებაში გადაცემაა. თუმც ცხადია, რომ ყველაფრის პრივატიზაცია არ შეიძლება. მაგალითად, დიდი ხმაური მოჰყვა ლაპარაკს ტყის პრივატიზაციაზე. მინდა თქვენი მკითხველი დავარწმუნო, ნამდვილად არ არის დაგეგმილი ტყის მასივების ხელის ერთი მოსმით გასხვისება. თუ ეს გადაწყდა, გაკეთდება ეტაპობრივად.

**— დიდი ქალაქებისთვის სერიოზული პრობლემაა ტრანსპორტის გამონაბოლქვით გაჟღენთილი ჰაერი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ ზაფხულში. თქვენი სამინისტრო თუ მიაქცევს საწვავის ხარისხს ჯეროვან ყურადღებას?**

— ავტომანქანების 90% ტექნიკურად გაუმართავია და ამიტომაც ქალაქი გამონაბოლქვშია გახვეული. სხვათა შორის, დავიწ-

— დრო რომ მქონდეს, სადაც მომიხდებოდა, იქ წავიდოდი. ძალიან მიყვარს ზღვა და ყოველ წელს ერთი-ორი დღით მაინც მივდივარ ხოლმე. მერწმუნეთ, ზღვა უსაფრთხოა — თუ ადამიანი თავად გაუფრთხილდება თავს და 12-დან 4 საათამდე მზეს არ მიეფიცხება. ასევე კარგია მთაც. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და შეგახსენებთ, რომ ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ეროვნული პარკები. ბორჯომ- ხარაგაულის პარკს თუ მეტ-ნაკლებად იცნობდა საზოგადოება, თითქმის არაფერი იციან კოლხეთის პარკზე. ორივე პარკი მზად არის ტურისტების მისაღებად. დამსვენებლებს შეუძლიათ ფეხით და ცხენით მოგზაურობა, ექნებათ შესაბამისი აღჭურვილობა — ზურგჩანთები და საძილე ტომრები. ტურისტები ღამეს სამონადირეო სახლებში გაათევენ. პალიასტომის ტბაზე ნავით გასეირნებასაც შეძლებენ. ამ პარკებში, სამწუხაროდ, მხოლოდ უცხოელები დადიან.

**— ქალბატონო თამარ, მინდა სრულიად განსხვავებული კითხვა დაგისვათ — როგორ გრძნობთ თავს ხელისუფლებაში?**

— მამაკაცები ვერ იტანენ, როდესაც ქალი მათი ზემდგომია, თორემ კოლეგად სავსებით ნორმალურად აღგიქვამენ. ასე რომ, დისკომფორტს არ განვიცდი.

***იზო რიკაძე***

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის კიდევ სამი გამარჯვებული

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერში კურიოზების გვერდი (რუბრიკა „სა-დღეგრძელოდ!“) არ გადის. **რუბრიკა მომდევნო ნომრიდან განახლდება.**

რაც შეეხება ივლისის თვის კონკურსს, **პირველი ადგილი და პრემია** — 50 ლარი წილად ხვდა **ალეკო მათიაშვილს** (ოზურგეთი, სოფ. ჯუმათი) კურიოზისთვის „ძაღლის სისხლი“.

**მეორე ადგილზეა** კვლავ თბილისელი **გერონტი მესხი** კურიოზით „შენთვისაც მოვიცლი ამაღამ...“ იგი მიიღებს პრემიას — 30 ლარს.

ხოლო **მესამე ადგილი და პრემია** — 20 ლარი დაიმსახურა თბილისელმა **პ. ბაკურაძე** კურიოზით „თესლები“.

პრიზიორებს ვულოცავთ გამარჯვებას და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 5 აგვისტოს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მკითხველს შეუძლია

# პატრული თვლემს, მძღოლები კისერს იტეხენ



სად გვეჩქარებოდა?!.

საგზაო პოლიციის გაუქმებით და მის ნაცვლად საპატრულო პოლიციის შექმნით, ვაის გაყრილები შეიძლება ვუის შევეყაროთ. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა საპატრულო პოლიციისთვის უკვე შერჩეული და შესარჩევი საკადრო კონტინგენტი. რამდენიმე დღის წინ, გვიან ღამით, ტაქსით ვმგზავრობდი. უცებ უკან მომავალი საპატრულო მანქანიდან მძღოლს გაჩერება და მანქანიდან გადასვლა მოსთხოვეს. საპატრულო პოლიციელებისთვის მიუღებელ, მაგრამ ავტოინსპექტორისათვის დამახასიათებელ ჟესტს მძღოლი ტრადიციულად დაემორჩილა. დაახლოებით, 5-წუთიანი „გარჩევისა“ და ხელების ქნევით საუბრის შემდეგ მძღოლი დაბრუნდა, მანქანაში გაღიზიანებული ჩაჯდა და საპატრულო პოლიციის მომგონს და ამ სტრუქტურის თანამშრომლებს გვარიანად შეუკურთხა. ხელი ჩაიქნია და დააყოლა:

— ეჰ, კუზიანს სამარე თუ გაასწორებს, გინდა თხა დაარქვი და გინდა — ცხვარი... ძაღლი მაინც ძაღლია. დარღვევა არ მქონდა და შარზე იყვნენ. ეს პირველი შემთხვევა არ არის. თავისი ჭკუით „გამოგიჭერენ“ და თუ გაბრიყვდი, ხო კაი, თუ არა და, ისე დაგამადლიან ღამით თავისი მოვალეობის შესრულებას, თითქოს რაღაცაში დამნაშავე იყო. თუმცა, ყველაზეც არ ითქმის საყვედური. ამას წინათ, მართლა დავარღვიე. ვინც ფაქტზე დამიჭირა, ჩვეულებისამებრ, იმათაც ფული შევთავაზე. რას კადრულობო, ისე მითხრეს, შემრცხვა. ჩემი კოლეგებიც ხვდებიან თურმე პატიოსან ხალხს, მაგრამ რად გინდა, ერთი ტალახიანი ღორი, ხომ იცით, რამდენს სვრის.

ამ ამბიდან ორიოდე დღეში ოფიციალურად გამოცხადდა საპატრულო პოლიციაში მისაღებთათვის მესამე ნაკადის გამოცდა-გასაუბრება. პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში ჟურნალისტებს დასწრებისა და გამომცდელის ამპლუაში ყოფნის უფლებასაც გვაძლევდნენ. დიდ ნაწილს (ყველა მათგანი უმაღლესი განათლებით იყო), რომელსაც საპატრულო პოლიციაში სამსახურის დაწყების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, ადმინისტრაციული სამართალისა და სხვა კანონების ცოდნა უბრალოდ, სამსახურებრივად ევალება, წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ ქვეყნის უზენაესი კანონი კონსტიტუციაა და რომ უშიშროებისა და შს სამინისტროები სახელისუფლებო შტოები კი არა, აღმასრულებელი ორგანოებია. მეტიც, ზოგიერთ პრეტენდენტს „საი“ „საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი“ ჰგონია და აზრზე არ არის, რომ ეს აბრევიატურა „სახელმწიფო ავტოინსპექციას“ ნიშნავს. გასაუბრებიდან გამოსული პატრულობის ზოგი მსურველი კი გაკვირვებას ვერ მალავს, რატომ ეკითხებიან, რას ნიშნავს პარლამენტი ან რატომ უნდა ახსოვდეს სახელმძღვანელო, რომლითაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ამგვარმა კურიოზებმა საკმაოდ ცუდ ხასიათზე დამაყენა. არც საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს, **სოსო ჩიხლაძეს** ეტყობოდა ხალისი. როგორც საუბარში გვითხრა, მას არც გასაუბრების საკმაოდ გამარტივებული ფორმა მოსწონს (ამასაც ვერ აკმაყოფილებენ კურსანტები) და უშვებს, რომ შესაძლოა, ცუდი კადრიც გაეპაროთ.

— სამწუხაროდ, გასაუბრების ეს ფორმა არ უზრუნველყოფს საუკეთესო კადრის შერჩევას, ამიტომაც, ალბათ, მუშაობის პროცესშიც ბევრი გაიცხრილება საპატრულო პოლიციიდან. ამ სამსახურის გამართვის და გაპოპულარების სხვა შანსს ვერ ვხედავ. გასაუბრებაზე უმრავლესობას ეტყობა, რომ სულაც არ აქვს გაცნობიერებული პატრულის უდიდესი პასუხისმგებლობა. უბრალოდ, მაღალანაზღაურებადი სამსახურისთვის მოდიან. ეს ძალიან ცუდია. ძნელია, ასეთ ხალხზე გადაჭრით თქვა, რომ კორუფციაში არ გაისვრება. მაგრამ ვაფრთხილებ ყველას, არც ერთ ჩემს ხელქვეითს არ ვაპატიებ ფულის აღებას და სხვა მამაძაღლობას. მცირე დარღვევა და სამსახურს დატოვებენ. ჩემთან ვერავინ მოვა და მეტყვის, სამსახურში მოწყობაში ფული რომ გადაგიხადე, ახლა საშუალება მომეცი, ის ფული ამოვიღოო. დამთავრდა ეგ დრო.

როგორც პოლიციის აკადემიის რექტორმა, **ლევან იზორიამ** გვითხრა, კორუფციასთან და დანაშაულებებთან ბრძოლის ყველაზე კარგ საშუალებად თურმე ქალი სამართალდამცველები ითვლებიან:

— საერთაშორისო პრაქტიკა ირწმუნება, რომ ქალებს ნაკლები მიდრეკილება აქვთ კორუფციისა და აგრესიისკენ. ამიტომაც განვითარებულ ქვეყნებში პოლიციურ სტრუქტურებში მიღებისას უპირატესობა ქალებს ენიჭებათ. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პოლიციელების 30%-ს ქალები უნდა შეადგენდნენ. ჯერ რამდენიმე ქალი ავიყვანეთ პატრულში, მომავალში ალბათ მათი რიცხვი გაიზრდება...

ვნახოთ, რამდენად გაამართლებს საერთაშორისო პრაქტიკა საქართველოში და ვინ უკეთ გაართმევს თავს პატრულის მოვალეობას — ქალი თუ მამაკაცი... და მაინც, საგზაო პოლიციელებისაგან გამოთავისუფლებულ გზებზე უწესრიგო მძღოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან კისრის მომტვრევაში და ავტოსაგზაო შემთხვევებიც დღითიდღე კატასტროფულად მატულობს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სამარშრუტო მძღოლების საქციელი. უკონტროლობისა და დაუსჯელობის იმედით ისე გათავხედდნენ, საჭესთან ჯდომას არათუ ნაბახუსევი, ნასვამ მდგომარეობაშიც აღარ ერიდებიან (ეს ტენდენცია განსაკუთრებით ტრასებზე მონავარდე მიკროავტობუსის მძღოლებში შეიმჩნევა. — ე.ლ.) და მათი გულგრილობის შედეგად მოქალაქეების სიცოცხლე გამუდმებით საფრთხის ქვეშ არის. ნათქვამია, სანამ ვენახს ჩაყრი, სავენახე უნდა შემოღობოო. იქნებ სჯობდა, ჯერ ცივილიზებული, თავის ფუნქციებში კარგად გარკვეული საპატრულო პოლიცია მოგვემზადებინა და ძველი საგზაო პოლიციაც მერე დაგვეშალა. სად გვეჩქარებოდა, „აჩქარებით ხომ სოფელი არავის მოუჭამია“.

***ეკა ლომიძე***

უნივერსიტეტი «საქართველო»
და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე
უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა
კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია
თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 31 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8900 |
| ევრო | 2,2797 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4343 |
| რუსული რუბლი | 0,0649 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2919 |

„ტრანსცენტრის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

## მილოცვა

**მზია დიასამიძეს!**

ჩემო საყვარელო მზეო, ჩვენი ოჯახის მშვენებავ და სიყვარულო,



გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს ოჯახთან ერთად. არ განელებულიყოს ჩვენი სიყვარული. გფარავდეს მაღალი ღმერთი.

*შენი უსაყვარლესი ლევანი, ლაშა და ანუკი*

**თორნიკე და ბესიკ ნოდარის ძე ბერიკელაშვილებს!**



*საქართველოდან შორს, ბელგიაში დაბადების დღეს გილოცავთ ბებო!*

*იდღეგრძელეთ და იბედნიერეთ უსაყვარლესო შვილის შვილებო!*



*თქვენს სიკეთეს და ნათელ მომავალს შევთხოვ ღმერთსა და დედაბუნებას, სახელოვანი ვაჟკაცებისა მალე მშვიდობით შინ დაბრუნებას!*

გკოცნით და გეფერებით ყველას.

*თქვენი ბებო – ლეილა სიხუაშვილი შარაშენიძისა*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ოფისში სათანამშრომლოდ გვესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ანაზღაურება – მაღალი. ტელ: 824 17-68-92. ნაირა; 824 15-11-79. ლიკა

მუდმივი სამუშაო უცხოურ ფირმაში. თანამშრომლები მიიღებიან კონკურსის საფუძველზე; უ/გ, ასაკი 25-40 წ. ტელ: 34-20-28; 899 94-61-15

5 Вакансии! Инофирма проводит отбор сотрудников. Желателно связи с Армении. Запись на собеседование по тел: 78-24-74

## მომსახურება

ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება; მორადი მოხმარების სამეულებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას. აგრეთვე ვამზადებთ სამზარეულოებს, კარადებს და საოფისე ავეჯს, ლამინირებული ДСП-სგან. ტელ: 69-45-18. გიორგი

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების გადაკვრა-განახლება; სკამების, მატრასების განახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12 ვალერი

შევაკეთებ საბჭოურ და უცხოურ მაცივრებს, კონდიციონერებს და დახლმაცივრებს, ძველი მაცივრის ძირებს და რეზინებს, გარანტიით. ტელ: 893 90-32-28; 96-18-10

სტუდენტური, ოჯახური, ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში (ფიჭვნარი) სხვადასხვა კომფორტის და პირობების კერძო ბინებში, სამჯერადი კვებით ჩვენს კაფე-სასადილოში. ყველაფერი ეს შედის საგზურის ღირებულებაში: 10 დღე – 120-130-140-150-170-220 ლ. შეღავათები – ბავშვებსა და ჯგუფებზე. მის: თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში). კაბ. №31. „მკურნალი სუმბაძე“. ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ვისაც გსურთ წონაში დაკლება, უვნებლად და დიეტის გარეშე, თვეში 7-20 კგ-მდე, ასევე გასუქება თვეში 5-7კგ მომატებით და სიმაღლეში ზრდის ვიტამინები ერთთვიანი კურსით, მოიმატებთ 3-5 სმ. კონსულტანტი ინგა. მის. ჭოველიძის №2. IV სართ. ოთ. №415. ტელ: 93-38-46

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყუჩებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. ბინა 46. ტელ: 37-74-22; 877 72-62-08. მანანა

ნათელმხილველი აშიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე. მკითხაობა, ჯადო-თვალის, წყევლის დაზუსტება, მოხსნა; თილისმები, ოჯახური და მეგობრული ურთიერთობების მოგვარება. მიღება მხოლოდ სატელეფონო ჩაწერით. ტელ: 893 96-94-51

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალური გარანტიით, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრის სქოლიოზი – მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, მ. „ნაძალადევთან“, დადიანის №87. კაბ. №11 (11-14სთ). ექ. ალექსიშვილი. ტელ: 61-02-97; 899-57-16-99; 39-39-97

სმენის აღდგენა, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტთათვის. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. პაციენტების მიღება – 9-13 სთ. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

ვმკურნალობ წითელ ქარს, ფსორიაზს, ეგზემას, ლაქებს, ჭორფლს, ფერიმჭამელებს, მუნს, სოკოს, ბუასილს, ბებერას, მეჭეჭებს, სებორეას, თმის ცვენას. მუნს ვარჩენ 2 წასმით. მის: ცენტროლიტი (ავჭალა), ლიბანის ქ. 5, I სად, II სართ. ტელ: 62-25-75; 899 21-06-49. პროვიზ. სადუნიშვილი, ჩაკვეტაძე

ქრონიკული ალკოჰოლიზმისაგან და თამბაქოსაგან გათავისუფლება (მკურნალობა შეიძლება პაციენტისგან ფარულად – ოჯახის წევრის მიერ)! ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნევროზები; 2. ჰეპატიტები; 3. ჰალუცინაციები; 4. ნაბახუსევის სინდრომი („პახმელია“); 5. ბრონქების გასუფთავება. მოსკოვის კრემლის ლაბორატორიის პრეპარატები. ტელ: 899 22-63-90. ნინო ექიმი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით, ულტრათანამედროვე „ЛООВИТ“ პროგრამებითა და უნიკალური შედეგებით: პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა და სხვა მამაკაცური პრობლემები. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 35-17-48. დათა

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით, ულტრათანამედროვე „ЛООВИТ“ პროგრამებითა და უნიკალური შედეგებით: ალკოჰოლიზმი, შიში, ჰალუცინაცია, აკვიატება, დეპრესია, მაღალი წნევები, ინსულტის შემდგომი პერიოდი. ტელ: 35-17-48. დათა

ალკოჰოლიზმისა და თამბაქოსაგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის“) სინდრომის მოხსნა, შიშები, ჰალუცინაციები; ნევროზები; სასუნთქი გზებისა და ორგანიზმის სრული გასუფთავება. პრეპარატები დამზადებულია კრემლის ლაბორატორიაში, არის მცენარეული, გაჯერებულია ვიტამინებით. სრულიად უსაფრთხო. ტელ: 53-08-02. თამრიკო

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო, თუ ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ნიკოტინი იქცა თქვენი ოჯახის, სიყვარულისა და მომავლის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ მავნე. ჩვევებისაგან გამოწვეულ ჯოჯოხეთურ პრობლემებს, მოგვმართეთ და სულ მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. ტელ: 98-86-19; 34-02-38; 893 12-71-43. ექიმი-კონსულტანტი ნინო

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის №115, კაბ. №20(ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaverდა პროგრამირების ენები. მის. მ: „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ-რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით, 40%-იანი ფასდაკლებით. შესწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, რძეები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ც. დადიანის №26 (მ. „ვაგზლის მოედანი“). ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი – ფასი $200-მდე, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

ბამბუკის ძველებურ, ანტიკვარულ სტილში უნიკალური დიზაინით დამზადებული 15-ნაჭრიანი კომპლექტი (დივანი, 2 სავარძელი, მაგიდა, 4 სკამი, ტელეფონისა და ჟურნალების მაგიდები, სხვადასხვა ზომის 5 ტაბურეტი). ფასი $1500. ტელ. 899 95-38-48; 94-12-63

1. 4 მმ-იანი მავთულისაგან დამზადებული „გაბიონის“ ბადე, 100X100 მმ-იანი უჯრედით – მდინარეების ნაპირის სამაგრი სამუშაოებისთვის; 2. შემოსაღობი მავთულბადე; 3. ვენახის Ф2-Ф2,5 მმ-იანი მავთული. ტელ: 14-28-16

ქალისა და მამაკაცის ახალი ტანსაცმელი ჰონგ-კონგიდან. გაიყიდება ფასდაკლებით, მხოლოდ ერთ დღეს – ა.წ. 7 აგვისტოს, საცალოდ და ბითუმად. მის: ჯანაშიას ქ. №16 (სასტუმრო „საქართველოსთან“), V სართ. (ლიფტით). 14-18 სთ, ყოველდღე. ტელ: 899 56-11-16; 91-23-05

საავარაკე გასაშლელი საქანელები, სხვადასხვა ფერის – წითელი, მწვანე, ლურჯი – ლეიბით, ქოლგით, ორი ბალიშით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 61-62-84; 56-75-41

## შევიძენ

35 სმ-ზე გრძელ თმას. ტელ. 58-78-88; 893 32-14-12

## სხვადასხვა

ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი „ამიანტი“ და შვეიცარიული ფირმა „NEWFO SA“ აცხადებს კონკურსს დევიზით: **„ინოვაციური პროექტები — საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში“.**

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

*საკონკურსო თემატიკა:*

– წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;
– ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;
– სარეკრეაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამი საუკეთესო პროექტისთვის დაწესებულია პრიზები – 600, 400 და 200 ლარის ოდენობით.

ფონდი „ამიანტი“ იზრუნებს ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე. ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09-17.09.2004; სრული პროექტის წარმოდგენის ვადაა 01.10.2004. კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის №432 აუდიტორიაში. დასაწყისი 11 სთ. საორგანიზაციო კომიტეტი: კოსტავას ქ. №77. 0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; III კორპ. III სართ. ოთ. №410. ტელ: 37-73-19; 36-41-67; ფაქსი: 22-53-08; მობ: 899 401-503; ელფოსტა: amianti@posta.ge






ქალბატონი

**ლალი გუნთაიშვილის**

გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს „კვირის პალიტრის“ ზუგდიდის წარმომადგენლობა და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

ქალბატონი

**ლალი გუნთაიშვილის**

გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს „კვირის პალიტრის“ სამტრედიის წარმომადგენლობა და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი იუწყება, რომ გარდაიცვალა მსახიობი

**ელენე ყიფშიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მარინა ხარხელაური, ეთერ ბიჩინაშვილი, სვეტლანა ბაიაშვილი, ხათუნა ცაბაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ცაბუ, სოსო, რეზო, ბესიკ ღვაჩლიანებს და თამილა ნიჟარაძეს სათნო და კეთილშობილი ქალბატონის

**ალექსანდრა (საშა) ღვაჩლიანის**

გარდაცვალების გამო.

*ლიზა და მაყვალა ლომჯარიებს!*

ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას

**ლევან ლომჯარიას**

გარდაცვალების გამო.

*რამაზ, მარინა, ნინო სალუქვაძეები*

პოლინა, ირმა, ვახტანგ გაბელაიები თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ *ლუბა, ოლიკო, სოსო კაჭარავებს,* შვილის და ძმის

**გიორგი კაჭარავას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

შპს „ბაკოს“ და შპს „მედუზას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით ვიზიარებთ

**ვანიკო ღლონტის**

გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ მშობლებს – *მანანა და ბადრი ღლონტებს, მეუღლეს – თეას და ნათესავებს.*

## ირინა კეკელიას მოგონება



მიილია ცრემლიანი, ტკივილიანი ერთი წელიწადი. 3 აგვისტოს დასრულდა შენი ხანმოკლე სიცოცხლე. დაგვიტოვე მწარე მოგონება. დედის იმედო, შენი ოჯახის ბურჯო, უბედურ დედაშენს და შენს ძმას შენი ხმა ჩაესმით, შენ ელანდები და ჰქონიათ, რომ სადაცაა კარს გააღებ და შემოხვალ.

რით ვანუგეშოთ შენი საცოდავი დედა და ძმა?! ახლა უფრო გვენატრები. წახვედი და გაიყოლე უამრავი ტკივილი და აუხდენელი ოცნება.

ჩვენი დანთებული სანთლები გზას გაგინათებს და დაგიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, ჩვენო მოუშუშებელო ჭრილობავ.

ნათელი გედგას მარადის, ჩვენო ჭკვიანო, ყველას გულისტკივილო ირა.

*მალხაზ ხელაია ოჯახით*

## შოთა (ბელკა) მელქაძის ხსოვნას!



ჩვენო ძვირფასო და საყვარელო, 4 აგვისტო შენი დაბადების დღეა. შენი ოჯახი უკვე მეორედ ხვდება ამ დღეს უშენოდ. რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისი და მძიმე ხდება უშენობა, უზომოდ გვენატრები ყველას. შენს პატარა გიორგისაც ძალიან გაუჭირდა. მან თავის სათამაშო ლომს შენი სახელი დაარქვა, ლომი ხომ ძლიერების სიმბოლოა და შენ მართლაც უძლიერესი პიროვნება იყავი, მაგრამ იმავდროულად საოცრად მშვიდი, უთქმელი და უწყინარი. იშვიათია ფიზიკური ძლიერებისა და სულიერი სინაზის ასეთი ჰარმონიული შერწყმა. თვალცრემლიანმა გიორგიმ ისიც გვითხრა: ჩემს შვილს აუცილებლად ბაბუის სახელს დავარქმევო.

შენი ავადმყოფობისას შენთან განშორებაზე ფიქრიც კი გვზარავდა, მაგრამ სიკვდილმა მაინც გვაჯობა. ჩვენი ერთადერთი ნუგეში კი სურათიდან მომზირალი შენი კეთილი სახე და სევდიანი თვალებია.

შენ ხომ ყველას მოსიყვარულე და ყველას იმედი იყავი, დიდთან – დიდი და პატარასთან – პატარა. 4 აგვისტოს შენიანები საფლავზე ამოვალთ და კიდევ ერთხელ პატივს მივაგებთ შენს ხსოვნას. სანთლებს დაგინთებთ და შევევედრებით უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მეუღლე ლალი, შვილები: ნაირა, ნანა, მიშიკო ოჯახებით*

## ნორა თამაზაშვილის ხსოვნას!



*„მაფშალია მომკვდარა,*
*მგალობელი მაფშალია*
*ცხრავე მუზა ტირის,*
*ანგელოსი გამშრალა“*

არაფერზე არ გქონდა პრეტენზია, გარდა მეგობრობისა...

არაფერს ითხოვდი... ყველაფერს გასცემდი...

არაფერი არ მოგწონდა... ყველაფერი გიყვარდა და სიყვარულად დადიოდი... გვეფერებოდი, გვათბობდი საგარეჯოელებს...

პატარა ინგილო ქალი...

მზესავით ანთებული, ყოველთვის მზადმყოფი მოყვასის დასახმარებლად, გვერდით დასადგომად... სხვისთვის მთებს დაძრავდი... შენთვის ვერაფერს გაიმეტებდი და ქართველებს ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლიდი...

ამაყობდი ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლობით, სამშობლო და ზვიადი – ორივე განუყოფელი და მთავარი იყო შენთვის... მერე შენი მეგობრები... ახლობლები... მთელი სამყარო...

სხვისი ტკივილი გტკიოდა, საკუთარ ტკივილს არ გვიმხელდი. მრავალჯერ ნაჭრილობევი, დაისრული გული კი ფეთქავდა და უკანასკნელ ძგერას ივლისის ხვატს ატანდა.

ველარ გაუძელი...

ველარ აიტანე...

26 ივლისის შუადღეს გაიელვე და უფალს მიაბარე სული მზენათელი.

ჩვენო ნორა...

შენ წახვედი...

აქეთ შენი საოცარი ღიმილი, ძალა თავგანწირვისა და შეწირვის... შენი უშურველი სიკეთე დარჩა...

და უკანასკნელი სურვილი და თხოვნა –

სიყვარულს შეწირული ინგილო ქალის: „ქართველებო! გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ერთმანეთს! მოუარეთ საქართველოს!“

*მეგობრები*

## მამუკა ნიბლიაშვილის მონატრება



ჩემო უძვირფასესო შვილო მამუკა! ისევ მოვიდა ზაფხული, ისევ მოვიდა 3 აგვისტო, ისევ მოვიდა შენი დაბადების დღე, რომელიც ყველა დღესასწაულს გერჩია. სულ იმას ამბობდი: „ნურც მოვა ისეთი წელი, დაბადების დღე რომ არ გადავიხადოო“.

შენ შემოგევლოს დედა. არც მოვა, მაგრამ რა ძნელია საფლავზე დაბადების დღის მოლოცვა. მეორედ უნდა შეიკრიბონ უშენოდ შენი ოჯახის წევრები, შენი ახლობლები, მეგობრები, საჩუქრების მაგივრად მოგიტანთ წმინდა სანთლებს და ცრემლით დანამულ ყვავილებს.

ძალიან ძნელია უშენობა, ჩემო მამუკა! დრო მკურნალიაო – ეს ტყუილია. არავითარი დრო არ მოაშუშებს შენი სიკვდილით მიყენებულ ტკივილს, ყოველი დღე ერთიმეორეზე უფრო მწარეა. ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ერთმა საბედისწერო წუთმა როგორ დაამსხვრია ჩვენი ოჯახის ბედნიერება და დაგვრჩა ის დიდი სევდა – უშენობა რომ ჰქვია.

ჩვენო კეთილო და სიკეთით სავსე შვილო, შენ მხოლოდ 25 წელიწადში მოასწარი ამხელა სიყვარული, წახვედი და ბევრს ასწავლე მონატრება. ვერაფრით შევეგუებით შენს დანაკლისს და თვალიც ვერ გადაეჩვევა შენს მოლოდინს. შენი დისშვილი მარიამი, რომელიც უსაზღვროდ გიყვარდა და შენთვის უცნობი სალომე, შენს სურათებთან მიდიან და დაბრუნებას გეხვეწებიან, გელოდებიან.

ძალიან გვენატრები შენს ოჯახს, მაგრამ ამ ცხოვრებაში ვერაფერი შევცვალეთ, ვერ დაგაბრუნეთ. შენზე დარდსა და ფიქრში რამენაირად გავატარებ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს. ჩვენო დიდო ვაჟკაცო, ძმაკაცებზე და მუხრანზე უზომოდ შეყვარებულო შვილო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული და სამარადისო სასუფეველი დაგიმკვიდროს.

*შენი ოჯახი*

## ვენერა ძლიერიშვილის გახსენება



ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ტკივილითა და მოგონებით სავსე ათი წელი, რაც შენ ეს ქვეყანა დატოვე და მარადისობაში გადასახლდი, ჩვენო თბილო და ტკბილო ვენერა. ძალიან გვაკლია შენი აზრიანი, ჭკვიანური რჩევები. ყველა საკითხში, ყველა სფეროში მცოდნე და განათლებული იყავი. მდიდარი სულის ქალს გეძახდნენ, იმიტომ, რომ მართლაც ხალასი და ლამაზი ბუნების იყავი. შენ შექმენი ლამაზი ოჯახი. ღმერთსაც რჩეულები მიჰყავსო ზეციურ სასუფეველში და შენც სწორედ ასეთი გამორჩეული იყავი შენი ლამაზი თვალებით. შენი ცხოვრების მანძილზე დიდი სიყვარული და სიკეთე თესე. დიდმა სიყვარულმა კი დიდი მონატრება იცის. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ყველა გიგონებს, ყველას ენატრები, ყველას უჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი.

დაუვიწყარია შენი ხსოვნა, ჩვენო დიდო ქალო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, დიდო ადამიანო.

*შენი საყვარელი ოჯახი: მეუღლე ბუკა, შვილები – ნელი, ლევან ჭიჭინაძეები*

## ზაურ (მახო) მახარობლიძის ხსოვნას!



ორმოცი დღე სრულდება მას შემდეგ, რაც უშენოდ ცხოვრობს შენი ოჯახი. მძიმე ავადმყოფობამ შეწყვიტა შენი გულისცემა.

რატომ გაგიმეტა ბედისწერამ ასე? შენ ხომ ძალიან გინდოდა სიცოცხლე, როგორ შეხაროდი შენს პატარა ოჯახს, შენს ერთადერთ შვილს. გინდოდა, კარგ ადამიანად ალგეზარდა, მაგრამ არ დაგცალდა.

მახო, შენ ხომ ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, შეუდარებლად კარგი მეუღლე და მამა იყავი. მახო, უზომოდ მენატრები და თვალცრემლიანი შევყურებ შენს სურათს. მე ხომ მძიმე ტვირთი მაქვს დაკისრებული – ჩვენი ერთადერთი შვილი, რატი უნდა გავზარდო ისეთი, როგორიც შენ გინდოდა. ასეთი ადამიანი, როგორიც შენ იყავი, დიდხანს დარჩება ჩვენი ახლობლების ხსოვნაში.

ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ საფლავზე და დაგინთოთ წმინდა სანთელი, ვილოცოთ შენთვის, რათა ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.

*მეუღლე ციცო კვირიკაძე, შვილი რატი, დედა ივდითი, სიდედრი თინა, ძმა ჯოვანი, და ცაული, ძმისშვილი ნინო*

## შოთა მახარაძის მონატრება



ექვსი თვეა, რაც უგულო ადამიანის მოსაკვეთმა ხელმა შენი სიცოცხლე შეიწირა, ჩვენო შოთიკო. წახვედი და გაუნელებელი ცეცხლი დაგვინთე ყველას გულში. შენ ხომ შვილის დაბადებასაც ვერ მოესწარი. რა უსამართლოდ მოგექცა ბედისწერა.

შოთიკო, ნუთუ შენი ვაჟკაცური სხეულით ის მიწა უნდა გაათბო, რომელზეც დააბიჯებდი?! გვეგონა, ჩვენი სიყვარული დაგიფარავდა, მაგრამ ამაოდ. შენ, ჩვენში იცოცხლებ მანამ, სანამ მონატრების ზღვა არ დაილევა. ის კი უსაზღვროა. შენს მეგობრებს ისღა დაგვრჩენია, ცრემლმორეული სითბოთი გავიხსენოთ შენთან ერთად გატარებული დღეები.

შოთიკო, შენს საფლავთან ყოველთვის მოვალთ. აგინთებთ სანთელს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. დაე, ჩვენმა მონატრებამ გაგინათოს გზა სასუფეველში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე უდროოდ დაყრილი მიწა.

*მზია*

## ვენერა მიქაბერიძე-კოსტავას!



ხუთ აგვისტოს სამმა წელმა განვლო უშენოდ, უსაყვარლესო დედა, ლამაზო ბებია, კეთილო დედამთილო, დედმამიშვილების, ნათესავების, მეგობრების, ახლობლების, ყველა ადამიანისთვის ხელგაწვდილო, სიკეთის, სიყვარულის ქალბატონო!

მუდამ სამოთხეში კიაფობდეს შენი სული.

*ოჯახი*

## გიგა კაჭარავას ხსოვნას!



მონატრება დიდი გრძნობაა. ტკივილიანი მონატრება საშინელია. ამ ბოლო ხანებში ჩვენს ქუჩას სიკვდილის აჩრდილი შემოეჩვია, რომელმაც ახლა უკვე შენ აგირჩია, გიგა! სიკვდილიც არის და სიკვდილიც. მასთან შეგუება ყოველთვის ძნელია, მაგრამ როცა სულ მოულოდნელად, უცაბედად მოვა, ეს უკვე ტრაგედიაა. 22 წელი რა ცოტა და ამავე დროს, რა დიდი დროც ყოფილა. დიდი იმიტომ, რომ უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე, უამრავი ცრემლი და მონატრება გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. ჯერ ხომ არაფერი გინახავს ამქვეყნად. რამდენი ოცნება, ნატვრა გექნებოდა. საყვარელი გოგონასთვის მისართმევ სიყვარულით სავსე გულს დაატარებდი იქნებ და რატომ ინება უფალმა გულისფეთქვის შეჩერება?

ღმერთს ვთხოვთ, გააცისკროვნოს შენი სული, გიგა! შენი მეგობრები ღამეებს ლოცვებში გითენებდნენ, ფსალმუნებს გიკითხავდნენ ცრემლიანი თვალებით და აკანკალებული ხმით.

წახვედი და დატოვე გაუნელებელი ტკივილი შენი ოჯახისთვის, მეზობლებისა და ახლობლებისათვის. გავა დრო და უფრო ძლიერი იქნება მონატრება. ძნელია, უყურო დედაშენის უზომო სევდით აღსავსე თვალებს, შენი დაიკოს გულსაკლავ მოთქმას და მამაშენის გოდებას.

ჩვენ თვალწინ გაიზარდე, ჩვენ თვალწინ დაფრთიანდი, გიგა! იმ ავბედით დილითაც, როცა მომხდარი ტრაგედიის შესახებ ყველამ შეიტყო, თითქოს ჩვენ გვერდით გხედავდით და არ გვჯეროდა შენი სიკვდილი. არ ვიცით, რა ამოავსებს იმ სიცარიელეს, რასაც ახლა უკვე გიგა კაჭარავა ჰქვია.

ღმერთს ვთხოვთ, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ქართველო ვაჟკაცო!

ღმერთო, დაუმკვიდრე მას სამუდამო სასუფეველი!

## მარინა და ზაურ (ზუზუ) დელიბაშვილების გახსენება





ხუთი ცრემლიანი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენმა ლამაზმა სულმა ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა. თქვენი სიკეთითა და სიყვარულით სავსე სახე აუხდენელ ნატვრად გადაიქცა თქვენი მოხუცი დედისთვის, შვილებისა და მეგობრებისათვის. წახვედით შვილების ბედნიერებაზე მეოცნებე და-ძმა. წახვედით და თან გაიყოლეთ ზღვა ცრემლი და სინანული, მაგრამ ამავე დროს მოასწარით დაგეტოვებინათ ნამდვილი ქალის და კაცური კაცის სახელი, სიყვარული და მოუშუშებელი იარა.

რით ვანუგეშოთ თქვენი მოხუცი, დავრდომილი დედა, რომელიც მუდამ ცრემლიანი თვალებით ელოდება თქვენს გამოჩენას?! მაგრამ ამაოა მისი მოლოდინი!

ჩვენო საყვარელო და-ძმავ! თქვენს გენს გადაშენება არ უწერია. ცხოვრობენ თქვენი ლამაზი შვილები უთქვენოდ, უმძიმთ ობლობა, მაგრამ ცხოვრება თავის კალაპოტში მიედინება. დროის მსახვრალი ხელი ვერაფერს დააკლებს თქვენს ნათელ ხსოვნას.

თქვენი შვილების ლოცვამ და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ მარადიულ სასუფეველში სავალი გზა.

ჩვენ კი, ყველა თქვენი ახლობელი ვიცოცხლებთ თქვენი ლამაზი წარსულის მოგონებებით!

ნათელში გამყოფოთ უფალმა!

*მალვინა მუხიაშვილი-დელიბაშვილი*

## გალაქტიონ კობერიძის ხსოვნას!



ხუთი წელი გავიდა, მამა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენი სახით ძლიერი საყრდენი გამოგვეცალა და უმწეოდ დავრჩით. ალბათ სწორედ ამიტომ დაგვრია უბედურებამ ასე ადვილად ხელი. მდინარეში საბანაოდ ჩასული ჩვენი საყვარელი პატარა დათო წყალმა იმსხვერპლა. მუდამ ავად მოსაგონარი იქნება ჩვენთვის ივლისის თვე, 31 ივლისი – შენი გარდაცვალებისა და 13 ივლისი – დათოს დაღუპვის დღე.

გვენატრები, მამა. მოგონება არ დაგაკლდება, სანამ შენი შვილები და შვილიშვილები იარსებებენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შვილები და შვილიშვილები*

## გივი ჯანჯღავას ხსოვნას!



ჩემო საყვარელო შვილო გივი! 5 აგვისტოს ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ძალიან გვიმძიმს უშენობა. გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარ ხარ ჩვენ შორის. მოვალთ შენს საფლავთან, თვალცრემლიანები მოგილოცავთ ამ დღეს. ცათა სასუფეველში მივეფერებით შენს სურათს, მოვიგონებთ გარდასულ დღეებს და ბოლოს რა? – ჩვენ მაინც უკან დავბრუნდებით, შენ კი ისევ მარტოობასთან ერთად დარჩები.

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი, სპეტაკი სულისათვის. აგინთოთ წმინდა სანთლები.

ღმერთმა აცხონოს, გივი, შენი სული. ამინ.

*შენი გაუბედურებული დედა*

## გედევან (გედე) სლაკოს ძე ქვარცხავას ხსოვნას!



ჩემო გედე! სამწუხაროდ, შენს დასაფლავებას ვერ დავესწარი, არადა, მეც ადამიანთა იმ რიგს მივეკუთვნები, შენი საინტერესო ცხოვრება და საქმეები კარგად რომ იცის.

ჩხოროწყუს სტამბის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი ოთხი ათეული წლის მანძილზე – განა ეს ცოტაა? ხშირად გითქვამს: სტამბის სუნს ერთხელ რომ შეიგრძნობ, ძნელია მის გარეშე ცხოვრებაო. ამის მაგალითი თავად იყავი. ბევრი სირთულე და სიძნელე გინახავს, რაიონში პოლიგრაფიის გასავითარებლად. შემდეგ კი ჭკვიანი მანქანები, ჩამოსხმული სტრიქონები... ბევრი დაძაბული დღე და უძილო ღამეებიც გქონია, მაგრამ საქმე გიყვარდა, ამიტომ არ შორდებოდი სტამბის სუნს.

ბევრი ახლობელი თუ მეგობარი აზიარე პოლიგრაფიის საიდუმლოებას. ისინი ხომ ყოველთვის თბილად მოგიგონებენ.

დაგრჩა ლამაზი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები და მეგობრები, რომლებიც არასოდეს დაგივიწყებენ.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული.

*პატივისცემით ვახტანგ მამფორია*

## მერაბ თვალჭრელიძის გამოსათხოვარი



შეიჩვია ჩვენი აზრი და გონება სიკვდილს. თითქოს ჩვეულებრივ ამბად იქცა. თითქოს შემზადებულიც ხარ დროდადრო სამწუხარო და თავზარდამცემი ამბის გასაგებად. ბევრი დავკარგეთ, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა წასვლის შემდეგ დიდი სიცარიელე რჩება, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი შეუვსებელი ადგილი – კაცობის, ულალატობისა და ერთგულებისა.

ასეთი კაცი იყო მერაბ თვალჭრელიძე – მოქალაქე, მეცნიერი, ოჯახიშვილი და დიდი ოჯახისავე ქომაგი. სახელოვან გეოლოგთა შთამომავალი წინაპართა გზას აგრძელებდა. სამეცნიერო რეგალიები განსაკუთრებით არ უძებნია, მაგრამ არც იგი აკლდა. ჭკუის საკითხავი სპეციალისტი იყო. მის გარეშე არ გავიდოდა ველზე პალეოლითის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია; მის კომპეტენტურ აზრს უწევდნენ ანგარიშს ზღვის ნაპირგამაგრების სამუშაოების წარმოების დროს თუ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანისას.

ამ უკანასკნელ ხანსაც დასჭირდათ მისი წონიანი სიტყვა და ექსპერტიზა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით გეოლოგიურ საკითხებზე და მოსალოდნელ ეკოლოგიურ შედეგებზე. სწორედ პროფესიული მივლინების დროს მოხდა უბედური შემთხვევაც.

თანავუგრძნობთ ერთმანეთსაც და სიჭაბუკის მეგობარსაც – ზურაბ თვალჭრელიძეს, რომელმაც ღირსეული ძმა და თანამდგომი დაკარგა.

თანავუგრძნობთ მერაბის ოჯახს, ახლობლებს, გეოლოგიურ საზოგადოებას, დაბოლოს ქვეყანას, რომელმაც კიდევ ერთი ღირსეული შვილი დაკარგა.

*მეგობრები ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან*

## ეკა ტყეშელაშვილის მონატრება



7 აგვისტოს 31 წლის გახდებოდი, ეკა! საუკუნო განსასვენებელში შეეგებე 25-ე წლისთავს, ლამაზი, კეთილი, სიყვარულითა და გასაოცარი ენერგიით სავსე. თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი დაღუპვა. რამდენი აუსრულებელი ოცნება გაიყოლე თან, რამდენი ცრემლი და რამდენი ტკივილი... როგორი გადამდები სიხარული იცოდი, როგორი ერთგულება შეგეძლო...

გვიჭირს, ძალიან გვიჭირს უშენობა, ჩვენო საფერებელო გოგო...

საპატარძლოდ გამზადებდით, სიყვარულიც თავდავიწყებით შეგეძლო, მაგრამ არ დაგცალდა საკურთხევლის წინ დადგომა შენს რჩეულთან ერთად... წახვედი და დღე არ არის, შენზე დარდმა თავი არ შეგვახსენოს. მაგრამ ერთიცაა, ისეთი შეგრძნება გაჩნდა, თითქოს ყოველ წუთს, ყოველ წამს ჩვენთან ხარ, ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობ. შენს ანგელოზივით ძმისშვილს, მერაბისა და ჟანას გოგოს, შენი სახელი ჰქვია, ეკუნა. სურათებით გიცნობს, გეფერება, ყვავილები მოაქვს შენს საფლავთან... შენი მონატრების ტკივილს რა გააქრობს, მაგრამ პატარა ეკა თითქოს მალამოდ ედება უშენობას.

დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო, იმქვეყნად, სადაც უფალმა ინება შენი გადასახლება. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული, ჩვენო საფიცარო ეკა...

*შენი უბედური მშობლები, ლენა ქიმუცაძე და ალეკო ტყეშელაშვილი*

## ცეზარ ლაზვიაშვილის მონატრება



მეორე დაბადების დღე დადგა უშენოდ... 4 აგვისტოს 35 წლის გახდები.

ცრემლითა და დარდით გიგონებთ და ამ ქვეყნიდან გილოცავთ მანდ, სულეთში. დრომ ვერ დააყუჩა ის ტკივილი, რომელიც ორი წლის წინ მოულოდნელად დაგვატეხა თავს განგებამ.

ვერ შევეჩვიეთ უშენობას – სევდას, ნაღველს, ტკივილს, მწუხარებას, მონატრებას შენი სახელი ჰქვია, ვერაფრით ამოვივსებთ იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია.

ჩვენი სიყვარულის ცრემლი, მხურვალე ლოცვა და წმინდა სანთელი არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს. ყოველთვის ჩვენთან იქნები.

ნათელი გედგას მარადის, ყველას გულისტკივილო ცეზარ.

*დედა, მეუღლე, შვილები*

ჩვენ გვწერენ

# სიცხემ ადამიანი გააქრო

მე და ჩემი მეგობრები ზოოლოგები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ჩვენი პროფესიით სამსახურს ვერ ვშოულობთ და ყველანი სხვადასხვა საქმეს ვართ მოკიდებული, ცხოველთა სამყაროს სიყვარულს ვერ ვღალატობთ. თვეში ერთხელ მაინც ვიკრიბებით, დურბინდებითა და ფოტოაპარატებით შეიარაღებულები საქართველოს რომელიმე ტყეში მივდივართ და ფაუნას ვსწავლობთ. ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ჯუმბერი, სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას აპირებს, რაღაც მასალებს აგროვებს, ჩვენ კი, საყვარელი საქმიანობით ვირთობთ თავს.

ორი თვის წინაც ქალაქგარეთ გავედით. ფეხით ბევრი ვიარეთ, რომ იტყვიან, ქანცი გაგვიწყდა. ჯუმბერი რაღაცას უკირკიტებდა, მგონი, დაღლილობას ვერც გრძნობდა. ჩვენ, მე და ნანა, შორიახლოს ჩამოვსხედით სულის მოსათქმელად, თან თვალი არ მოგვიცილებია კოლეგისთვის, რომელსაც ხუმრობით „კოლოფას" (ჭკუის კოლოფას) ვეძახით. ჯუმბერი 10-15 მეტრით იყო ჩვენგან დაშორებული. გრილოდა. უეცრად რაღაც უჩვეულო სიცხე ვიგრძენით, თუმცა მაშინ არ გაგვკვირვებია. აბა, რას წარმოვიდგენდით, რომ საქმე ამოუცნობ მოვლენასთან გვქონდა. მე და ნანას სუნთქვა შეგვეკრა და ის იყო, ჯუმბერს გავძახეთ, როგორი უჰაერობაა, ჩამოჯექი, გული არ წაგივიდესო, რომ ჯუმბერი გაქრა... თვალებს ვერ ვუჯერებდით, დამუნჯებულებივით ვიყავით. ბალახზე ეგდო ჯუმბერის საწვიმარი, მუყაოსყდიანი რვეული, კალამი... თვითონ კი არსად ჩანდა. დურბინდს ვტაცე ხელი და იქაურობა მოვათვალიერე. კაცის ჭაჭანება არ იყო... არც მტაცებელი ცხოველი ჩანდა, არც ფრინველი.

ბევრი ვეძახეთ, ბევრი ვიარეთ ალმა-დალმა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ კვალს ვერ მივაგენით. ჯუმბერის გაქრობა იყო და მაშინვე აგრილდა ანუ ჩვეულებრივი ტემპერატურა დადგა.

ის დღე ასე ხეტიალსა და მის ძებნაში გავატარეთ. საღამო ხანს ნანას ნერვიული შეტევა დაეწყო. ხელ-ფეხი უკანკალებდა და მიმტკიცებდა, ბრმა ნაწლავი გამისკდაო. ხელში აყვანილი ვატარე ცოტა ხანს. სხვა გზა არ მქონდა. ტრასაზე გამოვედით, მანქანა დავიქირავეთ და საავადმყოფოსკენ გავაქანე. თავში ათასი ცუდი ფიქრი მიტრიალებდა. ჯერ ერთი, ჯუმბერზე ვდარდობდი, მერე თბილისში ჩამოსულს რა უნდა მეთქვა? დედამისი რომ მკითხავდა, ჩემი შვილი რა იქნაო, გაქრა-მეთქი, ვეტყოდი და დამიჯერებდა? ის ღამე მეც საავადმყოფოში გავათენე. ნანას, რა თქმა უნდა, ნაწლავი არ აწუხებდა. დამამშვიდებლები გაუკეთეს და ჩაეძინა. დილაუთენია ისევ ტყეში წავედი. ხელახლა მოვიარე ყველა კუთხე-კუნჭული, სადაც ფეხი დავდგით და არ დაგვიდგამს, მაგრამ ამაოდ...

იმ საღამოს განადგურებულები წამოვედით თბილისში. სახლში შესვლა და ჯუმბერის დედის, ციალა დეიდას ზარი ერთი იყო — რა მოხდაო, გვეკითხებოდა ტელეფონით. ჯუმბერი რამდენიმე საათის წინ ფეხშიშველი და გაოგნებული ჩამოეყვანა ვიღაც ღვთისნიერს შირაქის ველიდან...

ამ დროს ჩვენ იქით სულ არ ვყოფილვართ, დასავლეთ საქართველოში ვიყავით!.. რომ ვეკითხებოდით, რა მოხდა, ან ფეხშიშველი რატომ ხარ, ან შირაქის ველზე როგორ მოხვდიო, მხრებს იჩეჩდა... ერთი რამ მახსოვს, ძალიან დაცხა და სუნთქვა მიჭირდაო.

რაკი ცოცხალი ვნახეთ, აღარაფერს ვჩიოდით, მაგრამ თუ ადამიანის გაქრობა შეიძლებოდა, რას წარმოვიდგენდით!

***ზაზა ღიბრაძე, თბილისი***

# ლოცვამ გადამარჩინა

— საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი, რომ რწმენას სასწაულის მოხდენა შეუძლია. ყოველთვის მჯეროდა, რომ ადამიანს მუდამ თან დაჰყვება მფარველი ანგელოზი და განსაცდელისგან იცავს. საოცარი რიდი მქონდა ჩემი ანგელოზისა, სულ მეგონა, რომ ყოველთვის ჩემთან იყო და უღირს საქციელს როგორ ჩავიდენდი, ან ტყუილს როგორ ვიტყოდი. თუ ძალიან არ გამიჭირდებოდა, არც დახმარებას ვთხოვდი. — უნდა მიშველო, სხვა გზა არა მაქვს-მეთქი... და იგი ყოველთვის მოდიოდა! — მითხრა 62 წლის ქალბატონმა, ეთერ სახვაძემ.

**— როგორ თუ მოდიოდა?!**



— არა, თვალით ვერასოდეს ვხედავდი, მაგრამ დროის რაღაც მონაკვეთში საოცარ სითბოს ვგრძნობდი მთელ სხეულში. მერე კი „ვიღაც" აუცილებლად დამადებდა მარჯვენა ბეჭის თავზე მსუბუქ ხელისგულს...

**— ალბათ ეს მაინც თქვენი წარმოსახვა იყო...**

— გინდა თქვა, რომ მეჩვენებოდა?! — რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ მისი „გამოჩენის" მერე საფრთხე ყოველთვის ჩაივლიდა...

**— მაინც რა შემთხვევაში მიმართავდით თქვენს მფარველ ანგელოზს?**

— ბებია რომ მიკვდებოდა, 12 წლის ვიყავი. დედა სამი წლისას მომიკვდა და ბებია იყო ჩემთვის ყველაფერი. მაშინ შევეხვეწე და „არ მოვიდა", არ მაგრძნობინა, რომ ჩემთან იყო, ჰოდა, ბებიაც მიიცვალა!.. როგორც ჩანს, მაშინ ვერაფრით დამეხმარებოდა. სამაგიეროდ, ერთი ბიჭი ცოლობას მთხოვდა და უარზე ვიყავი, არც კი ვიცი, რას ვუწუნებდი — უბრალოდ, არ მომწონდა და მორჩა! ბოლოს იმ მიზნით შევხვდი, რომ საბოლოოდ უარი მეთქვა... ის იყო, უნდა ავლაპარაკებულიყავი, რომ ვიღაც უხილავი ათრთოლებული ხელით შემეხო ბეჭის თავზე, თითქოს მთხოვა, უარი არ მეთქვა... მეც, მართლა ანგელოზის მადლი თუ არ იყო, რამ მათქმევინა უარისთვის გამზადებულს უცებ თანხმობა?! გავაკვირვე კიდეც სანდრო, იმდენად შეგუებული იყო იმ აზრს, რომ არასოდეს ვეტყოდი, ცოლად გამოგყვები-მეთქი...

დავქორწინდით და არც მინანია, შესანიშნავი მეუღლე გამოდგა სანდრო, ახლა როგორი მამა და ბაბუაა! ხმამაღალი სიტყვა არ მახსოვს მისგან... სამი ქალიშვილი შეგვეძინა და მეოთხედ რომ დავფეხმძიმდი, შემეშინდა, ვაითუ, ვერ შევძლო მისი პატრონობა-მეთქი, გვიჭირდა მატერიალურად. გადავწყვიტეთ, აბორტი გამეკეთებინა. დილით, შინიდან რომ უნდა გავსულიყავი, აშკარად გავიგონეთ მეც და სანდრომაც ჩვილი ბავშვის წამოტირება, თითქოს საძინებლის კართან დაესვა ვიღაცას. გამოვაღე კარი და... არავინაც არ იყო. მარტო მე რომ გამეგონა ბავშვის ტირილი, ვიტყოდი, რომ მომეჩვენა, მაგრამ სანდროსაც მოეჩვენა?! თითქოს რაღაც გვენიშნა და გუნებაშეცვლილმა სანდრომ მითხრა: — არ გაიკეთო აბორტი, რა მნიშვნელობა აქვს, გოგო იქნება თუ ბიჭი. სადაც ამ სამს ვზრდით, იქ მეოთხესაც მიგვახედვინებს უფალიო... ამის თქმა იყო და თითქოს ვიღაც გახარებული მომეხვია მხრებზე, მომეფერა... ეჭვიც არ შემპარვია, რომ ეს ჩემი მფარველი ანგელოზი იყო!..

მეოთხეც გოგო შემეძინა. სანდრომ მითხრა, — ისე მივეჩვიე გოგონების მამობას, ბიჭი ასე ნამდვილად არ გამახარებდაო!.. ვაჟი მეხუთე შეგვეძინა, აბორტზე აღარც მიფიქრია. მეტი არ მოგვეცა შვილი, თორემ ყველას გავაჩენდი ჩემი ანგელოზის შიშით თუ ხათრით, რომელიც ბოლოს და ბოლოს, მაინც მეჩვენა... ოთხი წლის წინ მკერდში სიმსივნე გამიჩნდა და ექიმმა სასწრაფოდ ოპერაცია მოითხოვა — ისედაც დაგვიანებულიაო!.. ჩემი ახლობლებიც ისე იყვნენ შეშფოთებულები, მივხვდი, ცუდი რამ მჭირდა... სანამ საავადმყოფოში დავწვებოდი, ეკლესიაში წავედი... ანთებული სანთლით ხელში ღვთისმშობლის ხატის წინ დავდექი და ავტირდი. არ მინდოდა სიკვდილი, ჩემი შვილების დატოვება... ვდგავარ, ვიცრემლები და ვხედავ, თითქოს ხატიდან გადმოვიდა თეთრებში გამოწყობილი ულამაზესი არსება, ქერა თმა ბეჭებამდე სცემდა. ...მოვიდა, წინ დამიდგა, გამიღიმა, მერე პირჯვარი გადამსახა და გაქრა...

ანგელოზის გამოცხადება გადარჩენის ნიშნად მივიჩნიე...

რამდენიმე დღეში ოპერაცია გამიკეთეს. გონს რომ მოვეგე, ექიმმა მომილოცა: — რომ ველოდით, სულაც არ დაგვიხვდა ისეთი ცუდი მდგომარეობა, პირობას გაძლევთ, მკერდის გამო სიკვდილი არ გემუქრებათო!..

ოთხი წელი გავიდა ოპერაციის შემდეგ და მართლაც არაფერი მაწუხებს...

**— მას შემდეგ აღარ გამოგცხადებიათ თქვენი მფარველი?**

— არა და ერთხელ რომ გავხდი ღირსი, იმითაც ბედნიერი ვარ...

**— აკი თავად თქვით, ყველაფერი რწმენაზეა დამოკიდებულიო?**

— ვთქვი და მართალიცაა... პატივი უნდა ვცეთ ჩვენს მფარველ ანგელოზს. ისეთს ნურაფერს გავაკეთებთ, მას რომ დაამარცხებს. მაშინ აუცილებლად იგრძნობთ მის ძალას!

***ინგა ჯაყელი***

# ღამღამობით ნეაპოლი მოჩვენებებით ივსება

თურმე ქალაქ ნეაპოლში გაცილებით ბევრი მოჩვენებაა, ვიდრე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მისტიკურ ქალაქ ლონდონში. თვითმხილველნი, რომლებსაც „გაუმართლათ" და ნეაპოლში შეხვდნენ ნამდვილ მოჩვენებებს, ჰყვებიან, რომ მათ გამოჩენამდე ქრის ყინულივით ცივი ქარი. შემდეგ პირდაპირ კედლიდან გამოდის თეთრებით შემოსილი ფიგურა, — ზუსტად ამგვარად ეჩვენა ტურისტებს ჯუდიტას სული, რომელიც 1800 წელს ჩამოახრჩვეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ქმრის მკვლელობისათვის. ჯუდიტას სული დღემდე დაძრწის კაპუანოს ციხე-კოშკში, რომელიც მისი დასჯის ადგილის მახლობლადაა.



სამუდამოდ დასახლდა ნეაპოლში მეორე ცნობილი მოჩვენებაც — სან-სევერინელი პრინცი რაიმონდო დე სანგრო. იგი იყო მეცნიერი, ალქიმიკოსი, ბიოლოგი და ეზოთერიკის დიდი თაყვანისმცემელი. ერთხელ, ჯაშუშებმა მის ციხესიმაგრეში აღმოაჩინეს „ანატომიური მანქანები", ანუ ორი მუმიფიცირებული გვამი, რომელთაც აბსოლუტურად დაუზიანებელი სისხლძარღვოვანი სისტემა ჰქონდათ. რაიმონდო ჯადოქრობისათვის კოცონზე დაწვეს. აღმოჩნდა, რომ მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ რაიმონდომ შეძლო გამოეგონებინა ბალზამირების უნიკალური საშუალება, რომლის დროსაც ხელუხლებლად ინახებოდა ყველა სისხლძარღვი — მას მიცვალებულის ვენებში თხევადი მეტალი შეჰყავდა.

ნეაპოლის მახლობლად, პოზილიპოს სასახლე ეკუთვნოდა ნეაპოლის ვიცე-დედოფალს, ულამაზეს დონა ანას. სავსემთვარეობისას შეიძლება გაიგოთ მიწისქვეშეთიდან და სასახლის უკაცრიელი ოთახებიდან კვნესა. ამბობენ, რომ ამ ხმებს გამოსცემენ მეზღვაურები, რომელთაც ანა თავის საწოლში იტყუებდა და შემდეგ კლავდა.

სანიტას რაიონში, ნეაპოლის პლებეურ კვარტალში, ერთდროულად სამი მოჩვენება დაძრწის — კაპიტნისა და ახალდაქორწინებული წყვილისა. თურმე, რამდენიმე წლის წინ ერთმა ახალგაზრდა ექიმმა სასაფლაოზე კაპიტნის თავის ქალა ბურთივით შეათამაშა ფეხით, თან ყვიროდა: — არ მჯერა იმქვეყნიური სიცოცხლისა. თუ ის არსებობს, ჩემს ქორწილში მოვიდესო.

რამდენიმე დღის შემდეგ ექიმმა ჯვარი დაიწერა. საქორწილო სუფრასთან იჯდა შავ პალტოიანი მაღალი მამაკაცი, რომელსაც თავზე კაპიუშონი წამოესხა. როცა ნეფემ ჰკითხა ვინაობა, მან გამოცრა: — მე ის ვარ, ვინც დაპატიჟეო... — და სიცილი დაიწყო.

არავინ იცის, საიდან გაჩნდა ელვა, რომელმაც დახოცა ახალდაქორწინებულები.

მამაკაცს კი თავი მოსძვრა მხრებიდან, — ეს იყო ქალა, რომელიც იატაკზე გაგორდა...

მოჩვენებები ბინადრობენ არა მარტო ნეაპოლის ისტორიულ ადგილებში... თანამედროვე სახლების მცხოვრებნიც ამტკიცებენ, რომ მოჩვენებები მათ ბინებსაც ხშირად სტუმრობენ...

***ჯენტე***

# ეს იყო შენი სიზმარი!

1974 წელს მცხეთის გზაზე სამგზავრო ავტობუსში გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის, ჩემი ნაცნობის, მზია გოგლიშვილის დედაც იყო.

ტრაგედიიდან ორმოცი დღის შემდეგ მზიამ სიზმარში ნახა დედა, რომელმაც უთხრა, — შვილო, ფული მაქვს შენახულიო. არადა ამის შესახებ მას სიცოცხლეში სიტყვა არ დასცდენია.

სიზმარი რისი სიზმარია, რომ დაიჯერო, მაგრამ მზია მაინც მივიდა დედამისის სახლში (თვითონ გათხოვილი იყო და ქმართან ერთად სხვაგან ცხოვრობდა), შემნახველი სალაროს წიგნაკის მოსაძებნად, მაგრამ ვერსად იპოვა.

ამის მერე სიზმრის გახსენებაც აღარ უნდოდა. თუმცა კი ეჭვი არ ასვენებდა. მოგვიანებით მივიდა დედისეული სახლის მახლობლად მდებარე სალაროში (მარჯანიშვილის მოედანზე), სადაც დედის გვარზე შეტანილი თანხა მართლაც აღმოჩნდა (ოჯახის წევრებმა მერე დაასკვნეს, რომ სალაროს წიგნაკი ხელჩანთასთან ერთად ავტობუსში დაიწვებოდა). იქ მას მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომ ნამდვილად გარდაცვლილის შვილი იყო, რომლის წარდგენის შემდეგ მზიამ 5.000 მანეთი მიიღო.

მოდით და ამის მერე ნუ დაუჯერებთ სიზმარს!..

***რევაზ ბერიძე***

# შეცდომის გამოსწორება შეიძლება

ამ წერილს ცოტა მოგვიანებით ვწერ „მეზობლის აჩრდილის" ავტორს, რომელიც იტანჯება მეზობლის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის გამო და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.

მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ნებისმიერი შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ბატონო ჩემო. არ არსებობს ცოდვა, რომელსაც მონანიე ადამიანს უფალი არ აპატიებს. თქვენს გულწრფელ სინანულს გულმოწყალე ღმერთი აუცილებლად შეისმენს. მიდით მოძღვართან, მოუყევით თქვენი უნებური შეცდომის შესახებ და ვერც წარმოიდგენთ, როგორ გათავისუფლდებით მტანჯველი აზრებისაგან. ღმერთი თქვენგან სინანულს ითხოვს, ხოლო ის სასოწარკვეთილება, რომელიც თქვენ გეუფლებათ, ნამდვილად ეშმაკისაგან არის. მას სურს, როგორმე დაგაკარგვინოთ იმედი გადარჩენისა. ასე რომ, ნუ დაყოვნდებით, განთავისუფლდით ამ განცდებისაგან. ბევრი ტკივილი შემხვედრია და ბევრჯერ ხელიც ჩამიქნევია. თვითმკვლელობაზეც მიფიქრია, მაგრამ ღმერთს ყოველთვის ვუხსნივარ მეც და ბევრი სხვაც, ოღონდ ერთი ნაბიჯი გადადგით მისკენ.

***დიდი თანაგრძნობით, ქუთაისიდან***

# ნიშანი საიქიოდან

იმ დღეს ბებია დავასაფლავეთ და დაღლილები დავბრუნდით შინ. ვისხედით და ვალებს ვანგარიშობდით, რომლებიც დაკრძალვის ხარჯებმა დაგვიტოვა. ჩემმა ძმამ რაღაც ვერ იანგარიშა და მითხრა, საძინებელში გადი, ჩემი კალკულატორი გამოიტანეო. ძლივს ავითრიე წელი და გვერდით ოთახში შევედი... უცებ ელდა მეცა! ფანჯარასთან ბებია იდგა. სწორედ ის, ვინც რამდენიმე საათის წინ დავასაფლავეთ. ხელები მუცელზე გადაეჯვარედინებინა და მიყურებდა. დაყვირებისა შემრცხვა. ვაჟკაცობაზე ვდებ თავს და რა მეთქვა, მოლანდებები დამეწყო-მეთქი? ვიფიქრე, კალკულატორს ავიღებ და წავალ-მეთქი. ხელი მოვაფათურე მაგიდაზე. თვალს კი ბებიას არ ვაშორებდი. ის ოდნავ შებრუნდა, თითქოს ფანჯარაში გახედვა დააპირა... მე კალკულატორს ხელი ვტაცე და ოთახიდან გამოვვარდი.

თავი მისკდებოდა, ისე მტკიოდა... როგორ ვიტყოდი, ბებია ფანჯარასთან იდგა-მეთქი.

იმ საღამოს დასაძინებლად რომ გავემართეთ, ჩემმა ძმამ ყვირილი დაიწყო. თითქოს ველოდი კიდეც ამას. თვალის დახამხამებაში ოთახში გავჩნდი. ფანჯარასთან ბებიას რამდენიმე ნივთი ეგდო: თავშალი, პორტმანი და ბიძაჩემის გაცრეცილი სურათი... ბიძაჩემი 40 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა. ამ სურათს, რომ იტყვიან, გულის ჯიბით ატარებდა ბებია. გაუბედავად ვთქვი, მიცვალებულის სული რაღაცაზე წუხს-მეთქი. ჩემმა ძმამ ხელი აიქნია... რას ამბობო. ხუთი დღის შემდეგ მოკრძალებით შემოვიდა ჩემთან. ჩემი ძმის ხასიათი ვიცი... ასე როცა იქცევა, რაღაცაზე წუხს ხოლმე. გამიმხილა: აღარ შემიძლია, ყოველ დილით იატაკზე დაყრილი მხვდება თავშალი, ბებიას პორტმანი და ბიძაჩემის სურათი. დღეს დილით კი ბებია დავინახეო. მეც გულახდილად ვუამბე ყველაფერი.

ერთი კვირის თავზე ბიცოლა გარდაგვეცვალა. როგორც იმერლები ამბობენ, თუ რამის გაგზავნა გინდა საიქიოში, მიცვალებულს უნდა ჩაუდო სასახლეში და გაატანოო. ჩვენც ასე მოვიქეცით, ბებიას თავშალი, პორტმანი და ბიძის სურათი ბიცოლას ჩავატანეთ.

ბებიამაც მოისვენა. მას შემდეგ აღარ მოგვლანდებია.

***არჩილ ვაჩეიშვილი, თბილისი***

### „საზალღო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. კბილი.

II. მე-2, მე-4 და მე-5 საგნები.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — გ); 3) — ა); 4) — ა); 5) — დ); 6) — ბ); 7) — დ); 8) — ა).

# ქვირფასო, კონფერენციაზე მივდივარ!

გერმანული ფირმა, რომელიც ზოგ ქმარს ცოლის ღალატში ეხმარება, ხსნის საერთაშორისო ფილიალებს ავსტრალიაში. „ასპროცენტიანი ალიბი“ ჰქვია კანტორას, რომელსაც მიმართავენ მამაკაცები, რომლებიც ოცნებობენ რამდენიმედღიან თავისუფლებაზე. ფირმას აქვს ყველა აუცილებელი ბლანკი და ბეჭედი, რომლითაც ადასტურებენ ნებისმიერ ყალბ მივლინებას ან მიწვევას სემინარსა თუ კონფერენციაზე, ხოლო გამოცდილი თანამშრომლები ოსტატურად პასუხობენ ეჭვიან ცოლებს, რომლებიც ტელეფონით ცდილობენ შემოწმებას, მართლა მივლინებაში წავიდა ქმარი თუ...

იდეა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა — ყოველთვე შესაბამისი მომსახურებისათვის ოფისში სულ ცოტა, 350-400 კლიენტი მიდის. ქმრებს, რომლებიც ოცნებობენ „განზე გადახვევაზე“, მიაჩნიათ, რომ კანტორის მომსახურება სულაც არ ჯდება ძვირი. ცოლისთვის ტექსტური შეტყობინების გაგზავნა მობილურით სულ რაღაც 10 ევრო ღირს, ხოლო ყველა კანონის დაცვით გაფორმებული მიწვევა ბლანკზე, რომელიც შინ იგზავნება, 80 ევრო ჯდება.

*ოჯი*

# ინტერნაციონალური ვნებები



ლონდონში მცხოვრები ბრაზილიელი ბიზნესმენი აუგუსტო იუნიორი ჰიუ გრანტს უჩივის — მსახიობმა მას საცოლე წაართვა და ამით მათი საქორწინო კონტრაქტი გააუქმა. ეჭვიანმა საქმრომ სასამართლოს წარუდგინა მოღალატე საცოლესთან ერთად მონებივრე შიშველი ჰიუ გრანტის ფოტო.

დანა ვერბიტსკაია ლონდონში კიევიდან ჩავიდა სამი წლის წინ, აუგუსტოს მიწვევით. კავალერის სარჩენი რომ არ ყოფილიყო, ფიტნეს-სტუდიაში დაიწყო მუშაობა. კუნთების გასავარჯიშებლად მისული ჰიუ გრანტი დაატყვევა სექსუალურმა უკრაინელმა ლამაზმანმა და ფიტნეს-სტუდიაში სიარულს მოუხშირა. ბუნებრივია, მწვრთნელად დანა აირჩია. სპორტული სიახლოვე მალე ინტიმურ ურთიერთობაში გადაიზარდა, მით უმეტეს, რომ სტუდიაში მრავლად არის პერსონალური საშხაპეები და საუნები.

საბრალო აუგუსტო ჩივის, რომ დანა ჰიუ გრანტმა ფულით მოინადირა და ქალს ინგლისში სამუშაო კონტრაქტის გაუქმებით ემუქრება, რომელიც დანამ მისი წყალობით მოიპოვა.

ჰიუ გრანტი ყველაფერს თავის პიროვნულ მომხიბვლელობას აბრალებს — ამას ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებსო. როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, ლამაზმანს ჰპირდება, რომ სამუშაო ვიზას უვადოდ გაუგრძელებს და საკუთარ ბიზნესსაც წამოაწყებინებს — საამისო შესაძლებლობა მსახიობს ნამდვილად აქვს.

*ოკნა №28*

# ერთი კვირა ცასა და დედამიწას შორის



ეს უცნაური ამბავი ამსტერდამში მოხდა. მოგეხსენებათ, ამ ქალაქში შენობები ერთმანეთთან ახლოს დგას. ზოგი სახლი სიძველის გამო საგრძნობლად გადახრილია. მართალია, ინჟინრებმა საიმედოდ გაამაგრეს, მაგრამ სიმძიმის ცენტრის შესანარჩუნებლად არ გაასწორეს. სწორედ ერთი ასეთი სახლის სახურავზე აძვრა ახალგაზრდა — მან სხვენიდან ბინაში ჩაძრომა და ხელის მოთბობა მოინდომა, მაგრამ არ გაუმართლა, ფეხი აუცდა და მისდა საუბედუროდ, ძირს კი არ დავარდა, ორ სახლს შუა დაეკიდა. ერთი სიტყვით, ცასა და მიწას შორის აღმოჩნდა.

ერთ-ერთი კედლის მიღმა შუახნის ქალბატონი ცხოვრობდა. დროდადრო კვნესა კი ესმოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა, იფიქრა, ალბათ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სიყვარულობსო. როცა ეს უსასრულოდ გაგრძელდა, ქალმა პოლიციაში დარეკა. პოლიციამ კედლების ტყვეობიდან ძლივს დაიხსნა გულწასული, შვიდი დღის ნაშიმშილევი საბრალო ქურდი და ამისთვის ერთ-ერთი კედლის დანგრევაც მოუწია.

სასამართლომ ქურდს სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა და კედლის სარემონტო ხარჯებიც დააკისრა.

*კრიმინალური ქრონიკა №13*

# პოლიციელები და... ქურდი

ამ ქურდს ახლა მთელი გერმანია დასცინის და არც ტყუილად — მან დოყლაპიობის საოცარი რეკორდი დაამყარა. ახალგაზრდა ქურდს დიდი მოთხოვნილება არ ჰქონია — უბრალოდ, უნდოდა, რომელიმე მაღაზიაში შემძვრალიყო და ცოტაოდენი დასალევი და მისაყოლებელი ეშოვა. შესაფერის ობიექტს მალე მიაგნო. ერთ-ერთ წყნარ ქუჩაზე მდებარე მაღაზიის საკუჭნაოში დაიმალა და როცა დაღამდა, ბნელ საქმეს შეუდგა.

საჭმელ-სასმლით დატვირთული ქურდი გარეთ გამოვიდა და შიშით კი არა, გაოცებისგან ენა ჩაუვარდა — კართან ასამდე პოლიციელი მდუმარედ ელოდა.

პოლიციელები მაშინვე მისცვივდნენ ქანდაკებასავით გაშეშებულ უიღბლო ქურდს, სანუკვარი პაკეტი წაართვეს და ხელებზე ბორკილი დაადეს... ამ ოპერაციის დროს პოლიციელები გიჟებივით ხარხარებდნენ, ამ საქმეში მართლაც ბევრი რამ იყო სასაცილო.

თურმე პოლიციელების ასეული დავალებით სამხრეთ გერმანიიდან ჩრდილოეთით, ჰამბურგისკენ გადაისროლეს და გზად ამ მაღაზიის ეზოში შეისვენეს. სწორედ მაშინ შენიშნეს მაღაზიაში დახლებს შორის არხეინად მოსიარულე ქურდი, რომელიც პარკში სანოვაგესა და ბოთლებს აწყობდა.

ამბის დასასრული უკვე მოგახსენეთ.

*ნიუზუიქი*

# სურვილების ხანძარი



კალიფორნიის შტატ საკრამენტოს მეხანძრეებმა თავიანთ პირდაპირ მოვალეობას სახანძრო მანქანებზე სექსექსკურსიების მოწყობა შეუთავსეს. ხანძართან მებრძოლები ღამის კლუბებთან, კაზინოებსა და ბარებთან სახანძროთი ტრიალებდნენ, მაგრამ ხანძრის კერებს კი არა, სიმპათიურ ქალებს ეძებდნენ. რა თქმა უნდა, სიყვარულის ქურუმებს უარი არ უთქვამთ მაცდუნებელ მიპატიჟებაზე — ქრომით მოპირკეთებული მბზინვარე მანქანა და მეხანძრეების ფორმებში ჩაცმული სიმპათიური, ყოჩაღი ახალგაზრდები მაშინვე თვალში მოუვიდათ, მით უმეტეს, რომ სახანძროს ფართო კაბინა წარმატებით ცვლიდა საროსკიპოს კუპეებს.

სექსექსკურსია ერთმა ინტრიგანმა მეძავმა ჩაშალა — მეხანძრეებს პოლიციაში უჩივლა. ყველანი დაუყოვნებლივ დაითხოვეს სამსახურიდან.

*ვოკრუგ სვეტა*

# ჯიბგირების რისხვა

საზოგადოებრივ ტრანსპორტში „მოღვაწე“ ჯიბგირების ბიზნესი საფრთხის წინაშეა — ინგლისის ბრუნელის უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა გრეტა უილსონმა გამოიგონა ხელჩანთა, რომლის საკეტშიც ჩამონტაჟებულია თითების ანაბეჭდების სკანერი. ხელსაწყოს მეხსიერებაში შეტანილი იქნება ხელჩანთის პატრონის თითების ანაბეჭდი და მისი გაღება მხოლოდ მას შეეძლება. თუ ხელჩანთის გახსნა უცხო პირმა სცადა, ხდება საკეტის მომენტალური ბლოკირება.

გამომგონებელ-დიზაინერმა უკვე მიიღო რამდენიმე ჯილდო, ინგლისელი ქალები კი მოუთმენლად ელიან, როდის გამოჩნდება მის უილსონის ხელჩანთა ლონდონის მაღაზიებში.

*მირორი*

# მიიღეთ მილოცვა



ერთ-ერთი შვედური კურორტის პატივცემული მოქალაქე მისდა მოულოდნელად საკუთარ დაბადების დღეზე ციხეში მოხვდა — მიზეზი კი მისი ცოლის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული მისალოცი განცხადება შეიქნა. იუბილარის ფოტოში კურორტის დამსვენებელმა ქალებმა ის აბეზარი ფოტოგრაფი ამოიცნეს, რომელიც გასაქანს არ აძლევდა მათ ნუდისტურ პლაჟზე.

პოლიციამ უიღბლო იუბილარი ხულიგნობის ბრალდებით დააპატიმრა და ციხეში უკრა თავი.

*ეხო პლანეტი*

# მფრინავ დელიკატესს კანონი იცავს



ევროპას ნელ-ნელა იპყრობენ თუთიყუშები. ინგლისის სამხრეთში მათ ძალიან შეავიწროეს ყველა ადგილობრივი ფრინველი. გალიებიდან გაფრენილი თუთიყუშები პარკებსა და ბაღებში ქმნიან კოლონიებს. ისინი შესანიშნავად ეგუებიან ცხოვრების ახალ პირობებს, უმრავლესობა მშვენივრად იტანს რბილ ზამთარს, რომელიც სულ უფრო და უფრო ხანმოკლე და თბილი ხდება.

თანდათან იზრდება თუთიყუშების პოპულაცია — ყოველ წელიწადს 30%-ით. მეცნიერებს გამორჩათ ის მომენტი, როცა შეიძლებოდა მათი გამრავლების შეჩერება. მხოლოდ ლონდონში უკვე 100.000 თუთიყუშზე მეტია. ისინი დიდ ზიანს აყენებენ ფერმერთა ნათესებს, ბაღებს, ვენახებს.

აკრძალულია თუთიყუშების დახოცვა, თუმცა ძველ რომში მათი ხორცი მდიდართა სუფრაზე დელიკატესად ითვლებოდა.

პირველად თუთიყუშები ევროპაში, კერძოდ, საბერძნეთში, ალექსანდრე მაკედონელმა ჩაიყვანა ინდოეთიდან, ჩვ. წ. აღ-მდე მე-4 საუკუნეში.

*ტაიმი*

# იცით თუ არა, რომ...

*** ბავარიაში დასრულდა პირველი ჩემპიონატი თითებით შერკინებაში. შეჯიბრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგეები მაგიდას მიუსხდებიან და შუათითებით ერთმანეთს ჩაეჭიდებიან. ვინც მეტოქეს თავისკენ გადმოითრევს, გამარჯვებულიც ის არის.

ბავარიაში ეს გართობა უკვე ტრადიციად იქცა, მაგრამ ჩემპიონატი კი წელს პირველად ჩატარდა. შეჯიბრში გერმანელი და ავსტრიელი მძლეოსნები მონაწილეობდნენ.

*** ნევადის შტატში (აშშ) ყველაზე დიდი საროსკიპოს მფლობელმა საქველმოქმედო აქცია ჩაატარა — იგი კანადელ მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც ავღანეთიდან დაბრუნდნენ, უფასო სექსით „გაუმასპინძლდა“. ძველი პროფესიის წარმომადგენლების შეფმა, დენის ჰოფმა განაცხადა, მას ამ აქციით ამერიკა-კანადის ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშეწყობა ჰქონდა მიზნად დასახული.

ასეთივე საქველმოქმედო აქცია მან ერაყიდან დაბრუნებული ამერიკელი ჯარისკაცებისთვისაც ჩაატარა და საამისოდ დაახლოებით 50.000 დოლარი გაიღო.

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში უნგრელი პოეტის, შანდორ პეტეფის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | კ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ა | გ | | დ | ს | დ | | ი | ლ | ე | ა | ა | ე | ა | ლ | | რ | ი | თ | ა | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**გ.** საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით სწირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ა.** ქვითკირის სამარე; **ე.** რა ჰქვია ოთარ მეღვინეთუხუცესის პერსონაჟს ფილმში „ნატვრის ხე“; **რ.** სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ უარყოფითი პერსონაჟი; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **კ.** ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; **ა.** სოფლის სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; **ლ.** ქალაქი საფრანგეთში; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და მასთან დაკავშირებული ზეიმი; **ტ.** სადილი, ნადიმი, წვეულება; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ა.** ფეთქებადი ნივთიერება; **ს.** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც მოცარტს მტრობდა; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** ყველაზე გრძელი ჩანჩქერი მსოფლიოში; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **რ.** ამ მდინარეს ბერძნები ფაზისს ეძახდნენ; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** მთა სომხეთში; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**თ.** თიყვა; **ქ.** ქავი; **ვ.** ვოევოდა; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნიანგი; **ა.** აბზაცი; **რ.** რეესტრი; **შ.** შურდული; **ე.** ერთაოზი; **მ.** მაუგლი; **ც.** ცული; **დ.** დოინჯი; **ა.** ასპიტი; **რ.** რურუა; **ხ.** ხროვა; **ა.** ანფასი; **რ.** როენა; **თ.** თასმა; **ა.** ათინათი; **რ.** რვალი; **ჩ.** ჩიკაგო; **ე.** ელარჯი; **ვ.** ვიცინი; **ა.** ამონალი; **ნ.** ნობელი; **შ.** შპალი; **ი.** იკარუსი.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ყველაზე რთული პროფესია კაცობაა.**

# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



**2 აგვისტო:**

**ლიანა ისაკაძე**, მევიოლინე, დირიჟორი; **რევაზ თაბუკაშვილი**, მწერალი, რეჟისორი; **პიტერ ო'ტული**, მსახიობი.

**3 აგვისტო:**

**თენგიზ არჩვაძე**, მსახიობი; **ჯეიმს ჰენფილდი**, როკჯგუფ „მეტალიკის“ ვოკალისტი და გიტარისტი.

**4 აგვისტო:**

**იოანე ბატონიშვილი** (ბაგრატიონი), მწერალი; **ვახუშტი კოტეტიშვილი**, მწერალი, ფოლკლორისტი; **ლუი არმსტრონგი**, მუსიკოსი, მომღერალი.

**5 აგვისტო:**

**გი დე მოპასანი**, მწერალი; **ილია რეპინი**, მხატვარი; **ნილ არმსტრონგი**, კოსმონავტი; **რობერტ ტეილორი**, მსახიობი.

**6 აგვისტო:**

**აკაკი ვასაძე**, მსახიობი; **ალექსანდრე ფლემინგი**, მიკრობიოლოგი, პენიცილინის გამომგონებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ენტონი პირსი**, მწერალი; **ჯერი ჰოლიველი**, მომღერალი.

**7 აგვისტო:**

**ვალერი გაზაევი**, ფეხბურთის მწვრთნელი; **დევიდ დუხოვნი**, მსახიობი; **სოფია როტარუ**, მომღერალი; **შარლიზ ტერონი**, მსახიობი; **მატა ჰარი**, მოცეკვავე, ჯაშუში.

**8 აგვისტო:**

**დასტინ ჰოფმანი,** მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**კოპანო** — ნავი ერთგვარი.

**კოპიტი** — ხის ჯიში, იფანი.

**კოპტონი** — ჩენჩო დარჩენილი ზეთოვანი მცენარეების თესლიდან ზეთის გამოხდის შემდეგ (ხმარობენ საქონლის საკვებად).

**კოპური** — კოპური ქალამანი — ირგვლივ ნაოჭასხმული ქალამანი (იციან იმერეთში).

**კოჟანდარი** (კუთხ.) — სულ უმცროსი შვილი, — ნაბოლარა.

**კორა** — 1. პატარა ამონაკვეთი თოფის ლულაზე; მისი საშუალებით იღებენ მიზანში (სროლის დროს). 2. კარის საკეტი ხის კოჭი, მიმაგრებული კარის ჩარჩოზე, სვეტზე ან სიგანის ხეზე. 3. იგივეა, რაც საქედური (უღლის ამოწეული ადგილი, რომელიც ხარს ქედზე ედება).

**კორაკანა** — ერთგვარი მოწნული სათავსი ფარეხში — ახალმოგებული ბატკნის მოსათავსებლად (დედაცხვრიანად).

**კორდი** — ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა და ბალახის ფესვებით არის შეკრული.

**კორიკობს** (საუბ.) — ქანაობს (უსწორმასწორო ადგილზე მდგომი ან უსწორმასწორო ძირიანი საგანი).

**კორიფე** (ბერძ.) — 1. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე. 2. ძველ ბერძნულ ტრაგედიაში — გუნდის ხელმძღვანელი.

**კორკიმელი** — იგივეა, რაც დამასხი (ქლიავის ჯიში).

# ზურაბ ჭიაბერაშვილი სომხეთში არ წავა...

— გავრცელდა ხმები, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი სომხეთში ელჩად ინიშნება, რამდენად სწორია ეს ინფორმაცია? ნუთუ დღეისათვის დედაქალაქში ყველა პრობლემა გადაჭრილია?

*ლევან ხაჩიძე*

კითხვაზე უპასუხებს **ქეთი ქოჩორაშვილი**, თბილისის მერიის პრესსამსახურის უფროსი.



— არა, ბატონი ზურაბი კვლავაც მერის პოსტზეა და სომხეთში ელჩობაზე არც უფიქრია. უბრალოდ, მისთვის მსგავსი წინადადებით არავის მიუმართავს. მიკვირს, ვის დასჭირდა ამგვარი ჭორის გავრცელება. აღნიშნული დეზინფორმაცია საკმაოდ პრესტიჟულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, მაგრამ რატომ არ გადამოწმდა ოფიციალურად, ან რას ეფუძნებოდა მავანთა ვარაუდი, ჩემთვის გაუგებარია. შეკითხვის ავტორი მართალია, დედაქალაქში ნამდვილად აუარებელი პრობლემაა გადასაჭრელი... დამეთანხმებით, რთულია მერისთვის მიცემულ მცირე დროში ყველა ნაკლოვანების აღმოფხვრა. ალბათ თბილისის მოსახლეობა თავადაც ხვდება ამას და შეკითხვაც ამიტომ დაისვა მსგავსი სარკაზმით.

# ფობია თუ ყოველდღიურობა...

— თქვენი თხოვნით, ვაგრძელებთ ფობიების ჩამოთვლას:

**ზოოფობია** — ცხოველების შიში, გავრცელებულია უფრო ხშირად რომელიმე კონკრეტული სახეობის მიმართ;
**იატროფობია** — ექიმების შიში;
**ისოლოფობია** — მარტოობის შიში;
**კატაგელოფობია** — დაცინვის შიში;
**კატისოფობია** — დაჯდომის შიში;
**კარცინოფობია** — კიბოთი დაავადების შიში;
**კიონოფობია** — თოვლის შიში;
**კოროფობია** — ცეკვის შიში;
**კრომეტოფობია** — ფულის შიში;
**კლაუსტროფობია** — დახურული სივრცის შიში;
**კლიმაკოფობია** — კიბეზე ასვლის შიში;
**კლინოფობია** — საწოლში დაძინების შიში;
**კონიოფობია** — მტვრის შიში;
**ლაკანოფობია** — ბოსტნეულის შიში;
**ლეუკოფობია** — თეთრი ფერის შიში;
**ლიგიროფობია** — მკვეთრი და ხმამაღალი ხმების შიში;
**ლოკიოფობია** — ბავშვის გაჩენის, მშობიარობის შიში;
**ლიგოფობია** — სიბნელის შიში, დაბნელების შიში;
**მაგეიროფობია** — სადილის დამზადების შიში;
**მასტიგოფობია** — დასჯის შიში;
**მელოფობია** — მუსიკის შიში;
**მეტატესტოფობია** — ცვლილებების შიში;
**მეტიფობია** — ალკოჰოლის მიღების შიში;
**მნემოფობია** — მოგონებების შიში;
**მუსოფობია** — თაგვების შიში;
**მიკოფობია** — სოკოს შიში.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ხიდიდან თევზაობა აკრძალულია...

— გასული წლის „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში ამოვიკითხე, რომ თევზაობა დედაქალაქში ორი ნემსკავით მდინარე მტკვარზე ნებადართულია. მაინტერესებს, რაიმე ხომ არ შეიცვალა კანონით (რადგანაც ერთი თვის წინ ეკოპოლიციის თანამშრომლებმა ამის გამო დამაჯარიმეს) და რომელი სამართლებრივი ნორმით რეგულირდება აღნიშნული საკითხი?

*თენგიზ დონდუა*

კითხვაზე უპასუხებს **მარინა ხავთასი**, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

— ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ეკოპოლიცია უკვე აღარ ფუნქციონირებს (ლიკვიდირებულია). იმედს ვიტოვებთ, რომ ბრაკონიერობის ფაქტების გამოვლენის მიზნით შექმნილი ახალი სამსახური ძალოვან სტრუქტურებს აღარ დაექვემდებარება და იგი გაცილებით დიდ დარღვევებს, ბრაკონიერობის რეალურ ფაქტებს გამოავლენს და არა მოყვარული მეთევზეების მიერ ორი ნემსკავით თევზაობას. მაშინ, როდესაც, სამოყვარულო-სპორტული თევზჭერა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ორი ნემსკავით ნებადართულია მთელი წლის მანძილზე, სამოყვარულო-სპორტული თევზჭერის ყველა მსურველს ამ უფლებას ანიჭებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულება „თევზაობის წესების შესახებ“, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერაა რეგისტრირებული 1998 წლის 21 აგვისტოს. გარდა ამისა, მნიშვნელობა არა აქვს, მოყვარული მეთევზე მდინარე მტკვარზე, თბილისის ზღვაზე თუ ნებისმიერ ნებადართულ წყალსაცავზე დგას.

აქვე დავძენ, რომ დღეს ბევრი მოყვარული მეთევზე სარგებლობს ეკოპოლიციის, ანუ დარღვევების გამომვლენი ორგანოს ლიკვიდაციით და არაეთიკურად და მეტიც, უკანონოდ იქცევა, — პირდაპირ ხიდიდან თევზაობს, რასაც ბოლო დღეებში თავადაც არაერთხელ შევსწრებივარ. არადა, კანონი აღნიშნულ ფაქტს კრძალავს. დაუშვებელია თევზაობა ხიდებიდან და ჰესებზე. მეთევზეებმა უნდა დაიცვან აღნიშნული ობიექტებიდან 500-მეტრიანი დისტანცია. ერთ შემთხვევაში კანონი მეთევზის ინტერესებს იცავს, მეორე შემთხვევაში კი — ბუნების. ამდენად, ორივეს დაცვა სავალდებულოა.

# როგორი სათვალე შევარჩიოთ ზღვისთვის?..

— რა ფერის მინიანი სათვალის შეძენაა უმჯობესი ზაფხულში. გამიგია, რომ მწვანე ფერი უფრო ამშვიდებს თვალს, ვიდრე კლასიკური შავი სათვალე. არადა, ეს უკანასკნელი უფრო მომწონს. რას მირჩევთ?

*ნინო ელიზბარაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ნატა ხორავა**, ექიმი-ოფთალმოლოგი.



— სათვალე დიდი ხანია, რაც ქალისა და მამაკაცის უმთავრეს აქსესუარად იქცა. იგი ყველა სეზონისთვის აქტუალურია, მაგრამ ზაფხულში მასზე მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება, რადგანაც თვალს ყველაზე მეტად ამ დროს ესაჭიროება დაცვა. გირჩევთ, კატალოგის გადათვალიერებისა და მოდური სათვალის შერჩევისას პირველ რიგში მისი ხარისხი გაითვალისწინოთ. დღესდღეობით საქართველოში დიდი რაოდენობით უხარისხო და უმეტესად ფალსიფიცირებული სათვალეები შემოაქვთ, რომელთაც ჩვენი ინფორმაციით, საზღვარგარეთ პარტიის სახით გადამყიდველები სულ რამდენიმე დოლარად ყიდულობენ, არადა, ხარისხიანი სათვალის ფასი 50-70 ამერიკული დოლარიდან იწყება. ბაზრობები და მიწისქვეშა გადასასვლელები სავსეა „დოლჩე გაბანას“, „ჰუგო ბოსისა“ და სხვა წამყვანი ფირმების „წარწერებიანი“ პროდუქციით. თუ აღნიშნული პროდუქციის ყიდვას აპირებთ, ასეთ შემთხვევაში, სათვალის ფერს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. იგი ნებისმიერ შემთხვევაში თვალისთვის მავნებელია. მიუხედავად იმისა, რომ პატენტის მოდელი იდენტურია, დიდი სხვაობაა მინის ხარისხის მხრივ. მას არა აქვს მზის აგრესიული სხივებისაგან დამცავი საფარი, რის გამოც ულტრაიისფერი სხივი პირდაპირ აღწევს თვალამდე, ხოლო უხარისხო გაცხელებული მინა კი იწვევს თვალის ბადურის დამწვრობას. არ არის რეკომენდებული სტაფილოსფერი, მკვეთრი ყვითელი, წითელი ფერის მინებიანი სათვალის შეძენა. მათი ხშირი ხმარება აღიზიანებს თვალს, იწვევს აღგზნებას, თავის ტკივილს, უძილობას და ნერვულ აშლილობას. ლურჯი მინა უარყოფითად მოქმედებს ბადურაზე. ყველაზე ოპტიმალური ფერია მწვანე, რომელიც აწყნარებს ნერვულ სისტემას და ამცირებს შიდათვალის წნევას. მწვანე ფერი სასარგებლოა მათთვისაც, ვისაც გლაუკომა აწუხებს. კარგია ასევე ნაცრისფერი, რომელიც იცავს თვალს მზისგან, მაგრამ არ აქვს სამკურნალო თვისებები. ზღვის სეზონისთვის კი უმჯობესია შავი ფერის კლასიკური სათვალე. მაგრამ სხვა შემთხვევაში იგი ზრდის თვალის შიდაწნევას და ხშირი ხმარებისას ხელს უწყობს გლაუკომის განვითარებას. ამდენად გირჩევთ, შავი ფერის სათვალე იხმაროთ მხოლოდ ზაფხულში. სხვა დროს კი თუ მწვანე ფერი არ მოგწონთ, იაროთ უსათვალოდ. რაც შეეხება უხარისხო სათვალეს, მის ხმარებას არც ერთ სეზონზე არ გირჩევთ.

# ტყიბულში რადიოაქტიური ნარჩენები არ დაიმარხება

— ამბობენ, ტყიბულელებს გასახლებას უპირებენო. რამდენად სწორია ეს ინფორმაცია და თუ მართალი არ არის, რატომ აგორდა ჭორი. ტყიბულის მოსახლეობა შეშინებულია. გასახლების მიზეზად უკვე დიდი ხნის წინ დამუშავებულ მაღაროებში ამერიკიდან ჩამოტანილი რადიოაქტიური ნარჩენების ჩამარხვა სახელდება.

*ტყიბულის მოსახლეობა*

კითხვაზე უპასუხებს **კოტე ბოჭორიშვილი**, ტყიბულის რაიონის გამგებელი.



— აღნიშნული ჭორი მართლაც აქტუალურია ტყიბულის მოსახლეობაში, თუმცა იგი უსაფუძვლოა და კურიოზულიც. არავინ აპირებს ტყიბულელების გასახლებას და მით უფრო ამერიკიდან რადიოაქტიური ნარჩენების ჩამოტანას. ქვეყნები, რომლებსაც ატომური ბომბი გააჩნიათ, უკვე დამკვიდრებული პრაქტიკით რადიოაქტიურ ნივთიერებებს ოკეანის ფსკერზე მარხავენ და ჩვენი ტყიბულის 200-მეტრიან მაღაროში მისი ჩამარხვა მართლაც სასაცილოა. თანაც, თუ მოსახლეობა ფიქრობს, რომ რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირება უსაფრთხოა და დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, ძალიან ცდება. ერთი სიტყვით, აღნიშნული ინფორმაციის სერიოზულად აღქმა წარმოუდგენელია.

ტყიბულელთა გასახლების შესახებ ჭორის გავრცელება ჯერ კიდევ ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მთავრობა ხალხს რაიონში შექმნილი გაუსაძლისი პირობებისა და პრობლემების მოგვარებას სხვადასხვა ქალაქში და მათ შორის დედაქალაქში ჩასახლებით ჰპირდებოდა(!). რადგანაც ტყიბულში თითქმის ყველა მაღარო დახურულია და ფაქტობრივად, მოსახლეობა უმუშევარია, ხალხი ამ ფანდს წამოეგო. ამიტომ ჭორი დღემდე აქტუალურია! მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დავამშვიდო მოსახლეობა და ვამცნო, რომ მათ არავინ გადაასახლებს და მით უფრო რადიოაქტიური ნარჩენებით ტყიბულის მაღაროების ამოვსებას არავინ აპირებს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ჯერ ვისწავლოთ და მერე ვითამაშოთ ფეხბურთი...




თბილისის „დინამო“

გასულ კვირას ქართული ფეხბურთის ქომაგთა ყურადღება ევროთასებმა მიიპყრო, სადაც მოასპარეზე სამი ჩვენებური გუნდიდან, პრაქტიკულად, მომდევნო ეტაპს ორი შემორჩა. საქართველოს ჩემპიონს, „ვიტ-ჯორჯიას“, მართალია, საპასუხო მატჩი დარჩა ჩასატარებელი კრაკოვში „ვისლას“ წინააღმდეგ, მაგრამ ქვეყანა რომ ამოტრიალდეს, უფრო დაიჯერებს კაცი, ვიდრე იმას, რომ ქართველები პოლონეთში თბილისურ სირცხვილს ჩამოიწმენდენ. ფარერელი არაპროფესიონალებისთვის საეჭვოდ ნაჩუქარი გამარჯვებისა და „დამალული“ თამაშის შემდეგ, თბილისელები ისეთ ფსიქოლოგიურ ლაბირინთში გაიხლართნენ, რომ სად რა დამალეს, თავადაც ველარ მიაგნეს. „ვისლამ“ იასონივით ნახევარი ძალით „გაუარგამოუარა“ ჩვენს „ფეხბურთელებს“ და მამარდაშვილის კარის ბადეს გოლების ცეცხლი დაუნთო. ფორტუნაც სამართლიანი გამოდგა და საფეხბურთო ლოგიკაც, რადგანაც დასასჯელი უნდა დასჯილიყო. საკუთარი და ქვეყნის ღირსების აბუჩად აგდებას საერთო არაფერი აქვს არც ცხოვრებისეულ და არც საფეხბურთო კრიტერიუმებთან. ამიტომაც იყო, რომ დამსჯელად მოვლენილმა „ვისლამ“ სასჯელის უმაღლესი ზომით საკუთარი ადგილი აჩვენა „ვიტ-ჯორჯიას“ და მეტად დროული განაჩენი გამოუტანა! 2:8 — ახალი ანტირეკორდია საქართველოსთვის. არ ვიცი, როგორ დამოძღვრეს „ვიტ-ჯორჯიას“ ფეხბურთელები მატჩის წინ, მაგრამ ვეჭვობ, ვინმეს შეეხსენებინა მათთვის, რომ ეროვნული სტადიონის მრავლისმნახველ სარბიელს „ვისლა“ კი არა, „ლივერპული“ და „ინტერი“ უნახავს „ატირებული“, რომ ამ სარბიელს მსოფლიო დონის ვარსკვლავთა სიკაშკაშე ახსოვს და აქ, ოდესღაც ქართველი ფეხბურთელები თავგანწირვით იბრძოდნენ, რომ არა მარტო თავად დაეცვათ საქართველო და მისი საფეხბურთო ციტადელი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც ეჩვენებინათ ის ბრძოლის ჟინი, ურომლისოდაც ბურთის გაგორება ფუჭად დროის დაკარგვაა და მეტი არაფერი. ეს არ იციან „ვიტ-ჯორჯიაში“ და არც არავის უზრუნია იმისთვის, რომ ესწავლებინა. მწვრთნელობა მარტო ტაქტიკურ სქემათა ათვისება როდია. მწვრთნელი მამასავით კეთილმოსურნე დამრიგებელი უნდა იყოს, რომელიც აღსაზრდელებს აუხსნის, რომ მწვანე მინდორი ბრძოლის ველია, სადაც ბურთი უქარქაშო ხმალივით უნდა „მოიქნიო“ და თუ „მართლად ქნევა“ არ ძალგიძს, წინა ხაზზე ის უნდა გაუშვა, ვისაც ქვეყნის სიყვარულისთვის თავდადება არ ეშურება. აქედან იწყება სათავე საფეხბურთო ოლიმპისკენ და ამის უცოდინრობა ყოველთვის ისე გაგვასწორებს მიწასთან, როგორც ეს „ვისლასთან“ დაგვემართა. თუ არ შეგიძლია, უარი მაინც თქვი თამაშზე. უეფას წესებით, 0:3-ს და ჯარიმას გვაკმარებდნენ და ეს ათმაგად აჯობებდა იმ ლაფს, პოლონეთის ჩემპიონმა რომ „დაასხა“ ქართული ფეხბურთის „გამარჯვებულს“. არ ვიცი, როდის გამოვლენ შოკიდან თბილისური კლუბის წევრები, მაგრამ თუ მინდორზე გამოსვლა სურთ, იმის გათვალისწინება აუცილებლად მოუწევთ, რაც ზემოთ მოგახსენეთ. თორემ ვიტელთა მწვრთნელის მიერ განტევების ვაცად გამეტებული ვლადიმერ ხაჩიძის სიტყვებს, — ჩვენ 50-იანი წლების ფეხბურთს ვთამაშობთო! — რა ფასი აქვს? მაშინდელი ფეხბურთი განვითარების დონით შესაძლოა ჩამოუვარდებოდა თანამედროვე „სიმაღლეებს“, მაგრამ 50-იან წლებში, სხვას თავი დავანებოთ და, ბასა თამაშობდა, რომლის ტოლი და სწორი, ვეჭვობ, ბევრი იყოს დღევანდელ ფეხბურთში. ასე რომ, „პოლკას“, რომლის რიტმებით პოლონელებმა თავბრუ დაგვახვიეს, საპასუხოდ „ხორუმი“ სჭირდება. ამას კი სწავლა უნდა, და კიდევ ქვეყნის ჭირისუფლობა...

„ვიტ-ჯორჯიასგან“ განსხვავებით, თბილისის „დინამოს“ და „თბილისს“ თავი არ შეურცხვენია. გიორგი დევდარიანის შეგირდებმა საკუთარ მოედანზე მოკრძალებული გამარჯვების შემდეგ „შამქირს“ მისსავე სტადიონზე ჩაუტარეს მცირე საფეხბურთო გაკვეთილი და 4:1 დაამარცხეს. შამქორის სანახები ჯერ კიდევ თამარ მეფის ეპოქაში გვაქვს ძლევამოსილად „დაჭაშნიკებული“ და რაოდენ სასიხარულოა, რომ „თბილისის“ ბიჭებმა აზერბაიჯანში გამგზავრებამდე ეკლესიაში ლოცვით თავიანთ მონდომებას მეტი მადლი შესძინეს. თამაშიც შთამბეჭდავი გამოდგა. იყო კომბინაციებიც, ურთიერთგატანაც, ბრძოლაც და ლამაზი გოლებიც. შესაძლოა, „შამქირი“ არ იყოს სერიოზული საზომი საფუძვლიანი დასკვნის გამოსატანად, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ოსტატობასთან ერთად უმთავრესსაც გაუსვეს ხაზი: მიუხედავად მცირე ასაკისა, ღირსების გრძნობა და ბრძოლის უნარი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და როცა სათანადო გამოცდილებას შეიძენენ, გაცილებით ძლიერ გუნდებსაც გაუმკლავდებიან. მთავარია, წარმატებულმა დებიუტმა მათ თავბრუ არ დაახვიოს...

თბილისის „დინამომ“ ბორისოვოში დამარცხებული „ბატე“ ამჯერადაც დაჯაბნა და 87-ე წუთზე დათო კვირკველიას გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა. „დინამოელთა“ მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ სწორი ტაქტიკით გუნდი ისე მომართა, რომ საკუთარ საჯარიმოსთან ყველა დერეფანი „გამოთოფა“. ბელორუსები იქნებ ქართველთა ღია და შემტევ ფეხბურთს მოელოდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ჟამიდან ჟამზე მოწყობილი „აფეთქებები“ იკმარეს და საბოლოო გადაცემებში მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა. ჩვენები თუ ტრადიციულად ფლანგებზე „ხანჯლავდნენ“ მეტოქის ფრთებს, ბელორუსებს ცენტრში უპირატესობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ქართველებს ამ პოზიციაზე ჰყავდათ 18 წლის ჯაბა კანკავა, რომელმაც არც თავი დაზოგა და არც მეტოქე, ბრწყინვალე თამაშით არაერთი აპლოდისმენტი მოიმკო და თუ ასეთი მონდომება და თავდადება ბოლომდე გაჰყვა, მრავლისმნახველი ქართველი გულშემატკივრისგან უკვე ახალ სულაქველიძედ მონათლულ კანკავას უმოკლეს ხანში ნაკრებშიც ვიხილავთ.

უგოლო ტაიმის შემდეგ, „ბატემ“ გაიბრძოლა და რამდენჯერმე დაარტყა კარის მიმართულებით, მაგრამ მშვენივრად მოთამაშე გოლკიპერი ირაკლი ზოიძე სტუმართათვის აუღებელ ზღუდედ იქცა. ქართველებმა, ასე არ უნდაო და ვა-ბანკზე წასულ ბელორუსებს ჭკუა ასწავლეს და შეხვედრის წინა დღეს ვაჟის შეძენით ფრთაშესხმული ლევან მელქაძის პასით კვირკველიამ მეტოქის კარის ბადე ლამაზი გოლით შეარხია. „დინამომ“ სრულფასოვანი რევანში აიღო „ბატესთან“ და მაყურებელთა აპლოდისმენტების თანხლებით დატოვა მინდორი.

ეს ეტაპი უეფას თასზე კარგად გავიარეთ, პარასკევს კი ნიონში გამართულმა კენჭისყრამ ახალი გამოცდის წინაშე დაგვაყენა. თბილისის „თბილისს“ მომდევნო მეტოქედ პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი „ლეგია“ ერგო, „დინამოს“ კი — ჩეხეთის „სლავია“. ორივე გუნდი სერიოზულთა რანგს განეკუთვნება. მათ ევროტურნირების გამოცდილებაც გააჩნიათ, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატიც და შესაბამისად, — მეტი ამბიციებიც. ფავორიტებადაც ისინი მიიჩნევენ თავს, მაგრამ ის საბრძოლო მუხტი, რაც ქართველმა ფეხბურთელებმა წინა თამაშებში ჩადეს, სულ მცირე, იმის გარანტია მაინც არის, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს იოლი გასეირნების მაგივრად გვარიანი ბრძოლის გადატანა ელოდებათ. ჩათვალონ თავიანთი თავი ფავორიტებად, ჩვენს მხარეზე კი იყოს შემართება და სურვილი ქვეყნისა და საკუთარი ღირსების დაცვისა. ზოგიც მერე ვნახოთ, ვინ იქნება ფავორიტი.

შეგახსენებთ, რომ „დინამო“ და „თბილისი“ პირველ მატჩებს 12 აგვისტოს გამართავენ, საპასუხოს კი ორი კვირის შემდეგ, 26-ში. დაპირისპირებას „დინამოელები“ პრაღაში იწყებენ, ხოლო „თბილისელები“ ჩვენს დედაქალაქში. ისე კი, ამ ფაქტორს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „საომარი“ აქ იქნება თუ იქ, ჩვენ უნდა „ვიომოთ“.

# ქართველი კალათბურთელები საომრად ემზადებიან



მანუჩარ მარკოიშვილი

სან-ჯორჯოს ტურნირის შემდეგ საქართველოს ნაკრების კალათბურთელები თავიანთ კლუბებში აგრძელებენ წვრთნას. სექტემბერში ბრაიკოვიჩის გუნდს ოფიციალური მატჩები ელის და ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა მწვრთნელის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. დამაიმედებელი ცნობები მოდის პორტლენდიდან, სადაც ვოვა სტეფანია ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და ნაკრებში ჩამოსასვლელად ემზადება. სიახლეა დენვერელი ნიკა ცქიტიშვილის კარიერაშიც, რომლის გადაბირებას „ატლანტა ჰოუკსი“ ცდილობს. ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულიაც ამერიკაშია და მილუოკის საკალათბურთო არენაზე ღვრის ოფლს, მზადყოფნაში რომ იყოს სასექტემბრო ბატალიებისას. მანუჩარ მარკოიშვილი იტალიური „ბენეტონიდან“ არანაკლებ ამბიციურ ლუბლიანის „ოლიმპიაში“ გადავიდა და ევროლიგის თამაშებზე ვლადიმირ ბოისასთან ერთად ითამაშებს.

გიორგი ცინცაძე მოსკოვში ჩაფრინდა და ცსკას მესვეურებთან საკუთარი ბედს არკვევს — ითამაშებს თუ არა ძირითად შემადგენლობაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გიორგი ევროპას მიაშურებს, რათა ძლიერ გუნდში ინტენსიური სათამაშო პრაქტიკა მიიღოს. ცინცაძე ჩვენი გუნდის მთავარ მეპასესთან უილიამსთან ერთად ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რაც იტალიური ვოიაჟის ბოლო მატჩში, შვედეთთან გამარჯვებამ და გიორგის მიერ მოპოვებულმა 25-მა ქულამაც დაადასტურა.

ერთი სიტყვით, ბრაიკოვიჩთან ერთად გულშემატივარიც იმედიანადაა. მერწმუნეთ, თუკი ყველა წამყვანი კალათბურთელი ნაკრებში შეიკრიბება, ქართულ კალათბურთს ძალზე პერსპექტიული მომავალი ელის.

# ვან ბასტენის კანდიდატურა ჰოლანდიელებს კრუიფმა შესთავაზა



მარკო ვან ბასტენი

პრაქტიკულად გადაწყვეტილია ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი. დიკ ადვოკაატის დაცარიელებულ სავარძელში მარკო ვან ბასტენი ჩაბრძანდება. ნიდერლანდელთა ფეხბურთის მმართველმა ჰენკ კესლერმა ეს საკითხი უპირველესად ქვეყნის ლეგენდასთან, იოჰან კრუიფთან შეათანხმა, რომელმაც იქვე დაუსახელა ვან ბასტენისა და ვან'ტ სხიპის დუეტი. კრუიფის სიტყვას კი ჰოლანდიაში ლამის კანონის ძალა აქვს. რაღა თქმა უნდა, ვან ბასტენი ერთადერთი კანდიდატურა არ იყო მწვთნელის პოსტზე. კრუიფს რომ თავი დავანებოთ, ვან გაალის და გუს ჰიდინგის ხსენებაც კმარა, მაგრამ ევროპის სხვა ქვეყნებში შემობიჯებული ტენდენციის გავლენით უპირატესობა წარსულში განთქმულ ფეხბურთელს, მაგრამ მწვრთნელობაში გამოუცდელ კადრს მიენიჭა. კრუიფს როგორი ალღო გააჩნია, ეს მალე გამოჩნდება, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რა თქვა „მილანისა“ და იტალიის ნაკრების თავკაცმა არიგო საკიმ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვან ბასტენი მის გუნდში გამორჩეულად მოკაშკაშე ვარსკლავი იყო: — გავა დრო და მარკო უდიდესი მწვრთნელი გახდებაო.

ვან ბასტენს ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. მარტო ის რად ღირს, რომ 3-გზის ფლობდა „ოქროს ბურთს“, როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. გარდა ამისა, მარკო 2-ჯერ გახდა ჩემპიონთა თასის მფლობელი, ამდენჯერვე საკონტინენტთაშორისო თასიც დაისაკუთრა, „მილანის“ შემადგენლობაში 3-ჯერ იზეიმა ჩემპიონობა, მოიგო ევროპის სუპერთასიც, ჰოლანდიის და იტალიის ჩემპიონატების 7-გზის ბომბარდირის ტიტულიც დაიმსახურა და ევროპის თასების თასითაც შეავსო თავისი კოლექცია.

ნაკრებში მისი მიღწევებიც გავიხსენოთ: თუნდაც ვან ბასტენის, გულიტისა და რაიკაარდის ტრიო! „მილანშიც“ ისინი იყვნენ გამორჩეულნი და ნაკრებშიც. ვან ბასტენმა 58 მატჩი ჩაატარა ქვეყნის პირველ გუნდში და 24 გოლი გაიტანა. ცოტაა, ალბათ დამეთანხმებით, მაგრამ მარკოს ჯანმრთელობის ფურცელში რომ ჩაიხედოთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ. მისი კოჭის სახსარი მრავალჯერ დამსხვრეული და შეკოწიწებულია, მაგრამ ხან ნემსების ბლოკადით, ხან უზადო მოთმინებითა და ტკივილის ატანის უნარით გამოდიოდა მინდორზე და დაუვიწყარ წუთებს ჩუქნიდა მაყურებელს. მისმა ოსტატობამ კულმინაციას 1988 წელს მიაღწია, როცა ჰოლანდია ევროპის ჩემპიონი გახდა. ისტორიაში სამუდამოდ შევიდა ვან ბასტენის გოლი, რომელიც თავდამსხმელმა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს, რენატ დასაევს გაუტანა. ამას უბრალო ფეხბურთელები ვერასოდეს აკეთებენ. აკი თქვა კიდეც დასაევმა: — ჩემს კარიერაში სამი გოლი მახსოვს, რომელიც გამიტანეს და რომელთა აღების არანაირი შანსი არ მქონდა, რადგან ისინი სრულყოფილების ნიმუში იყოო. ბევრმა ახლაც არ იცის, რომ ამ ფეხბურთელთა შორის დიდებული გოლკიპერი გულისხმობდა ბრაზილიელ ედერს, ქართველ დავით ყიფიანს და ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენს...

40 წლის მწვრთნელს ჰოლანდიელები ოფიციალურად 2 აგვისტოს წარუდგენენ საზოგადოებას, თუმცა, არსებული ინფორმაციით, ვან ბასტენთან ოთხწლიანი ხელშეკრულებაა გაფორმებული. მარკოს თანაშემწედ ჯონი ვან'ტ სხიპი იმუშავებს. მათ ერთად მუშაობის გამოცდილება „აიაქსის“ ახალგაზრდულ გუნდთან უკვე ჰქონდათ, ახლა კი მთავარ სამწვრთნელო სარბიელზე პირველად გამოდიან. მოთხოვნები არანაკლებია, ვიდრე კრუიფისა და თავად მარკოს ფეხბურთელობის ჟამს იყო წაყენებული, ვან ბასტენი კი ყოველთვის იქ იყო, სადაც ჰოლანდიას სჭირდებოდა.

# ოვერმარსი წავიდა



მარკ ოვერმარსი

ჰოლანდიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ 31 წლის თავდამსხმელმა მარკ ოვერმარსმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ფორვარდი მუხლის ტკივილმა იმდენად შეაწუხა, რომ სურვილის მიუხედავად, იძულებული გახდა, ბუცები ლურსმანზე ჩამოეკიდა.

ოვერმარსს, რომელმაც „ტილბურგში“ დაიწყო თამაში, კოჭებში „ეტყობოდა“ დიდი ფეხბურთელობა. სულ მალე იგი ამსტერდამის „აიაქსმა“ დაისაკუთრა. წარმატებული სეზონების შემდეგ კი მარკი ლონდონის „არსენალმა“ იყიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ოვერმარსს ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება არ მოჰკლებია. სადებიუტო მატჩი 1993 წელს ითამაშა თურქების წინააღმდეგ. მას შემდეგ კი რეგულარულად ხვდებოდა ჰოლანდიელთა მთავარ გუნდში და საერთო ჯამში 86-ჯერ მოასწრო ნარინჯისფერი მაისურის მორგება. ოვერმარსის ბოლო კლუბი ესპანური გრანდი „ბარსელონა“ გახლდათ, რომელმაც „არსენალს“ 36 მილიონი დოლარი ჩაუთვალა მარკის სანაცვლოდ, თუმცა, სხვადასხვა მიზეზებისა და ძირითადად ტრავმების გამო, კატალონიელთა რიგებში სტაბილური თამაში ფეხბურთელმა ვერ შეძლო. ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ჰოლანდიას ოვერმარსის სახით ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავდა, რომელიც ფლანგებზე სწრაფი გარღვევით ლამაზ თამაშს უხდიდა ხარკს და არაერთი ბრწყინვალე გოლითაც დაამახსოვრა თავი გულშემატკივარს.

*გვერდი მოამზადა ზვიად სეხნაშვილმა*

## №30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 515 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 178-მა ქალმა და 329 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა ყველაზე მეტად შს მინისტრის მიმართაა კეთილგანწყობილი. მკითხველთა — 54%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური — 1 ქულა კი 1%-მა მიაკუთვნა.

**8,08** საშუალო ქულით ირაკლი ოქრუაშვილი პირველ ადგილზეა.

რესპონდენტთა 29%-ის კეთილგანწყობას კი ყველაზე მეტად საგარეო საქმეთა მინისტრი იმსახურებს — საშუალო ქულით 7,59, სალომე ზურაბიშვილი მეორე ადგილზეა. მინიმალური ქულით იგი მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6%) შეაფასა.

გიორგი ბარამიძე მესამე ადგილზეა და უნდა აღინიშნოს, რომ მას მხოლოდ ერთმა მკითხველმა (0,2%) დაუწერა მინიმალური — 1 ქულა.

რეიტინგში თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით გამოირჩევიან კახა ბენდუქიძე, ზურაბ ნოღაიდელი და გიორგი გაბაშვილი. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტი რაოდენობის მაქსიმალური ქულა მაინც ეკონომიკის მინისტრს ხვდა წილად— 3,7%, (ნოღაიდელი — 0,6%-მა, ხოლო გაბაშვილი 0,2%-მა შეაფასა 9 ქულით).

მაქსიმალური ქულით არც ერთ მკითხველს არ შეუფასებია სათბობ-ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრი, თუმცა, მინიმალური ქულების სიუხვით მას კახა ლომაიამ გადააჭარბა და ბოლო ადგილიც მას ხვდა წილად.

თითქმის ანალოგიური შედეგი მივიღეთ მაისის თვეში, როცა ჩინოვნიკებს კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ვაფასებდით — მაშინაც პირველ ადგილზე ირაკლი ოქრუაშვილი (გენპროკურორის ამპლუაში) და ბოლოზე — კახა ლომაია გახლდათ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 67 წლის **ანიკო ჟოჟუაა.** ქალბატონმა ანიკომ, საპრიზო ვარინტისგან განსხვავებით, გიორგი გაბაშვილს სამის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ნიკა გილაურს პირიქით — ორის ნაცვლად — სამი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, 17 საათზე.

## №31 (409) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№30 (408) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 4 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 5 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №31(409) — მნიშვნელოვანი მოღვაწეები

**თქვენი აზრით, რომელმა მოღვაწემ შეასრულა (ასრულებს) ყველაზე მნიშვნელოვანი როლი რუსეთის უახლეს ისტორიაში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№31(409) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | სახელმწიფო მოღვაწე | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ლენინი | |
| 2 | სტალინი | |
| 3 | მიხეილ გორბაჩოვი | |
| 4 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 5 | ვლადიმირ პუტინი | |
| 6 | ნიკიტა ხრუშჩოვი | |
| 7 | ბორის ელცინი | |
| 8 | ლეონიდ ბრეჟნევი | |

**დამატებითი კითხვა**

გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი?

| დიახ | არა |
|---|---|
| | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### „მარტოხელა რაინდები“

*მკითხველის რეიტინგში 401 რესპონდენტი მონაწილეობდა*

| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 38.8% |
| 2. | კობა დავითაშვილი | 25.8% |
| 3. | ირაკლი ოქრუაშვილი | 8.3% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 5.7% |
| 5. | კახა ბენდუქიძე | 4.4% |
| 6. | გიორგი ხაინდრავა | 1.6% |
| 7-9. | ნოდარ ნათაძე | 1.3% |
| 7-9. | აკაკი ასათიანი | 1.3% |
| 7-9. | ლევან გაჩეჩილაძე | 1.3% |
| 10-11. | ჯუმბერ პატიაშვილი | 1.0% |
| 10-11. | ნიკა გილაური | 1.0% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 1.6% |
| | არც ერთი | 1.3% |

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— ჩემი სასმელით არ მადღეგრძელებთ?..

წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოანტიკვარის“ მინიშნებით — „ჩემი სასმელით არ მადღეგრძელებთ?“, როგორც ჩანს ძალიან გავუადვილეთ მკითხველთა 95%-ს სასმელის მწარმოებელთა შორის ზუსტად ამოეცნო ამ ფოტოზე გამოსახული პატარა ბიჭუნა. დიახ, ეს გახლავთ ლუდისა და ცივი ჩაის მწარმოებელი, ცნობილი ბიზნესმენი **გოგი თოფაძე**, როგორც ერთი მკითხველი გვწერს „ბამბის მაროჟნით“ ხელში. თუმცაღა, ზოგიერთმა ამ ფოტოზე ლევან გაჩეჩილაძე, თემურ შაშიაშვილი, დათო ლორთქიფანიძე და ვლადიმირ ილიჩ ლენინის ბავშვობაც დაინახა.





გოგი თოფაძე, ? წლის

# თელავში 800-წლიანი ჭადარია...

## მოკითხვა თბილისელ ჭადრებს თელაველი დიდი „პაპისგან“



თელავის ცენტრში, ერეკლე მეორის სასახლის პირდაპირ, ლაღად მხრებგაშლილი დგას 800-წლიანი ჭადარი. შევხედე თუ არა, გავიფიქრე, ამდენი საუკუნის განმავლობაში ეს ხე მოჭრას როგორ გადაურჩა-მეთქი. ბოლო დროს უკანონო მშენებლობებს შეწირული საუკუნოვანი ხეები გამახსენდა და შემეშინდა, ვაითუ, რომელიმე „ცივილიზებულმა“ ქართველმა ერთ მშვენიერ დღეს ამ 16-მეტრიანი ჭადრის მოჭრაც მოინდომოს-მეთქი. ამ მრავლისმნახველი, საქართველოს მატიანის ცოცხალი ნაწილის გარშემო შემოვლისას 12 მეტრის გავლა მოგიწევთ. თითქოს ეს „მანძილი“ საკმარისია იმისთვის, რომ სამი საუკუნის იქით გადასწვდეს თვალი და ჭადარზე აცოცებული პატარა კახი იხილო... მეფე ერეკლე თურმე აქ, ამ გასაოცრად ლამაზი ხის ძირას არაერთგზის შეხვედრია ქვეყნისთვის გადამწყვეტ წუთებში ერს, ბერსა და ლაშქარს. ამ ჭადრის ქვეშ თითქოს საქართველოს ისტორია ცოცხლდება და სიამაყეც გეუფლება...

ამ ჭადრის ქვეშ თითქოს ქართველ მეფეთა გამარჯვებული ლაშქრის მხიარული ყიჟინა გაისმის კვლავ...

ამ 800-წლიანი „მოხუცის“ მხრებქვეშ უმხელდნენ ერთმანეთს სიყვარულს ქართველი ქალ-ვაჟები.

თელავში ამბობენ — ჩვენს წინაპრებს ისე ჰყვარებიათ საუკუნოვანი ხე, რომ ზოგჯერ მას იფიცებდნენ კიდეცო. თელაველები მას დღესაც რიდითა და მოწიწებით ექცევიან. 800-წლიანი ჭადარი მათთვის ცოცხალ რელიკვიასავითაა — აქაურები, განურჩევლად ასაკისა, ძლევამოსილ მეფესავით მხრებგაშლილ ჭადარს რაინდსაც ეძახიან.

ორი წლის წინ საქართველოს რომელიღაც კუთხიდან ერეკლე ბატონის სასახლეში ექსკურსიაზე მყოფი ბავშვები შემოხვევიან მხცოვან ჭადარს. ერთ-ერთ მათგანს რაღაც ბასრი საგანი მოუძებნია და ხის დაკოჟრილ სხეულზე საკუთარი სახელის ამოჭრა უცდია. დაუნახავს მის თელაველ თანატოლს ონავარი, მივარდნილა და ხელიდან გაუგდებინებია უხეირო „საჭრეთელი“, თანაც ბრძენკაცივით უთქვამს, — შენსავით რომ ყველა გამვლელს ამ ჭადარზე სისულელეები ეჯღაბნა, ეს დალოცვილი აქამდე კი ვერ მოაღწევდა. რომ ჭრი, რათა ჭრი, გგონია, მაგას არა აქვს გრძნობა და იარა არა სტკივაო?! გაცხარებულს ხელი მოუკიდია დაუდევარი სტუმრისთვის, ხისგან საკმაოდ შორს დაუყენებია და უთქვამს, — იცი, ამ ხემ რა იცის, რას მალავს, რას ატარებს, რა სტკივა? — ის, რასაც შენ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში უნდა სწავლობდე... შენი ქვეყნის ისტორია რომ იცოდე, ასე არ მოიქცეოდი და ხეს, რომელსაც ჩვენ რაინდს ვეძახით, თაყვანს სცემდიო.

ამ ამბავმა კიდევ უფრო მკაცრად დამანახვა რეალობა. იქნებ ბევრმა აღარ იცის საქართველოს ისტორია, მისი წარსული ტკივილი და სიხარული და ამიტომაც თვალისდაუხამხამებლად ვშლით და ვანადგურებთ იმას, რაც ზოგჯერ ქვეყნის მატიანესთან, მის მდიდარ წარსულთან გვაკავშირებს.

თბილისისკენ მომავალს აქაური ჭადრებისთვის თელაველი დიდი „პაპისგან“ სიყვარულით სავსე მოკითხვა მომქონდა...

*ეკა ლომიძე*



**თარაზულად:** 1. ვალტერ სკოტის რომანი; 4. ბენდის ხელმძღვანელი „ღამის შოუში“; 6. შავი ზღვა ძველი ბერძნებისთვის; 7. XIII საუკუნის ქალაქი უკრაინაში; 8. სანახაობრივი დაწესებულება; 9. პერანგი, რომელსაც ფართო, გადახსნილი საყელო აქვს; 10. ელეგანტური თურქული კატა; 13. ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი; 16. სპორტული ორთაბრძოლა; 18. ძველი ჩინელი მოაზროვნე, რომლის მოძღვრებამაც ჩინეთში მიიღო ოფიციალური სარწმუნოებრივი სტატუსი; 19. რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში; 20. სიცილიაში წარმოქმნილი საიდუმლო დანაშაულებრივი ორგანიზაცია; 22. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 23. პოდიუმის ნაირსახეობა; 25. ცხენშებმული ვაგონი რელსებზე; 27. უდაბნო პერუში, ვარაუდით უცხოპლანეტელთა კოსმოდრომი; 28. კურორტი სირიაში; 29. წარწერა კინოფირზე; 30. დედალოსის ვაჟი; 31. ქართველი პრომეთე.

**შვეულად:** 1. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად; 2. ქირურგიული ჩარევა; 3. სამრეწველო საქონლის უნივერსალური მაღაზია ახლო წარსულში; 4. ყველაზე ძვირად ღირებული ტოპმოდელი; 5. ინგლისის დედოფალი; 11. ინდოეთის წმინდა მდინარე; 12. საზეიმო დარბაზობა, წვეულება; 14. ერთ-ერთი უსწრაფესი ავტომობილი; 15. რკინის ძელი ლიანდაგზე; 16. ამერიკელი კინომსახიობი ... ბესინჯერი; 17. დეპარტამენტი და ქალაქი XVI საუკუნის უნივერსიტეტით პერუში; 21. შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში; 22. ორსართულიანი ავტობუსის ზედა ნაწილი; 24. სავარჯიშო იარაღი; 25. ორი ელექტროსადენის ერთმანეთთან შეხება; 26. მსგავსება საგნებსა, მოვლენებსა და ცნებებს შორის. **შეადგინა რამაზ ალანია**

## ეს იცოდით?..

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცნობილი პოლიგლოტი იყო კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი რასმუს კრისტიან რასკი (1787-1832). პროფესორი მსოფლიოს 230 ენაზე ლაპარაკობდა, აფრიკულ სლენგებზეც კი და მრავალ ენაზე შექმნა ლექსიკონი და გრამატიკის სახელმძღვანელო.

**8/VIII**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

**3/VIII 20-დან 23 საათამდე**

**7/VIII 5-დან 7 საათამდე**

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. რეპეტიცია დიდობისათვის; 2. ვუკბენ და შემამჩნევს; 3. რთველი; 4. თსუ; 5. ალტი; 6. კიი; 7. დესერტი; 8. ბე; 9. კია; 10. პუნში; 11. შრე; 12. ტბა; 13. ტომატი; 14. ეროტიკა; 15. რძე; 16. რიზე; 17. ბაასი; 18. ტიციანი; 19. ციანი; 20. წელიწადი; 21. აბზაცი; 22. ძე; 23. რემა; 24. ასო; 25. არი; 26. შარი; 27. ია; 28. სი; 29. დიანა; 30. და; 31. ლანდი; 32. ყანწი; 33. ყირა; 34. კოლბა; 35. ტიბაანი; 36. პასტა; 37. ბორი; 38. ტორი; 39. ეზო; 40. ბენტო; 41. აბი; 42. კაისა; 43. ნოე; 44. ვუკოლ; 45. ალი; 46. ვიდეო; 47. ლეაო; 48. თვალი; 49. შანსი.

# ბრანდოს ქონებას 10 შვილი გაიყოფს

ერთი კვირის წინ საჯაროდ გახდა ცნობილი ლეგენდარული ვარსკვლავის, მარლონ ბრანდოს ანდერძი. მსახიობის მემკვიდრეობა 21,6 მლნ დოლარს შეადგენს, აქედან 18,6 მლნ დოლარის უძრავი ქონებაა. საქმე იმაშია, რომ უამრავმა სასამართლო პროცესმა, რომელზეც ბრანდოს კანონიერი და უკანონო შვილები ერთმანეთს მამის ქონებაში ეცილებოდნენ, უზარმაზარი თანხა წაიღო. იმასაც ამბობდნენ, ბრანდო გაკოტრდაო. გადარჩენილ ქონებას ვარსკვლავის 10 შვილი გაინაწილებს. აღსანიშნავია, რომ მემკვიდრედ ითვლება მხოლოდ ის შვილი, რომელიც მსახიობმა აღიარა. ბრანდოს უფროსი ვაჟი 46 წლისაა, უმცროსი ქალიშვილი კი — მხოლოდ 10-ის.




## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა, 10–15სთ. მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34


**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (31) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№31 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 5 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.